

**სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე:  
რთული რეალობა და დიდი მოლოდინები**

## **სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: ათული ჩელოვა და დიდი მოლოდინები**

ფონდის საიუბილეო კონფერენციის „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის 10 წელი რეგიონში: სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე“ მასალები. 5-6 ივნისი, 2013. თბილისი

რედაქტორები: სალომე ასათიანი, ნინო ლეჟავა

გამომცემელი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

პუბლიკაციაში შესული სტატიების შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან თავად ავტორები. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები არ არის აუცილებელი გამომხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ზოვრეთის ქ. 38. ქ. თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 32 2380467/68, +995 32 2913739, ფაქსი: +995 32 291 28 97

info@ge.boell.org / www.ge.boell.org / www.facebook.com/hbf.caucasus

© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2014

ISBN 978-9941-0-6546-0

# საკრედიტი

**გზავჯვარეულინი თუ გზავჯვარეულინი?** 7  
ნინო ლეჟავა

**შესავალი** 13  
სალომე ასათიანი

**ნაწილი I: დასავლეთი და კავკასია: შილა და გარე პოლიტიკა** 24  
ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შედეგები სამხრეთ კავკასიაში 27  
იანა კობახიძე

როგორ მიდის გარდამავალი პროცესი:  
აშშ, დემოკრატიული განვითარება და სამხრეთი კავკასია 34  
**ლინკოლნი მიჩელი**

მშფოთვარე დაძაბულობა „უსაფრთხოებასა“ და „დემოკრატია“ შორის:  
დასავლეთის მიდგომა სამხრეთი კავკასიისადმი 43  
**მანანა ქოჩლაძე**

ხიდების ფორმირება:  
თვალსაზრისები სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის ჩართულობის შესახებ 56  
**ადრიან ბრისკუ**

**ნაწილი II: საქართველო: შილა და გარე პოლიტიკა** 69  
საქართველოს პოლიტიკური ტრანსფორმაცია:  
2012 წლის არჩევნებამდე და მის შემდგომ 71  
**ივლიანე ხაინდრავა**

რას ვაკეთებთ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატის განვითარებისათვის:  
საქართველოს კომპლექსური მაგალითი 80  
**ჩარლზ ფერბენქსი**

ღირებულებებით გზავჯვარეულინი:  
ქართული საზოგადოება 2012 წლის შემდეგ 93  
**სალომე ასათიანი**

თვითმმართველობა vs ქუჩის აქტივიზმი:  
თეორიული კონფიგურაცია და საქართველოს მაგალითი  
**დავით ლოსაბერიძე** 102

თბილისის საზოგადოებრივი სივრცეების პერიპეტიები  
**ლადო ვარდოსანიძე** 111

**ნაწილი III: სომხეთი: გაკთულაგული გაკლავაგალი ეგაგი** 121

გეოპოლიტიკისა და დემოკრატიის გამონვევები  
**თათულ აკოფიანი** 123

იდეოლოგიებიდან ტექნოლოგიებამდე:  
არჩვენების, როგორც სომხეთის საზოგადოების მოდერნიზაციისა  
და კონტრმოდერნიზაციის ანთროპოლოგიური მიმოხილვა  
**გაიანე შაგოიანი** 128

აქტიური მოქალაქეობა და საჯარო სივრცე სომხეთში:  
ერევანში და მის გარეთ  
**არპინე გალფაიანი** 156

**ნაწილი IV: აზერბაიჯანი: გაკლავაგალი ეგაგის რიხი** 157

დემოკრატია აზერბაიჯანში: მოქუფრული სურათი  
**ქენან ალიევი** 159

დემოკრატიის გამონვევები აზერბაიჯანში:  
2003-2013 წლები  
**რაჰმან ბადალოვი** 164

თანამედროვეობა, რომელიც ხელიდან გისხლტება:  
აზერბაიჯანის პოსტსაბჭოთა მოდერნიზაცია  
**სერგეი რუმინცევი** 177

რთული ურთიერთმიმართება:  
ქალაქგეგმარება და საკუთრების უფლება ბაქოში  
**ზოჰრბ ისმაილი** 189

**ავგოკიგის უისახე** 204





# გზაჯვარედინი თუ გზაგასაყარი?

ნინო ლეჟავა

**2**003 წელს თბილისში სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს გახსნით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა გააღრმავა მის მიერ 1995 წელს სამხრეთ კავკასიაში დაწყებული საქმიანობა. მაშინ ფონდი თანამშრომლობდა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრთან – „კავკასიურ სახლთან“ და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ტყვეთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების საერთაშორისო სამუშაო ჯგუფთან. მოგვიანებით, ბოლო ათი წლის მანძილზე ფონდი სწავლობდა და აკვირდებოდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესებს აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში და ადგილობრივი პრობლემების შესაბამისად ადგენდა საკუთარ პროგრამულ პრიორიტეტებს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დასამკვიდრებლად.

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს საქმიანობის სავიზიტო ბარათად მალევე იქცა ჯერ გერმანულად (2004), მოგვიანებით კი რუსულადაც (2005) გამოცემული კრებული – „დიასპორა, ნავთობი და ვარდები“ (*Kaufmann, Walter (Hrsg.), Diaspora, Öl und Rosen, Zur innenpolitischen Entwicklung in Armenien, Aserbaidzhan und Georgien*), რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას სთავაზობდა, კვალიფიციურად, ამ ქვეყნებზე გავრცელებული კლიშეების გარეშე გასცნობოდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკურ გარემოს. ეს წიგნი კარგა ხანია, რარიტეტად იქცა.

ათი წლის შემდეგ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი კვლავ სთავაზობს სამხრეთ კავკასიის რეგიონით დაინტერესებულ მკითხველს სიღრმისეული შეფასების მორიგ მცდელობას. 2003-ში, როცა ზემოხსენებული წიგნის გამოცემა დაიგეგმა, საქართველოში წლის ბოლოს ხავერდოვანი რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობას ძნელად თუ ივარაუდებდით. ახლაც, საიუბილეო კონფერენციის ჩატარებასა და წიგნის დასტამბვას შორის დროის მონაკვეთში ჩვენ შევესწარიტ რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბის ისეთ კატაკლიზმებს, რომლებიც კიდევ კარგა ხანს განსაზღვრავენ საერთაშორისო პოლიტიკას. უკრაინის სახელმწიფო, კვლავ მოქცე-

ული გავლენისათვის ბრძოლის ველში ევროპასა და რუსეთს შორის, ცდილობს, გააკეთოს თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევანი.

საიუბილეო კონფერენციისთვის შერჩეული სათაური „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის 10 წელი რეგიონში“ თითქოს წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამხრეთი კავკასია ჯერ არასდროს ყოფილა ასე დანაწევრებული. აქამდე არსებულ დე-იურე და დე-ფაქტო საზღვრების გარდა ჩვენ, შესაძლოა, ახალი ტიპის საზღვრების წარმოქმნის მოწმე გავხდეთ. რეგიონში, სადაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჯერაც არ დასრულებულა სახელმწიფო საზღვრების გადსინჯვისა და გამიჯვნის პროცესი, გრძელდება მაშინვე დაწყებული ერთმანეთისგან კულტურული განზიდვის პროცესიც.

გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველომ ორჯერ მიიპყრო საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებული ყურადღება: პირველად 2003 წელს – ვარდების რევოლუციის გზით ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის გამო, ხოლო მეორედ – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს მოკლევადიანი ომის დროს. მისი მეზობელი ქვეყნებიც არ არიან განებივრებული საერთაშორისო ყურადღებით. დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში ბევრს გამოეპარა, თუ რა უძლოდა უკრაინაში განვითარებულ დრამატულ მოვლენებს სამხრეთ კავკასიის მასშტაბით: სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა 2013 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში, სომხეთის საზოგადოებისა და უცხოელი პარტნიორებისათვის მოულოდნელად განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ მოაწერდა ხელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და შეუერთდებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ ინიცირებულ ევრაზიულ საბაჟო კავშირს. საქართველო კი უახლოეს თვეებში ხელს მოაწერს ქვეყნის განვითარებისა და მისი ევროპული პერსპექტივისათვის უალრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო რესპუბლიკები მეტი ყურადღებით აკვირდებიან უკრაინაში განვითარებულ სეცესიურ პროცესებს, რაც ასევე უსათუოდ აისახება აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბაღის არალიარებული რესპუბლიკების მომავალზე. უდავოა, რომ უკრაინაში ერთი ათწლეულის განმავლობაში მომხდარი მეორე რევოლუციური მაიდნის შემდეგ შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაზეც იმოქმედებს.



წინამდებარე წიგნში ჩვენ ვეძებთ პასუხებს კითხვაზე – გახდება თუ არა სამხრეთ კავკასიური გზაჯვარედინი აქ მცხოვრები ერებისათვის გზაგასაყარიც? კავკასიის რეგიონი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის, რუსეთის, ცენტრალური აზიისა და ხმელთაშუაზღვის გადაკვეთის წერტილში მდებარეობს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონული უსაფრთხოების სფეროში. ეს გზაჯვარედინზე მდებარეობა, რომელიც, თითქოს, მომგებიანიც უნდა ყოფილიყო აქ არსებული ერებისთვის, იმავდროულად გამოწვევაცაა და თან მსოფლიოში ერთ-ერთი კულტურულად ყველაზე მრავალფეროვანი სივრცეა. კრებულის ოთხი თავი აღწერს ამ სამი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის სხვადასხვა ეტაპებს. მკითხველი გაეცნობა ახალ საზოგადოებრივ ტრენდებს, რომლებიც სამოქალაქო და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის წინაპირობა უნდა გახდეს.

ამ კრებულს რამდენიმე მიზანი აქვს: პირველი – მონიშნოს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამუშაო ველი სამხრეთ კავკასიაში, საინტერესო ავტორები და თემები, რომლებიც ფონდის მრავალწლიანი საქმიანობისთვის განმსაზღვრელი იყო და მათი გაანალიზება მომავალი სტრატეგიის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია.

მეორე – შეაჯეროს თეორეტიკოსების და პრაქტიკოსების ხედვები, როგორც რეგიონიდან, ისე დასავლეთიდან და საშუალება მისცეს სამხრეთ კავკასიაში მომუშავე სპეციალისტებს და გარე დამკვირვებლებს, დაინახონ რეგიონის უაღრესად ჰეტეროგენული რუკის დეტალური და კომპლექსური სურათი. გამოცემაში გარკვეულწილად ასახულია მწვანე პოლიტიკური ფონდის როლიც – იყოს შუამავალი პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და იმ საზოგადოებას შორის, რომელთა ურთიერთქმედება აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში აყალიბებს რეგიონის პოლიტიკურ კულტურას.

მესამე და ყველაზე მთავარი – მსოფლიო რუკაზე მონიშნოს თავად სამხრეთი კავკასია და გაარკვიოს, არსებობს თუ არა ერთიანი რეგიონი, რომელსაც გარედან ხან „ტრანსკავკასიას“, ხანაც „იმიერ/ამიერკავკასიას“ უწოდებ(დ)ენ, ხოლო ამჟამად სამხრეთ კავკასიად მოიხსენიებენ? რა პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ნიშნები ახასიათებს მას ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში?

თავდაპირველად, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ათი წლის საიუბილეო კონფერენციის კონ-

ცეფციის შედგენისას შეგნებულად გამოვტოვეთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და განმაპირობებელი ორი ასპექტი: ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და უსაფრთხოების საკითხები.

ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და მთიანი ყარაბაღის სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტების დინამიკა ორი ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრავდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს. ამავე დროს, რეგიონში არსებული სამი კონფლიქტის გენეზისი, სტატუს კვო და დინამიკა ჩაღრმავებულ რეფლექსიას მოითხოვს და ცალ-ცალკე ანალიტიკურ ჩარჩოებს საჭიროებს. ყურადსაღებია, რომ ხშირად სამხრეთ კავკასიის შესახებ ანალიზი ძირითადად ამ მწვავე თემაზე ფოკუსირდება და მის ფონზე სხვა პოლიტიკური მახასიათებლების კონტურები იღდაბნება კიდეც.

წინამდებარე კრებულში შეგნებულად ეთმობა ნაკლები ყურადღება უსაფრთხოების პარადიგმას: ჩვენი მიზანი იყო, ყურადღება გაგვემახვილებინა საკუთრივ უფრო იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა საერთაშორისო ფორმატებში ნაკლებად ხვდება პოლიტოლოგიური ანალიზის ველში და უმეტესწილად ვინრო წრის სამეცნიერო-კვლევითი დისკუსიების საგნად რჩება.

წიგნი შესანიშნავად ასახავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სიჭრელესა და მრავალფეროვნებას. ავტორები პოლიტიკოსები, მეცნიერები, ანალიტიკოსები, აქტივისტები, ჟურნალისტები არიან. მიუხედავად იმისა, რომ სარედაქციო ჯგუფს თითქმის ერთი წელი დასჭირდა სტატიების კრებულის ქართული და ინგლისური ვერსიების მოსამზადებლად და გამოსაცემად, ის მაინც ინარჩუნებს მომენტალური კადრის ეფექტს. ეს ტექსტები სამომავლოდ ისტორიული მასალაცაა.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის წიგნის სამეცნიერო რედაქტორს სალომე ასათიანს, რომელმაც უდიდესი შრომა ჩადო გამოცემის გასაკეთილშობილებლად. სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს თანამშრომლების მალხაზ სალდაძის და ეკა წერეთლის წყალობით საიუბილეო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს უკვე იმაზე ფართო საზოგადოება გაეცნობა, ვიდრე ეს თუნდაც მრავალრიცხოვანი, მაგრამ მაინც ერთი კონფერენციის ფარგლებში იქნებოდა შესაძლებელი. ჩვენი მადლიერება ეკუთვნით თავად ავტორებსა და თბილისში 2013 წლის 5-6 ივნისს ჩატარებული კონფერენციის ყველა მონაწილეს, ვინც ღრმა და ცოცხალი დისკუსიებით დაგვი-

დასტურა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ სამხრეთ კავკასიის საზოგადოებებისთვის შეთავაზებული თემებისა და ღირებულებების მიმართ თავისი ინტერესი და ფონდის მიერ ამ საზოგადოებების დემოკრატიულ, თავისუფალ და სამართლიან განვითარებაში შეტანილი წვლილის აღიარებაც.

*თბილისი, 30 აპრილი, 2014 წელი*

**ნინო ლეჟავა**

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის**

**სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დირექტორი**



# შესავალი

## სალომე ასათიანი

სამ ქვეყანას – სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს – როგორც წესი, ორ „ჩარჩოში“ აერთიანებენ ხოლმე. ამ ჩარჩოთაგან ერთი პოლიტიკურ გეოგრაფიას ეფუძნება, მეორე – პოლიტიკურ ტელეოლოგიას. პირველ ჩარჩოში ეს ქვეყნები ერთი მთლიანი რეგიონის, სამხრეთ კავკასიის შემადგენელ ნაწილებად არიან მიჩნეულნი; მეორეში კი გვევლინებიან მასშტაბური პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის, ე.წ. „ტრანზიციის“ პროცესის მონაწილეებად.

ამ ჩარჩოებს, თუ მიდგომებს, თავ-თავიანთი და განსხვავებული ისტორია აქვს. სამი ქვეყნის ერთ რეგიონად დაჯგუფების ფესვები რუსეთის იმპერიულ წარსულში უნდა ვეძებოთ – მათ მოიხსენიებდნენ ტერმინით „ზაკავკაზი“, რომელიც ასახავს ჩრდილოეთიდან დანახულ, კავკასიის მთების მიღმა მდებარე ტერიტორიას. „ტრანზიციის“ სახელით ცნობილი ჩარჩო კი პოსტ-საბჭოთა რეალობის პროდუქტია. პერიოდის, რომელშიც პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა უნინ საბჭოეთის გავლენის ქვეშ მყოფი ყველა რესპუბლიკა თუ ქვეყანა გამოაცხადეს ერთი დიდი, გრანდიოზული, ტელეოლოგიური პროექტის ნაწილად – ტოტალიტარიზმიდან ლიბერალურ დემოკრატიაში, გეგმიური ეკონომიკიდან კი თავისუფალ ბაზარზე გარდამავალი ეტაპის მონაწილეებად.

როგორც სხვა ბევრი მსგავსი კონცეპტუალური მიდგომა, ეს ჩარჩოებიც მოსახერხებელია სურათის ფართო კონტურებით აღსაწერად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებისთვის, თუ ორგანიზაციებისთვის ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა ამ სამი ქვეყნის ერთ რეგიონად, ან ერთი პროცესის – ტრანზიციის – მონაწილეებად გაერთიანება, სხვადასხვა პროგრამის, სტრატეგიის თუ პოლიტიკის შემუშავების დროს. თუმცა, ამგვარი მიდგომები, რამდენადაც იოლი და კომფორტულია, იმდენად, და შესაძლოა კიდევ უფრო მეტადაა ზოგადი და ზედაპირული. როგორც წესი, ისინი ადეკვატურად არც რეალურ სურათს ასახავს და არც საკუთრივ ამ ქვეყნების შიგნით არსებულ განწყობებსა თუ იდენტობებს.

წინამდებარე კრებული სწორედ ამ განზოგადებულ ჩარჩოთა ნიუანსირებას და, გარკვეულწილად, მათ პრობლემატიზაციას ემსახურება. წიგ-

ნში თავმოყრილი ტექსტები ნათლად აჩვენებს, რომ სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ერთმანეთთან მართლაც ბევრი რამ აკავშირებთ, როგორც წარსულიდან, ისე დღევანდელიობიდან გამომდინარე – თუმცა მათ ერთიან და შეკრულ „რეგიონად“ ყოფნას არაერთი წინაღობა ხვდება, იქნება ეს ტერიტორიული კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გარშემო, განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული რეალობა თუ უსაფრთხოების კონცეფციის, ან საგარეო ორიენტაციის სხვადასხვაგვარი კონფიგურაციები. საქართველოს დეკლარირებული საგარეო ორიენტაცია ღიად პროდასავლური რჩება, სომხეთს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირები მოსკოვთან აქვს, ნავთობითა და გაზით მდიდარ აზერბაიჯანს კი შეუძლია თავს უფლება მისცეს ორივე მხარესთან – დასავლეთთანაც და რუსეთთანაც – განავითაროს სათავისოდ ხელსაყრელი კავშირები.

არანაკლებ, და შესაძლოა კიდევ უფრო მეტად არაერთგვაროვან სურათს ვაწყდებით პოლიტიკური ტრანსფორმაციის – პოსტ საბჭოთა „ტრანზიციის“ – ცნებასთან მიმართებით. გარკვეულ შემთხვევებში, ადგილზე არსებული რეალობა პირიქით, სტატიკურად და რეგრესულადაც კი გვევლინება და საერთოდ არ პასუხობს ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაში „გარდასვლის“ დისკურსს<sup>1</sup>.

ნიგნი თავს უყრის მასალებს 2013 წლის 5-6 ივნისს თბილისში გამართული კონფერენციიდან, რომელიც ჰაინრიჰ ბიოლის ორგანიზებით ჩატარდა და მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, რეგიონში ფონდის საქმიანობის მეთავე წლისთავის აღნიშვნას, მეორე მხრივ კი იმ კომპლექსური პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ტრანექტორიის ანალიზს, რომელსაც სამმა ქვეყანამ ამ ათწლეულის განმავლობაში მისდია. თუმცა, კონფერენციის გამართვიდან პუბლიკაციის მომზადებამდე პერიოდში სამივე ქვეყანაში იყო მნიშვნელოვანი მოვლენები თუ გადაწყვეტილებე-

1 მაგალითად, ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“, გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების შესახებ თავისი ყოველწლიური ანგარიშის 2013 წლის გამოშვებაში აზერბაიჯანს „კონსოლიდირებული“, სომხეთს კი „ნახევრად-კონსოლიდირებული“ ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნად მიიჩნევს; ხოლო საქართველო – რომელმაც ბოლო ათი წლის განმავლობაში მღელვარე პოლიტიკური ცვლილებები განიცადა და რომელიც, უამრავი პრობლემის მიუხედავად, სამი ქვეყნიდან ალბათ ყველაზე მეტად ესადაგება ტრანზიციის ნარატივს – „ჰიბრიდულ რეჟიმიდაა“ შეფასებული. შკალაზე, რომლითაც ქვეყნები საუკეთესო 1-დან ყველაზე უარეს 7-მდე ქულით ფასდებიან, აზერბაიჯანს 6.64 ქულა აქვს, სომხეთს – 5.36, საქართველოს – 4.75. <<http://www.freedomhouse.org/report-types/nations-transit#.U2PJE8dq4y4>>.

ბი, და მასალებიც შესაბამისად რედაქტირებულ იქნა, რათა მაქსიმალურად დაახლოებოდა გამოცემის დროს არსებულ სურათს<sup>2</sup>.

## **„კეპიონი“ და „ლასკალონი“: უკრაინის პარტიზანული სიტუაცია**

ნიგნი შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი, ქვესათაურით „დასავლეთი და რეგიონი: შიდა და გარე პერსპექტივები“ სიღრმისეულად და რეალისტურად, ზედაპირული კლიშეების მიღმა წარმოაჩენს რთულ ურთიერთმიმართებას ერთი მხრივ ევროკავშირსა და აშშ-ს, მეორე მხრივ კი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. იანა კობზოვას წერილი ეთმობა ევროკავშირის ნაბიჯების ანალიზს და კრიტიკას. „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა უკვე ერთ ათწლეულს ითვლის – რატომ ხდება, რომ წარმატების მაგალითები ასე ცოცხალია?“ – იკითხავს ავტორი. კობზოვას აზრით, ევროკავშირს, ცხადია, სურს, რომ სამხრეთი კავკასია სწორად იმართებოდეს და იქ კეთილდღეობამ და სტაბილურობამ დაისადგუროს – მაგრამ ის რესურსები, ყურადღება თუ ენერჯია, რომელსაც ბლოკი ამ რეგიონს უთმობს, აჩვენებს, რომ ევროკავშირი რეალურად ჩართული არ არის ამ გრანდიოზული ხედვის სინამდვილედ ქცევის პროცესში. კობზოვას შეფასებით, საიმისოდ, რომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ რეგიონში ხელშესახები შედეგები მოიტანოს, მოლოდინების რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა და რესურსების გაცილებით უფრო ეფექტიანად ხარჯვა აუცილებელია.

2 საქართველოში 2013 წლის ოქტომბრის ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელსაც ეუთომ (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ, <<http://www.osce.org/odihr/elections/107512>>) „პოზიტიური და გამჭვირვალე“ უწოდა. ამ კენჭისყრამ ფორმალურად დაასრულა როგორც 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ მოსული პოლიტიკური გუნდის მმართველობა, ისე ერთი წლის მანძილზე საკმაოდ პრობლემურად მიმდინარე კოჰაბიტაციის პროცესი მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალურ მოძრაობასა“ და 2012 წლის საეტაპო საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ შორის. ამავე პერიოდში, 2013 წლის ოქტომბერში, საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა აზერბაიჯანშიც. კენჭისყრით, რომელიც, ეუთოს შეფასებით, „სერიოზული ნაკლოვანებებით“ ჩატარდა <<http://www.osce.org/odihr/elections/106908>>, მოქმედი პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი მესამე ვადით იქნა არჩეული, რის შემდეგაც, უფლებადამცველების თანახმად, გაგრძელდა ზენონა მთავრობის ოპონენტებზე – ყურნალისტებზე თუ აქტივისტებზე. სომხეთში გეოპოლიტიკური არჩევანის თვალსაზრისით მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა – 2013 წლის სექტემბერში ერევანმა გამოაცხადა, რომ აპირებს განეწინააღმდეგოს რუსეთის ხელმძღვანელობით მოქმედ საბაჟო კავშირში, რომელიც, მოსკოვის ჩანაფიქრით, 2015 წელს უნდა იქცეს ევროკავშირის მოდელზე აგებულ „ევრაზიულ კავშირად“. ამ გადაწყვეტილებამ, ცხადია, კიდევ უფრო მეტად გააღრმავა სომხეთის, როგორც რეგიონის სამ ქვეყანას შორის მოსკოვთან ყველაზე უფრო დაახლოებული ქვეყნის პოზიცია.

ამავე საკითხს – დასავლეთის და რეგიონის ურთიერთმიმართებას – ეძღვნება ლინკოლნ მიჩელის სტატია, ოღონდ აქ აქცენტი აშშ-ის მიერ გატარებულ პოლიტიკაზეა. მიჩელის შეფასებით, ამ რეგიონში, რომელსაც სტრატეგიულ მნიშვნელობას არაერთი ფაქტორი ანიჭებს – იქნება ეს კასპიის ნავთობი, ირანთან და რუსეთთან სიახლოვე, თუ სხვა – აშშ დემოკრატიის დამყარებაზე უფრო მეტად სტაბილურობის არსებობითაა დაინტერესებული. შესაბამისად, ყველაზე ნაკლები წარმატება ალბათ სწორედ დემოკრატიზაციის კუთხით აღინიშნა, ხოლო სტაბილურობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით აშშ-ის მიერ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გატარებულმა პოლიტიკამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო (ნავთობი კვლავაც მიედინება, სამიდან ორ ქვეყანას აშშ-სთან მნიშვნელოვანი კავშირები აქვს უსაფრთხოების სფეროში; რუსეთის გავლენა, მართალია პრობლემად რჩება, მაგრამ მაინც ექვემდებარება გარკვეულ კონტროლს). „ვაშინგტონში პოლიტიკური გადანწყვეტილებების მიმღებთა უმრავლესობა ალბათ კმაყოფილი იქნებოდა ამგვარი მდგომარეობის შენარჩუნებით მომავალი ათწლეულის განმავლობაში. ისინი ნელ-ნელა აცნობიერებენ, რომ აშშ-ის შესაძლებლობა, გააკეთოს ამაზე მეტი, ძალიან შეზღუდულია“ – წერს მიჩელი.

დასავლეთის მიერ რეგიონით დაინტერესების ზედმიწევნით რეალისტურ, თუ „მიწიერ“ სურათს გაეცნობით მანანა ქოჩლაძის სტატიაში. „მიუხედავად მრავალი განსხვავებისა, სამხრეთ კავკასიაში აშშ-სა და ევროკავშირის ინტერესები ერთმანეთს ძირითადად ემთხვევა. ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა დასავლეთის ე.წ. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით რესურსების, განსაკუთრებით კი გაზისა და ნავთობის მოპოვებაა“ – წერს ავტორი. ქოჩლაძე გვაჩვენებს, რომ ევროკავშირის მიზანი, რუსეთის გვერდის ავლით მოახდინოს თავისი ენერჯის წყაროების დივერსიფიკაცია, იწვევს აქცენტს სამხრეთ კავკასიაში „სტაბილურობის“ აუცილებლობაზე – იქ არსებული ავტორიტარული რეჟიმების სტაბილურობის ჩათვლით. ხოლო სტაბილურობის შენარჩუნების ამ მიზანს, სამწუხაროდ, ხშირად ეწირება ზრუნვა რეგიონის რეალურ დემოკრატიზაციაზე, ადამიანის უფლებებზე, სოციალური სამართლიანობის პრინციპებსა თუ გარემოს დაცვაზე.

ამავე თემას – დასავლეთის და რეგიონის ურთიერთმიმართებას – ეხმიანება ადრიან ბრისკუს სტატიაც. თუმცა აქ პერსპექტივა შებრუნებულია – საქმე გვაქვს არა დასავლეთის მიერ დანახულ „სამხრეთ კავკასიასთან“, არამედ პირიქით, რეგიონის მიერ აღქმულ „დასავლეთთან“. ავტორი ისტორიულ კონტექსტში განიხილავს დასავლეთის/ევროპის



შესახებ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს პოლიტიკურ და ინტელექტუალურ სივრცეებში არსებულ დისკურსებს და წერს, რომ „დასავლეთი“ ძირითადად სამ ქრილშია დანახული – როგორც გეოპოლიტიკური ძალა, როგორც მოდერნულობის მოდელი და როგორც განვითარებული კულტურის წიაღი. ბრისკუს აზრით, ამგვარი მრავალშრიანი მნიშვნელობა და ერთგვარად ნორმატიული განზომილება დასავლეთის საშუალებას აძლევს რეალურად მისცეს ბიძგი რეგიონში დადებით ცვლილებებს და საჭირო რეფორმებს – თუმცა ჯერჯერობით ის ამ ძალას სათანადოდ არ იყენებს.

### **საქი ქვეყნის პოლიტიკური ჩაღლოვის სახიოიქა**

დასავლეთის და რეგიონის ურთიერთმართების მიმოხილვის შემდეგ, წიგნი ცალ-ცალკე ნაწილებს უთმობს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებულ ვითარებას – როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე პოსტ-საბჭოთა მოდერნიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის და ურბანული განვითარების კუთხით. გარდამავალი ეტაპის, ანუ „ტრანზიციის“ ჩარჩოს მწვავე პრობლემატიზაციას შეხვდებით კენან ალიევის სტატიაში, რომელიც აღწერს აზერბაიჯანის პოლიტიკურ რეალობას. ავტორი თვლის, რომ აზერბაიჯანში, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება ერთი კლანის წევრების ხელშია კონცენტრირებული, „გარდამავალი ეტაპი“, როგორც ასეთი, საერთოდ არ გვხვდება. „ზოგი მიმოხილველი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ძალაუფლება აზერბაიჯანში იმდენად პერსონალიზებული გახდა, რომ მმართველი ორგანოები კიდევ უფრო სუსტი და უშინაარსოა, ვიდრე საკუთრივ საბჭოთა კავშირში იყო“ – წერს ალიევი.

თუმცა, როგორც რაჰმან ბადალოვი შეგვახსენებს, პოსტ-საბჭოთა პოლიტიკური ტრანექტორია აზერბაიჯანისთვის არ ყოფილა მარტივი და ერთგვაროვანი. პირველ ეტაპზე ქვეყანა ტოტალიტარიზმიდან „მართულ დემოკრატიაზე“ გადავიდა – რომელშიც მოქალაქეებს გაუჩნდათ თავისუფლად აზროვნების, ლაპარაკის და წერის შესაძლებლობაც კი, ოღონდ იმ პირობით, რომ პოლიტიკურ პროცესებს ხელისუფლება მანაც სრულად გააკონტროლებდა; შემდეგ კი „მართული დემოკრატია“ შეიცვალა „შინაგანი კოლონიზაციის“ სახელით ცნობილი მდგომარეობით, რომელიც ხშირად გვხვდება რესურსებზე დამოკიდებულ ქვეყნებში და გამორიცხავს ილუზიებს სისტემის პოლიტიკური რეფორმირების შესაძლებლობის შესახებ.

„სამხრეთი კავკასიის“, როგორც ერთიანი რეგიონის არაერთგვაროვნებას სომხეთის შიდა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მავა-

ლითზე გვაჩვენებს თათულ ჰაკოფიანი. ავტორი შეგვახსენებს სომხეთის პრობლემურ ურთიერთობებს მის უშუალო მეზობლებთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან და იმ გარემოებას, რომ სომხეთის საზღვრების 80 პროცენტზე მეტი ჩაკეტილი რჩება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო. ეს ვითარება სომხეთს მნიშვნელოვნად აზარალებს და იზოლაციაში ამყოფებს. ასეთ ფონზე, პოსტ-საბჭოთა სომხეთი მიზანმიმართულად ამბობს უარს გეოპოლიტიკურ „თავგადასავლებში“ მონაწილეობაზე; ის არ გამოთქვამს ნატოში და ევროკავშირში განწევრიანების სურვილს და სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რუსეთზე რჩება მყარად დამოკიდებული – რაც დადასტურდა კიდევ მის მიერ 2013 წელს დეკლარირებული მისწრაფებით რუსეთის ხელმძღვანელობით მოქმედ საბაჟო კავშირში განწევრიანების თაობაზე.

ივლიანე ხაინდრავას წერილი აანალიზებს საქართველოს მიერ 2012 წლის შემოდგომაზე მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებას – ხელისუფლების პირველად შეცვლას არჩევნების გზით. ავტორი დამაჯერებლად ასახავს როგორც დადებით შედეგებს, ისე საფრთხეებს, რომლებსაც მოიცავს სააკაშვილის პერიოდის ავტორიტარული მმართველობის ჩანაცვლება მრავალპარტიული და იდეოლოგიურად ამორფული კოალიციით. საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა დიდწილად უცვლელი რჩება; რაც ეხება შიდაპოლიტიკურ გამოწვევებს, აქ ავტორი მთავარ შეკითხვად შემდეგ ასპექტს გამოყოფს – „მოახერხებს თუ არა ახალი მმართველი კოალიცია სრულყოფილი სახის მიცემას ახალი სახელმწიფოებრივი პროექტისთვის, რომელსაც შეგვიძლია ვუნოდოთ „მოდერნიზაცია პლიუს დემოკრატიზაცია“ (განსხვავებით სააკაშვილისეული პროექტისგან „მოდერნიზაცია მინუს დემოკრატიზაცია“)“?

### **„ბრანზიტია“ და „მოღრნიზაცია“: პოპულარული კავშირები**

ხაინდრავას მიერ დასმული ეს შეკითხვა საქართველოში შექმნილ ვითარებას ეხება – თუმცა, ამავე დროს, ირეკლავს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის თაობაზე მიმდინარე აკადემიური თუ პოლიტიკური დისკუსიებიდან, სადაც „მოდერნიზაციის“ და „ტრანზიციის“ ცნებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მეტიც – დღეს უკვე არაერთ მკვლევარს აქვს გამოთქმული კრიტიკული შეფასება, რომ „ტრანზიტოლოგია“, როგორც აკადემიური მიმდინარეობა და პოლიტიკური ტელეოლოგია – ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე – მნიშვნელოვნად ჩამოჰკავდა დასავლეთში ადრეულ 1960-იან წლებში პოპულარულ მოდერნიზაციის თეორიას.

ანუ იდეას, რომლის თანახმადაც, გამარტივებულად თუ გადმოცემით, დასავლეთის ეკონომიკური, სოციალური და შემდეგ პოლიტიკური ევოლუცია – ფეოდალიზმის თუ ტრადიციული საზოგადოების შეცვლა კაპიტალიზმით, ინდუსტრიალიზაციით და ურბანიზაციით, რასაც დადებითი პოლიტიკური ცვლილებები და დემოკრატიზაცია მოჰყვება – ყველა განვითარებად ქვეყანაში უნდა განმეორებულიყო<sup>3</sup>.

თუმცა მალევე გახდა ცხადი, რომ საქმე ასე მარტივად არ არის. ბოლო ათწლეულებში საკუთრივ მოდერნიზაციის ეს პოპულარული თეორია დაექვემდებარა მწვავე, სიღრმისეულ კრიტიკას და გადახედვას<sup>4</sup>. თუმცა, ჩვენი მიზნებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის მიდგომებია, რომლებიც ტრანზიტოლოგიის და მოდერნიზაციის კონცეფციების სწორხაზოვან დაკავშირებას განსაკუთრებით პრობლემურად პოსტ-კომუნისტურ მდგომარეობასთან მიმართებით მიიჩნევენ, ვინაიდან ამით იჩრდილება პოსტ-კომუნისტური სივრცის უნიკალური სპეციფიკა. ამ სივრცეში საქმე გვაქვს არა იმდენად „ტრადიციასა“ და „მოდერნიზაციას“ შორის დაპირისპირებასთან, რამდენადაც მოდერნულობის საბჭოთა ვერსიის კომპლექსური მემკვიდრეობის გააზრების და დაძლევის სირთულეებთან. ზემოდან-ქვემოთ მიმართული, ავტორიტარული, ძალისმიერი და გეგმიური საბჭოთა მოდერნიზაციის თუ ინდუსტრიალიზაციის გიგანტურმა პროექტმა ამ სივრცეს წარუშლელი დალი დაასვა – და ის, რაც დღეს შესაძლოა „ტრადიციულად“ და „არქაულად“ გვევლინებოდეს, სინამდვილეში სათავეს ხშირად სწორედ საბჭოთა წარსულიდან იღებს.

ამ ასპექტს წინამდებარე ნიგნში არაერთი ესე ეხმაურება. სერგეი რუმიანცევი შეგვახსენებს, რომ აზერბაიჯანის მოდერნიზების საჭიროებაზე მოაზროვნეთა არაერთი თაობა მსჯელობს და ეს მსჯელობა პოსტ-საბჭოთა პერიოდშიც გრძელდება. დღევანდელი საზოგადოების მოდერნი-

3 Jordans G. (2004), „Searching for Transitologists: Contemporary Theories of Post-Communist Transitions and the Myth of a Dominant Paradigm, Post-Soviet Affairs, 40,4 <<http://faculty.wcas.northwestern.edu/~jlg562/documents/Gans-Morse--PSA.pdf>>.

4 მას აკრიტიკებდნენ როგორც სწორხაზოვანს და გადაჭარბებულად ოპტიმისტურს; წერდნენ, რომ სოციალური ცვლილება, რომელიც ეკონომიკურ განვითარებას მოჰყვება, შესაძლოა სულაც არ იყოს პროგრესზე და დემოკრატიზაციაზე ორიენტირებული და გამართული პოლიტიკური ინსტიტუტების არარსებობის პირობებში დესტაბილიზაცია და ძალადობაც კი მოიტანოს. მოდერნიზაციის თეორია მწვავე კრიტიკის საგანი გახდა იმ თეორეტიკოსების მხრიდანაც, რომლებმაც აჩვენეს, რომ მესამე მსოფლიოს ქვეყნების „ჩამორჩენილ“ მდგომარეობას განაპირობებს მათი პოზიცია საერთაშორისო ეკონომიკურ სტრუქტურებში და მდიდარი და ძლიერი ქვეყნების მხრიდან მათი სისტემური ექსპლუატაცია. (Berman, S. (2009), „What to Read on Modernization Theory“, <<http://www.foreignaffairs.com/features/readinglists/what-to-read-on-modernization-theory>>.

ზაციის წინააღმდეგ რუმინანცევი ორ ძირითად ფაქტორს გამოყოფს: (1) ისლამის მზარდ გავლენას და იმ ფაქტს, რომ „ტრადიციებისა და ისლამის ერთგულება (აქტიური იქნება ის თუ სიმბოლური) ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის საკუთარი თავისუფლებებისა და უფლებებისათვის ბრძოლაზე მაღლა დგას“ და (2) ეთნიკურ ნაციონალიზმს, რომელმაც პოსტ-საბჭოთა წლებში მარქსიზმის საბჭოთა ფორმა ჩაანაცვლა. თუმცა, რუმინანცევი გვაფრთხილებს, რომ რელიგიის, თუ ნაციონალიზმის გავლენის ზრდა არ უნდა განვიხილოთ მოდერნიზაციის თეორიის მარტივი დიქტომიებით – როგორც „ტრადიციის“ დაპირისპირება დასავლურ მოდერნულობასთან. პირიქით – ნაციონალიზმის ის ვარიაცია, რომელიც დღევანდელ აზერბაიჯანში დომინანტურად გვევლინება, მნიშვნელოვნად ესადაგება სტალინის მიერ დამკვიდრებულ განსაზღვრებებს – რომ „ერი“ და „ეთნოსი“ ნიშნავს მიწას, გენებსა და სისხლს.

რუმინანცევის მიერ წამოჭრილი საკითხებიდან ბევრს ეხმაურება კრებულში შესული ჩემი (სალომე ასათიანი) სტატია, რომელშიც შევეცადე აღმენერა დღევანდელ საქართველოში გამძაფრებული კულტურული ომების, თუ ღირებულებითი დაპირისპირების სპეციფიკა. წერილში ვწერ, რომ საქართველოში, ბოლო ოცი წლის განმავლობაში განვითარებული მღელვარე პოლიტიკური პროცესების და ცვლილებების ფონზე, ლიბერალური ღირებულებები თუ დემოკრატიული პრინციპები ჯერჯერობით ვერ გახდა საზოგადოებრივი კონსენსუსის ბირთვი. ეს კონსენსუსი ეყრდნობა რელიგიურად შეფერილ ნაციონალიზმს – საზოგადოების კოლექტიურ აღქმაში „ერის“ დომინანტური სახე მოაზრებულა არა იმდენად როგორც თავისუფალი, თანასწორი და განსხვავებული ინდივიდების ერთობა, არამედ უფრო როგორც ეთნოსი, რელიგია, ისტორია, ტრადიცია და „სისხლი“. შესაბამისად, რაიმე ნიშნით განსხვავებული უმცირესობა ხშირად აღიქმება „უცხო“ სხეულად – რაც განსაკუთრებული შემზარაობით გამოვლინდა 2013 წლის 17 მაისს, თბილისში, ანტი-ჰომოფობიური აქციის მონაწილეების ძალადობრივი დარბევით დიდწილად სასულიერო პირების მიერ მობილიზებული, აგრესიული ბრბოს მიერ. ამგვარი ეთნონაციონალისტური და ქსენოფობიური დისკურსის ერთ-ერთ ცენტრალურ ნიადად მართლმადიდებელი ეკლესია გვევლინება. ეს დისკურსი მძლავრ ანტიდასავლურ იმპულსსაც მოიცავს – დასავლეთს წარმოაჩენს დე-ნაციონალიზებულ და ტრადიციებისგან დაშორებულ სივრცედ. ზედაპირზე ეს მდგომარეობა „ტრადიციისა“ და „თანამედროვეობის“ დაპირისპირებას გავს – მაგრამ საბჭოთა გამოცდილების როლი მხედველობიდან არც აქ უნდა გამოვკრჩეს. ვინაიდან ნაციონალიზმის ის ვერსია, რომელსაც

დღეს საქართველოში ყველაზე ხშირად ვაწყდებით, დიდწილად სწორედ საბჭოთა კულტურულ წიაღში წარმოიშვა.

ამავე პრობლემატიკას – პოსტ-საბჭოთა საზოგადოებების მოდერნიზაციის სირთულეებს – ეხმიანება ჩარლზ ფერბენქსის წერილი, ოღონდ აქ კრიტიკული გააზრების ძირითად ობიექტად რეგიონთან მიმართებით დასავლეთის მხრიდან გატარებული პოლიტიკა გვევლინება. ავტორის აზრით, ეს პოლიტიკა მონაშობს, რომ დასავლეთმა, ზოგადად, ვერ შესძლო ადეკვატურად აესახა ადგილობრივი საზოგადოებების კომპლექსურობა – ვთქვათ, კონსერვატიულ და რელიგიურ ჯგუფებთან დიალოგის დამყარების გზით. პოსტ-საბჭოთა რეგიონში „დასავლეთი“ წარმოჩინდება ვინრო და ერთგან-ზომილებიანი სახით – თითქოს ის მთლიანად სეკულარულ და მემარცხენე კონფიგურაციებს ეყრდნობოდა და არ მოიცავდა მწვავე დისკუსიებს, მაგალითად, რელიგიის, სექსუალობის, ტრადიციების თუ ეროვნულობის შესახებ. არადა, ფერბენქსის აზრით, დასავლეთის მრავალფეროვნების ჩვენებით მნიშვნელოვნად შემცირდებოდა გაუცხოება და ანტი-დასავლური სენტიმენტები: „დასავლეთის საწინააღმდეგო რეაქცია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გარდაუვალია, რადგან ისტორია დიალექტიკურია. მასზე რაიმეზე გავლენა რომ მოვახდინოთ, ხალხს დასავლეთის რეალური მრავალფეროვნება და მასში არსებული ალტერნატივების მთელი სპექტრი უნდა ვუჩვენოთ“ – წერს ის.

პოსტ-საბჭოთა საზოგადოების მოდერნიზაციის სპეციფიკურ სირთულეებზე საუბრობს გაიანე შაგოიანიც – რომელიც სომხეთში ჩატარებული არჩევნების მაგალითით აღწერს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ინერციის ძალას. ავტორის თანახმად, სომხეთში ხელისუფლება მოდერნიზაციის იმიტაციას მიმართავს – რეალურად კი მისი მოქმედება მნიშვნელოვნად მოგვაგონებს გვიანდელი საბჭოეთის პერიოდს და იდეოლოგიურად დეგრადირებულ კომუნისტურ პარტიას. მაგრამ ამას გაუთვალისწინებელი და პოზიტიური შედეგიც მოაქვს – საზოგადოება სულ უფრო აქტიურად ახდენს რეფლექსიას იმ გავლენებზე, რომელიც საბჭოთა პოლიტიკურ მემკვიდრეობას აქვს თანამედროვე ყოფაზე. და ამით სომხეთის სამოქალაქო საზოგადოების წიაღში უფრო და უფრო მკაფიო კონტურებს იძენს რეალური მოდერნიზაციის და სიღრმისეული დემოკრატიზაციის სურვილი.

## **ქალაქი, საჯარო სივრცე და სამოქალაქო საზოგადოება**

სამოქალაქო საზოგადოების როლის, მდგომარეობის, სირთულეების და წარმატების შესახებ კრებულში შესულ სხვა წერილებშიც ნაიკითხავთ. ეს

ტექსტები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამოქალაქო საზოგადოებების ფორმირების ისტორიას გადმოგვცემს პოსტ-საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესის ქრილში – საჯარო სივრცის მოპოვებისთვის ბრძოლის კონტექსტში.

როგორც ალბათ ყველა ტოტალიტარულ სისტემაში, საჯარო სივრცე საბჭოეთშიც ასრულებდა პოლიტიკური ძალაუფლების დემონსტრირების და ლეგიტიმაციის ფუნქციას. დიდი ფართობის საჯარო სივრცეებში დღესასწაულებზე სამხედრო აღლუმები იმართებოდა – გამიშვლებული ძალის ჩვენება, რომელსაც მოქალაქეებზე და მტრებზე უნდა მოეხდინა შთაბეჭდილება<sup>5</sup>. თვისებრივად განსხვავებულ სურათს ვხვდებით თანამედროვე დემოკრატიებში – სადაც საჯარო სივრცე განხილულია როგორც მოქალაქეების სიტყვის და შეკრების თავისუფლებების, ერთმანეთთან ურთიერთობის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, პროტესტის გამოხატვის და დემონსტრაციების არენა<sup>6</sup>.

„გარდამავალმა ეტაპმა“ სამ ქვეყანას ამ თვალსაზრისითაც მოუტანა კომპლექსური ცვლილებები. ადრეული პოსტ-საბჭოთა წლების უკონტროლო პრივატიზაციამ, კორუფციამ, სახელმწიფოთა სისუსტემ და სიღარიბემ საფუძველი შეუქმნა საჯარო სივრცის ვულგარულ კომერციალიზაციასა და მის ბოროტად გამოყენებას, ხოლო ამ პროცესებში გარდატეხის შეტანა და საჯარო სივრცის გადარჩენისთვის ბრძოლა ახლად ფორმირებული სამოქალაქო საზოგადოებებისთვის რთული ამოცანა აღმოჩნდა.

არპინე გალფაიანის წერილი გვიყვება საჯარო სივრცისთვის და გარემოს დაცვისთვის ბრძოლის ისტორიას პოსტ-საბჭოთა სომხეთში. როგორც ავტორი წერს, საჯარო სივრცისთვის აქტიური მოძრაობა სომხეთში 2004-2005 წლებში დაიწყო, 2007 წლიდან კი მან მკაფიო კონტურები შეიძინა და მოიცვა სამი ძირითადი მიმართულება – კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, საცხოვრებელი სახლების ეზოების დაცვა და საჯარო პარკებისა და მოედნების დეკომერციალიზაცია. თავისი ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური ისტორიის განმავლობაში მოძრაობამ როგორც წარმატება, ისე არაერთი მარცხი განიცადა, ბრძოლა კი დღესაც გრძელდება.

ლადო ვარდოსანიძე გვიყვება თბილისზე, რომელსაც საბჭოთა გამოცდილებამ სივრცის იდეოლოგიზირების ტრადიცია დაუტოვა, პოსტ-საბჭოთა პერიოდმა კი საჯარო სივრცეზე აღვირახსნილი პრივატიზაციის გზით

5 Hou J. (2010) *Insurgent Public Space: Guerrilla Urbanism and the Remaking of Contemporary Cities*, Routledge.

6 იქვე.

მიიტანა იერიში. საჯარო სივრცის უზურპირების მთავარ მიზეზს ავტორი სოციუმის, სამოქალაქო საზოგადოების სისუსტეში ხედავს, თუმცა მაინც იტოვებს იმედს, რომ ვითარება გაუმჯობესდება და „თბილისის საზოგადოებრივი სივრცეები შეინარჩუნებს ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ავანსცენის შეუცვლელ როლს“. ზოჰრაბ ისმაილის სტატიაში კი ბაქოს ტრანსფორმაციაზე წაიკითხავთ – გრანდიოზულ სამშენებლო პროექტებზე, რომლებიც ქალაქის იერსახეს ბზინვარებას მატებს, მაგრამ ხშირად რიგითი მოქალაქეების საკუთრების უფლების ხელყოფის ხარჯზე ხორციელდება.

დავით ლოსაბერიძე ანალიზებს საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ, ტოტალიტარიზმის პირობებში მოქმედი კვაზი-სამოქალაქო საზოგადოების (პროფკავშირების, კლუბების და ა.შ.) თანამედროვე, დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებად ტრანსფორმირების რთულ პროცესს. ავტორი აქცენტს სვამს დასავლური დონორების როლზე და წერს, რომ ამ დონორთა პოლიტიკა ვერ ასახავს ადგილობრივი საზოგადოებების რეალურ პრობლემებს. ამიტომ ამ დონორების დახმარებით არსებული ორგანიზაციების გავლენა მინიმალური რჩება ფართო საზოგადოების ცხოვრებაზე. „რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, დემოკრატიის მხარდამჭერმა დასავლურმა პროგრამებმა, განვითარებად ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოების ნაცვლად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შექმნა“ – წერს ლოსაბერიძე.

\*\*\*

საერთო ჯამში, ამ კრებულის გაცნობის შემდეგ, სიტყვათშეხამება – „პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში მყოფი სამხრეთი კავკასიის რეგიონი“ – ალბათ საბოლოოდ დაკარგავს უპრობლემო და სწორხაზოვან ეფექტს. მკითხველისთვის ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს რთულ და კომპლექსურ სივრცესთან, რომელიც მოიცავს უძრაობასაც და ცვლილებებსაც, რეგრესსაც და პროგრესსაც, გამაერთიანებელ ფაქტორებსაც და განსხვავებულ ტრაექტორიასაც.

ეს არ გულისხმობს იმედის დაკარგვას – სურვილი, რომ სამი ქვეყნის საზოგადოებებმა ბოლოს და ბოლოს მიაღწიონ კონსოლიდირებულ დემოკრატიას, სოციალურ სამართლიანობას და კეთილდღეობას, კვლავაც რჩება მამოძრავებელ ძალად. მაგრამ ეს მიზანი მიუღწევლად დარჩება თითოეული ქვეყნის სპეციფიური რეალობის აღქმის გარეშე. წინამდებარე წიგნი კი სწორედ ამგვარი ნიუანსების გაცნობიერების საქმეში გაგინევთ შეუცვლელ მეგზურობას.





I

**დასავლეთი და ჩრდილოეთი:  
შიდა და გარე პერსპექტივები**



# ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შედეგები სამხრეთ კავკასიაში

იანა კობზოვა

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა უკვე ათწლეულს ითვლის – რატომ ხდება, რომ წარმატების მაგალითები ასე ცოტაა? ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ევროკავშირი რეალობაში არასოდეს ყოფილა მოთამაშე, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში თავისი სტრატეგიული ინტერესების განხორციელებას ცდილობდა. ამის ნაცვლად, ევროკავშირი ამ ქვეყნებს ხშირად სთავაზობდა ლამაზ კონცეფციებს, მაგრამ იშვიათად – ყველა იმ საშუალებას, რომელიც მათი რეალურად ამუშავების შესაძლებლობას იძლეოდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ეს ნაკლი ყველაზე უკეთ სწორედ სამხრეთ კავკასიაში ჩანს.

როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში, ევროკავშირს სამხრეთ კავკასიაშიც მყარი მმართველობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის დამკვიდრება უნდა (ან იმის მიღწევა მაინც, რომ ამ ქვეყნებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, რათა მთელ რეგიონში და თვით ევროკავშირშიც რყევები თავიდან იქნას აცილებული). მაგრამ ეს ფართო ხედვა ჯერ რეალობად არ ქცეულა. ამჟამად პოლიტიკა, ინსტრუმენტები და ენერჯია, რომლებსაც ევროკავშირი ამ მიზნის მისაღწევად იყენებს, მიუთითებს, რომ ის რეგიონში თავისი ხედვის გავრცელებას ზედმინვენით სერიოზულად არ ეკიდება.

## სამხრეთი კავკასია და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა: პოსტსკრიპტები?

სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა ევროკავშირმა ჯერ სამეზობლო პოლიტიკაში, შემდეგ კი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში ჩართო. მაგრამ თავდაპირველად ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი ელემენტი რეგიონის ყველაზე დიდი და მრავალი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ქვეყანა, უკრაინა იყო. ევროკავშირს იმედი ჰქონდა, რომ უკრაინა ევროკავშირის ტრანსფორმაციული ძალის საუკეთესო მაგალითი და აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების მიმართ ევროკავშირის

პოლიტიკის ეფექტურობის ნიმუში გახდებოდა. შესაბამისად, ხუთ დანარჩენ პარტნიორს აღმოსავლეთში, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, ბევრად ნაკლები ყურადღება და რესურსები ხვდა წილად. სამწუხაროდ, უკრაინის „ნარინჯისფერმა“ ხელისუფლებამ დიდი ინტერესი ერთმანეთთან დაპირისპირებაში გამოიჩინა და არა ქვეყნისათვის ესოდენ აუცილებელი რეფორმების გატარებაში. ხელისუფლებაში მათმა მემკვიდრეებმა ყველაფერი გააკეთეს იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყნის უზარმაზარი ეკონომიკური და რეგიონული პოტენციალის გამოყენება ელიტებს უბრალოდ არ აინტერესებდათ<sup>1</sup>. ნაწილობრივ ამის პასუხად, ევროკავშირმა ყურადღება ჯერ მოლდავეთზე, შემდეგ კი საქართველოზე გადაიტანა, რადგან ამ ქვეყნების მთავრობებმა ევროკავშირთან დაახლოებას დიდი ძალისხმევა მოანდომეს. სიტუაციას 2013 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე მოეწინა ნათელი. თბილისმაც და კიშინიოვმაც ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) პარაფირება მოახდინეს, ხოლო უკრაინამ, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს წინ ბევრად უსწრებდა და ხელშეკრულებისათვის ხელი უნდა მოეწერა, თავი შეიკავა არა მხოლოდ რუსეთის მხრივ ზეწოლის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ან უკვე გადაყენებული პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის აზრით, ევროკავშირის შეთავაზება მის პირად ინტერესებს უქმნიდა საფრთხეს.

ერთი მხრივ, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისათვის მოლდავეთმა აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ნამდვილად მეტი გააკეთა. მან ასევე მოახერხა ევროკავშირის დარწმუნება, რომ მოლდავეთის მოქალაქეებისათვის სავიზო პროცედურები გაეადვილებინა. სამხრეთ კავკასიაში, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, საქართველო სულ უფრო წინ მიიწევეს და ბევრ ისეთ სექტორში იღებს ევროკავშირის კანონმდებლობას, როგორცაა ფიტოსანიტარული ზომები, შრომის ბაზარი თუ ენერგეტიკა. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ერთია ამ ხელშეკრულებების ხელმოწერა და სულ სხვა – მტკივნეული რეფორმების გატარება. გასაკვირი სულაც არ არის, რომ, ბევრის აზრით, სამეზობლო პოლიტიკამ, როგორც მინიმუმ, ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველა მიზანს ვერ მიაღწია. მაგრამ რატომ მოხდა ასე?

1 Jarabik B., Kobzova J., The EU's relationship with Ukraine: fling or partnership?, European Council on Foreign Relations, March 2013 <[http://ecfr.eu/content/entry/commentary\\_the\\_eus\\_relationship\\_with\\_ukraine\\_fling\\_or\\_partnership](http://ecfr.eu/content/entry/commentary_the_eus_relationship_with_ukraine_fling_or_partnership)>.

ქალაქებზე ევროკავშირის წინადადება დიდებული ჩანს: ფინანსური დახმარება, სახსრები და ცოდნა ამ ქვეყნებში შესაბამისი ინსტიტუციების მშენებლობისათვის, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და ა.შ. მაგრამ, როგორც ორი წლის წინ ჩემი კოლეგები ნიკუ პოპესკუ და ენდრიუ უილსონი წერდნენ, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პრობლემა აღმოსავლეთში ისაა, რომ ის პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს, ძირითადად ყველაფერი თვითონ აკეთონ. ევროკავშირი რაღაცას სთავაზობდა მეზობლებს, მაგრამ შემდეგ შეთავაზების რეალობაში განხორციელებას არც რესურსებს უთმობდა და არც ყურადღებას<sup>2</sup>. „ჩვენი პარტნიორები ჩვენზე ნაკლებად არიან დაინტერესებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკაში, არადა დიდი ინტერესი ჩვენც არ გამოგვარჩევს“, – მითხრა ევროკავშირის მაღალი რანგის მოხელემ ორი წლის წინ. მისი ეს სიტყვები დღესაც ძალაშია.

როცა თავისი მიზნების ერთგული თვითონ ევროკავშირი არ არის, აღმოსავლეთის პარტნიორები ძირითადად თავიანთ თავს არიან მინდობილი და ცვლილებებს მათთვის მოსახერხებელი ტემპით ახორციელებენ. ამის შედეგად, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბელორუსია და აზერბაიჯანი, სამეზობლო პოლიტიკას, ფაქტობრივად, არავითარი შედეგები არ მოუტანია, რადგან ორივე ქვეყნის ელიტებს ევროკავშირის წინადადებები უბრალოდ არ აინტერესებთ. მინსკი ისურვებდა, ევროკავშირისგან ფინანსური დახმარების მიღებას და მასთან რეგულარული ურთიერთობების დამყარებას, მაგრამ ბელორუსიის ხელმძღვანელობა არ არის მზად, ამ ნაბიჯების გადასადგმელად ევროკავშირის მიერ დაწესებული პოლიტიკური პირობები შეასრულოს. აზერბაიჯანს საკმაოდ დიდი რესურსები აქვს, ამიტომ მისთვის ევროკავშირის წინადადებები კიდევ უფრო ნაკლებად მიმზიდველია. ბაქოს ახლა მხოლოდ პარტნიორობის შესახებ სიმბოლური დეკლარაციები აინტერესებს და არა ევროკავშირთან რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობები, რომლებიც თავიანთ თავს არიან მინდობილი და ზენოლას არც ევროკავშირისგან და არც საკუთარი მოსახლეობისგან განიცდიან, ევროკავშირთან ურთიერთობის გასამყარებლად და თავიანთ ქვეყნებში კეთილდღეობისა და დემოკრატიის დონის ასამაღლებლად აუცილებელი რეფორმების გატარების მხრივ შესაძლებელზე ბევრად ნაკლებს

2 Popescu N., Wilson A., Turning presence into power: Lessons from the eastern neighbourhood, European Council on Foreign Relations, May 2011 <[http://www.ecfr.eu/page/-/ECFR31\\_ENP\\_AW.pdf](http://www.ecfr.eu/page/-/ECFR31_ENP_AW.pdf)>.

აკეთებენ. ახლა, როცა ევროპაში კრიზისი გრძელდება, ხოლო ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა ღრმა ცვლილებებმა მოიცვა, რის გამოც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში ყურადღება სამხრეთ სამეზობლოზეა გადატანილი, ნაკლებად სავარაუდოა, ევროკავშირმა აღმოსავლეთის რეგიონს მეტი რესურსები და ყურადღება დაუთმოს.

თავიანთ თავზე მინდობის ამ პოლიტიკას კიდევ ერთი ნაკლი აქვს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის IKEA<sup>3</sup>-მ შეიმუშავა და არა რეგიონში სტრატეგიული ინტერესების მქონე ორგანიზაციამ. ცხადია, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ IKEA ცუდია, მაგრამ, ამავე დროს, ყველა ჩვენგანმა იცის, რამდენად „სასიხარულოა“, როცა IKEA-ს გამოგზავნილ კოლოფს ხსნი და ხედავ, რომ შიგ მხოლოდ ორი ლურსმანია, რომელიც არ შეგიკვეთავს, და არა ორი ხრახნი, რომელიც ახალი მაგიდის ასანყობად გჭირდება. ევროკავშირის წინადადებებს სამხრეთ კავკასიაში ეს ხშირად ემართება. მაგალითად, აზერბაიჯანს სთავაზობენ DCFTA-ს შეუერთდეს, თუმცა ეს ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრიც კი არ არის (ამ ორგანიზაციის წევრობა კი ევროკავშირთან თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი წინაპირობაა). ამ მოსაზრებას საქართველოდან მიღებული ბოლო ცნობაც ამტკიცებს. როცა ამ ქვეყნის სახელმწიფო მოხელეებს ჰკითხეს, გარდამავალი პერიოდის მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში მათი ქვეყნისთვის დახმარების განწევას ევროკავშირი რით შეძლებდა, უმრავლესობამ განაცხადა, რომ საჭირო იყო ადგილობრივ დონეზე ცოდნის დაგროვება და განმტკიცება ისეთ დარგებში, როგორცაა რეგიონული განვითარება, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა<sup>4</sup>. მაგრამ ევროკავშირის პასუხი ჯერჯერობით იმით შემოიფარგლა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის ერთი სპეციალისტი გამოგზავნა. ცხადია, ესეც ძალიან საჭიროა, თუმცა საკმარისი დახმარება ნამდვილად არ არის. ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა ადგილობრივი პირობებიც უნდა გაითვალისწინონ, როცა რეგიონისათვის დახმარებასა და სახსრებს გამოყოფენ. საბოლოო ჯამში, მთავრობის პოპულარობა და მუშაობა არა მხოლოდ იმით შეფასდება, თუ პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებს როგორ იძიებს, არამედ იმითაც, თუ როგორ ებრძვის სიღარიბეს, რამდენი გზა გააწყავს და რამდენად საკმარისია მოსახლეობისათვის ახლადშექმნილი სამუშაო ადგილები. ამით

<sup>3</sup> შვედური ასანყოფი ავეჯის მაღაზია.

<sup>4</sup> Kobzova, J., Georgia's bumpy transition: How the EU could help, European Council on Foreign Relations, April 2013 <[http://ecfr.eu/page/-/ECFR75\\_georgia\\_MEMO\\_AW.pdf](http://ecfr.eu/page/-/ECFR75_georgia_MEMO_AW.pdf)>.

ევროკავშირსაც ეძლევა შანსი, აჩვენოს, რომ მის მიერ განეული დახმარება ქვეყანაში რიგით ადამიანზე და არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე მოხელის ცხოვრებაზე ახდენს დადებით გავლენას.

## მომავალი გამოწვევები და კომიონი

ევროკავშირის წინადადებები ხშირად კარგი ჩანს, მაგრამ არის თუ არა ისინი სასარგებლო აღმოსავლეთ პარტნიორობისათვის და იმის საუკეთესო ნიმუში, რისი გაკეთებაც ევროკავშირს შეუძლია? მაგალითად, ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს „რბილ“ უსაფრთხოებას და ეს გასაგებია, რადგან ევროკავშირმა მეზობლებისთვის გაკეთებული შეთავაზება დააფუძნა თავის გაფართოების პოლიტიკას. ეს წინადადება დიდწილად ევროკავშირის მიმზიდველობის ძალასა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების „ევროპაში დაბრუნების“ სურვილს ეყრდნობოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ქვეყნებში საზოგადოება მზად იყო, ევროკავშირში გასანევრიანებლად აუცილებელი რეფორმებით გამოწვეული დროებითი „ტკივილი“ გადაეტანა, რადგან ევროკავშირში განევრიანების შედეგად მისაღები გრძელვადიანი მოგება ამაღ უღირდა. სიტუაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საკმაოდ განსხვავებულია. ჯერ ერთი, ცენტრალური ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროკავშირი მათგან მტკივნეული რეფორმების გატარებას მოითხოვს, მაგრამ ამის სანაცვლოდ განევრიანებას არ ჰპირდება. რა თქმა უნდა, მიუხედავად ამისა, რეგიონული ლიდერები მაინც ვალდებული არიან გადადგან ნაბიჯები, რომლებიც მათი ქვეყნების ეკონომიკას კონკურენტუნარიანს გახდის, ხოლო პოლიტიკას – უფრო პლურალისტურსა და ინკლუზიურს, თუმცა ის ადგილობრივი პოლიტიკოსები, რომლებიც უფრო საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებაზე ფიქრობენ ან ისინი, ვისაც ეშინია, რომ რთული და დროებით მტკივნეული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის შემდეგ ხელმეორედ არ აირჩევენ, ამას გამამართლებელ საბაბად მოხერხებულად იყენებენ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ცენტრალური ევროპისაგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა და მოლდავეთი უსაფრთხოების ნამდვილი, მძიმე გამოწვევების წინაშე დგანან და, თუ აქ კვლავ რაიმე აფეთქება მოხდა, საფრთხე არა მხოლოდ კონკრეტულ მთავრობებს შეექმნება, არამედ მთელ რეგიონს და პოტენციურად ევროკავშირსაც. ევროპის საგარეო ურთიერთობების საბჭოს კვლევები მუდმივად უჩვენებს, რომ ამ რისკების მიუხედავად, ევროკავშირის უნარი, გადამწყვეტი როლი ითამაშოს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის

გაჭიანურებულ კონფლიქტებში, მინიმალურია<sup>5</sup>. ბუნებრივია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის დავა მთიანი ყარაბაღის თაობაზე ან სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსული სპეცსამსახურებისა და სამხედროების ყოფნის პრობლემაზე მოლაპარაკება ერთ დღეში ვერ მოხერხდება და ეს პრობლემები ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება. მიუხედავად ამისა, თუ არ ჩავთვლით გერმანიას, რომელმაც დნესტრისპირეთის კონფლიქტის გადაჭრისადმი უფრო პოზიტიურ მიდგომაზე მოსკოვის დაყოლიება სცადა, ევროკავშირი ძირითადად ნდობის აღდგენისაკენ ან სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებისაკენ მიმართული მცირემასშტაბიანი ზომებით შემოიფარგლება<sup>6</sup>. ეს ზომები მნიშვნელოვანია, რადგან ოპონენტებს შორის ნდობის გაძლიერებას უწყობს ხელს, ადამიანებს შორის კონტაქტებს აძლიერებს და სამომავლოდ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის საფუძვლებს ქმნის, მაგრამ ამით ევროკავშირი რეგიონში თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან უსაფრთხოების შესაძლებლობებს სრულად ნამდვილად არ ავლენს. ამ დროს კი, უსაფრთხოების მძიმე პრობლემების უყურადღებოდ დატოვება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს საფრთხეები თავისთავად გაქრება. მთიანი ყარაბაღის პრობლემა სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში იმდენად ფუნდამენტურ როლს თამაშობს, რომ თუ ეს კონფლიქტი არ გადაიჭრა, ამ ქვეყნებში დემოკრატიზაციისა და ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით დიდი პროგრესი მოსალოდნელი არ არის. ამას ისიც ემატება, რომ კვიპროსის პრეცედენტის გამეორება და გადაუჭრელი სასაზღვრო პრობლემების მქონე ქვეყნის შეშვებაც არავის უნდა. ეს ფაქტი კარგად შეამჩნიეს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და ადგილობრივი ელიტები მას თავიანთ გათვლებსა და მოლოდინებშიც იყენებენ.

## მოლოდინები და ჩანაწერი

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა მთლიანად უნდა გადაიხედოს? ნამდვილად არა. პრინციპში, მეზობლებს შორის უვიზო, უსაფრთხო და სავაჭრო ბარიერებისაგან თავისუფალი საერთო

5 Kundnani H., Vaisse J. (eds.), European Foreign Policy Scorecard 2010, 2012, 2013, European Council on Foreign Relations, January 2010-January 2013 <<http://www.ecfr.eu/scorecard/2013>>.

6 Kundnani H., Vaisse J. (eds.), European Foreign Policy Scorecard 2012, European Council on Foreign Relations, January 2012 <<http://www.ecfr.eu/scorecard/2012/wider/50>>.



სივრცის შექმნა მიმზიდველ იდეად რჩება, მაგრამ ეს იდეა რეალობად რომ იქცეს, ამ რეგიონისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი მნიერი რესურსები სწორად უნდა იქნას გამოყენებული და მოლოდინებიც შესაბამისი უნდა იყოს. რაც შეეხება რესურსებს, ევროკავშირის მის ხელთ არსებული მნიერი სახსრების ხარჯვისადმი უფრო შემოქმედებითი მიდგომების შემუშავება შეუძლია. მაგალითად, აზერბაიჯანში დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები გადარჩენისათვის იბრძვიან, ევროკავშირი კი ამ დროს ფულს პრეზიდენტ ილჰამ ალიევის კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო სტრუქტურების „კომპეტენციის გაძლიერებაზე“ ხარჯავს. ეს ის ალიევია, რომელიც ამ თანამდებობაზე ხელისუფლების თითქმის დინასტიური გადაცემის და არა თავისუფალი არჩევნების შედეგად მოვიდა. ევროკავშირში აღმოსავლეთი ევროპის სტრუქტურების სწავლის დაფინანსება მათ დაეხმარებოდა „ევროპელობის“ განცდის ფორმირებაში, ხოლო რეგიონში მცხოვრებ ხალხს ევროკავშირის უშუალოდ გაცნობის შესაძლებლობა მიეცემოდა. მეორე მხრივ, ევროპულ კვლევებში ან საჯარო პოლიტიკაში სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სტიპენდიების დაფინანსება კიევში ან კიშინიოვში სასარგებლო იქნება ასობით ადამიანისათვის, ვინც ევროკავშირის სტიპენდიას ვერ მიიღებს.

ეს მხოლოდ ორი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი სხვაობა შეიძლება მოგვცეს სახსრების გადანაწილების თაობაზე მიღებულმა ერთმა პატარა გადაწყვეტილებამ. მეორე ნაბიჯი მოლოდინების რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანაა. უნდა ვაღიაროთ, რომ თუ გავითვალისწინებთ იმ რესურსებსა და ყურადღებას, რომელსაც ევროკავშირი ამჟამად ამ რეგიონს უთმობს, ასევე იმას, რომ ევროკავშირის ბევრ აღმოსავლელ მეზობელს ბრიუსელის წინადადებები დიდად არ აინტერესებს, ერთ დღეში სასწაულს არ უნდა ველოდოთ. რეგიონისთვის აუცილებელი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები ალბათ მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა გარდამავალი პერიოდი ახალ ეტაპზე გადავა. მაგალითად, არის ბევრი ნიშანი, რომ უკრაინის, მოლდავეთისა და საქართველოს მოქალაქეები მრავალი თვალსაზრისით უფრო თანამედროვე და ევროპულეები არიან, ვიდრე მათი მთავრობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მდგომარეობა შეიცვლება, ოღონდ ამას დრო სჭირდება. რაც შეეხება IKEA-ს ავეჯს, გაივლის რამდენიმე საათი და მეზობლებთან კონსულტაციების ან უახლოეს მაღაზიაში მისვლის შემდეგ, როგორც წესი, მაგიდის აწყობას ბოლოს მაინც ვახერხებთ ხოლმე.

# როგორ მიღის გარდასახული პროცესი ამერიკის შეერთებული შტატები, დემოკრატიული განვითარება და სამხრეთი კავკასია

ლინკოლნ მიჩელი

დემოკრატია სამხრეთ კავკასიაში რაღაცით სხვა პლანეტებზე სიცოცხლის საკითხს გავს. გარკვეულ წრეებში ხალხი ამაზე ბევრს ლაპარაკობს. მას ხილულს ვერ ვუნოდებთ, თუმცა მისი არსებობის გამორიცხვაც არ შეგვიძლია. ამ რეგიონში დემოკრატია, თუკი ის საერთოდ არის, უფრო მისწრაფებაა, ვიდრე რეალობა. აზერბაიჯანი ავტორიტარულ და ნახევრად ავტორიტარულ მდგომარეობებს შორის ნაცრისფერ სივრცეშია. სომხეთის აღწერისას ალბათ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის ნახევრად კონკურენტული და ნახევრად ავტორიტარულია. დემოკრატიის თვალსაზრისით ყველაზე საიმედო მდგომარეობა საქართველოშია, რომელიც რეგიონის ყველაზე თავისუფალი ქვეყანაა, თუმცა, კონსოლიდირებულ დემოკრატიად ჯერ მაინც ვერ მივიჩნევთ.

სამხრეთი კავკასია ის რეგიონია, სადაც პოლიტიკური განვითარებითა და დემოკრატიის განმტკიცებით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დასავლეთი და განსაკუთრებით აშშ დიდადა დაინტერესებული, ყოველ შემთხვევაში, რიტორიკის დონეზე მაინც. წლების განმავლობაში ეს ინტერესი იზრდებოდა და მცირდებოდა, თუმცა თავის მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებდა. დემოკრატიის განვითარებაში დახმარების სახით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ათობით მილიონი დოლარი გამოყო, დემოკრატიის განმტკიცებას მოითხოვდა და ხშირად მეტ დემოკრატიას ხედავდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მთავარი აქ ალბათ მაინც ისაა, რომ ამ მცდელობებზე ხელი მას არასოდეს აუღია. ამას ალბათ შეიძლება ანალიზზე იმედის ტრიუმფალური გამარჯვება ვუნოდოთ, თუმცა მნიშვნელობას ეს ძალისხმევა ამით არ კარგავს.

## ამერიკის შეერთებული შტატების როლი

ამერიკის იმპერია საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ ერთადერთი ქვეყანა იყოს, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიმდინა-

რე მოვლენებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს, მაგრამ მათ შედეგებს ვერ განსაზღვრავს. თუმცა ამავე მედლის მეორე მხარედ გვევლინება ამერიკის სიმყიფე. იმიტომ, რომ აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიოს ყველა კუთხეში მიმდინარე მოვლენების შედეგებზე უნევს ზრუნვა. ჩვენ საკმაოდ ძლიერები ვართ იმისათვის, რომ ჩვენი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა მთელ მსოფლიოში გავავრცელოთ, მაგრამ იმდენი ძალა მაინც არა გვაქვს, რომ ლიდერებს, ქვეყნებს ან ხალხებს ის ვაკეთებინოთ, რაც ჩვენ გვინდა. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აშშ-მა მიიღო გაკვეთილი, რომ რამდენი ადამიანიც არ უნდა ხმარობდეს ფეისბუქს, დადიოდეს ბეისბოლის კეპით, და შავი დღისთვის საიდუმლოდ ასდოლარიანებს ინახავდეს, ხალხსა და სახელმწიფოებს აშშ-ს გარეთ მაინც თავიანთი განსაკუთრებული ინტერესები და შეხედულებები აქვთ. ეს თითქოს ძალიან ნათელია და საოცარია, რომ მათგან ბევრს, ვინც აშშ-ის პოლიტიკას განსაზღვრავს, ეს ჯერ კიდევ არ აქვს გათავისებულები.

სამხრეთი კავკასია ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანია, სადაც აშშ ამ დილემის წინაშე დგას. აშშ-მა ამ რეგიონის დიპლომატიასა და პოლიტიკაში ჩარევა საჭიროდ ჩათვალა და იქიდან თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდება. რეგიონი აშშ-ისათვის რამდენიმე მიზეზითაა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი. კასპიის ნავთობი, სიახლოვე ირანთან და რუსეთთან და დემოკრატიის განვითარების იმედი, რეგიონით აშშ-ის დაინტერესების უპირველესი მიზეზებია. მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხები ერთმანეთთან სიღრმისეულად დაკავშირებული არ არის და არც ამ რეგიონს სძენს უნიკალურ სტრატეგიულ მნიშვნელობას, რადგან მსგავსი დამაჯერებელი არგუმენტები ნებისმიერი რეგიონისათვის სამართლიანი იქნებოდა.

ამ არგუმენტების ნაკრებიდან დემოკრატია აშშ-ისათვის საინტერესო დანიშნულება შეიძინა. რეგიონში აშშ-ის როლის შეფასებისას პირველ რიგში იმას ამბობენ ხოლმე, რომ აშშ-მა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის დიდძალი ფული დახარჯა, შედეგი კი დიდად საგრძნობი არ ყოფილა. ამ რეალობის გაუთვალისწინებლობა არ იქნება, თუმცა ამით ყველაფერი მაინც არ არის ნათქვამი. პარადოქსი ისაა, რომ, სიმართლეს თუ ვიტყვით, დემოკრატია, საუკეთესო შემთხვევაში, აშშ-ისათვის ამ რეგიონში ყოველთვის მეორეხარისხოვანი მიზანი იყო. მასზე წინ ყოველთვის იდგა სტაბილურობა, ტერორიზმთან ბრძოლა, ნავთობის ექსპორტი და პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით, რასაც ხშირად არავინ მალავდა. თუ აშშ-ის ძალას, სიმ-

დიდრესა და მსოფლიოში მის როლს გავითვალისწინებთ, ეს ალბათ გარდაუვალიც იყო, მაგრამ ამის აღიარება მაინც აუცილებელია.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ამ რეგიონში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა ძალიან ნააგავდა აშშ-ის მიერ ამ მიზნით ამ მიზნით მთელ მსოფლიოში გადადგმულ ნაბიჯებს. ამ მხრივ, ამ სამ ქვეყანაში კანონის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოების, პარლამენტებისა და პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და არჩევნებზე დაკვირვების პროგრამების დაფინანსება, რასაც ვაშინგტონიდან დემოკრატიის მნიშვნელობის შესახებ განცხადებები ემატებოდა, ძალიან ჰგავს იმას, რასაც აშშ აღმოსავლეთ ევროპაში, აფრიკასა თუ აზიაში აკეთებდა.

დემოკრატიის განვითარებისათვის აშშ-ის ძალისხმევა მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ზომებისა, რომლებსაც აშშ რეგიონში პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე ზეგავლენის მოსახდენად იღებს. სამივე ქვეყანა ცალკე აღებული, აზერბაიჯანი – მისი ნავთობრესურსებისა და ირანთან სიახლოვის გამო, საქართველო – ავღანეთისა და ერაყის მსგავს ადგილებში აშშ-ის სამხედრო ოპერაციებისა და მიზნების მხარდაჭერის გამო და სომხეთი – რუსეთთან ურთიერთობის გამო, მნიშვნელოვანია აშშ-ისათვის და აქ დემოკრატია მთავარი მიზეზი არ არის. ამას ემატება რეგიონული პრობლემები. უპირველესი საზრუნავი აქ ისაა, რომ მთიანი ყარაბაღის ან აფხაზეთის მსგავსი კონფლიქტები ან ომები არ განახლდეს ან არ დაიწყოს, რასაც რეგიონში რუსეთის გავლენის შეზღუდვის სურვილიც ემატება, ეს კი აშშ-ისათვის ასევე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დემოკრატია. ამდენად, მთავრობებმა და დემოკრატიის მომხრეებმა ზოგადად იციან დემოკრატიის ადგილი ამერიკის მიზნების იერარქიაში, ისიც იციან, რომ დემოკრატიის განვითარების მოთხოვნა თავისი მნიშვნელობით შეზღუდულია. ყველა ამ მიზეზის გათვალისწინებით, ამერიკის მხრიდან ამ ქვეყნებისგან დემოკრატიის განვითარების მოთხოვნა ძალას კარგავს.

აღწერილი სიტუაცია შესაძლოა, ირეკლავდეს ვაშინგტონის მიერ დემოკრატიის განვითარებაში განეული დახმარების არსში მომხდარ ცვლილებებს. დემოკრატიის გამყარებაზე მომუშავე ჯგუფებისა და ამ იდეის სხვა ურყევი მიმდევრების წრეების გარეთ დემოკრატია იქცა საკითხად, რომელიც აშშ-ის მთავრობის ოფიციალური მიზნებისთვის მნიშვნელოვანი რჩება, მაგრამ მას აშშ-ის ინტერესებისთვის ცენტრალურ გარემოებად ცოტა ვინმე თუ მიიჩნევს. დემოკრატიას აღარც საგარეო პოლიტიკაზე მომუშავე ელიტები განიხილავენ ყველა ქვეყანაში შესაძლებლად.

რეგიონის სამ ქვეყანაში ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენების მაგალითზე კარგად ჩანს, როგორც შენეულა დემოკრატიისათვის ბრძოლა. ამ წლის დასაწყისში სომხეთში ჩატარებულ საკამათო არჩევნებს სომხეთს გარეთ რაიმე მნიშვნელოვანი გამოხმაურება არ მოჰყოლია და დიდად ვინმე არც აშშ-ში აუღელვებია. ასეთი რამ 5-10 წლის წინ რომ მომხდარიყო, დიდი ინტერესი აღიძვრებოდა და ამერიკაც შეეცდებოდა თავისი წონადი სიტყვა ეთქვა, წელს კი ამისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია თვით იმ ხალხშიც კი, ვინც დემოკრატიის განვითარებაზე ზრუნავს.

აზერბაიჯანში მდგომარეობა კიდევ უფრო დრამატულია. ყოველ წელს მიიღება ახალი დრაკონული კანონები, ოპოზიციური აზრის ჩასახშობად კი უკანონო გზები გამოიყენება, შეკრებისა და სიტყვის თავისუფლება კიდევ უფრო შეიზღუდა, ხოლო სასულთნოს მსგავსი რეჟიმი, რომელშიც ხელისუფლება შთამომავლობით გადაეცემა, სულ უფრო ძლიერდება. აშშ-ს ამ მხრივ ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლია და ამის არცთუ უკანასკნელი მიზეზი ისაა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა აშშ-ის დემოკრატიულ ორგანიზაციებს ავინროებს და ქვეყნიდან აძევებს. მიუხედავად ყველაფრისა, აშშ-სა და აზერბაიჯანს შორის ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც ნავთობზე, ირანიდან და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებსა და ტერორიზმთან ბრძოლაზე აგებული, კვლავაც მყარია, და აზერბაიჯანის ყველა შეხედულების პოლიტიკურმა აქტორებმა ეს კარგად იციან.

დემოკრატიის მხარდაჭერის თვალსაზრისით ყველაზე დამაინტრიგებელი ქვეყანა საქართველოა, რადგან შედეგად და ზეგავლენაც იქ ბევრად უფრო მეტადაა დავის საგანი. ზოგი ამტკიცებს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანა უფრო დემოკრატიული გახდა, რაც 2012 წლის შემოდგომაზე ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემით გამოვლინდა, სხვები კი ამბობენ, რომ დემოკრატიის განვითარება საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეფერხდა და 2012 წლის არჩევნები კიდევ ერთი დემოკრატიული გარღვევა იყო. კამათის საგნად რჩება ორივე სცენარში აშშ-ის როლიც.

არის სფეროები, სადაც დემოკრატიის განვითარებაში ათწლეულობით განეული დახმარების შედეგი ძნელია, არ დაინახო. მაგალითად, საქართველოს შედარებით აქტიური სამოქალაქო საზოგადოება თითქმის წარმოუდგენელია აშშ-დან და სხვა უცხო ქვეყნებიდან მიღებული დახმარების გარეშე. პოლიტიკური პარტიები მთელ რეგიონში ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ აშშ-ის დემოკრატიულ ორგანიზაციებთან წლების

განმავლობაში მუშაობის წყალობით, ისინი აშკარად უფრო ეფექტური, გათვითცნობიერებული და ორგანიზებული გახდნენ. ამის მიუხედავად, დემოკრატიის განვითარებისათვის სამხრეთი კავკასიისათვის განეული დახმარება საბოლოოდ მიღებული შედეგების ჯამს ბევრად ჩამორჩება. ამ საქმეში მონაწილე კარგი ადამიანებისა და პროგრამების და სულ რამდენიმე ნათელი შედეგის მიუხედავად, რეგიონში დემოკრატია ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. ეს იმის ნიშანია, რომ აშშ-ის როლი კომპლექსურია და კარგ პროგრამებს, გულუხვ დაფინანსებას და კარგ მიზნებს დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით საგრძნობი შედეგები არ მოუტანია.

### **აშშ-ის უპირატესი შიგნითი აქცია**

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ოც წელიწადზე მეტი გავიდა და თითქმის ამდენივე წელია გრძელდება აშშ-ის ყოფნა რეგიონში, მაგრამ ამერიკის მიერ რეგიონის აღქმა ჯერაც იცვლება და ამის მიზეზი ისევეა აშშ-ში მიმდინარე მოვლენები, როგორც ის, რაც ამ რეგიონში ხდება. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ რეგიონზე მომუშავე მიმომხილველებმა, განსაკუთრებით მათ, ვინც აქ ცხოვრობს, უნდა გაიგონ, ის არის, რომ ამერიკელი ხალხი ბევრად ნაკლებად თავდაჯერებულია საგარეო პოლიტიკის საკითხებში და ნაკლებად მდიდარია, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინ.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში, ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის შუა ოთხი წლის გამოკლებით, ძალიან თანმიმდევრული კონსენსუსი იყო, განსაკუთრებით ამ რეგიონთან მიმართებით. თუმცა, აშშ-ში საშინაო და ეკონომიკური გარემო იცვლება, რაც ამ მიდგომას უკვე საფრთხეს უქმნის. ცვლილებები ჯერაც გრძელდება და საქმე აშკარად იქითკენ მიდის, რომ აშშ-ის მოლოდინები და ყოფნა სამხრეთ კავკასიაში და სხვა რეგიონებში შემცირდება. სავსებით მოსალოდნელია, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში აშშ-ისთვის უმთავრესი გამოწვევა იმის მიღწევა იქნება, რომ მსოფლიოს ყოველი კუთხე ჩვენთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის არ იყოს. სამხრეთი კავკასია შეიძლება ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდეს იმ რეგიონებს შორის, სადაც ამ გამოწვევას პასუხი გაეცემა.

სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ეს ტენდენცია ათწლეულების განმავლობაში მდორედ მიმდინარე დემოკრატიულმა რეფორმებმა და ამ მხრივ ხელიდან გაშვებულმა შესაძლებლობებმა გაამწვავა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა აშშ-ის რეაქციაში საქართვეკის

ველოში 2012 წელს ჩატარებულ არჩევნებზე, რომელზეც ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემა მოხდა და ასევე მშვიდობიანად დამარცხდა არადემოკრატიული რეჟიმი. მიუხედავად ამისა, აშშ-ში ცოტამ თუ აღიქვა ეს, როგორც დემოკრატიული გარღვევა ან რეგიონში დემოკრატიის განვითარებისათვის ყურადღების ხელმეორედ მიქცევის სათანადო მომენტი.

ბევრი, ვინც საქართველოში 2003-2004 წლებში და 2012 წლის შემოდგომაზე ყოფილა, ბოლო არჩევნებსა და „ვარდების რევოლუციას“ შორის სახიფათო მსგავსებას შეამჩნევდა, მაგრამ ეს მსგავსება სრულ კონტრასტშია აშშ-ის განსხვავებულ რეაქციასთან. 2003 წელს საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ვაშინგტონში აღიქმებოდნენ როგორც შეუპოვარი დემოკრატები, რომლებმაც შეუმდგარი ავტორიტარული პოსტსაბჭოთა ქვეყნის ბორკილები დაამსხვრიეს. ამის საპირისპიროდ, ბიძინა ივანიშვილსა და მის „ქართულ ოცნებას“ ვაშინგტონიდან საკმაოდ დიდი ეჭვით უყურებდნენ, ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე მაინც. ამას არა იმდენად ვაშინგტონის გასაკრიტიკებლად ვამბობ, რამდენადაც იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიცვალა მდგომარეობა და რამდენად ძნელია ამ რეგიონში თუ ნებისმიერ სხვა ადგილას დემოკრატიის განვითარების პერსპექტივებით ამერიკელების აღფრთოვანება.

თუ სურათს უფრო ფართოდ შევხედავთ, ამერიკის საშინაო პოლიტიკამ და სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა მიგვიყვანა სიტუაციამდე, რომელშიც აშშ რეგიონს უყურებს არა როგორც ადგილს, სადაც შეიძლება რაღაც ამაღლებული მოვლენები მოხდეს, მაგალითად, დემოკრატია დამყარდეს ან რეგიონი ევროკავშირში გაწევრიანდეს, არამედ ადგილს, სადაც რაღაც ცუდის, მაგალითად, ომის ან ადამიანის უფლებების დარღვევების თავიდან აცილება შეიძლება. აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობები ყველაზე უფრო ნაგავს მემარჯვენე ავტორიტარულ რეჟიმებთან ამერიკის ცივი ომის დროინდელი ურთიერთობების ნიმუშს XXI საუკუნეში. ადამიანის უფლებების დარღვევებზე და დემოკრატიის დეფიციტზე თვალის დახუჭვა ძნელია, თუმცა ურთიერთობებში ამ საკითხებს ცენტრალური ადგილი რიტორიკაშიც კი აღარ უჭირავს. საქართველოში სააკაშვილსა და ბუშს შორის ინტენსიური და ინტენსიურად უსარგებლო ურთიერთობები ჩაანაცვლა უფრო პრაგმატულმა ურთიერთობებმა ობამასა და ივანიშვილის მთავრობასა და ივანიშვილის პროტეჟესა და მემკვიდრის, ირაკლი ლარიბაშვილის მთავრობას შორის. საქართველო აღარ ცდილობს აშშ-ის კლიენტი იყოს და მისგან მუდამ საშველს აღარ ელის, რამაც აშშ-ს შევება უნდა მოუტანოს და რაც, ალბათ, საქართველოსთვისაც უკეთესია.

დიდი ნიალისეული რესურსებისა და აშშ-ირანის დაძაბულ ურთიერთობებში მზარდი როლის წყალობით, აზერბაიჯანი აშშ-ისათვის მნიშვნელობას ინარჩუნებს, მაგრამ სწორედ ამ მნიშვნელობის გამო, ამ ქვეყნის საპინაო საქმეებში აშშ-ის ხელშესახები ჩარევა ნაკლებად სავარაუდოა. აშშ-ის პოლიტიკოსების თითქმის ერთი თაობა სისტემატურად და თანმიმდევრულად გადაჭარბებით აფასებს საქართველოსა და სომხეთის მნიშვნელობას, თვით ეს ორი ქვეყანა კი სულ უფრო მყარად ექცევა იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებსაც ამერიკა დიდ ყურადღებას მხოლოდ კრიზისების დროს აქცევს. ეს ცვლილება აშშ-ის სურვილით არ ხდება, თუმცა მისი უარყოფა სრულიად შეუძლებელია.

### **დასკვნა: რა იქნება შემდეგ?**

მხოლოდ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, 20 წლის განმავლობაში აშშ-ის მიერ რეგიონისათვის განუვლი დახმარების შედეგები მწირია, ყოველ შემთხვევაში, დემოკრატიის დარგში მაინც. შესაბამისად, კიდევ 10 ან მეტი წლით ამ პოლიტიკის გაგრძელება შეცდომა იქნებოდა. თუკი ეს მაინც მოხდა, უფრო ბიუროკრატიული ლოგიკისა და ინერციის შედეგი იქნება, ვიდრე დალაგებული პოლიტიკური აზროვნებისა და ფისკალური სიფრთხილის. აშშ-ს რეგიონში დასაკარგი ჯერ კიდევ ბევრი აქვს და ბევრი რამ შეიძლება ძალიან ცუდად წარიმართოს, ამიტომ მისი აქ ყოფნა აუცილებელია, მაგრამ საქმე სწორად უნდა გაკეთდეს და უნდა ვალიაროთ, რომ ეს უფრო არაპირდაპირი და, შესაძლოა, არც ისე ძვირადღირებული მეთოდებით იქნას მიღწეული. ვაშინგტონელი პოლიტიკოსების წინაშე ახლა სწორედ ეს ამოცანა დგას.

აშშ-ის ჩართულობა რეგიონის საქმეებში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით იმის აღიარებით უნდა დაიწყოს, რომ რეგიონში მთავარი პრობლემა ცოდნის ნაკლებობა არ არის. აშშ-ის დახმარება რეგიონში და სხვა ქვეყნებში დემოკრატიის განვითარების საქმეში ძირითადად ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ეს ცოდნა ამ სამ ქვეყანაში უკვე არის ან, სურვილის შემთხვევაში, ადვილად მოსაპოვებელია. მეტი რესურსების ხარჯვა იმაზე, რომ ხალხს ზედიზედ სამი ათწლეულის განმავლობაში ვუჩვენებდეთ, როგორ მუშაობს ქვეყანაში შიდაპარტიული დემოკრატია ან როგორ ხდება ბიუჯეტის განხილვა, რესურსების ჭკვიანურ ხარჯვად ვერ ჩაითვლება, განსაკუთრებით, როცა ეს რესურსები განუხრელად მცირდება.

აშშ-ს რეგიონის პოლიტიკურ რეჟიმებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობებიც საკმაოდ შეზღუდული აქვს. გარდა უამრავი სხვა ინტერე-



სისა, რომლებიც დროდადრო დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებულ მიზნებს ეწინააღმდეგება, აშშ-ს, უწინდელთან შედარებით, ქვეყნებს შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენის მოსახდენად შედარებით ნაკლები საშუალება აქვს. წლების განმავლობაში დაგროვილი პრეცედენტები გვიჩვენებს, რომ დემოკრატიის დეფიციტს აშშ გაურკვეველი რიტორიკით და მისი განვითარებისათვის კიდევ უფრო მეტი დახმარების გაცემით პასუხობს – რაც იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიის განსავითარებლად ამერიკას ძალიან ცოტა ბერკეტი აქვს. არის უკიდურესი შემთხვევები, მაგალითად, ისეთი ვითარება, რომელშიც პრეზიდენტი სააკაშვილი აღმოჩნდა მისი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო საათების განმავლობაში, თუმცა აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მანამდე მასზე არავითარი ზეწოლა არ ხორციელდებოდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, აშშ შესაძლოა კიდევ უფრო მეტად დაშორდეს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საშინაო პოლიტიკურ საქმეებს. ამ პოლიტიკის შეცვლის მცდელობა მთელი რიგი პროგრამებით, რომელთა შინაარსის წინასწარ განსაზღვრა ძალიან ადვილია და რომლებიც ძველებურად ეფექტური აღარ არის, არა მხოლოდ რესურსების არასწორად ხარჯვაა, არამედ თვით აშშ-ს უქმნის პრობლემებს, რადგან ამ პროგრამებს ან არადემოკრატიული მთავრობები იყენებენ ან მათ განხორციელებაში სერიოზული სირთულეები იქმნება. დემოკრატიის განვითარებაზე ზრუნვა დიპლომატიური და სხვა არხებით უნდა გაგრძელდეს და მოლოდინებიც შესაბამისი უნდა იყოს.

აშშ-მა ასევე უფრო გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი გეგმები ამ რეგიონში, სადაც დემოკრატიის სიტყვიერ და პროგრამულ დახმარებას ძირი გამოუთხარა არადემოკრატიული რეჟიმების მხარდაჭერამ. ხშირად ამბობენ, რომ დემოკრატია, უსაფრთხოება და სტაბილურობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, თუმცა მდგომარეობა არც ისე მარტივია. ავტორიტარულ მთავრობებს, დემოკრატიისათვის მებრძოლ აქტივისტებსა და რიგით მოქალაქეებს ესმით, რა რთული ამოცანების წინაშე დგას აშშ საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, და ესმით ასევე დემოკრატიის როლი ამ ამოცანათა შორის. პარადოქსია, მაგრამ ამის აღიარებამ და დემოკრატიის ფარდობითი მნიშვნელობის შესახებ უფრო გულწრფელმა საუბარმა შეიძლება აშშ-ის პოზიციები და მისდამი რწმენა გააძლიეროს.

სამხრეთ კავკასიაში 20 წლის ინტენსიური ჩართულობის შემდეგ, აშშ-ის მიღწევების შეფასება განსხვავებულია. დემოკრატია განვი-

თარებული არ არის, კონფლიქტები აფხაზეთში, მთიან ყარაბაღსა და სამხრეთ ოსეთში კვლავაც გადაუჭრელია, ხოლო რუსეთის გავლენა ჯერაც შეშფოთებას იწვევს. მეორე მხრივ, ნავთობი დასავლეთისკენ ისევ მოედინება, სამიდან ორი ქვეყანა აშშ-თან უშიშროების მნიშვნელოვან საკითხებზე თანამშრომლობს, ხოლო რუსეთის გავლენა, მართალია კვლავ შემაშფოთებელია, მაგრამ უსაზღვრო არ არის. სამივე ქვეყანა სტაბილური ჩანს და ალბათ ასეთად დარჩება, სანამ რამე არ შეიცვლება. ვაშინგტონში პოლიტიკური გადანწყვეტილებების მიმღებთა უმრავლესობა ალბათ კმაყოფილი იქნება, თუ ეს მდგომარეობა მომავალი ათწლეულის განმავლობაში შენარჩუნდება. ისინი ნელ-ნელა აცნობიერებენ, რომ აშშ-ის შესაძლებლობა, გააკეთოს ამაზე მეტი, ძალიან შეზღუდულია.

# დასავლეთის მიდგომა სამხრეთ კავკასიისადმი

## გეოპოლიტიკური დაეპყრობა „უსაფრთხოებასა“ და „დემოკრატიას“ შორის

მანანა ქოჩლაძე

*„მესამე მირაჟი ის არის, რომ სამხრეთი კავკასია აღიქმება როგორც დასავლეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონი, თუმცა სინამდვილეში ამ მიდგომას უფრო ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი“*

**„შენწყვეტეთ დიდი თამაში“, თომას დე ვაალი**

სამხრეთი კავკასია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე რთული და არასტაბილური რეგიონია, რომელიც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს. 80-იანი წლების ბოლოს, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორია სოციალურ-ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა მოიცვა, ეკონომიკური კრიზისი სამხრეთ კავკასიაში უნიკალური მოვლენა არ ყოფილა, თუმცა მწვავე პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად, ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამოქალაქო ომმა, ეთნიკურმა კონფლიქტებმა და დიდი რაოდენობით გაჩენილმა ლტოლვილებმა და იძულებით ადგილნაცვალმა პირებმა. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს 1988 წელს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი მოჰყვა<sup>1</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის ქვეყნებს დიდი მეზობლები, რუსეთი<sup>2</sup> და

1 ეთნიკური დაპირისპირების გამო დიდად იზარალა აზერბაიჯანულმა და სომხურმა მოსახლეობამ. აზერბაიჯანში მცხოვრები სომხების უმრავლესობა იძულებული გახდა სომხეთში ეპოვა თავშესაფარი, ხოლო სომხეთში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა აზერბაიჯანს შეაფარეს თავი.

2 საქართველოსა და რუსეთს შორის სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონების გამო კონფლიქტი 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, რუსეთმა ორივე რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო.

თურქეთი<sup>3</sup> ჰყავს და კასპიის ზღვის ბუნებრივი რესურსების გამოყენების დიდი პოტენციალი აქვს, სამხრეთი კავკასია მკვეთრად გამოხატული რეგიონია ერთმანეთთან დაკავშირებული რაიონებითა და 16-მილიონიანი მოსახლეობით.

ომების, ეთნიკური კონფლიქტებისა და გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რეგიონის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, პრობლემები ექმნებათ სამედიცინო მომსახურებისა და განათლების დარგში, პრობლემაა ცუდი კვება, წყალმომარაგება და სანიტარული პირობები, მწვავედ დგას ენერგეტიკული კრიზისის საკითხიც.

სამხრეთი კავკასიის სამი ქვეყანა ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება როგორც შიდა პრობლემებით, ისე გეოპოლიტიკური ორიენტაციით. როგორც ერები, სამივე ხალხი უძველესია, თუმცა, როგორც დამოუკიდებელი ერთ-სახელმწიფო, სამივე ახალია და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამივემ განვითარების სხვადასხვა გზა აირჩია.

## ლომია და ჩსუკსპის მოპოვების პოლიტიკა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ-ისა და ევროკავშირის მიდგომა სამხრეთი კავკასიის სამივე ქვეყნისადმი ერთნაირი იყო და საბაზრო ეკონომიკაზე მშვიდობიანი გადასვლის უზრუნველყოფასა და ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. გაცხადებულ მიზნებს შორის იყო დემოკრატიის დამყარება და რეგიონში ნატო-ს გავლენის გაძლიერება<sup>4</sup>.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მიუხედავად მრავალი განსხვავებისა, სამხრეთ კავკასიაში აშშ-ისა და ევროკავშირის ინტერესები ერთმანეთს ძირითადად ემთხვევა. ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა დასავლეთის ე.წ. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რესურსების, განსაკუთრებით კი გაზისა და ნავთობის მოპოვებაა. ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ 2001 წელს შემუშავებულ ეროვნულ ენერგეტიკულ კონცეფციაში<sup>5</sup> პირდაპირაა ნათქვამი, რომ კასპიის ზღვის

3 სომხეთსა და თურქეთს შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობები. ამის მიზეზი სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური საკითხია, მაგალითად, სომხეთი ამტკიცებს, რომ თურქებმა სომხებს გენოციდი მოუწყვეს, თურქეთი კი პოზიციას არ იცვლის და აცხადებს, რომ გენოციდი არ მომხდარა. ამ უთანხმოების გამო სომხეთ-თურქეთის საზღვარი ჩაკეტილია.

4 სამივე ქვეყანა ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას 1994 წელს შეუერთდა.

5 <<http://www.wtrg.com/EnergyReport/National-Energy-Policy.pdf>>.

რეგიონში ნავთობის ახალი საბადოების მოძიება აუცილებელია. უკვე შუა 90-იან წლებში საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა, კერძო ინვესტიციების უზრუნველყოფისა და პოლიტიკური რისკების შერბილების მიზნით, დიდი მუშაობა გასწიეს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, კასპიის ნავთობისა და გაზის მოძიების მიზნით, სულ დაახლოებით 140-200 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციები ჩაიდო. ამ თანხების ძირითადი წყარო კერძო სექტორი იყო<sup>6</sup>. სამუშაოში შედიოდა რისკების შემცირება ინსტიტუციური, პოლიტიკური და საკანონმდებლო რეფორმების გზით, ასევე „საზოგადოებრივი სექტორის სააგენტოების მონაწილეობით, რომლებსაც შეუძლიათ კერძო ინვესტორები დაცვის უნიკალური ხარისხით, ე.წ. რკალის ეფექტით უზრუნველყონ“<sup>7</sup>, რასაც, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების თანახმად, უნდა ჰქონდეს „განსაკუთრებული ღირებულება ... კასპიის რეგიონში, სადაც სასესხო კაპიტალის ბაზარი მყიფეა, ხოლო ურთიერთობა უცხო ქვეყნების მთავრობებთან – უაღრესად მნიშვნელოვანი გოსტრატეგიული მოსაზრებების გამო“<sup>8</sup>.

აქ ხაზი უნდა გავუსვავთ იმას, რომ ამ სფეროში ყველაზე დიდი ინვესტიციები არა ეკონომიკურად მომგებიან, არამედ პოლიტიკურ პროექტებში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა<sup>9</sup> და სამხრეთი კავკასიის გაზსადენში ჩაიდო. ამ ძვირადღირებულ და რთულ ნავთობსადენში ფულის ჩადებას არცერთი ამერიკული კომპანია არ დათანხმდა, ამიტომ პროექტის დაფინანსებაზე ზენოლის შედეგად ბრიტიშ პეტროლიუმი (BP) დაითანხმეს. BP-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ ბრაუნმა საჯაროდ განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ვერ აშენდებოდა, თუ მთავრობა ამ მიზნით „უპროცენტო სახელმწიფო ფულს“ არ გაიღებდა<sup>10</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰან-

6 Caspian Oil and Gas: Mitigating Political Risks for Private Participation by Jonathan Walters, Principal Economist, World Bank <<http://www.dundee.ac.uk/cepmlp/journal/html/vol7/article7-5.html>>.

7 Mitigating Political Risks for Private Participation, 2000, by Jonathan Walters, World Bank; [www.worldbank.org](http://www.worldbank.org).

8 იქვე.

9 2006 წლის ივნისიდან 1770 კილომეტრის სიგრძის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს დღეში დაახლოებით 1 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობი გადააქვს აზერბაიჯანში ბაქოს მახლობლად მდებარე სანგაჩალის გაფართოებული ტერმინალიდან საქართველოს გავლით თურქეთის ხმელთაშუა ზღვის ახლადამუშავებულ ტერმინალ ჯეიჰანამდე.

10 <<http://www.thecornerhouse.org.uk/background/baku-tbilisi-ceyhan-btc-oil-pipeline>>.

ნის პროექტი<sup>11</sup> შემოთავაზებული იყო როგორც განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ნიმუში, რომელსაც რეგიონში ადამიანის უფლებების მხრივ მდგომარეობა უნდა გაეუმჯობესებინა, საერთაშორისო ფინანსურმა ორგანიზაციებმა და ბანკებმა პირობა არ შეასრულეს. ნავთობსადენის მარშრუტის გაყოლებით მდებარე დასახლებებიდან ათასობით საზარელი ცნობა მოდის იმის შესახებ, რომ კომპენსაციები არ გაიცემა ან გაიცემა არასრულად, ხალხს აშინებენ, მიწებსა და საკუთრებას ზიანი ადგება და იზრდება პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის შემთხვევების რაოდენობა<sup>12</sup>. სიღარიბის შემცირებისა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნის თაობაზე გაცემული დაპირებები არ შესრულებულა.

## ევროპის სავაჭრო პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა და ეკონომიკა

ურთიერთობა ევროკავშირსა და რეგიონს შორის საგრძნობლად განმტკიცდა 2004 წელს, როცა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ჩაერთნენ. ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა ეს ქვეყნები აღმოსავლეთი პარტნიორობის ინიციატივას შეუერთდნენ. ევროკავშირის პოლიტიკის მიზანია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და მეზობელ სახელმწიფოებში სტაბილურობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა განამტკიცოს და გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა არ დაუშვას. ევროკავშირი თავის მეზობლებს სთხოვს, საერთო ღირებულებების, განსაკუთრებით კანონის უზენაესობის, სათანადო მმართველობის, ადამიანის უფლებათა, მათ შორის, უმცირესობათა უფლებების ერთგულნი იყვნენ, დაამყარონ კეთილმეზობლური ურთიერ-

11 2003 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტს ევროკავშირი და აშშ მხარს მტკიცედ უჭერდნენ. პროექტის ღირებულება 4 მილიარდი დოლარი იყო, საიდანაც 2.7 მილიარდი სახელმწიფო წყაროებმა გაიღეს ან სათანადო დოკუმენტებს მოაწერეს ხელი. მათ შორის იყვნენ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და რამდენიმე ეროვნული საექსპორტო საკრედიტო სააგენტო, კერძოდ, საექსპორტო კრედიტების გარანტიების დეპარტამენტი (დიდი ბრიტანეთი), ჰერმესი (გერმანია), კოფასი (საფრანგეთი), საკრედიტო-საექსპორტო სააგენტო (იტალია), ექსპორტ-იმპორტ ბანკი და კერძო საზღვარგარეთული ინვესტიციების კორპორაცია (აშშ) და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკი.

12 Boom Time Blues: Big oil's gender impacts in Azerbaijan, Georgia, and Sakhalin, September 2006, CEE Bankwatch Network, Gender Action; [www.bankwatch.org](http://www.bankwatch.org).

თობები და დაიცვან საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპები.

2006 წლის შემდეგ გაჩნდა ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეფცია, როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. მისი უმთავრესი მიზანი რუსეთის გვერდის ავლით ბლოკის ენერგორესურსების დივერსიფიკაცია იყო. მომავალში დაგეგმილია ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკისათვის უმნიშვნელოვანესი ნაბუქოსა<sup>13</sup> და თეთრი ნაკადის გაზსადენების<sup>14</sup> მშენებლობა და რამდენიმე სხვა პროექტის განხორციელება, რის შედეგადაც ტრანსევროპული ენერგეტიკული ქსელების სამხრეთის ენერგეტიკული კორიდორი უნდა შეიქმნას. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკული უსაფრთხოება აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკისა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა გახდა.

ნავთობისა და გაზის სექტორში აქტიურობის გარდა, ევროკავშირმა რეგიონის ქვეყნებიდან არსებული გადამცემი ხაზებით ელექტროენერჯის ექსპორტისა<sup>15</sup> და ახალი ხაზების გაყვანის ხელშეწყობა დაიწყო, განსაკუთრებით, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში<sup>16</sup>. ისეთი პროგრამები, როგორებიცაა INOGATE და ტრანსევროპული ქსელები, შესაძლებლობას იძლევა და ხელსაც კი უწყობს ელექტროენერჯის ექსპორტიორებს, გარემოსდაცვით სტანდარტებში არსებული ხარვეზებითა და განსხვავებებით ისარგებლონ და მეზობელი ქვეყნებიდან ევროკავშირში ელექტროენერჯის ექსპორტი გაზარდონ. აღიარებულია, რომ

13 რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერით, ევროკავშირი ამჟამად ამბიციური და ძვირადღირებული ნაბუქოს პროექტის განხორციელებას ცდილობს, რაც შესაძლებელს გახდის გაზის იმპორტს თურქმენეთიდან და აზერბაიჯანიდან (თუ აშენდა, პოტენციურად თვით ერაყიდან და ირანიდანაც კი). 3000-კილომეტრიანი გაზსადენით გაზი თურქეთში არსებული კვანძიდან რუსეთის გვერდის ავლით ბულგარეთს, რუმინეთსა და უნგრეთს გაივლის და ავსტრიას მიაღწევს.

14 ევროკავშირის სამხრეთის ენერგეტიკული კორიდორის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი თეთრი ნაკადის პროექტი 2005 წელს შეიქმნა. ამ გაზსადენით გაზის მიწოდება აზერბაიჯანიდან და კასპის რეგიონის სხვა ქვეყნებიდან საქართველოს გავლით პირდაპირ შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყნებში (რუმინეთი, უკრაინა), შემდეგ კი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებშიც უნდა მოხდეს. კარგად აპრობირებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ნავთობსადენმა შავი ზღვის ფსკერზე, 2000 მეტრზე მეტ სიღრმეზე უნდა გაიაროს <<http://www.gueu-whitestream.com/main.php?id=1>>.

15 <<http://www.eu-energy.com/fs-import-final.pdf>>.

16 Pardo Sierra, O., A Corridor through Thorns: EU Energy Security and the Southern Energy Corridor <[http://www.dtic.mil/dtic/auiimp/citations/gsa/2010\\_168393/184463.html](http://www.dtic.mil/dtic/auiimp/citations/gsa/2010_168393/184463.html)>.

„ადგილზე ელექტროენერჯის წარმოება აშკარად უფრო მომგებიანია, თუმცა ევროპაში ყოველთვის იქნება ქვეყნები, რომლებიც შეიძლება ელექტროენერჯის სუფთა ექსპორტიორები იყვნენ, რადგან განახლებადი ენერჯორესურსები, მაგალითად, ჰიდრორესურსები, იქ დიდი ოდენობითაა კონცენტრირებული“<sup>17</sup>. გრძელდება ასევე საუბარი იმაზე, რომ „ამგვარი ექსპორტის გასაადვილებლად უნდა შეიქმნას გადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი“<sup>18</sup>. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ამ სექტორში ჩადებული ინვესტიციები თვით ამ ქვეყნებში პრობლემებს ამრავლებს და ენერჯის არამდგრად გენერაციას უწყობს ხელს<sup>19</sup>.

ევროკავშირისა და აშშ-ის მიდგომა რეგიონის ქვეყნებთან ენერჯეტიკული და ეკონომიკური კავშირების გაფართოების სტრატეგიას ემყარება. მიჩნეულია, რომ ამ ქვეყნებში მათი ყოფნა დიალოგს ადამიანის უფლებათა შესახებ გააფართოებს და უფრო ინტენსიურს გახდის, რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას ხელს შეუწყობს და ევროკავშირის ინსტიტუციების, მათ შორის, ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ჩართულობას გააძლიერებს. თეორიულად ეს მიდგომა მიმზიდველი ჩანს, თუმცა, პრაქტიკაში უამრავ ნაკლოვანებას ვაწყდებით.

### საქმი ქვეყანა: ავგორიბაკული მოღვლის ვაკინახივი

ეს ნაკლოვანებები ნათლად ჩანს აზერბაიჯანის მაგალითზე. უკვე 2006 წელს აზერბაიჯანის სამოქალაქო საზოგადოება მზარდ შემფოთებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ ენერჯეტიკის დარგში ევროკავშირთან თანამშრომლობა<sup>20</sup> ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე დემოკრატიზაცია და ადამიანის უფლებათა დაცვა. ზოგიერთი წინასწარმეტყველება სიმართლე აღმოჩნდა, მაგალითად: „ამჟამინდელი

17 Pardo Sierra, O., A Corridor through Thorns: EU Energy Security and the Southern Energy Corridor <[http://www.dtic.mil/dtic/aulimp/citations/gsa/2010\\_168393/184463.html](http://www.dtic.mil/dtic/aulimp/citations/gsa/2010_168393/184463.html)>.

18 იქვე.

19 Off balance - the Georgian energy sector and the contradictions in EU policy and practice; [www.greenalt.org](http://www.greenalt.org).

20 <[http://eeas.europa.eu/delegations/azerbaijan/documents/2013\\_02\\_18\\_eu\\_and\\_azerbaijan\\_enhance\\_the\\_memorandum\\_of\\_understanding\\_on\\_energy.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/azerbaijan/documents/2013_02_18_eu_and_azerbaijan_enhance_the_memorandum_of_understanding_on_energy.pdf)>.



ნაკლოვანებები – პრობლემები დემოკრატიზაციის დარგში – როგორც ჩანს, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში წარმოქმნილ ახალ პრიორიტეტებზე ორმხრივ [ევროკავშირ-აზერბაიჯანის] ურთიერთობებზე გავლენას არ მოახდენს<sup>21</sup>. Freedom House-ის თანახმად, ბოლო წლების განმავლობაში აზერბაიჯანში ამ მხრივ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა<sup>22</sup> და 2012 წელს ქვეყნის სტატუსი ისევ „არათავისუფალი“ იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი მეთუ ბრაიზა აცხადებდა, რომ შეერთებული შტატები „ილჰამ ალიევს დიქტატორად არ განიხილავს. ჩვენ მას ვუყურებთ, როგორც იმ ქვეყნის ლიდერს, რომელშიც დემოკრატია ვითარდება, მაგრამ ჯანსაღ დემოკრატიაზე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი“<sup>23</sup>. ამასობაში კი, 2009 წლის მარტში აზერბაიჯანში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგების თანახმად, პრეზიდენტად არჩევის ვადები შეუზღუდავი გახდა, ე.ი. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თავისი ავტორიტარული მმართველობა გააძლიერა. იმ დროს, როცა ქვეყნის მოქალაქეებს ელემენტარული მომსახურების, მაგალითად, სამედიცინო დახმარების, მისაღებად დიდი საფასურის გადახდა უხდებათ, პრეზიდენტი ალიევი უზარმაზარ თანხებს ხარჯავს უცხოურ კულტურულ დაწესებულებებში იმისათვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისაგან მუდმივი მხარდაჭერა ჰქონდეს<sup>24</sup>. პრეზიდენტი ალიევი, რომელიც წლის ყველაზე კორუმპირებულ პირად დასახელდა<sup>25</sup>, ცდილობს დასავლეთის მხარდაჭერა მაქსიმალურად გამოიყენოს. 2013 წლის იანვარში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასოციაციამ არ დაამტკიცა<sup>26</sup> მოხსენება აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების არსებობის თაობაზე, რასაც აზერბაიჯანის უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა „ხიზილალის დიპლომატიის“ გამარჯვება უწოდეს<sup>27</sup>. ამან აზერბაიჯანის ხელისუფლებას შესაძლებლო-

21 Alieva, L., EU and South Caucasus <[http://www.cap.lmu.de/download/2006/2006\\_Alieva.pdf](http://www.cap.lmu.de/download/2006/2006_Alieva.pdf)>.

22 Political rights 6, civil liberties 5 <<http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=22&year=2010&country=7775>>.

23 <<http://www.ibtimes.com/azerbaijan-repressive-corrupt-country-west-loves-there-must-be-oil-704066>>.

24 <<http://platformlondon.org/2013/05/16/even-oil-dictators-need-a-social-license-to-operate/>>.

25 <<http://www.rferl.org/content/azerbaijan-ilham-aliyev-corruption-person-of-the-year/24814209.html>>.

26 <<http://www.hrw.org/news/2013/01/28/what-next-azerbaijan-s-political-prisoners>>.

27 <<http://www.unpo.org/article/15655>>.

ბა მისცა, პოლიტიკური აქტივისტების, მათ შორის, ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის, წინააღმდეგ რეპრესიები და მათი დაპატიმრება კიდევ უფრო გაეძლიერებინა და გამოხატვის, კავშირების შექმნისა და შეკრების თავისუფლების შემზღუდავი კანონები მიეღო<sup>28</sup>.

აშშ-ისა<sup>29</sup> და ევროკავშირის<sup>30</sup> მიერ სამხრეთი კავკასიის ქვეყნებისადმი ბოლო წლებში განეული უაღრესად გულუხვი ეკონომიკური დახმარებისა და 2000-2007 წლებში სრულიად ნორმალური ეკონომიკური ზრდის მიუხედავად (5-10% საქართველოში, 10-15% სომხეთში და 10-35% აზერბაიჯანში)<sup>31</sup>, უშუალოდ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის წინ, რეგიონში დემოკრატიის დონე არ მაღლდება. პირიქით, ეს დონე მთლიანობაში თანდათან დაბლდება, რაც Freedom House-ის ყოველწლიურ მოხსენებებში დასტურდება კიდევ. პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის დროს 2007-2012 წლებში ავტორიტარიზმი გაძლიერდა საქართველოში, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უფრო პროგრესულად იყო მიჩნეული და რომელსაც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა „დემოკრატიის შუქურაც“ კი უწოდა<sup>32</sup>. სამოქალაქო საზოგადოება დიდ შეშფოთებას გამოხატავდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე, მათ შორის – წამებასთან, საკუთრების უფლების დარღვევასთან, იძულებით ადგილნაცვალ პირთა ძალის გამოყენებით გამოსახლებას-

---

28 <<http://www.eap-csf.eu/en/news-events/news/eu-ngo-letters>>.

29 აშშ საქართველოს ყველაზე დიდი დონორია. 1992-2010 ფისკალურ წლებში ამ ქვეყანამ საქართველოს დახმარების სახით სულ 3.37 მილიარდი აშშ დოლარი გამოუყო (ყველა სააგენტოსა და პროგრამისათვის). ერთ სულ მოსახლეზე აშშ-ისგან მიღებული დახმარებით საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის ყოველთვის მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა. აშშ-ის საბიუჯეტო დახმარებამ საქართველოსათვის 2011 საბიუჯეტო წელს 87.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2012 საბიუჯეტო წლის დახმარება დაახლოებით 85.1 მილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული. 2013 საბიუჯეტო წელს აშშ-ის ადმინისტრაციამ საქართველოსათვის საერთაშორისო დახმარების სახით 68.7 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა მოითხოვა (მონაცემები 2011, 2012 და 2013 საბიუჯეტო წლებისათვის მოიცავს “Function 150” პროგრამებს, მაგრამ არ მოიცავს თავდაცვისა და ენერგეტიკის უწყებების დაფინანსებას) <<http://www.fas.org/sgp/crs/row/97-727.pdf>>.

30 <[http://ec.europa.eu/europeaid/where/neighbourhood/country-cooperation/georgia/georgia\\_en.htm](http://ec.europa.eu/europeaid/where/neighbourhood/country-cooperation/georgia/georgia_en.htm)>.

31 Asian Development Bank, Key Indicators for Asia and the Pacific 2009 (Manila: Asian Development Bank, 2009).

32 <<http://www.guardian.co.uk/world/2005/may/11/georgia.usa>>.

თან, საინფორმაციო საშუალებების თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე გამოსატყვის, კავშირების შექმნისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე<sup>33</sup>. საერთაშორისო თანამეგობრობა სააკაშვილის მთავრობას პროდასავლურად მიიჩნევდა და დახმარებას ყველა დონეზე უპირობოდ უწევდა, თუმცა საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებსაც სააკაშვილის ავტორიტარული სტილი მობეზრდათ, მისდამი ნდობა დაკარგეს.

სომხეთში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მდგომარეობა საქართველოსგან და აზერბაიჯანისგან დიდად არ განსხვავდება. შემოფოთებას იწვევს ფართოდ გავრცელებული კორუფცია, სომხეთის სასამართლო სისტემის შეზღუდული დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა, ადგილობრივი ოლიგარქების გავლენა პოლიტიკურ პარტიებზე და საინფორმაციო საშუალებების შეზღუდვა. 2008 წლის მარტის გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩატარებული საპროტესტო აქციების რამდენიმე მონაწილე დაიღუპა. Freedom House-ის 2012 წლის მოხსენების თანახმად, სომხეთი მსოფლიოში 149-ე ადგილზეა მედიის თავისუფლებით და „არათავისუფლად“ არის მიჩნეული. კონსტიტუციური და საკანონმდებლო ნორმების მიუხედავად, პრესის თავისუფლება შეზღუდული, ხოლო მედიაგარემო კვლავაც რეპრესიულია და არ უმჯობესდება. შემაშფოთებელი ნიშნები იყო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც, როცა ხმის მიცემამდე რამდენიმე დღით ადრე ატეხილ სროლაში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი დაიჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კომპანიები სომხეთით ნაკლებად არიან დაინტერესებული, რადგან ენერგორესურსები ამ ქვეყანას არა აქვს, მათთვის სომხეთი სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის წყალობით მაინც მიმზიდველია. ამ სექტორს სომხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე ეს არ აისახება, უპირველესად იმიტომ, რომ ამ კომპანიებს რესურსების ექსპლუატაციისათვის სათანადო ფასი არასოდეს გადაუხდიათ. ამ სექტორში არსებული კორუფციის მაღალი დონის მიუხედავად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა და საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ რამდენიმე საეჭვო პროექტს ამ სექტორში მხარი მაინც დაუჭირეს.

33 2011 წლის 26 მაისს პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებით გამოყენების გამო რამდენიმე ადამიანი დაიღუპა და ბევრი სხვა დაშავდა.

## ავტორიტარული სტაბილურობის გალაკუნა

აშშ-ის, ევროკავშირისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციების ფინანსური მხარდაჭერის მიმოხილვას და რეგიონული ვითარების სხვადასხვა ასპექტის თაობაზე გაკეთებული პოლიტიკური განცხადებების ანალიზს მივყავართ არაორაზროვან დასკვნამდე, რომ დასავლეთის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა მიმართულია რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფისკენ - იქნება ეს ცალკეულ ქვეყნებში მოქმედი პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურების თვალსაზრისით, თუ რეგიონის სახელმწიფოებს შორის სტატუსკვოს შენარჩუნების კუთხით. თუმცა, ავტორიტარული მმართველობის გაძლიერებისა და პოლიტიკური ანგარიშგებისა და ლეგიტიმურობის ნაკლებობის გამო, ეს ამოცანა სულ უფრო ძნელი მისაღწევი ხდება, განსაკუთრებით – ეკონომიკური ზრდის ჭრილში.

სტაბილურობის შენარჩუნების მცდელობა ეკონომიკური მოდერნიზაციისა და ზრდის მეშვეობით, ოღონდ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, ადამიანის უფლებების, ადგილზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სოციალური და ეკოლოგიური სამართლიანობის ხარჯზე, რეგიონში პირიქით არასტაბილურობას გაზრდის. საბოლოოდ, ეს სიღარიბის გაღრმავებამდე და არადემოკრატიული და ავტოკრატიული მთავრობების/კლანების მხარდაჭერამდე მიგვიყვანს, რაც ადგილზე ძალის ბოროტად გამოყენებასა და ძალადობას უწყობს ხელს. ასეთი პოლიტიკა ვერც ენერგორესურსების მიწოდებას გახდის უსაფრთხოს და მილიონობით ადამიანისათვის ახალ სირთულეებსაც შექმნის. მიზეზები შეიძლება განსხვავებული იყოს: ყოველდღიური ძალადობა, რომელიც ხშირად თან ახლავს შორეულ რეგიონებში ნავთობისა და გაზის მოპოვებას ან „ენერგეტიკული უსაფრთხოების“ უზრუნველყოფის მცდელობები საბაზრო პოლიტიკის მეშვეობით, რაც ნარმოებულ ენერგიას ბევრისთვის ხელმიუწვდომელს ხდის. „რაც უფრო ფართო და აგრესიულია მილიტარიზებული ენერგეტიკული სისტემა, მით უფრო მეტი სახეობის წინააღმდეგობა და დაპირისპირება შეხვდება საზოგადოებებისაგან, რომლებიც განსხვავებული ლოგიკით ხელმძღვანელობენ, ლოკალისტური იქნება ეს ლოგიკა, ნაციონალისტური თუ რელიგიური“<sup>34</sup>. ამ პრობლემამ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის რეგიონებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში უკვე სრულიად ნათლად იჩინა თავი. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროკავშირის ენერგეტიკულმა სექტორმა გააძლიერა დამოკიდებულება ავტორიტარულ

34 Hildyard N., Lohmann L. and Sexton S., Energy Security for Whom? For What?, The Corner House <<http://www.thecornerhouse.org.uk>>.

რეჟიმებზე, რაც საბოლოოდ, დაუცველობას ენერგეტიკის დარგში თავისთავად უფრო მაღალ დონეზე აიყვანს.

უნდა აღინიშნოს, რომ „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ ევროკავშირმა ნაწილობრივ აღიარა მშფოთვარე დაძაბულობა უსაფრთხოებასა და დემოკრატიას შორის. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც 2011 წელს გადაიხედა, ხაზს უსვამს, რომ ევროკავშირმა მთელი მონდობით უნდა დაუჭიროს მხარი პარტნიორ ქვეყნებში პოლიტიკური ჩართულობის, ღირსებისა და თავისუფლების დაცვისა და სამუშაო ადგილების შექმნის მოთხოვნას და იხელმძღვანელოს მიდგომით, რომელიც საყოველთაო ღირებულებებისა და ინტერესების გაზიარების, ხალხთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან გაზრდილი პარტნიორობის პრინციპებს ემყარება. პროგრამა მხარს უჭერს ასევე პრინციპს „მეტი მეტის საპასუხოდ“, რომლის თანახმადაც, ურთიერთანგარიშგების საფუძველზე მეტი მობილურობის მისაღწევად მეტი ფინანსური დახმარება უნდა გაენიოს და ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ პარტნიორ ქვეყნებს, რომლებიც რეფორმებს უფრო თანმიმდევრულად ატარებენ.

მაგრამ ეს ზომები უბრალოდ არასაკმარისია და ენერგოუსაფრთხოების საკითხები აშშ-ისა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში კვლავაც მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება. ბიზნესის ჩვეულებრივი განვითარება სამხრეთი კავკასიის დემოკრატიზაციას დიდად არ წაადგება. დემოკრატიის მხარდაჭერის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების ხელახალ გააზრებაზე არა მხოლოდ ევროკავშირმა და აშშ-მა უნდა იფიქრონ, არამედ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმაც.

როგორც ჯოზეფ სტიგლიცი ამბობდა, „გარდამავალი პერიოდი, რომელიც ორი ათწლეული გრძელდება და რომლის დროსაც სიღარიბე და უთანასწორობა უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მდიდრდება, ვერც კაპიტალიზმის გამარჯვებად ჩაითვლება და ვერც დემოკრატიის“<sup>35</sup>. არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ არსებობს საბაზრო ეკონომიკის კიდევ ერთი ხედვა, რომელიც მეტ თანასწორობას ემყარება და ბაზრის ძალის არა მხოლოდ რამდენიმე რჩეული ადამიანისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად გამოყენებას ითვალისწინებს. ამ მიზნით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ნეოლიბერალური დღის წესრიგი ძირს არ უნდა

35 The ruin of Russia. No rewriting of history can change the fact that neo-liberal reform produced undiluted economic decline <<http://www.guardian.co.uk/world/2003/apr/09/russia.artsandhumanities>>.

უთხრიდეს ევროკავშირის ასოციაციის დღის წესრიგში შემოთავაზებული სოციალური დემოკრატიის მოდელს და ევროკავშირის პაქტის 21-ე მუხლის მიზნებს, მათ შორის – განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიის მხარდაჭერას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და მდგრადი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების პრინციპებს, რომელთა მთავარი მიზანი სიღარიბის აღმოფხვრაა<sup>36</sup>.

ამ შემთხვევაში მახსენდება მსოფლიო ბანკის ანგარიში ბიზნესის კეთების სიადვილის თაობაზე, რომელშიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის საქართველო „უპირველეს რეფორმატორადაა“ დასახელებული და შექებულია ქვეყანაში ბიზნესის კეთების გაადვილებისათვის. მაგრამ საქართველოში ამ მხრივ მომხდარი საგრძნობი გაუმჯობესება, რომელიც მაღალი ქულებით აღინიშნა, 2006 წელს საქართველოს შრომით კანონმდებლობაში განხორციელებული ძირეული ცვლილებების შედეგია. მაშინ გაუქმდა სამუშაო საათების ხანგრძლივობის შეზღუდვა და გაადვილდა დაქირავებულის დათხოვნა, რამაც მენარმის მიერ დაქირავებული მუშაკის დათხოვნის სიადვილის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყნად გადააქცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონმდებლობამ ევროკავშირის, აშშ-ისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისაგან მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა და საქართველოს მკაცრად მოსთხოვეს მისი შეცვლა, ქვეყნის მთავრობა, რომელსაც მსოფლიო ბანკი უჭერდა მხარს, ამ რეფორმით ტრაბახობდა და მას საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფი სხვა ქვეყნებისათვის სამაგალითოს უწოდებდა<sup>37</sup>.

ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ღიად უნდა გააკრიტიკოს სამხრეთი კავკასიის ქვეყნები და მათ შენიშვნები მისცეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდან დემოკრატიის მხარდაჭერა კონკრეტულ ქვეყნებში არსებული ხელისუფლების მხარდაჭერაში არ გადაიზარდოს. ამის ნაცვლად, მხარდაჭერა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის შესახებ დებატების მეშვეობით პლურალისტური საზოგადოების განვითარებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. დებატები, კვლევები და ხალხის ჩართულობა დემოკრატიის განვითარებაში და არა ქადაგება და მზა რეცეპტების მოთხოვნა და/ან

36 <<http://www.lisbon-treaty.org/wcm/the-lisbon-treaty/treaty-on-european-union-and-comments/title-5-general-provisions-on-the-unions-external-action-and-specific-provisions/chapter-1-general-provisions-on-the-unions-external-action/101-article-21.html>>.

37 <<http://digitalcommons.ilr.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1239&context=intl>>.

გადმოლება სხვა ქვეყნებიდან, დემოკრატიული ღირებულებების საუკეთესო მხარდაჭერა იქნება, რაც გააუმჯობესებს მდგომარეობას ადამიანის უფლებების დარღვევაში და გააძლიერებს მოსახლეობის ჩართულობას მიმდინარე რეფორმებში. სამოქალაქო საზოგადოება ჩართული უნდა იყოს დონორებს, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის უფრო მჭიდრო პარტნიორობის ჩამოყალიბებაში. ეს უზრუნველყოფს გადამწყვეტილების კოლექტიურ მიღებას, რაც სასარგებლო იქნება ადგილობრივი საზოგადოებისა და ეკოლოგიისათვის. დონორები და მთავრობა პოლიტიკასა და პროპაგანდაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას უნდა უზრუნველყოფდნენ.

ცხადია, რომ პრინციპი „ერთი ზომა ყველას მოერგება“ წარმატებული ვერ იქნება, ვინაიდან სამივე ქვეყანაში პოლიტიკური თავისუფლებების სხვადასხვა დონე და განსხვავებული გარემოა, მაგრამ ევროკავშირის/აშშ-ის ჩართულობა და დახმარება ადგილობრივ მოთამაშეებს საზოგადოებრივ არეალს აუცილებლად გაუფართოებს, ხოლო ეს მოთამაშეები მთავრობებს აიძულებენ, ქვემოდან მომავალი ხმები გაიგონონ.

# სიღებოს ფორმირება

## თვალსაზრისები სამხრეთ კავკასიაში

### დასავლეთის ჩართულობის შესახებ

ადრიან ბრისკუ

წინამდებარე ნაშრომში სამხრეთ კავკასიაში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) დასავლეთის ალქმასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხია განხილული. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ დასავლეთის შესახებ შეხედულებები რეგიონში პოსტსაბჭოთა პერიოდამდე შეიქმნა. მეორე: სამივე ქვეყანა დასავლეთთან მიმართებით საერთო მეტაფორებს იყენებს, თუმცა, დასავლეთისადმი მათი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. მესამე: ბოლო 20 წლის განმავლობაში ერთგვარად პარადოქსული ვითარება შეიქმნა. ამ ქვეყნების ცხოვრებაში დასავლეთის უპრეცედენტო ჩართულობის მიუხედავად, რეგიონი უფრო უსაფრთხო, დემოკრატიული და მდიდარი არ გამხდარა. მეოთხე: როგორც ჩანს, ამ პარადოქსულ ვითარებაში რეგიონში ყოფნის წყალობით საკუთრივ დასავლეთმა, განსაკუთრებით კი ევროკავშირმა, უფრო მეტი სარგებელი ნახა უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული ინტერესების თვალსაზრისით.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რეგიონში დასავლეთის ჩართულობის გაგრძელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი ჩართულობა უფრო არსებითი უნდა გახდეს, რეგიონული თანამშრომლობის განვითარების და თითოეულ ქვეყანაში რეალური დემოკრატიის მხარდაჭერის გზით. განსხვავებული გეოსტრატეგიული ალტერნატივების ჭიდილში „დასავლეთი“ სამხრეთი კავკასიისათვის ერთადერთ ნორმატიულ მოდელად უნდა დარჩეს, ხოლო მის ნორმატიულობას, თავის მხრივ, პროგრესული ცვლილებების ხელშეწყობა და ამ ქვეყნების უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა შეუძლია.



## „დასავლეთის“ აღქმის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში, დასავლეთის შესახებ შეხედულებებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა კუთხეში, დასავლეთი აქ ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის (კერძოდ კი, ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის ზოგიერთი ნაწილისათვის) დამახასიათებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ინტელექტუალური პროგრესის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებთან ხდებოდა ასოცირებული<sup>1</sup>. ამას თან ერთვოდა გაბმული ინტელექტუალური და პოლიტიკური მსჯელობა იმის თაობაზე, წარმოადგენდა თუ არა ეს სამი ქვეყანა ამ „პროგრესული სივრცის“ ნაწილს.

დისკურსულად, „დასავლეთი“<sup>2</sup> ხშირად ენაცვლება ევროპას ან გაიგივებულია მასთან. ასე ხდება, მაგალითად, საქართველოში ევროპის შესახებ პოლიტიკური და ინტელექტუალური დებატების დროს XIX საუკუნის ბოლოდან, როცა ევროპისა და დასავლეთის სამგანზომილებიანი ხედვა წარმოიშვა<sup>3</sup> (გეოპოლიტიკა, თანამედროვეობა და ცივილიზაცია – ეს ხედვა უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული). როგორც დისკურსი, დასავლეთის ცნება კონტინენტსა და მის ფარგლებს გარეთ მომხდარი მოვლენების აღწერის დროს გამოიყენებოდა. ცხადია, ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენები XX საუკუნეში მომხდარი ორი მსოფლიო ომი იყო, რამაც შეარყია ევროპელების XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული რწმენა, რომ მათ ყველაზე მონიშნავე ცივილიზაცია შექმნეს (პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ტექნოლოგიურად და კულტურულად). ეს პესიმისტურად იყო დანახული, მაგალითად, გერმანელი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ოსვალდ შპენგლერის

1 ამ საკითხზე მრავალი სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში და სხვადასხვა ჭრილში დაწერილი დიდძალი ლიტერატურა არსებობს. საკითხისადმი სისტემატური და ანალიტიკური მიდგომა მოცემულია იმანუელ ვალერშტაინის ევროცენტრიზმის კონცეფციაში, რომელიც ანალიზის კარგ მაგალითს იძლევა. იხ. Wallerstein, Immanuel, Eurocentrism and its Avatars: The Dilemmas of Social Science, *New Left Review*, (226) (1997), p. 93-109; იხ., აგრეთვე, Dirlik, Arif, *Postmodernity's Histories: The Past as Legacy and Project* (Oxford: Rowman & Littlefield Publishers, Inc., 2000).

2 უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ ამ მომენტიდან სიტყვას „დასავლეთი“ ბრჭყალებში აღარ ჩავსვამ გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელი იქნება, თვით ეს ცნება კი ტექსტში უფრო სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი იქნება, ვიდრე გეოგრაფიული.

3 ამგვარი კონცეპტუალიზაციის შესახებ იხ., აგრეთვე, Brisku, Adrian, *Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008* (New York, Oxford: Berghahn Books, 2013).

ორტომიან ნაშრომში „ევროპის დაისი“ (1918-1922), რომელიც I მსოფლიო ომის დროს გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტისა და ნგრევის შემდეგ დაინერა. შპენგლერის პესიმიზმს იზიარებდნენ XX საუკუნის 20-იანი და 90-იანი წლების ქართველი ინტელექტუალებიც, როცა საქართველოს მომავალზე საუბრობდნენ<sup>4</sup>.

მას შემდეგ, რაც I მსოფლიო ომი დამთავრდა და საბჭოთა კავშირი შეიქმნა, რომლის ნაწილიც აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი ნებით თუ უნებლიეთ გახდნენ, გაჩნდა ალტერნატიული დისკურსი. საბჭოეთმა, რომელიც თავს კომუნისტური რევოლუციის და პროგრესის მედროშედ აცხადებდა, დასავლეთის უზენაესობას დამატებითი გამოწვევა შეუქმნა. მარქსიზმის ლენინისეულმა ინტერპრეტაციამ – რომ, დასავლეთს, როგორც კაპიტალისტური იმპერიალიზმის კონცენტრირებულ სივრცეს, შინაგანი წინააღმდეგობების გამო საკუთარი თავი სამხედრო ძალით უნდა გაენადგურებინა<sup>5</sup> – დასავლეთის შესახებ უკიდურესად ნეგატიურ დისკურსებს დაუდო საფუძველი, რაც საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა. II მსოფლიო ომმა, რომელმაც საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის წყალობით კონტინენტზე პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და რასობრივი ბატონობისაკენ ნაციონალური გერმანიის სწრაფვას მოულო ბოლო, დასავლეთის/ევროპის ცივილიზაციის ცნება კიდევ უფრო შეარყია და, ერთი ბრიტანელი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპა „ბნელ კონტინენტად“ გადააქცია<sup>6</sup>.

ომისშემდგომ ევროპაში „დასავლეთის“ ცნება გადაარჩინა – და ამავდროულად საკუთარ თავს მიუსადაგა – აშშ-მა, კონტინენტზე მისი დომინანტური სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური როლის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებული ცივი ომის პოლიტიკის წყალობით. მაგრამ ოფიციალური საბჭოთა დისკურსი დასავლეთის ცნების მიმართ კვლავაც ნეგატიური დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ეფუძნებოდა მარქსიზმს – ფილოსოფიურ იდეასა და პოლიტიკურ პროექტს, რომელიც ასევე დასავლური წარმოშობის იყო.

4 Brisku, A., Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008, New York, Oxford: Berghahn Books, 2013, p. 96; 188.

5 Neumann, I. B., Soviet Perceptions of the European Community, 1950-1988, Oslo: Norsk Utenrikspolitisk Institutt, 1989, p. 32.

6 იხ. Mazower, M.k, The Dark Continent: Europe's Twentieth Century (London: Penguin Books, 1998).

## პოსტსაქობის პერიოდი: დასავლეთი, როგორც გეოპოლიტიკა, ეკონომიკა და სოციალიზაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთის აღქმა რადიკალურად შეიცვალა. გამარჯვებული დასავლეთი მოიცავდა ახალი ევროპის ცნებას – განვითარების გზაზე მდგომ და კეთილდღეობის მქონე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ერთეულს, ევროკავშირს. დასავლეთმა პოსტსაბჭოთა და კომუნისტურ სივრცეში, მათ შორის, სამ ახალ სახელმწიფოში – აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში – შექმნილ შეხედულებებში დაიბრუნა დადებითი და დომინანტური როლი. ამავე დროს, გარკვეული კავშირი შენარჩუნდა დასავლეთის შესახებ ისტორიულად ჩამოყალიბებულ მიდგომებთანაც. მოხდა ცნების სამი ზემოხსენებული განზომილების კრისტალიზაცია: ევროპა/დასავლეთი – როგორც გეოპოლიტიკური ერთეული, მოდერნულობის წყარო და კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების არეალი<sup>7</sup>.

პირველ განზომილებაში დასავლეთი განიხილება, როგორც გეოპოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც მის გარშემო სამყაროს გარდაქმნა და ჩამოყალიბება შეუძლია. მაგრამ ამ განზომილების განხილვისას ისტორიის გათვალისწინებაა საჭირო, ვინაიდან პოლიტიკური მოთამაშეები სხვადასხვა ეპოქაში იცვლებოდნენ. მაგალითად, XIX საუკუნის ევროპის პოლიტიკაში ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი თითქმის თანასწორნი იყვნენ. ისინი ერთმანეთს ეპაექრებოდნენ და კონტინენტზე წესრიგს ამყარებდნენ, ხოლო თავიანთი ძალაუფლების ლეგიტიმაციას ცივილიზაციის სახელით ახდენდნენ. ცივი ომის გეოპოლიტიკაში კი წესრიგს ევროპის კონტინენტზე და მის გარეთ ორი ძალა, აშშ და სსრკ ქმნიდა. ისინი ჩაბმული იყვნენ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც, შესაბამისად, ლიბერალიზმსა და კომუნისტურ მოძრაობას ნარმოადგენდა. დასავლეთის შესახებ ცივი ომის შემდგომი გეოპოლიტიკური შეხედულებები აშშ-სა და ევროკავშირის ისეთ გავლენიან წევრებზეა კონცენტრირებული, როგორებიცაა ბრიტანეთი, გაერთიანებული გერმანია და საფრანგეთი. რა თქმა უნდა, განსახილველ რეგიონში დასავლეთის გეოპოლიტიკურ წონას განსაკუთრებით აძლიერებს აშშ-ის, როგორც დიდი გლობალური ძალისა და ნატო-ს, როგორც მსოფლიოს უძლიერესი პოლიტიკური და სამხედრო ალიანსის როლი. ევროკავშირის გეოპოლიტიკური წონა ამ რეგიონში ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს.

7 Brisku, A., Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008, New York, Oxford: Berghahn Books, 2013, p. 6.

ამრიგად, დასავლეთი მრავალი მოთამაშისგან შედგება, მათ კი განსხვავებული პოტენციალი აქვთ, თუმცა იზიარებენ ლიბერალური და რეალური დემოკრატიის „ნორმატიულ ელემენტებს“, რომლებიც (პოპულისტური) ავტორიტარული რეჟიმების საპირისპიროა. სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებლობის აღდგენას თან მძიმე მოვლენები ახლდა ქვეყნებს შიგნით ეთნიკური კონფლიქტებისა და ერთმანეთს შორის ომების (აზერბაიჯანი და სომხეთი) სახით. დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ამ კონფლიქტების მოგვარების მიზნით სამივე ქვეყანა ცდილობდა, დასავლეთში უფრო მდიდარ, ძლიერ და უკეთეს მოკავშირეებთან, აშშ-თან და ევროკავშირთან დაემყარებინა ურთიერთობა – თუმცა ამ მცდელობების ინტენსიურობა სხვადასხვაგვარი იყო, ისევე, როგორც თვით სამი ქვეყნის ინტერესები.

დასავლეთის მეორე განზომილება მისი ნორმატიული ასპექტია. ის მოდერნულობისა და პროგრესის, სოციალურ-პოლიტიკური ალტერნატივებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის, მოდერნიზაციისა და ადამიანის უფლებების მედროშეა. XIX საუკუნეში ეს განზომილება ცივილიზებული სამყაროს ნიშანი იყო, XX საუკუნეში კი იდეოლოგიური ბრძოლის ველად იქცა. აქ ერთმანეთს ებრძოდნენ ლიბერალური დემოკრატია, ფაშიზმი, ნაციონალიზმი და „დემოკრატიული სოციალიზმი“. ეს სწორედ ის ბრძოლაა, რომელშიც გამარჯვებულად ამერიკელმა პოლიტოლოგმა ფრენსის ფუკუიამამ საუკუნის ბოლოს ტრიუმფალურად, მაგრამ საკმაოდ ნაადრევად, ლიბერალური დემოკრატიის მოდელი გამოაცხადა<sup>8</sup>. ამგვარად, დასავლური მოდელის ცივი ომის შემდგომი პერიოდის „ნორმატიულობა“ დომინანტური გახდა მიუხედავად იმისა, რომ პუტინის რუსეთი წარუმატებლად ცდილობდა, ამ პარადიგმაში „მართული დემოკრატიის“ ცნების წყალობით ასევე ნორმატიული პოზიციები მოეპოვებინა<sup>9</sup>. თუმცა, კრიტიკოსები დასავლურ/ევროპულ ნორმატიულობასაც ჰყავს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მას უფრო ინსტრუმენტად იყენებენ, ვიდრე ნორმად. მაგალითად, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ევროპის ინტეგრაციის პროექტი „წარმოიშვა არა როგორც დემოკრატია, არამედ როგორც კომუნისტური საფრთხისაგან, ცივი ომისაგან და XX საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ მიღებული გამოცდილების მძიმე ტვირთისაგან ევროპის ეროვნულ სახელმწიფოებში დემოკრატიის დაც-

8 Fukuyama, F., *The End of History and the Last Man* (London: Penguin Books, 1992).

9 Weir, F., *Kremlin Lobs Another Shot at Market Place of Ideas*, *Christian Science Monitor*, 2003 <<http://www.crmonitor.org/2003/1001/p07s02-woeu.html>> [Accessed 11 January 2012], p. 2.

ვის საშუალება<sup>10</sup>. დასავლეთის ნორმების ერთ ხშირად ლაპარაკობენ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ელიტებიც, თავიანთი პოლიტიკური ქმედებებისა და საქმიანობის ლეგიტიმაციის მიზნით, თუმცა, თუ მოვლენებს რეალისტურად შევხედავთ, ისინი ამ ნორმებისაგან, ანუ ადამიანის უფლებებისა და ფასეულობებისაგან, დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისაგან და ეფექტური საბაზრო ეკონომიკისაგან საკმაოდ დაშორებულად გვევლინებიან.

„დასავლეთის“ მესამე განზომილება ისაა, რომ ყველაზე წინასული კულტურის მატარებელია და საერთო წარსული აქვს (ამაყობს იმით, რომ ქრისტიანულ მემკვიდრეობას და ფასეულობებს ითავსებს განმანათლებლობასთან, დემოკრატიულ ფასეულობებთან და ადამიანის უფლებებთან ერთად). ბოლო ხანებში ეს განზომილება მოიცავს ახლებურ ევროპულ იდენტობასაც. საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ამ განზომილებას ბევრი დისკურსი ეხმიანება, რომლებშიც საერთო მახასიათებლებსა და ღირებულებებზეა ლაპარაკი. ამის გამოხატულებაა „ხიდის“ მეტაფორის გამოყენება, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ათწლეულებში დაიწყო<sup>11</sup>. ეს ხიდი თითქოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის, აზიისა და ევროპის ცივილიზაციებს შორისაა გადებული და, გარკვეულ პერიოდებში, ამ ორ მასშტაბურ სივრცეს შორის შუამავლის ფუნქციის შესრულებასაც კისრულობდა<sup>12</sup>.

## „ხიდი“: მეტაფორის პრაქტიკა

პოსტსაბჭოთა საქართველოში „ხიდის“ ეს მეტაფორა ინტელექტუალური დისკურსის განუყოფელი ნაწილი იყო და არის. თუმცა, პარალელურად, იყო კიდევ ერთი დისკურსი, რომელიც საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობისა და ღირებულებების საფუძველზე ქართულ ეროვნულ იდენტობას განიხილავდა, როგორც დასავლურს და ევროპულს. ეს დისკურსი მით უფრო დომინანტური ხდებოდა, რაც უფრო მეტად ცდილობდნენ საქართველოს პოლიტიკური ელიტები „დასავლეთს“ დაახლოებოდნენ და უფრო ფართო ევროატლანტიკურ პოლიტიკურ და სამხედრო სტრუქტურებში გაერთიანებულიყვნენ. ან გარდაცვლილი ქართველი პოლიტიკოსის, ზურაბ ჟვანიას მიერ 1999 წელს საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლის

10 Schulz-Forberg, H. and B. Stråth, *The Political History of European Integration: The Hypocrisy of Democracy-through-market*, London: Routledge, 2010, p. 12.

11 Sarkissian, A. O., *Soviet Transcaucasia*, *Foreign Affairs*, Vol. 14, No. 3, 1936, p. 526.

12 Brisku, A., *Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008*, New York, Oxford: Berghahn Books, 2013, p. 55-64.

დროს გაკეთებული განცხადება – „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი“ – ამ დისკურსის ემბლემურ გამოხატულებად იქცა<sup>13</sup>. თავის მისწრაფებაში, საქართველო ევროატლანტიკური სივრცის ნაწილად გადაექცია, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხშირად საუბრობდა, განსაკუთრებით 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პირველი წლების განმავლობაში, ქართულ-ევროპულ იდენტობაზე და ქართველებზე, როგორც „უძველეს ევროპულ ერზე“, რომელიც ევროპასთან კულტურაზე დამყარებული მტკიცე და ურყევი კავშირებით აქვს<sup>14</sup>.

სომხეთის დისკურსი დასავლეთთან საერთო ცივილიზაციური კავშირის შესახებ, რომელიც ასევე ევროპულ სტრუქტურებში ქვეყნის უფრო ფართო ჩართულობის შემდეგ გამოიკვეთა, საქართველოს დისკურსების მსგავს თემებს ემყარება, თუმცა მათი ინტენსიურობა უფრო დაბალია. მაგალითად, როცა სომხეთი, საქართველოს მსგავსად, 1999 წელს ევროპის საბჭოში შედიოდა, სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა განაცხადა, რომ „სომხეთი ცივილიზაციების გზაჯვარედინზე მდებარეობს და ევროპულ ღირებულებებს იცავს“<sup>15</sup>. მოგვიანებით, პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა სომხეთის ევროპულ იდენტობაზე უფრო მკაფიო განცხადება გააკეთა. 2012 წელს ერევანში ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაზე მან განაცხადა, რომ „სომხეთი ერის წარსული, კულტურა და სამომავლო ამბიციები და იმედები ევროპული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად გვაქცევს“. ამ ნათქვამის კონტექსტია „საერთო ქრისტიანული მემკვიდრეობა“ და „ძირითადი თავისუფლებებისა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პრინციპების ერთგულება“<sup>16</sup>.

პარალელურად აზერბაიჯანის შემხვედრ დისკურსებში ევროკავშირთან და აშშ-თან ქვეყნის ურთიერთობების შესახებ, აზერბაიჯანი განი-

13 Brisku, A., *Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878-2008*, New York, Oxford: Berghahn Books, 2013, p. 163-164.

14 იქვე, გვ. 187-194.

15 Freitag-Wirminghaus, R., *Prospects for Armenia and Azerbaijan between Eurasia and Middle East, The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives*, 2008, p. 60.

16 “Statement by President Serzh Sargsyan at the European People’s Party Convention”, 2012. President of the Republic of Armenia Official Website <<http://www.president.am/en/statements-and-messages/item/2012/10/17/President-Serzh-Sargsyan-convention-European-Peoples-Party-Bucharest-speech/>> [Accessed 11 May 2013].

ხილება, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანა, რომელზეც ორივე ცივილიზაცია ახდენს გავლენას, ხოლო აზერბაიჯანული კულტურა – როგორც აღმოსავლეთის და დასავლეთის სინთეზი<sup>17</sup>. საჯარო დისკურსში აზერბაიჯანი განიხილება, როგორც დიდი ევროპის ნაწილი, თუმცა კულტურის თვალსაზრისით, ევროკავშირი „ქრისტიანულ კლუბად“ მიიჩნევა<sup>18</sup>, რაც ევროპისადმი ენთუზიაზმს ასუსტებს. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევის განცხადებაში ევროკომისიის თავმჯდომარესთან, ჟოზე მანუელ ბაროზუსთან შეხვედრაზე 2011 წელს, სადაც მან განაცხადა, რომ „ჩვენი პოლიტიკის ევროპული ვექტორი ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ... ჩვენ აზერბაიჯანში დემოკრატიზაციისა და კანონის უზენაესობის დამყარებისაკენ და ყველა დემოკრატიული თავისუფლების უზრუნველყოფისაკენ მიმართული კურსის ერთგულნი ვართ“<sup>19</sup>.

ამრიგად, დისკურსულ დონეზე სამივე ქვეყანა, თუმცა განსხვავებული ინტენსივობით, დასავლეთის სივრცესთან და ღირებულებებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებზე აკეთებს განაცხადს, მაგრამ საკუთრივ რეგიონში რეალური ყოველდღიური პოლიტიკის დროს ამ ნორმებისა და ღირებულებების – დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების – თვალსაზრისით ბევრად უფრო პრობლემური და უსწორმასწორო სურათი იხატება.

## დასავლეთის ჩართულობის პარადიგმა

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ორი ათწლეულის განმავლობაში დასავლეთის ყოფნამ რეგიონში ერთგვარად პარადოქსული შედეგები გამოიღო. დასავლეთის ჩართულობა თავისი ინტენსიურობით უპრეცედენტო იყო, რადგან ის რეგიონში ამდენად აქტიური უნინ არასოდეს ყოფილა, მაგრამ სამხრეთი კავკასიის ქვეყნები თავს უსაფრთხოდ მაინც ვერ გრძნობენ (მაგ. ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, შიდა ეთნოკონფლიქტებიდან გამომდინარე), რუსეთთან მიმართებით (განსაკუთრებით საქართველო) და ერთმანეთთან მიმართებითაც (სომხეთი და აზერბაიჯან-

17 Nuriyev, E., Azerbaijan and the European Union: New Landmarks of Strategic Partnership in the South Caucasus-Caspian Basin, Southeast European and the Black Sea Studies, Vol. 8, No. 2, 2008, p. 156.

18 Valiyev, A., Victim of a 'War of Ideologies' Azerbaijan after Russia-Georgia War, Demokrati-zatsya, Vol. 17, No. 3, 2009, p. 273-274.

19 "Press Statement by President Ilham Aliyev and President of the European Commission Jose Manuel Barroso", 22 June 2011. President of Azerbaijan Official Website. <<http://en.president.az/articles/2636/print/>> [Accessed 11 May 2013].

ნი). ამას გარდა, დასავლეთის გავლენას ნორმატიულობის თვალსაზრისით, მაღალი ემელონების მიერ ლამაზად ჩამოყალიბებული რიტორიკის მიუხედავად, ხელშესახები შედეგები არ მოუტანია. ხალხი ამ ქვეყნებში კვლავაც პოლიტიკურად მარგინალიზებულია და პოლიტიკური თავისუფლებებით ვერ სარგებლობს, ხოლო მოსახლეობის უმეტესობა ეკონომიკური შესაძლებლობების მწვავე დეფიციტს განიცდის.

დასავლეთის (ევროკავშირის, აშშ-ისა და ნატო-ს) ჩართულობა სამივე ქვეყანაში, ცხადია, როგორც მრავალმხრივი (რეგიონული), ისე ორმხრივია (მაგალითად, ევროკავშირსაც და ნატო-საც ამ ქვეყნებში თითო, რეგიონული წარმომადგენელი ჰყავთ). როგორც უკვე აღინიშნა, დასავლეთის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული განზომილებამ გავლენა იქონია რეგიონზე და მის ორიენტაციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ცივი ომის შემდგომი პერიოდი აშშ-სა და რუსეთს შორის მეტოქეობით ხასიათდება. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწის, ზბიგნევ ბუჟინსკის განცხადებით, ამერიკა რეგიონში „გეოპოლიტიკური პლურალიზმის“ შენარჩუნებით და რუსეთის აღზევების შეჩერებით იყო დაინტერესებული. ამ მიზნით ნატო-მ 90-იანი წლების დასაწყისში სამივე ქვეყანასთან აქტიური კავშირები დაამყარა<sup>20</sup>, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში. 1999 წელს საქართველო და სომხეთი, ხოლო 2001 წელს აზერბაიჯანიც ევროპის საბჭოს წევრები გახდნენ, რითაც ფორმალურად დიდი ევროპის სტრუქტურებში მათი ინტეგრაცია მოხდა. 2004 წლის ნატო-ს სტამბოლის სამიტზე სამივე ქვეყანა განხილული იყო, როგორც რეგიონი, რომელიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან კომპონენტს „დასავლეთის უსაფრთხოების სტრუქტურებისთვის“<sup>21</sup>. ალიანსის მიერ გამოყენებულ ამ მიდგომას, რომელიც ნატო-ს სპეციალური წარმომადგენლისა და ნატო-ს სამეკავშირეო ოფიცრის თანამდებობების შექმნაში გამოიხატა, მოჰყვა ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარება.

ნატო-ში შესვლის სურვილის შესახებ საქართველომ ნათლად ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს განაცხადა<sup>22</sup>, სააკაშვილის

20 Nuriyev, E., Azerbaijan and the European Union: New Landmarks of Strategic Partnership in the South Caucasus-Caspian Basin, Southeast European and the Black Sea Studies, Vol. 8, No. 2, 2008, p. 164.

21 Freitag-Wirminghaus, R., Prospects for Armenia and Azerbaijan between Eurasia and Middle East, The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives, 2008, p. 53.

22 Priego, A., NATO Cooperation towards South Caucasus, Caucasian Review of International Relations, Vol. 1, No. 2, 2008, p. 1-2.



მმართველობის დროს კი ნევრობისაკენ მისწრაფებამ პიკს მიაღწია. 2004 წლის ბოლოს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) მიიღო, თუმცა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატო-ს განვერიანების სამოქმედო გეგმის ანუ MAP-ის გარეშე დარჩა. ნატო-ს ნევრობის პერსპექტივა საქართველოსთვის რუსეთ-საქართველოს გამანადგურებელი ხუთდღიანი ომის შემდეგ კიდევ უფრო ძნელი მისაღწევი გახდა. „უოლ სტრიტ ჯორნალში“ 2008 წლის 18 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაში ამერიკელი ექსპერტი რონალდ ასმუსი წინასწარმეტყველებდა, რომ ახალი ნევრების მისაღებად ნატო-ს ამჟამინდელი კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, საქართველოს კიდევ ბევრი წელი დასჭირდებოდა<sup>23</sup>. IPAP-ის ფარგლებში 2005 წლიდან ნატო-სთან აზერბაიჯანი და სომხეთიც თანამშრომლობენ, თუმცა მათი მიზნები და ინტერესები საკმაოდ განსხვავებულია. აზერბაიჯანს ურთიერთობების გაღრმავება სურს, რათა თავის საგარეო პოლიტიკაში ძალთა ბალანსი დაიცვას. ერთგვარი ბალანსის დაცვას სომხეთიც ცდილობს, მაგრამ ყველაზე მჭიდროდ ის რუსეთთანაა დაკავშირებული. ზოგადად რომ ვთქვათ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი რეგიონში ნატო-სადმი ნდობის დიდი გამოცდა იყო. რუსეთის შეჭრა საქართველოში მოსკოვის ავტორიტარული მოდელის წარმატებად იქნა აღქმული და გაჩნდა განცდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ამგვარი ქმედების განმეორება კავკასიაში სხვაგანაც იქნება შესაძლებელი<sup>24</sup>.

ნატო-ს როლი რეგიონში ამერიკის საგარეო პოლიტიკის გამომხატველად განიხილება. მისგან განსხვავებით, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ნეიტრალურადაა მიჩნეული<sup>25</sup>. საგარეო ურთიერთობებში ევროკავშირი მსოფლიო მასშტაბის სამოქალაქო ძალის როლში გამოდის და აცხადებს, რომ მესამე ქვეყნებთან ურთიერთობების სამ დონეზე დამყარებით არის დაინტერესებული: დემოკრატიის ხელშეწყობა, ბაზრების ინტეგრაცია და თანამშრომლობა ენერჯეტიკის (უსაფრთხოების) საკითხებში<sup>26</sup>. ევროკავშირის წონა მის

23 <<http://www.rferl.org/content/caucasus-report-georgia-nato/25232112.html>>.

24 Valiyev, A., Victim of a 'War of Ideologies' Azerbaijan after Russia-Georgia War, *Demokrati-zatsya*, Vol. 17, No. 3, 2009, p. 269-283.

25 Nuriyev, E., Azerbaijan and the European Union: New Landmarks of Strategic Partnership in the South Caucasus-Caspian Basin, *Southeast European and the Black Sea Studies*, Vol. 8, No. 2, 2008, p. 164.

26 Borzel, T. and Y. Pamuk, Pathologies of Europeanisation: Fighting Corruption in the Southern Caucasus, *West European Politics*, Vol. 35, No. 1, 2012, p. 82.

ნორმატიულ და სამოქალაქო ძლიერებაში ვლინდება. მნიშვნელოვანია ასევე ერთობლივი პროექტებისა და პროგრამებისათვის შექმნილი „თანამშრომლობის ფონდები“<sup>27</sup>. თუმცა, ქვეყნებზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე, ევროკავშირის გავლენა ძლიერდება მაშინ, თუკი რეალისტური ჩანს ბლოკის და მისი პოლიტიკური ინსტიტუტების წევრობის პერსპექტივა. მაგრამ ეს შესაძლებლობა 2004 წლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში არ ყოფილა გათვალისწინებული. ევროკავშირის დაინტერესება ამ რეგიონში<sup>28</sup> გამოიხატა ახლო საზღვარგარეთში ინდივიდუალურ მიდგომებსა და სამოქმედო გეგმებზე დამყარებული „მეგობრების წრის“ შექმნის სტრატეგიული მიზნით<sup>29</sup>, რომელშიც დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა სწორ მმართველობას<sup>30</sup>.

„ევროპის წევრობის“ შესახებ ლოზუნგების მიღმა, ევროკავშირში განწევრიანების პერსპექტივა დიდი საფასურის გაღებას ითვალისწინებს ადაპტაციის თვალსაზრისით და ძალიან ძნელი წარმოსადგენია ეს ამ ქვეყნებში ახლო მომავალში მოხდეს. ამ სამი ქვეყნიდან, საქართველოს ამ მხრივ ყველაზე მკაფიო პოზიცია აქვს. ამასთან, ევროკავშირზე ის უფრო დამოკიდებული ჩანს (ეკონომიკურად/ფინანსურად). აზერბაიჯანი გაზისა და ნავთობის საბადოებითაა მდიდარი და ფაქტობრივად თავად ევროკავშირს სურს, ამ რესურსებზე ხელი მიუწვდებოდეს, სომხეთს კი მჭიდრო (ეკონომიკური და სამხედრო) ურთიერთობები აქვს რუსეთთან. ამდენად, დემოკრატიის ევროკავშირისეულ სტანდარტებთან მიახლოების პერსპექტივა, როგორც ჩანს, უკეთეს შემთხვევაში, შორეულია. საქართველოში მომხდარ ცნობილ „ვარდების რევოლუციას“ ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაცია არ მოუხდენია. წარმოიქმნა ავტორიტარიზმისაკენ მიდრეკილი ჰიბრიდული რეჟიმი<sup>32</sup>, მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“

27 Manoli, P., Where Is the Black Sea Regionalism Heading?, Southeast European and the Black Sea Studies, Vol. 10, No. 3, 2010, p. 330.

28 Nuriyev, E., Azerbaijan and the European Union: New Landmarks of Strategic Partnership in the South Caucasus-Caspian Basin, Southeast European and the Black Sea Studies, Vol. 8, No. 2, 2008, p. 155.

29 European Commission. 2004. "European Neighbourhood Policy – Strategy Paper", COM(2004)373, p. 4.

30 Borzel, T. and Y. Pamuk, Pathologies of Europeanisation: Fighting Corruption in the Southern Caucasus, West European Politics, Vol. 35, No. 1, 2012, p. 82.

31 Manoli, P., Where Is the Black Sea Regionalism Heading?, Southeast European and the Black Sea Studies, Vol. 10, No. 3, 2010, p. 327.

მმართველობა დაასრულა და ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნება“ მოიყვანა, ქვეყანაში დემოკრატიის დამყარების ფრთხილი იმედები კვლავ გააღვივა. მდგომარეობა უარესია სომხეთში და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანში. პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები შეზღუდულია, ხოლო კანონის უზენაესობა ინსტიტუციონალიზებული არაა<sup>33</sup>. ერთადერთი ასპექტი აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად ვითარდება, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობაა. დანარჩენი ასპექტები, მაგალითად, დემოკრატიზაცია და კონფლიქტის მოგვარება, ბევრად უფრო პრობლემატურია<sup>34</sup>.

## დასკვნა

„დასავლეთი“ თავისი მრავალრიცხოვანი მოთამაშეებითა და შესაძლებლობებით, როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობაში მეტ სარგებელს ნახულობს. ეს განსაკუთრებით ეხება ევროკავშირს და მის ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს იკმაყოფილებს. თვით სამხრეთი კავკასიის ქვეყნებს კი, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, დასავლეთის ჩართულობისაგან რეალურად ხელშესახები სარგებელი არ უნახავთ, თუ პოლიტიკური ელიტების მცირე ნაწილს არ მივიღებთ მხედველობაში. დასავლეთის ჩართულობის ნაკლებობით, რეგიონი უფრო დემოკრატიული, უსაფრთხო და განვითარებული არ გამხდარა. მიუხედავად ამისა, დასავლეთი რეგიონისათვის ერთადერთია, ვინც როგორც გეოპოლიტიკურ, ისე ნორმატიულ განზომილებებს სთავაზობს, ისევე, როგორც ენას, რომელიც თითოეული საზოგადოების განვითარების საშუალებას იძლევა. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, რეგიონში დასავლეთის ჩართულობის გაღრმავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

32 Franke, A. et al., The European Union's Relations with Ukraine and Azerbaijan, Post-Soviet Affairs, Vol. 26, No. 2, 2010, p. 171.

33 Borzel, T. and Y. Pamuk, Pathologies of Europeanisation: Fighting Corruption in the Southern Caucasus, West European Politics, Vol. 35, No. 1, 2012, p. 84-93.

34 Nuriyev, E., Azerbaijan and the European Union: New Landmarks of Strategic Partnership in the South Caucasus-Caspian Basin, Southeast European and the Black Sea Studies, Vol. 8, No. 2, 2008, p. 155.



# II

**საქართველო:**

**მღელვარე გარდამავალი ეზაპი**



# საქართველოს პოლიტიკური ბრუნვა

## 2012 წლის არჩევნებზე და მის შედეგზე

ივლიანე ხაინდრავა

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში არ იყო სამართლიანი. მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, რომელიც არსებითად ერთი წლით გაიწელა, ოპოზიცია ნამდვილ დევნას განიცდიდა ხელისუფლების მხრიდან – პოლიტიკურს, ფინანსურს, მორალურ-ფსიქოლოგიურს. ეს რომ არა, არჩევნები გაცილებით უფრო დამაჯერებელი სხვაობით დასრულდებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. და მაინც – ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ფაქტი ერთმნიშვნელოვნად დადებითია და ასეთადვე აღიქმება საყოველთაოდ. ეს გარემოება კი აცოცხლებს საერთაშორისო ინტერესს ქვეყნის მიმართ და უნარჩუნებს შანსს, რათა საქართველომ თვალსაჩინო როლი ითამაშოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსეულის ფორმატში.

### ახალი ჩაღივება

„მიშა მაგარია“ და „ძირს მიშა“ ბანაკებს შორის შავ-თეთრი დაპირისპირება არჩევნების შედეგად უფრო მრავალფეროვანმა პალიტრამ შეცვალა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დღის წესრიგი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფ და კარდინალურ გაუმჯობესებაში მდგომარეობს. სამოქალაქო საზოგადოების დღის წესრიგში პრიორიტეტული ადგილი დემოკრატიზაციასა და დეცენტრალიზაციას უკავია, „ვარდების რევოლუციის“ მოდერნიზაციული პროექტის მიღწევების შენარჩუნება-განვითარებით. დასუსტებული და შეკუმშული, მაგრამ მაინც მებრძოლი „ნაციონალური მოძრაობის“ რევანშისტული დღის წესრიგი ითვისისწინებს ძალაუფლების დაბრუნებას იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს მოხერხდება. არამც თუ არ გამქრალა, არამედ ძალას იკრებს რეაქციული (ფსევდომართლმადიდებლურ-ტრადიციონალისტური, ანტიგლობალისტური, თუ გნებავთ – ანტი-

დასავლური) დღის წესრიგიც. ხოლო პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქვეყანას, წარმატებით უნდა გაართვას თავი პირველ ორ დღის წესრიგს, რათა გააუვნებელყოს რევანშისტული და რეაქციული – ეს N5 დღის წესრიგია.

ამოცანას ართულებს ის, რომ როგორც ახალი საპარლამენტო უმრავლესობა, ისე მთავრობაც კოალიციურია როგორც ფორმალურად, ისე თავისი არსით. ეს – სიახლეა, რომელიც ერთდროულად რისკებისა და პოზიტივის შემცველია. რისკი ისაა, რომ კოალიციის შიგნით არ არის იდეოლოგიური ერთობა და რიგ საკითხებზე შეინიშნება უთანხმოება როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში. მეორე მხრივ კი, კოალიციის არსებობის ფაქტი ამცირებს ახალი ავტორიტარიზმის აღმოცენებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს.

ვნახოთ, თუ რა შედეგები მოიტანა განვლილმა საპარლამენტო არჩევნებმა მოკლევადიან პერსპექტივაში (უფრო შორეული პროგნოზის გაკეთება ნაადრევია). გამოვყოფ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ტრენდს.

## „დენაციონალიზაცია“

საკაპიული-ნაციონალური მოძრაობის მმართველობის წლებში (ხალხი მათ „ნაციონალებს“ უძახდა და აქედან მოდის ტერმინი „დენაციონალიზაცია“) პოლიტიკური, საკონსტიტუციო და საკანონმდებლო პროცესი, სამართალწარმოება, ადგილობრივი თვითმმართველობა, ტელემედია, მსხვილი ბიზნესი, განათლება, სპორტული ფედერაციებიც კი – ყველაფერი სახელისუფლებო პარტიის კონტროლქვეშ მოექცა და მის ინტერესებს ემსახურებოდა. ეს მდგომარეობა საბჭოთა დროინდელი „პარტიულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების“ ასოციაციას იწვევდა, როცა სახელმწიფოსა და მმართველი ორგანიზაციის შერწყმა მართლაც რომ უსაზღვრო, ხოლო სახელმწიფო ორგანოების პოლიტიზაციის ხარისხი აბსოლუტური იყო. ამდენად, „დენაციონალიზაციის“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფოსა და მმართველი პოლიტიკური ძალის გამიჯვნის პროცესი, სახელმწიფო სტრუქტურების დეპოლიტიზაცია. ეს ეხება არა მხოლოდ ძალოვან უწყებებს, რომელთა პოლიტიზაციას ისედაც კრძალავს კონსტიტუცია, არამედ – სასამართლოებს, ზოგადად საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს, მაგალითად – განათლების სისტემას. ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ გაურკვეველია, უნერია თუ არა მას ლოგიკური დასრულება, რადგან ახალ მმართველ ძალას უჩნდება ბუნებრივი ცდუნება, რომ არა მხოლოდ გაანთავისუფლოს სახელმწიფო სტრუქტურები „ნაციონალების“ გავლენისგან, არამედ თავად დაეუფლოს ყოვ-



ლისმომცველი გავლენის ბერკეტებს. ადგილებზე ხელისუფლების ცვლა არჩევნების გზით არ მიმდინარეობს (შემდეგი მუნიციპალური არჩევნები 2014 წელს უნდა გაიმართოს).

მონოლითური, ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე შსს – წინა ხელისუფლების დანატოვარი – ქმედითი ინსტრუმენტია ახალი ხელისუფლების ხელშიც და ჯერ არ გამოჩენილა კონტურები ჭარბი უფლებამოსილებების ჩამორთმევის გზით მისი გონივრულ ჩარჩოებში მოქცევისა.

ამდენად, არსებობს საფრთხე, რომ განხორციელდება არა შეცვლა, არამედ ჩანაცვლება, თუმცა არსებობს საფუძვლიანი იმედიც, რომ უწინდელივით საყოველთაო ერთპარტიული მონოპოლიის დამკვიდრება ვერ მოხერხდება.

## კუპანიზაცია

საკაპშული-ნაციონალური მოძრაობის თანამიმდევრული გაბოროტება საკუთარი ხალხის მიმართ აშკარა იყო: 2007 წლის 7 ნოემბერს დემონსტრანტებს სცემდნენ, ხოლო 2011 წლის 26 მაისს მათ უკვე კლავდნენ ცემით. რეჟიმი განუხრელად დეგრადირებდა რეპრესიული პოლიციური სისტემისკენ, როცა 100 ათას მოსახლეზე პატიმრების რიცხვით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ევროპაში, სასამართლოებში გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა „საბჭოთა მართლმსაჯულების“ დროინდელს, ეჭვმიტანილთათვის თავისუფლების წინასწარი აღკვეთა გადაიქცა ნორმად, საპროცესო გარიგებითა და ჯარიმის გადახდით თავისუფლების შენარჩუნება ასიათასობით ადამიანის ხვედრი გახდა, ხოლო ქვეყანაში პოლიტიკური საბაბით დაპატიმრებულთა არსებობას უარყოფდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ამის დანახვა და აღიარება არ სურდა.

ახალმა ხელისუფლებამ განახორციელა მასშტაბური ამნისტია (ზოგის აზრით, ზედმეტად მასშტაბურიც) – და ორი ასეული პოლიტიკური პატიმრის რეაბილიტაცია მოახდინა (ზოგის, მათ შორის – ვენეციის კომისიის წარმომადგენელთა აზრით, ყოველი რეაბილიტირებული სრულად არ პასუხობდა პოლიტიკური პატიმრის კრიტერიუმებს). გაუქმდა დანაშაულის უპირობო შეკრებითობის უმკაცრესი პრინციპი. წინა რეჟიმის იმ დაახლოებით 250 მაღალი რანგის მოხელიდან, ვისაც წაუყენეს ბრალდება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, საბიუჯეტო სახსრების უკანონო ხარჯვის, ბიზნესმენებისგან ფულის გამოძალვის, კერძო საკუთრების უფლების შელახვისა და სხვა, როგორც წესი – თანამდევ-

ბობრივი დანაშაულისთვის, უმრავლესობა კვლავაც გარეთაა, რადგან ან გირაო შეეფარდათ, ან გაუსვლელი ხელწერილი დადეს, ან კი სასამართლომ სულაც უარი უთხრა პროკურატურას აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე. ამიტომ, ისინი, ვინც ახლა ალაპარაკდნენ „შერჩევით სამართალსა“ თუ „პოლიტიკური მოტივებით დევნაზე“ მათ მიმართ, ვინც წლების მანძილზე თავად ახორციელებდა შერჩევით სამართალს და სწორედაც რომ პოლიტიკური მოტივებით დევნიდა ოპონენტებს, ხალხს მხოლოდ აღიზიანებენ. და მაინც – მიუხედავად იმისა, რომ გასაგებია იმ ადამიანების განცდები, ვინც ქუჩაში თუ ტელეეკრანებზე ხედავს მათ, ვინც გააუბედურა მრავალი ოჯახი, დღევანდელი ვითარება სჯობს გუშინდელს – გნებავთ მორალურად, გნებავთ – სამართლებრივად.

რაც მთავარია (ბევრს ეს 1 ოქტომბრის მთავარ მიღწევად მიაჩნია), საზოგადოებაში გაქრა შიში. ადამიანებს აღარ ეშინიათ პროტესტის გამოხატვის, აღარ ერიდებიან დემონსტრაციასა თუ გაფიცვას იმის შიშით, რომ მათ დაითხოვენ სამსახურიდან, სცემენ, ყალბი ბრალდებით დააპატიმრებენ, ხოლო ციხეში დაამცირებენ და აწამებენ. გაქრა განცდა იმისა, რომ ყველას უკანონოდ უთვალთვლებენ, უსმენენ, ფირზე აღბეჭდავენ მათ პირად ცხოვრებას ან სულაც ვიდეო თუ აუდიომონტაჟის მეშვეობით ქმნიან „მაკომპრომეტირებელ“ მასალებს და ამით აშანტაჟებენ. თუმცა, ახალი ხელისუფლების ჰუმანურ აქტებს მეორე მხარეც გააჩნია: ათიათასობით თავისუფლებადაბრუნებულ ადამიანს მცირე შესაძლებლობა თუ აქვთ სამუშაოს შოვნისა. ათასობით სხვა – ვინც უკანონოდ წართმეული საკუთრების დაბრუნებას ითხოვს – იმგვარ ვითარებაში ამოჰყოფს ხოლმე თავს, როცა მათმა საკუთრებამ რამდენჯერმე გამოიცვალა მესაკუთრე და ამჟამად კეთილსინდისიერი მესაკუთრის ხელში აღმოჩნდა, რაც უკიდურესობამდე ართულებს სამართლიანი გადანყვეტილების პოვნას. საშუალო და დაბალი თანრიგის სახელმწიფო მოხელეებს, ვინც ასე თუ ისე გარეული აღმოჩნდა სააკაშვილის რეჟიმის უკანონო საქმიანობაში, ხელს, როგორც ჩანს, არ ახლებენ – წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ბიუროკრატიული სისტემა ქვეყანაში შეიძლება ჩამოიშალოს. ანუ „სამართლიანობის აღდგენა“ სრული მასშტაბით ვერ მოხერხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იმედგაცრუებულთა და უკმაყოფილოთა რიცხვი გაიზრდება. იმავდროულად, „სამართლიანობის აღდგენას“ მეორე მხარეც აქვს – აღსაკვეთია ქვეყანაში ახალი უსამართლობა და ვითარებაც უკეთესობისკენ შემობრუნდება.

## ქოჲაიგაზი

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ქვეყნისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა „ოპოზიციონერი-პრეზიდენტის“ ფენომენი. იმის შედეგად, რომ სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა ცხრა წლის მანძილზე სათავისოდ (და არა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე) ჭრიდა და კერავდა კონსტიტუციას, პრეზიდენტ-ოპოზიციონერმა შეინარჩუნა ეროვნული უშიშროების საბჭო, შეწყალების უფლება, ელჩების დანიშვნისა და გამონწვევის უფლება, საკანონმდებლო ვეტოს უფლება, რეგიონებში რწმუნებულების დანიშვნის უფლება. მის გავლენას კვლავინდებურად განიცდიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლოები (მოსამართლეთა კორპუსი მთლიანად და-კომპლექტდა „ნაციონალური მოძრაობის“ ფავორიტებით), საკონსტიტუციო სასამართლო, სახელმწიფო აუდიტი, ე.წ. დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტოები, საზოგადოებრივი მაუწყებელი...

რაც განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი, „ნაციონალური მოძრაობის“ კონტროლს კვლავინდებურად ექვემდებარება თბილისის მერია, რომელიც ავტონომიურია არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ფინანსურადაც. ყველა ამ ბერკეტს სააკაშვილი სათავისოდ იყენებდა, თანაც მოქმედებდა პრინციპით „რაც უფრო უარესი, მით უკეთესი“, ანუ – რაც უფრო უარესი ქვეყნისთვის, მით უკეთესი მისთვის. ამგვარი მიდგომა, რომელიც ახალი ხელისუფლების ლამის ნებისმიერი წამოწყების საბოტაჟსა და გათათხვავაში ვლინდებოდა, სცილდებოდა სახელმწიფოებრივი აზროვნების ყველა ჩარჩოს, რომელიც თითქოსდა უნდა გააჩნდეს სახელმწიფო მოღვაწეს. პრეზიდენტ-ოპოზიციონერის პირით ახალი ხელისუფლების, ელექტორატის, ყველას და ყველაფრის ლანძღვა-გინება იმ მიღწევებსაც კი უთხრიდა ძირს, რაც უშუალოდ მის სახელს უკავშირდება.

ორხელისუფლებიანობის ფანტომი, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა დინამიკაზე ეკონომიკის სფეროში, უფრო სწორად კი – ასეთის არარსებობაზე. ადგილობრივი ბიზნესმენები გაირინდნენ, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის ხანაში დიდი ფული (საქართველოს მასშტაბით) პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთქმედებაში კეთდებოდა მხოლოდ, თანაც – მეტად ან ნაკლებად სამართლებრივი ველის მიღმა (ელიტარული კორუფცია). ხელისუფლების შეცვლის შემდგომ, ფულის პატრონებს, ანუ – პოტენციურ რეინვესტორებს – ეშინოდათ მისი გამოჩენა, რადგან არ იცოდნენ, თუ როგორ შეუტრიალდებოდათ ყოფილ მთავრობაში მათი მფარველების წინააღმდეგ აღძრული საქმეები.

უცხოელი ინვესტორები კი ფრთხილობდნენ, ჯერ ერთი, ყბადალებული ორხელისუფლებიანობის გამო, რადგან ფულის ჩაღება იქ, სადაც შეიძლება კრიზისი განვითარდეს (ამას კი მიზანმიმართულად უჩიჩინებენ რადიკალი „ნაციონალები“ და თავად სააკაშვილი), ეწინააღმდეგება საღ აზრს. მეორეც: ახალი მთავრობის ეკონომიკური პრიორიტეტები ვერა და ვერ გამოიკვეთა, ხოლო მნიშვნელოვანი სახსრების სოფლის მეურნეობაში მიმართვა (რომელიც მართლაც მოითხოვს საგანგებო ყურადღებას მთავრობისგან) მკაფიო, წლებზე გათვლილი კონცეფციის გარეშე, ბოლომდე დამაჯერებლად ვერ გამოიყურება.

მიუხედავად ამისა, ორხელისუფლებიანობა საქართველოში მაინც უფრო პირობითი ხასიათის იყო. მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელიც განუხრელად ეპატრონებოდა ქვეყნის მართვის სადავეებს, ხოლო აქა-იქ დარჩა ძველი ხელისუფლების ფრაგმენტები, რომლებიც საკუთარი მნიშვნელობის წარმოჩენის მიზნით ცდილობდნენ ისე დაეხატათ ვითარება, თითქოს ქვეყანა სადაცაა კრიზისის მორევში გადაეშვებოდა, თუკი ისევ „ნაციონალები“ არ იმძლავრებდნენ. ამ მდგომარეობამ 2013 წლის ოქტომბრამდე გასტანა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ – როცა ვადაგასული სააკაშვილი გიორგი მარგველაშვილმა შეცვალა – კოჰაბიტაცია ფორმალურად დასრულდა (უფრო მართებული იქნება იმის თქმა, რომ იგი სხვა განზომილებაში გადავიდა) და თანდათან სულ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ის, თუ რა კვალი დატოვა ამ რთულმა და გარკვეულწილად გროტესკულმა პროცესმა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე.

## შედეგები

ხელისუფლების შეცვლა ბუნებრივად იწვევს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კორექციას; თანაც, რაც უფრო მყიფეა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, მით უფრო კარდინალურია არჩევნების შემდგომი ცვლილებები. საქართველოს შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი იმის თაობაზე, რომ ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, ჩამოყალიბდა მემკვიდრეობითობა ტიპოლოგიურად განსხვავებულ ხელისუფლებებს შორის. ეს თვალნათლივ გამოჩნდა საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 7 მარტის რეზოლუციაში, რომელსაც ერთსულოვანი მხარდაჭერა ხვდა წილად როგორც ახალი, ისე ძველი ხელისუფლების (ამჟამინდელი ოპოზიციის) მხრიდან და რომელიც ადასტურებს საქართველოს პროდასავლური კურსის ურყეობას. ამ კურსს კი საფუძველი ჩაეყარა 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას.

სააკაშვილის დროს დასავლურმა ვექტორმა ერთგვარი პოლიტიკური აგრესიულობაც კი შეიძინა, რასაც თავდაპირველად ხელი შეუწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პირველი წლების წარმატებულმა გარდაქმნებმა. მაშინ საქართველო გახდა პოსტსაბჭოთა სივრცის ლიდერი ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების ტემპების მიხედვით. თუმცა, გარკვეული დისბალანსი იმთავითვე შეიმჩნეოდა: ფსონი ნატო-ზე გაკეთდა (სააკაშვილის მთავრობა ტრადიციულად უკავშირებდა თავის იმედებს ვაშინგტონს), ხოლო ევროკავშირთან დაახლოება, ირიცხებოდა რა ფორმალურად დღის წესრიგში, არსებითად ბლოკირებულ იქნა კახა ბენდუქიძის (კვაზი)ლიბერტარიანული მიდგომებით. საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების ამ იდეოლოგსა და მამოძრავებელ ძალას ხომ არასდროს დაუმაღლავს თავისი სკეპტიკური დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ. კვანძი 2008 წელს გაიხსნა, როცა ჯერ ნატო-ს ბუქარესტის სამიტმა უარი უთხრა საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმაზე (რის სანაცვლოდაც ერთობ ბუნდოვანი დაპირება მისცა იმის თაობაზე, რომ ოდესმე საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი), ხოლო აგვისტოს ომმა რუსეთთან გამოაშკარავა სააკაშვილის პოლიტიკის მანკიერება, რომელმაც ყველგან და ყველგან გააძაბა შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები. ევროპამ, რომელიც იმ დროს უკვე შედიოდა საფინანსო კრიზისის სტადიაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფუყე პროექტის გარდა ვერაფერი შვა (თუმცა, კი სერიოზული წილი გაიღო საქართველოსთვის 4.5 მილიარდი დოლარის ოდენობის შემწეობაში პოსტსაბჭოთა რეაბილიტაციისთვის), ხოლო თეთრ სახლში ადმინისტრაციის შეცვლას თან მოჰყვა აღტაცებული რიტორიკის ჩანაცვლება გაცილებით უფრო მოზომილით. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში საქართველო ვეღარ მიუახლოვდა ომამდელ საგარეოპოლიტიკურ პოზიციებს.

შედეგად კი, ხელისუფლებაში მოსულ კოალიციას საკმაოდ წინააღმდეგობრივი მემკვიდრეობა ერგო წილად: ნატო-ში წევრობა მირაჟს მოგვაგონებს, ხოლო ევროკავშირთან დაახლოებაში რიტორიკა მეტი აღმოჩნდა, ვიდრე საქმე. თავისი ფავორიტისთვის ჯორჯ ბუშის დანატოვარიც კი – აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია – არ აღმოჩნდა მოთხოვნილი სააკაშვილის მთავრობის მიერ. არის ნიშნები იმისა, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, კოალიცია და მისი ლიდერები საქმეზე უფრო არიან ორიენტირებულნი, ვიდრე სიტყვებზე, მაგრამ საერთაშორისო კონიუნქტურა მათთვის არასახარბიელოა – ერთი მხრივ, სააკაშვილის ექსცენტრულობამ და

„პრობლემატიკადობამ“ დალაღა დასავლეთი, მეორე მხრივ კი, ივანიშვილი მისთვის აუხსნელ ფენომენად დარჩა, რაც ამცირებს ენთუზიაზმს საქართველოს მიმართ. სიცხადეს მოკლებულია, კერძოდ, ივანიშვილის დაპირება (რომლის ხორცშესხმაც, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, მის მემკვიდრეებს მოუწევთ) რუსეთთან ურთიერთობების „დალაგების“ შესახებ ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ქვეყნის სტრატეგიულ ევროატლანტიკურ არჩევანს, რისი მიღწევის გზები კვლავაც გაურკვეველია. თბილისის პოზიტიური სიგნალების საპასუხოდ, მოსკოვი რეაგირებს შერჩევით, რითიც იმის დემონსტრირება სურს, თითქოს არაფერი განსაკუთრებული თბილისისგან აღარ სჭირდება (რაც უნდოდა – სააკაშვილის დროს მიაღწია) და თუკი თბილისს მართლაც სერიოზული ზრახვები აქვს, მაშინ რამე სერიოზულივე უნდა მიიტანოს სამსხვერპლოზე. სერიოზულად კი არსებულ ვითარებაში იგი სწორედ თბილისის ზემოხსენებულ სტრატეგიულ კურსს აღიქვამს. გამორიცხული არაა, რომ სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ, მოსკოვი კიდევ უფრო გაამკაცრებს საკუთარ პოზიციას.

### **მთავარი გამოწვევა: პოლიტიკის დეპერსონალიზაცია**

საქართველო მრავალი ძველი თუ ახალი გამოწვევის წინაშე დგას – საშინაო იქნება ის თუ საგარეო. ვითარებაში, როცა მიზეზთა გამო პირდაპირი დასავლური დახმარების პოტენციული კლებადია, საშინაო რესურსებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ახალ შიდაპოლიტიკურ რეალიებთან დაკავშირებული მთავარი კითხვა კი შემდეგში მდგომარეობს: რამდენად წარმატებული იქნება კოალიცია დემოკრატიზაციის განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დინამიკური გაუმჯობესების სინქრონულად უზრუნველყოფის საქმეში? ანუ მოახერხებს თუ არა კოალიცია სრულყოფილი სახის მიცემას ახალი სახელმწიფოებრივი პროექტისთვის, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „მოდერნიზაცია პლუს დემოკრატიზაცია“ (განსხვავებით სააკაშვილისეული პროექტისგან „მოდერნიზაცია მინუს დემოკრატიზაცია“).

მთავარი გამოწვევა კი, რომელიც ქრონიკული გახდა საქართველოსთვის, ხელისუფლების ჭარბ პერსონიფიკაციაში მდგომარეობს. კოალიციას, მისი ჩამოყალიბების მომენტიდან და ახალი პრეზიდენტის არჩევამდე (რასაც ივანიშვილმა პოლიტიკიდან წინასწარ გაცხადებული წასვლა დაამთხვია), კვლავ ერთი კაცი განასახიერებდა. 2013 წლის მიწურულს ვითარება თვისებრივად შეიცვალა – ივანიშვილმა უფლებაგაზრდილ პრემიერად და უფლებამუკვეცილ პრეზიდენტად „არაქარიზმატული“

ფიგურები დატოვა და საგონებელში (უჩვეულო ვითარებაში) ჩააგდო როგორც თავისი მომხრეები, ისე მონინალმდეგეებიც. თუკი შემდეგი საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფლების პერსონიფიკაცია, მესიის მოლოდინი („გვეშველება რამე?“) და ერთ კაცზე აგებული პოლიტიკური სივრცე მართლაც საბოლოოდ გადაილახება, ინსტიტუციური სიმყარე კი მოიმატებს, მაშინ შესაძლებელი იქნება საუბარი იმაზე, რომ არც მემკვიდრეობითობას, არც დენაციონალიზაციას, არც ჰუმანიზაციას და არც კოჰაბიტაციას არ ჩაუვლიათ უკვალოდ და ქვეყნის მიერ განვლილი გზა წინსვლის გზა ყოფილა.

# რას ვაქეთებთ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიის განვითარებისათვის საქართველოს კოვალეჩუსკი მეგალითი

ჩარლზ ფერბენქსი

ღასავლეთი, უკვე ოცი წელია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს და უპირიანი იქნებოდა კრიტიკულად შეგვეფასებინა, თუ რას ვაკეთებთ და რამდენად წარმატებულად. უპირველეს ყოვლისა იმის შეფასება მსურს, თუ რამდენად ადეკვატური იყო დასავლეთის ძალისხმევა ადგილობრივი საზოგადოების წინაშე მდგარი ერთი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაში, შემდეგ კი ჩვენი ძალისხმევის ადეკვატურობაზე უფრო ფართო თვალთახედვით ვისაუბრებ.

სირთულეებთან გამკლავების ადეკვატურობაზე თუ ვისაუბრებთ, ჩემი მოკლე პასუხი უარყოფითი უნდა იყოს. ვეცდები, ეს დასკვნა თბილისის ცენტრში მომხდარი ძალადობის ერთი მახინჯი აქტის მეშვეობით განვამტკიცო. ეს შემთხვევა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციამდე ორ კვირაზე ოდნავ მეტი ხნით ადრე მოხდა. შეიძლება, ეს სტატია მომავალში სხვა ქვეყნებშიც წაიკითხონ, ამიტომ ამ მოვლენის შესახებ, რომელმაც თავის დროზე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, აუცილებელია წინასწარი ინფორმაცია აქაც მოგანოდოთ. ლგბტ უფლებების დასავლური კონცეფციის რამდენიმე აქტიურმა მხარდამჭერმა გადაწყვიტა, 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, ქალაქის ცენტრში მსვლელობა ჩაეტარებინა. მონაწილეების რაოდენობა 20-30 ადამიანი თუ იქნებოდა, მაგრამ საქართველოში ასეთი მოტივით საჯაროდ გამოჩენისთვის ჯერჯერობით დიდი გამბედაობაა საჭირო. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საპირისპირო აქციაზე საეკლესიო ტანისამოსში შემოსილი მღვდლების მეთაურობით 5-დან 10 ათასამდე ადამიანს მოუყარა თავი. ლგბტ უფლებების დასაცავად მსვლელობაზე გამოსული ადამიანები მათ სასტიკად დაარბიეს, სუპერმარკეტში ორი ადამიანი დაატყვევეს, შუშები ჩაამსხვრიეს „მარშრუტკებში“, რომლებითაც პო-



ლიცია ადამიანების ბრბოსგან გარიდებას შეეცადა. მსვლელობაში მონაწილე სტუდენტებმა ეკლესიის მიერ ორგანიზებულ საპასუხო აქციას „შემაძრუნებელი“ უწოდეს.

უთანხმოება ამ დემონსტრაციის ჩატარების თაობაზე წინასწარვე წარმოიშვა. შეტაკებების თავიდან ასაცილებლად პრემიერმინისტრმა ივანიშვილმა 14 მაისის პრესკონფერენციაზე განაცხადა: „სექსუალური უმცირესობები, მრავალჯერ განმიცხადებია მე, ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორსაც ჩვენ წარმოვადგენთ. ... საზოგადოება ჩვენი ნელ-ნელა ამას შეეჩვევა“<sup>1</sup>.

საპასუხოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა, რომლის რეიტინგიც საქართველოში ნებისმიერ სხვა ლიდერზე ბევრად უფრო მაღალია, 16 მაისს საყურადღებო განცხადება გააკეთა: „ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციული აზროვნების მიუხედავად, მათ [სექსუალური უმცირესობებს] შეუზღუდავად შეუძლიათ წარმართონ თავისი პირადი ცხოვრება. ... ეკლესია ... ასეთი მიდრეკილებების მქონე ადამიანებს მეტად ძვირად ცოდვაში მყოფ აზროვნებებზე განიხილავს, რომლებსაც დახმარება და გამოსწორებისათვის სულიერი თანადგომა სჭირდებათ და არა ნახალისება და, მით უმეტეს, მათი მდგომარეობის მოსახლეობისათვის თავს მოხვევა. ... ჩვენი მოქალაქეები ამაში [დაგეგმილ დემონსტრაციაში] ხედავენ უმრავლესობის უფლებების დარღვევას და, ზოგადად, ტრადიციების, რელიგიისა და აზროვნების წესის შეურაცხყოფას...“<sup>2</sup>.

## პატრიარქი, ნახორნაწილი და საჯაროების ნოსტალიგია

რა ამოძრავებდა პატრიარქს, როცა ამ განცხადებას აკეთებდა? ცხადია, ჰომოსექსუალობის მიუღებლობა, მაგრამ რა პოზიციებიდან? „ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციული აზროვნების“ პოზიციიდან? ციტატაში ნახსენები რელიგია და ცოდვა თითქოს დაგვიანებით გაახსენდა. იმ დროს, როცა ჰომოსექსუალობის წინააღმდეგ ბიბლიიდან და თეოლოგიური ნაშრომებიდან უამრავი გამონათქვამის მოყვანა შეიძლება, ფრაზა „ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული“ უცნაურად რბილი და უმწეო ჩანს. პატრიარქის განცხადებაში ნათქვამია ის, რაც თანამედრო-

1 „პრემიერმინისტრი ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციაზე კომენტარს აკეთებს“, ინტერნეტურნალი Civil Georgia <[civil.ge/geo/article.php?id=26881](http://civil.ge/geo/article.php?id=26881)>.

2 „პატრიარქი სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერი აქციის გაუქმებისკენ მოუწოდებს“, ინტერნეტურნალი Civil Georgia <[civil.ge/geo/article.php?id=26889](http://civil.ge/geo/article.php?id=26889)>. ხაზგასმა ჩემია.

ვე ქართული მართლმადიდებლობის უფრო ახლოს გაცნობის შედეგად დასტურდება: მართლმადიდებელი ქრისტიანობის დაცვა მთლიანად „ქართული ფასეულობების“ დაცვასთანაა შერწყმული. „ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციული აზროვნება“, როგორც ნებისმიერი სხვა ეროვნული მსოფლმხედველობა, მრავალი წყაროდან მომდინარე და ერთ ნაკადში გაერთიანებული მრავალი ტრადიციისა და გავლენისაგან შედგება. საქართველოს შემთხვევაში, ეს ნაკადი ისლამური კულტურის, რუსული კულტურისა და საბჭოთა კომუნისტური აზროვნების ნარჩენების ნაზავია. ამ უკანასკნელის ზოგმა ასპექტმა 70 წლის განმავლობაში იმდენად ღრმად გაიდგა ფეხები, რომ უფრო ადრინდელი პერიოდის ქართული კულტურისაგან მათი გამორჩევა იოლი არ არის. თანამედროვე ეკლესიაში ეს ყველაფერი ქრისტიანობაშია აღრეული.

პატრიარქის განცხადება არა მხოლოდ მომავალი სოციალური ცვლილებების წინააღმდეგაა მიმართული, არამედ უკვე მომხდარი სოციალური ცვლილებების მიუღებლობით გამონვეულ გულისწყრომასაც გამოხატავს. თუ საპატრიარქოს ტელევიზიას თვალს მიაღვენებთ, ღვთისმსახურებასა და ქადაგებებსაც მოისმენთ, მაგრამ უფრო ხშირად ის ძველ საბჭოთა ფილმებს უჩვენებს, თუმცა კადრები, რომლებშიც ეკლესიის მსახურები ქურდებად და გარყვნილებად არიან გამოყვანილი, აუცილებლად ამოჭრილია ხოლმე. სამაგიეროდ, უჩვენებენ, მოხუცი მწყემსები მთაში რა მძიმე შრომას ეწევიან. საქართველოშიც, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, რელიგია ნაწილობრივ საბჭოთა წარსულს დანატრებული ადამიანების თავშესაფარი გახდა. ნოსტალგია მთაში მეცხოველეობასთან დაკავშირებულ მძიმე შრომაშიც ბევრია: ცხოვრების ამ სტილის მიმართ სევდიანი მოგონებების აღძვრა ადვილია, რადგან რეალობაში დროის უკან დაბრუნება შეუძლებელია. ეკლესიამ ჯერ ვერ ჩამოაყალიბა მომავლის საქართველოს ხედვა, რომელშიც ქვეყანა რელიგიურიც იქნება, მდიდარიც, დახვეწილიც და რუსეთზე დამოკიდებულების გარეშეც განვითარდება, რადგან კავშირებს დასავლეთთან დაამყარებს. ეკლესიამ ვერც იმ ადამიანების გულის მოგება მოახერხა, ვისაც უფრო მრავალფეროვან საზოგადოებაში სურს ცხოვრება.

ბევრმა უცხოელმა მიმომხილველმა ბრბოს ძალადობას „ჰომოფობია“ უწოდა, მაგრამ სამხრეთ კავკასიის საზოგადოებები გარკვეული ტიპის დიდი ტოლერანტობით გამოირჩევა: გამოჩენილ პოლიტიკოსებს, რომლებიც ბევრს ჰომოსექსუალებად მიაჩნდა, საქართველოში საკმაოდ დიდი წარმატებებისთვის მიუღწევიათ. ცილისწამება ამგვარი ხმები თუ სიმარ-

თლე, ისინი გვიჩვენებენ, რომ თუ ქცევის ნორმებიდან გადახვევა სააშკარაოზე არ გამოაქვთ, საზოგადოება მას ჩუმი თანხმობით ხვდება. როცა პრესტიჟულ ფალიაშვილის ქუჩაზე საბავშვო მოედნისაკენ მივდივარ, ჩინურ ბორდელს ჩავუვლი ხოლმე. ამასწინათ იმ სახლში, სადაც ბინა მაქვს, ანალოგიური ტაილანდური დანესებულებაც გაიხსნა. პოლიტიკაში საკმაოდ დიდი წარმატებებისათვის მიუღწევიათ პოლიტიკოსებს, რომლებსაც წარკომანებად მიიჩნევენ. მათგან ზოგი „ეროვნულ ღირებულებებსა“ და ეკლესიას საჯაროდ და თავგამოდებით იცავს. ასეთი ადამიანების მიმართ ტოლერანტობა სათავეს პოლიტიკისადმი ცინიკური დამოკიდებულებიდან იღებს და, ზოგადად, სხვებისა და თვით საკუთარი თავის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაბალ დონესთანაა დაკავშირებული. აქედან მომდინარე გულგრილი შემგუებლობა თვით ეკლესიაზეც ვრცელდება. ის კარგად სარგებლობს იმ ადამიანების გულუხვობით, ვისაც ხალხი კრიმინალებად მიიჩნევს. თავის ტელევიზიაში კი ხშირად გამოჰყავს როინ მეტრეველი, რომელიც საქართველოს ყველაზე დიდი უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გადადგა, რათა კორუფციისთვის სამართლებრივი დევნა თავიდან აეცილებინა: ზოგიერთი ვარაუდით, ის მისაღებ გამოცდებზე და სტუდენტების კურსიდან კურსზე გადაყვანაში 800 000 დოლარის ოდენობის უკანონო შემოსავალს იღებდა<sup>3</sup>.

ეკლესია ცდილობს არსებულ ქაოსზე მაღლა დადგეს, ქვემოთ კი თავგზააზნეული და მოუწესრიგებელი საზოგადოებაა, სადაც ცვლილებები სწრაფად ხდება და უამრავი საიდუმლო, საფრთხე და ცრუ მეგობარია. ნიცშემ ისტერიულობის ნიშნები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ნაციონალიზმში შეამჩნია, იმ ხალხში, ვინც ხმამაღლა ყვირის, რათა საკუთარი თავი რალაცაში დაარწმუნოს. ნუთუ დასავლეთში არავინაა ისეთი, ვისაც საკმაოდ დახვეწილი სმენა ექნებოდა, რომ ეს ხმები თანამედროვე საქართველოშიც გაეგონა?

## წინაო და ეკთაფიკთი „დასავლეთი“

ჩვენგან, დასავლეთისგან, არავითარი დახმარება არ მოდის. დასავლური ორგანიზაციები, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დამკვიდრებაზე ზრუნავენ, საეკლესიო არასამთავრობო ორგანიზაციებს არასოდეს ეხმარებიან, ეკლესიის წარმომადგენლებს თავიანთ შეკრებებზე აზრის გამოსათქმელად არასოდეს იწვევენ და არც დასავლეთში მოღვაწე მორწმუნე ადამიანები ჩამოჰყავთ საქართველო-

3 „როინ მეტრეველი თსუ-ს რექტორის თანამდებობიდან გადადგა“, Civil Georgia, 2004 წლის 1 ოქტომბერი <[civil.ge/geo/article.php?id=7738](http://civil.ge/geo/article.php?id=7738)>.

ში. ანალოგიურად ვეპყრობით სომხურ გრიგორიანულ ეკლესიასა და ისლამს აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიაში. ჩვენ ხაზგასმით უარყოფთ პატრიარქის განცხადებას, რომელშიც ჰომოსექსუალები „მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად“ განიხილება მიუხედავად იმისა, რომ მისი ეს განცხადება იმ ტრადიციიდან მომდინარეობს, რომელიც არანაკლებ 2700 წლისაა და რომელსაც მძლავრი მორალური სისტემა ემყარება. როგორც ამას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, ჰომოსექსუალობის მიმართ სათანადო დამოკიდებულების საკითხი თვით დასავლეთშიც მწვავე დებატების საგანია. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვენ დასავლეთის ამჟამინდელ სახეს კი არ წარმოვაჩინოთ, არამედ მომავლის დასავლეთისას, რომელიც მთლიანად სეკულარული და მემარცხენე უნდა იყოს. დასავლეთის სანინალმდეგო რეაქცია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გარდაუვალია, რადგან ისტორია დაილექტიკურია. მასზე რაიმე ზეგავლენა რომ მოვახდინოთ, ხალხს დასავლეთის რეალური მრავალფეროვნება და მასში არსებული ალტერნატივების მთელი სპექტრი უნდა ვუჩვენოთ.

## ეკლესია - გამონვევა ახალი შთაქროვისათვის

ჰომოსექსუალების უფლებების დამცველთა დემონსტრაციის თაობაზე პატრიარქის განცხადების ბოლოს ნათქვამია, რომ „ხელისუფლებამ უნდა ... გააუქმოს ჰომოსექსუალებისათვის მიცემული ნებართვა დემონსტრაციისა“<sup>4</sup>, თუმცა სინამდვილეში, კანონით, დემონსტრაციის ჩასატარებლად არავითარი ნებართვა არ არის საჭირო. ამდენად, დემონსტრაციაზე პასუხისმგებლობა პატრიარქმა (ქვეყნის თუ ქალაქის) მთავრობას უმართებულოდ დააკისრა. ამით მან პარალელური დემონსტრაცია არა მხოლოდ (თითქოსდა) ჰომოსექსუალების სანინალმდეგოდ, არამედ მთავრობის მიერ გატარებული ვესტერნიზაციისა და ტოლერანტობის პოლიტიკის წინააღმდეგაც მიმართა. პარალელური დემონსტრაციის ორგანიზებას ეკლესიამ დიდი ძალისხმევა მოახმარა, ხოლო პატრიარქის მიერ ნახმარმა სიტყვამ „შეურაცხყოფა“ ამ ძალისხმევას კიდევ უფრო დიდი ძალა შესძინა.

პატრიარქის განცხადება ეკლესიის მხრიდან მთავრობის გამონვევა იყო, შესაძლოა, შეგნებულიც კი. მისი მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ ეკლე-

4 „პატრიარქი სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერი აქციის გაუქმებისკენ მოუწოდებს“, ინტერნეტურნალი Civil Georgia <[civil.ge/geo/article.php?id=26889](http://civil.ge/geo/article.php?id=26889)>.

სიას კულტურის საკითხებში მეტი ძალა აქვს. ამ მოსაზრებას განვითარებული მოვლენების თანმიმდევრობა ამყარებს. პატრიარქის განცხადებამდე გაკეთებული ივანიშვილის განცხადება ნათელი იყო და სათანადო სიმტკიცით გამოხატავდა საკითხისადმი მის დამოკიდებულებას. სხვა საქმეა, რამდენად სრულად ესმოდა პატრიარქს ყველა ის საკითხი, რომელსაც განცხადებაში ეხებოდა და მხარს უჭერდა. ტელევიზიით პატრიარქის გამოჩენისას კარგად ჩანს, რომ მისი ჯანმრთელობა შერყეულია და საეკლესიო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად ფიზიკური ძალების უკიდურესი დაძაბვა უხდება. ეჭვი არ არის, რომ მისი მემკვიდრის საკითხზე ინტენსიური ბრძოლაა გაჩაღებული, და ყველასთვის ცხადია, რომ ეს საკითხი ძალიან მალე წამოიჭრება. ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი მიტროპოლიტი იობია, რომელიც ილია II-ის მშობლიურ სოფელშია დაბადებული და მისი სულიერი მონაფეცავა. ეკლესიაში მოქმედ პოლიტიკურად აქტიურ ჯგუფში იობი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეპისკოპოსია. ეს ჯგუფი დასავლეთს რწმენისათვის საშიშად მიიჩნევს და საოცარ ცრურწმენებზე დამყარებული სწავლების პროპაგანდას ეწევა, მაგალითად, მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ შემოღებული პირადობის მონობები წარმოშობით ჯოჯოხეთური, შინაარსით კი აპოკალიფსურია. თუ ამ ჯგუფმა დაამტკიცა, რომ ეკლესიის პოლიტიკებით გამარჯვების მიღწევა შეუძლია, მემკვიდრისათვის ბრძოლაზე გავლენის მოხდენაც შეეძლება. 17 მაისს კი სწორედ ამ ჯგუფმა გაიმარჯვა.

## დასავლეთის ჯეოპოლიტიკური პოლიტიკა

რამდენად ადეკვატურია ამ სიტუაციაში დასავლეთის რეაქცია? დასავლეთმა ძალადობა დაგმო, მაგრამ ეკლესია პირდაპირ არ გაუკრიტიკებია. გააკრიტიკა მთავრობაც, რომელმაც ასეთი რამ დაუშვა. ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანს ტიმერმანსმა საქართველოს ელჩი გამოიძახა და განუცხადა: ეს „მიუღებელია. ... ნიდერლანდები, ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან ერთად, კვლავაც განაგრძობს საქართველოს ხელისუფლებისათვის იმის შეხსენებას, რომ ქართული პოლიცია ვალდებულია პატივი სცეს ამ პირების უფლებებს“<sup>5</sup>.

ასეთი რეაქცია უცნაურია. საქართველოს მთავრობას სხვისი ქმედების გამო საყვედურობენ (ზემოთ სწორედ ამ მთავრობის წინააღმდეგ მომყავდა არგუმენტები), ეკლესიას კი არავინ საყვედურობს. პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მოქმედება

5 „ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი „შოკირებულია“ თბილისში ლგბტ აქტივისტების წინააღმდეგ ძალადობის გამო“; Civil Georgia <<http://civil.ge/geo/article.php?id=26909>>.

კითხვებს ნამდვილად აჩენს. დასავლეთის მიერ დაფინანსებული უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, მათი მოქმედება არაეფექტური და სუსტი იყო. როცა დარბევა დაიწყო, ერთადერთი, რაც მათ გააკეთეს, შეკრების უფლების დაცვის ნაცვლად ჰომოსექსუალების უფლებათა დამცველების იმ ადგილიდან სასწრაფოდ გარიდება იყო. ხელკეტები ან ცრემლმდენი გაზი პოლიციას არ გამოუყენებია. ვიდეოებზე ჩანს მათი მცდელობა ჩხუბისთავები საკუთარი სხეულებითა და ლითონის მესრებით შეეკავებინათ, რაც ვერ მოახერხეს. გადასატანმა ლითონის მესრებმა 5 ათასი გავეშებული ხულიგანი როგორ უნდა შეაკავოს?

მაგრამ საქართველოს მთავრობის მოქმედებაზე დასავლეთის რეაქციაში ყველაზე უცნაური ის იყო, რომ საერთოდ არავის უხსენებია დემონსტრაციამდე ივანიშვილის ტოლერანტული განცხადება, რომელიც ამკარად ალტერნატიული დემონსტრაციის შესაჩერებლად ან მისი მონაწილეების აგრესიულობის გასანელებლად იყო გაკეთებული. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დასავლეთი საქართველოს ახალი, დემოკრატიულად არჩეული მთავრობის დატუქსვითაა დაკავებული. აღწერილი მოვლენების შემდეგ ეს პროცესი დაუფიქრებლად გაძლიერდა. ივანიშვილს არ დაუფასდა, რომ საქართველოში გაბატონებული საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ, გაბედულად იმოქმედა სწორედ ისე, როგორც ჩვენ ვითხოვთ. პრობლემის ერთ-ერთი მხარე ისიცაა, რომ მან საზღვარგარეთ საქართველოს მთავრობის სახის გასაუმჯობესებლად არაფერი გააკეთა, თუმცა პრობლემა ჩვენში, დასავლეთშიც არის.

დასავლეთის ოფიციალური პირების რეაქციებიდან ჩანდა, რომ მათ არ ესმოდათ, კონკრეტულად როგორ ეკიდებოდა მთავრობა პოლიციის ძალისმიერ ქმედებებს დემონსტრანტების წინააღმდეგ. ახალ მთავრობას უბრალოდ არ სურდა, პოლიციის როლი პრეზიდენტ სააკაშვილისა და შინაგან საქმეთა მინისტრ მერაბიშვილისდროინდელი პოლიციისა და დამსგავსებოდა. 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისს პოლიციამ უხეში ძალის გამოყენებით დაშალა მიტინგები. მეორე შემთხვევაში, სავარაუდოდ, რამდენიმე მომიტინგე დაიღუპა კიდევ. მთავრობის ამგვარი მიდგომა, რომელიც მე-9 არხზე ეკა ბესელიამ ახსნა და რაზეც პირად საუბრებში სხვა ოფიციალური პირებიც ლაპარაკობენ, შეესაბამება ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) დროს პოლიცია ხალხს მეტისმეტად სასტიკად ეპყრობოდა. შეიძლება ითქვას, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლება სწორედ ამის გამო

დაკარგა. ამდენად, ახალი მთავრობა ამ საკითხს სერიოზულად უნდა უდგებოდეს. საერთაშორისო რეაქციებში საქართველოს საზოგადოებრივ აზრში მიმდინარე ეს ცვლილებები ასახული არ ყოფილა. რეაქცია ძალიან ზოგადი იყო. მეტიც, ვიტყვოდი, რომ ეს რეაქცია ფაქტობრივად რეფლექსების დონეზე ხდებოდა ისევე, როგორც ფეხი რეაგირებს, როცა ექიმი პატარა რეზინის ჩაქუჩს ურტყამს.

## „გაიიარჯვეს“ თუ არა ჩაქუჩულა კალემა?

ვინ იყო გამარჯვებული და ვინ დამარცხებული ეკლესიის მომხრეების თავდასხმებში 2013 წლის 17 მაისს? მართლმადიდებელი ეკლესია ან მის შიგნით მოქმედი „ბნელი ძალები“ ალბათ ფიქრობენ, რომ დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ეს სულელური შეცდომაა. სტუდენტებს შორის არ შემხვედრია არცერთი, ყველაზე მორწმუნეც კი, ვინც აღშფოთებული არ იქნებოდა იმით, რაც მართლმადიდებლობისთვის შეურაცხველმა მებრძოლებმა გააკეთეს. 17 მაისს ეკლესიამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ქვეყნის მომავალი ელიტის მხარდაჭერა დაეკარგა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირში აღზრდილ საშუალო კლასს, ჰომოსექსუალობის საჯაროდ გამოტანა მათ არ მოსწონთ, თუმცა კიდევ უფრო არ მოსწონთ არეულობა. ამ დროს კი, ეკლესია ჩიხისკენ მიექანება და სწორედ ისე იქცევა, როგორც რომის კათოლიკური ეკლესია XIX საუკუნეში, როცა ის ლიბერალიზმის, საპარლამენტო მმართველობისა და იტალიური ნაციონალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, 1835 წლამდე კი ამტკიცებდა, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს.

თავისი თეოლოგიური ტრადიციის სისწორეში დარწმუნებული ეკლესიის საკითხი იმდენად დიდი მნიშვნელობის არ იქნებოდა, მას რომ მილიონობით შუა საუკუნეებში ჩარჩენილი რეაქციულად განწყობილი ფანატიკოსი გლეხი უჭერდეს მხარს, მაგრამ საქართველოში ეკლესიას მილიონობით ახალი მიმდევარი ჰყავს, რომელსაც ეკლესიის მოძღვრების ბევრი არაფერი გაეგება და არც მის ეთიკურ მოთხოვნებს იცავს. ეკლესია ახალ სასულიერო პირებს თავის რიგებში ნაჩქარევად იღებს და მათ შემოწმებას ან განათლებას ყურადღებას ნაკლებად უთმობს. კომუნისტების მხრივ დევნამ და თავდასხმებმა საქართველოს ტრადიციულ ეკლესიას დიდი ზიანი მიაყენა. ახლა ის ცდილობს, მემკვიდრეობის შემორჩენილ ფრაგმენტებზე დაყრდნობით აღიდგინოს თავი და დასავლეთიდან მომდინარე სეკულარული მიდგომების ძლიერი ტალღაც შეაკავოს. ეკლესია უაღრესად მტკივნეულად განიცდის შემოტევებს პროტესტანტულ-ევანგელისტური მიმდინარეობებისაგან, რომლებმაც

კათოლიციზმს ისეთ ქვეყნებში შეურყია საფუძველი, როგორცაა ბრაზილია, პუერტო რიკო და ცენტრალური ამერიკის ბევრი სხვა ქვეყანა; და განახლებული წარმართობისგან, როგორც ეს ჩრდილოეთ ოსეთში და ლიტვაში მოხდა; ან, რაც უფრო ხშირად ხდება, უბრალოდ რწმენის დაკარგვისგან, როგორც პოლონეთსა და ირლანდიაში. ჰომოსექსუალების რამდენიმე დამცველის ცემა-დასისხლიანებით, ეკლესიის მდგომარეობა კიდევ უფრო შეირყა. ამდენად, მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყნისათვის სახიფათო გზას ადგას, თუმცა ამ გზამ შეიძლება ისიც თვითგანადგურებამდე მიიყვანოს. რა უფრო სასარგებლოა დასავლეთის ინტერესებისათვის, რომ ეკლესიას საკუთარი თავის განადგურების საშუალება მიეცეს, ქართულ დემოკრატიას კი დიდი ზიანი მიადგეს, თუ ეკლესიასთან მუშაობა და თანამედროვე მსოფლიოსთან ადაპტაციაში დახმარება?

## დასავლეთის მიღგოვა კიდევ უფრო ვინაობა

ცრურწმენების ამ განსაკუთრებით მახინჯ გამოვლინებაზე დასავლეთის რეაქცია იმის გასარკვევად მინდა გამოვიყენო, თუ რამდენად ადეკვატურია სამხრეთ კავკასიაში არსებული რთული პრობლემებისადმი დასავლეთის მიდგომა. ჩემი დასკვნით, ერთ ქვეყანაშიც კი, როგორც წესი, მხოლოდ საზოგადოების რამდენიმე სექტორთან გვაქვს კონტაქტი, უპირატესობას გარკვეულ ჯგუფებს ვანიჭებთ და არც კი გვესმის, თუ რამდენად შეზღუდულია ჩვენი მიდგომა. მოვლენებზე ზედაპირულად ვსაუბრობთ და მათ უფრო ღრმა მნიშვნელობებზე არც კი ვფიქრობთ. კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე ისე ვმსჯელობთ, თითქოს ისინი ჩვენს ქვეყანაში ხდებოდეს, მაგრამ ჩვენი საზოგადოების მაგალითზე მიღებული გამოცდილების მიუხედავად, მსგავსი მოვლენების შესახებ დაგროვილი ცოდნის გამოყენებას მაინც ვერ ვახერხებთ.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ყველაზე თვალშისაცემი ახლადარჩეული მთავრობის მიერ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრებაზე დასავლეთის ალერგიული რეაქცია იყო. ახალ მთავრობას აკრიტიკებდნენ, როგორც შურისმაძიებლებს. არსებობს შემთხვევების მთელი სია, რომელიც გვიჩვენებს, რომ არასწორ ქცევაში გამარჯვებულების დადანაშაულებას გარკვეული საფუძველი მართლაც აქვს. ბრალდებები ძველი მთავრობის ბევრ წარმომადგენელს წაეყენა, ახლების მიმართ კი ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. მაგრამ რა ხდება მსგავს შემთხვევებში დასავლეთში, როცა დაძაბულობა იზრდება? გაიხსენეთ „შპიგელის“ საქმე გერმანიაში (1962 წ.), უოტერგეიტი



ამერიკაში (1972-74 წწ.) ან დრეიფუსის საქმე საფრანგეთში (1898-1902 წწ.). მაღალი თანამდებობის პირებს არასწორად ქცევისა და თავიანთი საქციელის დაფარვის საშუალება აქვთ. მათი ხელისუფლება ჩადენილ საეჭვო ქმედებებს მალავს. სააშკარაოზე ისინი მხოლოდ მაშინ გამოდის, როცა მთავრობა სუსტია და მათი დამალვის თავი არა აქვს. მოგვიანებით კი, როგორც ეს საქართველოში მოხდა, ისინი ერთბაშად გამოჩნდება ხოლმე. დასავლეთში მომხდარი ყველა ამ სკანდალის დროსაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ერთი მხარის წინააღმდეგ ბრალდებებისა და სასამართლო საქმეების მთელი ნიაღვარი მოედინებოდა. ჩვენ თითქოს არ შეგვიძლია, პატიოსნად გავიაზროთ საკუთარი გამოცდილება და ის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ გამოვიყენოთ.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასავლეთის ისტორიის ცოდნა უნდა გამოვიყენოთ, რადგან იქ ბევრ მსგავს პირობებსა და შეცდომას ვიპოვით. იმასაც დავინახავთ, თუ რამდენად ნელა ვსწავლობდით, სწორედ ისე, როგორც ამჟამად სამხრეთ კავკასიაში. ამავე გაგებით, დაფიქრება და აზროვნება გვიჭირს. მიუხედავად ამისა, დასავლეთი ცდილობს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მხარეზე იყოს. ზოგჯერ ჩვენი პოლიტიკა უპატიოსნო ან ცინიკურია, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში ასეთი რამ იშვიათად მომხდარა. ძალაუფლების გადაცემის ან სადავო არჩევნების შემთხვევაში, როცა ფუნდამენტური ტრანსფორმაციის რეალური შანსი არსებობდა, ჩვენ უფრო ხშირად საკუთარი პრინციპების ერთგულები ვიყავით.

## იმიჯი და თავისუფლება: მოქალაქეობის ლიბერალური დემოკრატია

17 მაისის ძალადობაზე დასავლეთის რეაქციაში კიდევ უფრო სერიოზულ კითხვებს ბადებს ის, რასაც ჩვენ დემოკრატია და სხვა ტიპის დასავლურ რეფორმებს შორის კომპრომისს ვუნდობდით. 2012 წლის იმავე დღეს ეკლესია უფრო მოკრძალებულად მოიქცა, შესაძლოა იმიტომ, რომ იმდროინდელი მთავრობის, ენმ-ის ეშინოდა. ცხადი იყო, რომ სეკულარიზმის მიმდევარი პირებისაგან შემდგარ ენმ-ის ხელმძღვანელობას ეკლესია, ან მასში მყოფი „ზნელი ძალები“, არ უყვარდა და ეკლესიასაც მთავრობის მიმართ იგივე გრძნობები ჰქონდა, თუმცა ივანიშვილის გამოჩენამდე ეკლესია პოლიტიკურ ხელმძღვანელობას წინააღმდეგობას იშვიათად უწევდა.

ხელისუფლებაში ყოფნის დროს ენმ ეკლესიის მხრივ მტრულ დამოკიდებულებას სუბსიდიებითა და ფავორიტი სასულიერო პირებისთვის საიდუმლოდ საჩუქრების გადაცემით აბალანსებდა. იყო მუქარებიც,

რომ სამთავრობო პრესაში მაკომპრომეტირებელ მასალებს გამოაქვეყნებდნენ (მაგალითად, სუკ-თან თანამშრომლობის ან მღვდლებისა და ეპისკოპოსების თითქოსდა ჰომოსექსუალური მიდრეკილებების შესახებ). ახლა ატმოსფერო უფრო თავისუფალია და ეკლესიას შეუძლია ის აკეთოს, რაც უნდა. მას კი უნდა, ივანიშვილის მთავრობას უჩვენოს, რომ მძლავრი სოციალური ძალები უჭერს მხარს და მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების აღარ ეშინია.

ზოგიერთმა დასავლურმა გამოცემამ ეკლესიის მომხრეთა ძალადობის გამო პასუხისმგებლობა „ქართული ოცნების“ მთავრობას დააკისრა, რადგან მან მასობრივი ამნისტიით გაათავისუფლა პატიმრები, რომლებიც მოძალადე მასის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ<sup>6</sup>. უნინ მდგომარეობა განსხვავებული იყო. „[სააკაშვილის] მთავრობის მიერ ძალის გადაჭარბებით გამოყენების წყალობით, მათ შორის, მედიისა და სახალხო პროტესტების წინააღმდეგ, ... 2005 წლისთვის რელიგიური უმცირესობები საქართველოში თავს ბევრად უფრო უსაფრთხოდ გრძნობდნენ“. ამ გამონათქვამში იგულისხმება, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი კანონს მხოლოდ შიშის გამო ემორჩილება, ახალმა მთავრობამ კი ეს შიში მოსპო. ამას ენმის იდეოლოგიის, თუა თუთბერიძის მსგავსი ადამიანები უფრო ღიადაც ამბობენ (17 მაისს ეკლესიის მოქმედება ასეთი მოსაზრებების განმტკიცებას ხელს ნამდვილად უწყობს). ზოგიერთი ქართველის მსგავსად, დასავლეთშიც არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ნორმალური მომავლის ჩამოყალიბებას „ოხლოკრატია“, ბრბოს მმართველობა, უქმნის საფრთხეს, რომ „ქართული ოცნება“ ბრბოსთან შეთანხმებულად მოქმედებს და რომ მისი კონტროლი მხოლოდ რაღაც სახის თვითგამოცხადებული ელიტის ავტორიტარულ მმართველობას შეუძლია. იმ სტატიის ბოლოს, რომელსაც ზემოთ ვიმონებდი, ნათქვამია: „მთავრობას ცოტა დრო დარჩა იმის საჩვენებლად, რომ სიტუაციისა და ქვეყნის მართვა შეუძლია...“. გამოდის, რომ მნიშვნელოვანია კონტროლი და არა თავისუფლება.

თავისუფლება თავისთავად მართლაც მოუწესრიგებელი რამაა. მრავალფეროვან საზოგადოებაში ის პლურალიზმს გულისხმობს, გამოითქმის მრავალი მოსაზრება, რომლებსაც თავგამოდებით იცავენ, ხდება ერთმანეთთან მათი აშკარად მტრული შეჯახება. თავი-

6 Antelava, N., What Was Behind Georgia's Anti-Gay Rally <[newyorker.com/online/blogs/newsdesk/2013/05/what-was-behind-georgias-anti-gay-rally.html](http://newyorker.com/online/blogs/newsdesk/2013/05/what-was-behind-georgias-anti-gay-rally.html)> [accessed 24 July 2013]. ნატალია ანთელავა BBC-ის კორესპონდენტია ცენტრალურ აზიაში.

სუფლების პირობებში, ისეთი მახინჯი გამოვლინებები, როგორცაა „სიძულვილის ენა“ და კამპანიები განსხვავებული ადამიანებისა და უმცირესობების წინააღმდეგ, საქართველოს მსგავს ქვეყნებში აუცილებლად იქნება. ლიბერალური დემოკრატია საქართველოში ერთბაშად ვერ დამყარდება. ამიტომ დასავლეთში არჩევანის გაკეთება მოგვიწევს: ან დემოკრატია ლიბერალური საზოგადოების გარეშე ან ლიბერალიზმი დემოკრატიის გარეშე. მეორე გზას სააკაშვილის მთავრობა მიჰყვებოდა.

## უცხოეი გზა დემოკრატიისაკენ

როცა საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბერს დემოკრატიის გზა კიდევ ერთხელ გაეხსნა, დასავლეთი ისევ ამ მტკივნეული დილემის წინაშე აღმოჩნდა. ბევრმა ამერიკელმა და დასავლეთევროპელმა დემოკრატიისადმი თავისი არცთუ სრული ერთგულება კიდევ ერთხელ აშკარად გამოავლინა. რეპრესიების გაძლიერებას სააკაშვილს წლების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით ვპატიობდით. მისაღებად მივიჩნევდით ფასადურ ლიბერალიზმს, როცა იეჰოვას მოწმეები და ჰომოსექსუალები საზოგადოების მხრივ ნამდვილად დაცული იყვნენ, მაგრამ უბრალო გლეხებისა და ბიზნესმენების საკუთრების დაცვა სახელმწიფოს მხრივ უზრუნველყოფილი სულაც არ იყო<sup>7</sup>. როცა იმ მთავრობამ არჩევნებში მძიმე მარცხი განიცადა, გავიგეთ, თუ რამდენად არაპოპულარული ყოფილა. მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ხელისუფლება დატოვა. იმის ნაცვლად, რომ დემოკრატიის ეს ახალი გამარჯვება გვეზიდა და მისი არეალი გაგვეფართოებინა, ენერგიას იმაში ვხარჯავთ, რომ სწორედ იმ მოხელეების დაპატიმრება ვაკრიტიკოთ, რომლებმაც ყოველგვარი ანგარიშგების გარეშე შიშით მართვის სისტემა თვითნებურად შექმნეს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრები ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი<sup>8</sup>. ცხრა წლის განმავლობაში ამ სისტემით გამონვეულ გარდაუვალ უკმაყოფილებას ყურადღებას არ ვაქცევთ და ისე ვიქცევით, თითქოს „კოჰაბიტაცია“ ჯერ არ შემდგარ ახალ მთავრობასა და ენმ-ს შორის ადვილად შესასრულებელი მოთხოვნა იყოს. ისე

7 იხ., მაგალითად, Stripped Property Rights in Georgia, Third Report, Open Society Georgia Foundation, March 2012, და Paul Rimple, Who Owned Georgia 2003-2012, ([Tbilisi]: Transparency International Georgia, 2012).

8 ამ სისტემაში გასარკვევად იხ. Charles H. Fairbanks, Jr., „Georgia's Soviet Legacy,“ Journal of Democracy, Winter 2010, and Mamuka Tsereteli, „A Historic Election in Georgia,“ Center for Black Sea / Caspian Studies, American University; [www.american.edu/sis/blacksea-caspian](http://www.american.edu/sis/blacksea-caspian).

ვითხოვთ კანონის უზენაესობის დაცვას, თითქოს ის უკვე არსებობდა, თუმცა, როგორც მინიმუმ, ბოლო 92 წლის განმავლობაში ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო არ ყოფილა. ყოფილი მოხელეების დაპატიმრება გალიზიანებას ნამდვილად იწვევს, მაგრამ ამ გალიზიანების მიზეზი საზოგადოების ნებაზე მიშვება უფროა. რა ხდება? თავისუფლების მოუწესრიგებელ ხასიათს ვერ ვეგუებით?

თავისთავად ლიბერალიზმი დემოკრატიას არ წარმოშობს. ეს საქართველოში სააკაშვილის მმართველობის წლების და ბევრი სხვა, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე, რიგითი ავტორიტარული რეჟიმის გამოცდილებამ გვიჩვენა. დემოკრატია კი, თუ ის საკმარისი დროის განმავლობაში შენარჩუნდა, ბოლოს ლიბერალიზმამდე მიგვიყვანს. დასავლეთში ჩვენი უპირველესი ამოცანაა, ქართველებს იმ დემოკრატიის შენარჩუნებაში, გაფართოებასა და მთელ სამხრეთ კავკასიაში გავრცელებაში დავეხმაროთ, რომელიც მათ 2012 წლის ოქტომბერში მოიპოვეს. ეს ამოცანა ადვილი შესასრულებელი არც მათთვის იქნება და არც ჩვენთვის.

# ლიჩეპულაბით გზაჯვარედინზე

## ქართული საზოგადოება 2012 წლის შედეგ

სალომე ასათიანი

სიტყვა „გზაჯვარედინს“ მეტაფორის სახით ხშირად ვხმარობთ ხოლმე – ის ჩვენი კონფერენციის სახელწოდებაშიც ფიგურირებს. თუმცა, მისი მნიშვნელობა, ცოტა არ იყოს, გაცვდა. არადა, იმ მდგომარეობის აღსაწერად, რომელშიც, ჩემი აზრით, ქართული საზოგადოება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადავიდა, სხვა და უფრო შესაფერისი განსაზღვრება არ მაფიქრდება. ამ არჩევნებით დასრულდა ავტორიტარული, ზემოდან ქვემოთ წამოსული, ზედაპირული მოდერნიზაციის თითქმის ათწლეული. ამის შემდეგ – და დიდნილად ამის შედეგად – აღმოვჩნდით ვითარებაში, რომელშიც ჩვენს საზოგადოებაში წლების განმავლობაში არსებული კულტურული დაპირისპირებები და დაძაბულობა დიდი ძალით გამოვვიდა სააშკარაოზე.

ამ კულტურული ომების ილუსტრაცია არჩევნებიდან მალევე ვიხილეთ, თანაც ზედმინვნით თვალნათლივ – როცა 2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიის სანინააღმდეგო აქციის რამდენიმე ათეული მონაწილე დაარბია საპატრიარქოს მიერ შეგულიანებულმა ათი ათასობით მოქალაქემ. თბილისის ქუჩებში იმ დღეს დატრიალებული სცენები, ძალადობის თუ სიძულვილის ინტენსივობის კუთხით, ძალიან დამთრგუნველი იყო. ადამიანები სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს. საქმე გვქონდა „პოგრომის“ თითქმის ყველა კლასიკურ გამოვლინებასთან – როცა ეიფორიაში ჩავარდნილი ბრბო რაიმე ნიშნით განსხვავებულ ჯგუფს ადამიანებად ვეღარ აღიქვამს, მათზე ბარბაროსული აღტყინებით ნადირობს და დარწმუნებულია, რომ ეს უკონტროლო ძალადობა რალაც „საფრთხის“ მოსაგერიებლადაა აუცილებელი.

თუმცა, მხოლოდ ლგბტ თემი და მათი უფლებების დამცველები არ გამხდარან გაძლიერებული დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს სოფლებში პერიოდულად იფეთქებდა კონფლიქტი რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას, ამ შემ-

თხვევაში მუსლიმებს – შორის. მუსლიმების დაშინებამ, მათთვის ლოცვის უფლების შეზღუდვამ, ძალადობრივმა მუქარამ თავი ჯერ ნიგვზიანში და წინწყაროში იჩინა, რამდენიმე თვის შემდეგ კი სამთაწყაროში განმეორდა. როგორც „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ იუწყებოდა, იქ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ხოჯის ცოლს და მთელ ოჯახს დაემუქრნენ ანგარიშსწორებით.

ამ პროცესების გასააზრებლად სერიოზული რეფლექსია აუცილებელი. ერთი შეხედვით, დიდია იმის ცდუნება, რომ ვითარება მარტივი სქემით გამოვსახოთ – როგორც მოდერნულობის და მისი მონინაალმდევე ძალების კონფლიქტი; ან დაპირისპირება, ერთი მხრივ, მოდერნიზაციის სულისკვეთებით მოქმედ საერო ხელისუფლებას/ხელისუფლებებს და სამოქალაქო საზოგადოებას, მეორე მხრივ კი, ტრადიციულ, არქაულ, ფუნდამენტალისტურ და ნაციონალისტურ მოძრაობებს შორის, რომლებიც, უმეტესწილად, საეკლესიო სივრცესთან კავშირით განვითარდა და გაძლიერდა. ეს ჩარჩო, თუ სქემა, დიდწილად სწორია – თუმცა, აუცილებლად საჭიროებს ნიუანსირებას და დაზუსტებას.

### პოლიტიკური კონსენსუსი

თუკი ქართული საზოგადოების, და მის წიაღში შემხვედრი ღირებულებების ანალიზს ვცდილობთ, ლაპარაკი ალბათ უნდა დავიწყოთ მთავარი კონტურების თუ ძირითადი მახასიათებლების აღწერით. საქართველოში, ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებული მღელვარე პოლიტიკური პროცესების და სისხლიანი თუ ვარდებიანი რევოლუციების მიუხედავად, ლიბერალური ღირებულებები თუ დემოკრატიული პრინციპები ჯერჯერობით არც საზოგადოებრივი აზრის ბირთვის წარმოადგენს და არც, სამწუხაროდ, პოლიტიკური კონსენსუსის. ისეთი ცნებები, როგორებიცაა „ტოლერანტობა“, „მრავალფეროვნება“, „ადამიანის უფლებები“ კვლავაც არ არის საზოგადოებრივი კონტექსტის მყარი ნაწილი – თუმცა, ცხადია, არსებობს და მათი არტიკულაციაც გვხვდება როგორც პოლიტიკური ფიგურების მხრიდან, ისე საზოგადოებრივ დისკუსიებში.

საზოგადოების ღირებულებითი ბირთვის განმსაზღვრელ კონფიგურაციად რჩება რელიგიურად შეფერილი ნაციონალიზმი – რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რომლებიც საბჭოთა წარსულში უნდა ვეძებოთ. ლიბერალური პრინციპების მიუღებლობა კი ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს შეთანხმება იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს განსხვავებული და ხშირად ერთმანეთისთვის მიუღებელი ჯგუფების თანაარსებობა. ლიბერალიზმი, ლიბერალური დემოკრატია

ხომ ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად სწორედ ამას ისახავს – საზოგადოების წიაღში აუცილებლად და გარდაუვალად არსებული ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური კონფლიქტების მართვას და რაციონალურ კალაპოტში მოთავსებას<sup>1</sup>, სხვადასხვა ჯგუფსა და ინდივიდს შორის თანაცხოვრების ფორმების ძიებას. მაგრამ ჩვენს კოლექტიურ აღქმაში „ერის“ დომინანტური სახე მოაზრებულია არა იმდენად როგორც თავისუფალი, თანასწორი და განსხვავებული ინდივიდების ერთობა, არამედ უფრო როგორც ისტორია, რელიგია, ეთნოსი, ტრადიცია და „სისხლი“ – და, შესაბამისად, რაიმე ნიშნით განსხვავებული უმცირესობა ხშირად აღიქმება „უცხო“ სხეულად.

### ეკლესია, ნაციონალიზმი და საჭოთა ინეჩხია

ამ ნაციონალისტური დისკურსის ერთ-ერთ ცენტრალურ სავანედ თუ წიაღად საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია გვევლინება. მეტიც – ჩემი აზრით, ეკლესია საკუთარი თავის ლეგიტიმაციას უწინარესად სწორედ ეთნონაციონალიზმით ახდენს. ამ ინსტიტუტის წარმომადგენელთა საჯარო დისკურსში რელიგიურ საკითხებზე ბევრად უფრო ხშირად გვხვდება ნაციონალისტური იდეოლოგიის შემადგენელი ქვენარატივები – იქნება ეს ქართველი ერის რჩეულობის, მისი მსხვერპლობის, სამომავლო გაბრწყინების თუ სხვა თემები. ამასთან, ამავე დისკურსის მნიშვნელოვანი ნაწილია ანტიდასავლური სენტიმენტის – დასავლეთის წარმოჩინება დენაციონალიზმულ, ცოდვით მოცულ სივრცედ, რომელიც შთანთქმით და წაშლით ემუქრება ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობას და ტრადიციებს. (აქ ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკლესიის წიაღში შემხვედრი ქსენოფობიური, ანტილიბერალური და ანტიდასავლური ინტონაციები მნიშვნელოვნადაა განპირობებული რუსეთის საეკლესიო სივრცესთან სიახლოვით. ამ სივრცისთვის კი ეს განწყობები ისტორიულადაა დამახასიათებელი – იქნება ეს დიდწილად რელიგიით ნასაზრდოები რუსული მესიანიზმი თუ ერეტიკოს ევროპასთან დაპირისპირებული მოსკოვის, როგორც „მესამე და უკანასკნელი რომის“ მეტაფორა. რუსეთის საეკლესიო წრეებში დღესაც ხშირად გვხვდება მოსაზრება, რომ „უცხოელი დემონები“ ებრძვიან „წმინდა რუსეთს“. რუსეთის პატრიარქი ლიბერალიზმს გამოხსნის და აცხადებს, რომ ის კოლაფსს და აპოკალიფსს მოიტანს. თუმცა, ქართულ დისკურსზე რუ-

1 Freeden, M. (editor, 2001), *Reassessing Political Ideologies: The Durability of Dissent*, London: Routledge.

სეთის საეკლესიო სივრცის გავლენა ძალიან რთული თემაა და მას ამ მოხსენების ფარგლებში ვერ შევხებით).

მნიშვნელოვანია მკაფიოდ გამოვყოთ ერთი ასპექტი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საკუთარ თავს მოიაზრებს და წარმოაჩენს ინსტიტუტად, რომელმაც უდიდესი კვალი დაატყო საქართველოს ისტორიულ განვითარებას, ის სწორებას იღებს ძველ, „რენესანსის“ პერიოდის საქართველოზე, და თვლის, რომ ქართული ეროვნული იდენტობა სწორედ მან შემოინახა და საბჭოთა ეპოქას გადაარჩინა. შემთხვევითი არაა ისიც, რომ სწორედ ეკლესია გვევლინება საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეის მთავარ სულისჩამდგმელად. თუმცა, ჩემი აზრით, რეალური ვითარება სხვაგვარია. ერთი მხრივ, ცხადია, რომ დღევანდელი ეკლესია გარკვეულწილად მართლაც საზრდოობს კონფიგურაციებით, რომლებსაც საბჭოეთის წინა საქართველოს ვუკავშირებთ. თუმცა, მეორე მხრივ, მე ვეთანხმები მოსაზრებას, რომელსაც მკვლევარი კატია რიხტერსი რუსეთის ეკლესიის შესახებ გამოთქვამს<sup>2</sup> და ვთვლი, რომ საქართველოს საპატრიარქოს პოლიტიკურ კულტურაზე ყველაზე დიდი გავლენა მაინც საბჭოთა წარსულმა მოახდინა. საბჭოთა სისტემა სწორედ იმიტომ იყო „ტოტალიტარული“, რომ მის წიაღში ალტერნატიული იდეოლოგიები თუ სუბკულტურული სივრცეები ვერ ცოცხლობდა. სისტემის იდეოლოგიური და პოლიტიკური საცეცები იდეებზე დაფუძნებულ ყველა სივრცეში აღწევდა – და ის, რომ ამ საცეცებს ვერც ეკლესია გადაურჩა, სიახლე ალბათ არავისთვისაა. საპატრიარქოს დღევანდელი იერარქებიდან ბევრი საბჭოთა კავშირის დროსაც მსახურობდა – და დღევანდელი ეკლესიის პოლიტიკურ კულტურაზე მათი წარსული, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

მეტიც – ნაციონალიზმის ის ვარიაცია, რომელსაც დღევანდელ საზოგადოებრივ სივრცეში და საეკლესიო დისკურსში ვაწყდებით (მას ზემოთ ეთნონაციონალიზმი ვუნოდეთ, სხვები მითოპოეტურ ნაციონალიზმად მოიხსენიებენ) – დიდწილად, ასევე საბჭოთა სისტემის ნაყოფია. ნაციონალიზმის ეს ვერსია სწორედ საბჭოთა წიაღში წარმოიშვა, ერთი მხრივ, როგორც ალტერნატივა და გარკვეული დისიდენტური იმპულსის მატარებელი დისკურსი, მეორე მხრივ კი, საკუთრივ სისტემის მიერ მხარდაჭერილი მითოლოგია. ამ ტექსტში, შეზღუდული თემატიკის გამო, ვერ შევხებით იმ კომპლექსურ თემას, თუ პირადად სტალინმა რა გავლენა მოახდინა ეროვნული იდენტობების ჩამოყალიბებაზე, თითქოსდა

2 Richters, K., *The Post-Soviet Russian Orthodox Church: Politics, Culture and Greater Russia*, Oxon: Routledge Contemporary Russia and Eastern Europe Series, 2013.



ინტერნაციონალისტური საბჭოთა იმპერიული ჩარჩოს კონტექსტში – „ერის“ განსაზღვრების შემუშავებით, რომელიც მოიცავდა ენას, კულტურას, ისტორიას, ეკონომიკას და, უწინარესად, კონკრეტულ ტერიტორიას<sup>3</sup>. საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტი, განსაკუთრებით 1960-70-იანი წლებიდან, მშვიდად უყურებდა და ზოგჯერ ნაახალისებდა კიდეც „ხნიერ და დაუცხრომელ ქართულ სისხლზე“ და ერის სხეულში ვერაგულად შემოპარულ „გუგულის ბარტყზე“ (ე.ი. „უცხოზე“) დანერილ ლექსებს, ისევე როგორც ეროვნულ ტრადიციებზე იგავური კინოენით გადაღებულ ფილმებს – იმ პირობით, თუ ეს სენტიმენტები კულტურის სივრცით შემოიფარგლებოდა და პოლიტიკურ სტატუსკვოს არ შეუქმნიდა პრობლემას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნო თუ მითოპოეტური ნაციონალიზმი დომინანტური პოლიტიკური იდეოლოგია გახდა – რამაც 1990-იან წლებში ქვეყანას არაერთი ტრაგიკული შედეგი მოუტანა. ამ მიმე გამოცდილების მიუხედავად, ნაციონალისტური კონფიგურაციები და მათი თანმდევი განწყობები – ქსენოფობია, შოვინიზმი და დიდწილად გამოგონილ ტრადიციებზე ფიქსაცია – დღემდე რჩება საზოგადოების ღირებულებითი ბირთვის მთავარ შემადგენელ ასპექტებად. ამ საზოგადოებრივ განწყობებს თავისი, დამოუკიდებელი დინამიკა თუ ტრექტორია აქვს – მაგრამ მათზე მნიშვნელოვან გავლენას პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებიც ახდენს.

## ავტორიტარული პოლიტიკა და მისი (უ)ეფექტურობა

ვითარება მნიშვნელოვნად დამძიმდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში – „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში. ამ ძალამ, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა კულტურული განახლების, ლიბერალური დემოკრატიის თუ დასავლური ფასეულობების სახელით, თავისი ძალისმიერი მმართველობით, ძალადობრივი ნაბიჯებით, ზემოდან ქვემოთ მიმართული ზედაპირული მოდერნიზაციით თუ უკიდურესად ტლანქი ვესტერნიზაციით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლიბერალური ღირებულებების გამყარება კი არა, ამ ფასეულობების კიდეც უფრო მეტად დისკრედიტაცია გამოიწვია. ძველ და „მემორიფიცირებულ“ მენტალიტეტთან ბრძოლა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პოლიტიკური დისკურსის მთავარ ლოზუნგად იყო ქცეული; მაგრამ ცხრა წლის განმავლობაში არც პოლიტიკურ და არც საზოგადოებრივ სივრცეში არ

3 ანდრონიკაშვილი, ზ., სტალინის კულტის გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე: იყო თუ არა სტალინი ქართველი <<http://lib.ge/book.php?author=1591&book=10185>>.

შემდგარა სიღრმისეული და რაციონალური დისკუსია იმის თაობაზე, მაინც როგორ, ან რატომ უნდა მომხდარიყო ეს მასშტაბური კულტურული ცვლილება, რას ნიშნავდა ჩვენს კონტექსტში მოდერნიზაცია, ან როგორი იყო ის ღირებულებები, რომლებსაც უნდა შეეცვალა ეს ლამის საფრთხივით ქცეული „ძველი მენტალიტეტი“.

ამგვარი დისკუსიის არარსებობაში მხოლოდ პოლიტიკურ მმართველ კლასს ვერ დავადანაშაულებთ – ცხადია, რომ ღირებულებებზე, სოლიდარობაზე და თანაცხოვრების ფორმებზე მსჯელობა უნინარესად თავად საზოგადოების წევრების საქმე უნდა იყოს. მაგრამ საზოგადოებრივი დისკუსიის დაწყება რამდენიმე მიზეზის გამო ძალიან რთული აღმოჩნდა. ჯერ ერთი, საამისო ძალა თავად „ლიბერალებად“ მოაზრებულ ჯგუფებს თუ ინდივიდებს არ აღმოაჩნდათ – მათი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრე იყო და ამ პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებულ ფიგურად აღიქმებოდა, რაც მათი პოზიციების დისკრედიტაციას იწვევდა; სხვები კომუნიკაციისას ძირითადად „ენჯიოების“ მშრალ და სწორხაზოვან დისკურსს იყენებდნენ და ამის გამო ვერ ახერხებდნენ მომხრეების რაოდენობის გაზრდას. თუმცა „ლიბერალების“ ნაკლოვანებებზე და ელიტიზმზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ქვეყანაში საკუთრივ სივრცე არ არსებობდა ამგვარი დისკუსიისთვის. გავლენიანი მედია – მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი ტელევიზიები – ხელისუფლების პროპაგანდისტულ სამსახურში იყო განუხრელად ჩაყენებული. ამ სწორხაზოვანი პროპაგანდის საპირწონედ კი მეორე უკიდურესობა – შეურიგებლად ოპოზიციური მედია გაჩნდა, ბევრად ნაკლები დაფარვის ზონით, მაგრამ ურყევად რადიკალური, ანტი-სახელისუფლო პათოსით.

დისკუსიის ჩახშობამ, მედიის პოლარიზებამ, პოლიტიკური ელიტის ძალისმიერმა მოდერნიზატორულმა პათოსმა და კულტურული ცვლილებების თემის ტრივიალიზაციამ ცუდი შედეგები მოიტანა. იმის ნაცვლად, რომ ცნებები – „ლიბერალიზმი“, „ტოლერანტობა“ თუ „დასავლური ღირებულებები“ – საზოგადოების ღირებულებითი ბირთვის მყარი ნაწილი გამხდარიყო, ისინი ბევრი მოქალაქის თვალში მნიშვნელოვნად გაცვეთილი და აზრგამოცლილი გახდა. ეს ცნებები დიდწილად იქცა ბრტყელ, მუყაოს მსგავს დისკურსად – რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, უსიცოცხლოდ და ერთგანზომილებიანად, უარესში კი, ნეგატიურად და ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის მატარებლად აღიქმება.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისიც, რომ „ნაციონალური“ მიერ ინიცირებული მოდერნიზაციის, ბრჭყვიალა ფასადების და გრანდიოზული

პროექტების ფონზე, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი უმძიმეს სიღარიბეში განაგრძობდა ცხოვრებას. დომინანტური იდეოლოგიის რანგში აყვანილი საბაზრო ოპტიმიზმის და გაბატონებული ნეოლიბერალური კონფიგურაციების ფონზე, ამ ადამიანების ხმა, მათი პრობლემები მარგინალიზებული და მიჩქმალული რჩებოდა. ალბათ სწორედ ეს მასობრივი ეკონომიკური სასონარკვეთა გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ეკლესიის გავლენა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა – ადამიანებმა ნუგეში ეკლესიის წიაღში იპოვეს.

ეკონომიკური სასონარკვეთა, დაუცველობა, სიღარიბე, ხვალინდელი დღის გაურკვეველობა ბევრი შიშის საფუძველს ქმნის – იქნება ეს ცვლილებების შიში, განსხვავებულის შიში, თუ უცხოელების შიში. სიღარიბე, თავისი შემზარავი ყოველდღიურობით, საზოგადოებაში ნიჰილიზმს აღვივებს – რაც, თავის მხრივ, ნოყიერი ნიადაგი ხდება პოპულისტი ლიდერებისთვის, რომლებიც მთავარ იარაღად ქსენოფობიას იყენებენ და „უცხოვან“ მტრის ხატის შექმნით ეძებენ პოპულარობას.

## ახალი დროების (პოლიტიკური) ეკონომიკა

ამგვარი პოპულისტი ფიგურების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის ის პოლიტიკური კოალიცია, რომელმაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა და ქვეყნის მმართველ ძალად იქცა. მეტიც – წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ რიგი წარმომადგენლების რიტორიკა უწინარესად სწორედ ქსენოფობიურ მოტივებს ეყრდნობოდა. იყო განცხადებები როგორც მკვიდრი უმცირესობების, ისე ახალი იმიგრანტების თუ უცხოელი ინვესტორების წინააღმდეგ. ეს ფიგურები ამავე ჭრილში წარმოაჩენდნენ „ნაციონალურ მოძრაობასაც“ – როგორც ტრადიციებთან მებრძოლ, უცხო ძალას, რომელმაც ქართულ ეროვნულ იდენტობას შეუქმნა საფრთხე.

ეს შეხედულებები ხშირად ისმოდა, თუმცა იმის თქმა, რომ მხოლოდ ისინი განსაზღვრავდა კოალიციის ღირებულებით ორიენტაციას, ალბათ მაინც არ იქნება სწორი. „ქართული ოცნება“ მრავალფეროვანი და ეკლექტური წარმონაქმნია, რომელიც პოპულისტ ქსენოფობებთან ერთად, აერთიანებს საქართველოში ყველაზე ხანგრძლივი ლიბერალური ტრადიციის მქონე რესპუბლიკურ პარტიას, და სხვა პროგრესულ ძალებს. ამასთან, რაც ალბათ ყველაფერზე მნიშვნელოვანია, კოალიციის სულისჩამდგმელი, ბიძინა ივანიშვილი, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე პრემიერმინისტრად ყოფნის ხანმოკლე პერიოდში საკმაოდ

რადიკალურ და ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (მაგალითად, მისი სიტყვები, რომ სექსუალური უმცირესობები ჩვეულებრივი და თანასწორი მოქალაქეები არიან და რომ ჩვენს საზოგადოებას მოუწევს ამასთან შერიგება. მაღალი რანგის მოხელისგან ამგვარი მკაფიო მესიჯი უპრეცედენტო შემთხვევა იყო საქართველოს ჰომოფობიურ რეალობაში).

თუმცა, ღირებულებითი სიჭრელის ფონზე, ახალმა ხელისუფლებამ, საერთო ჯამში, რამდენიმე ნაბიჯით პირდაპირ შეუწყო ხელი საზოგადოებაში რელიგიური ნაციონალიზმის და ქსენოფობიური განწყობების განმტკიცებას. ამ ნაბიჯებს შორის იყო, მაგალითად, ბუნდოვანი ლოზუნგი, რომელსაც ახალი ხელისუფლების მაღალჩინოსნები მანტრასავით იმეორებდნენ პირველი თვეების განმავლობაში – „რომ უმცირესობის უფლებების დაცვა არ უნდა ხდებოდეს უმრავლესობის უფლებების შელახვის ხარჯზე“ (რაც „უმრავლესობის ტირანიად“ ცნობილი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისკენ მოწოდებად შეგვიძლია გავიგოთ). ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი რამდენიმე სოფელში მუსლიმების შევიწროების და ჩაგვრის აღკვეთას; ხოლო 2013 წლის 17 მაისის ბაკქანალიას – როცა საპატრიარქომ სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ ძალადობის ინსპირირებით ღიად და დემონსტრაციულად უგულვებელყო მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები და აჩვენა, რომ თუ მოისურვებს, კანონზე მაღლა დადგება – სახელმწიფომ მხოლოდ იმით უპასუხა, რომ რამდენიმე ინდივიდს, მათ შორის, ორ სასულიერო პირს, ფორმალური, დიდნილად სიმბოლური დატვირთვის მქონე ბრალი წაუყენა.

## პრაქტიკა პერსპექტივა

შესაბამისად, იმ ვითარებაში, რომელშიც ქართული საზოგადოება დღეს იმყოფება – და რომელსაც ზემოთ ღირებულებითი გზაჯვარედინი ვუწოდეთ – საფრთხე მართლაც ბევრია. ქვეყანა თითქმის ათწლიანი ავტორიტარული მოდერნიზაციის ნეგატიურ შედეგებს იმკის. ავტორიტარიზმმა უფრო გაამძაფრა ისედაც არსებული რადიკალური განწყობები; ზედაპირული და ზემოდან ქვემოთ წამოსული „ვესტერნიზაციის“ და სახელმწიფოს რეპრესიული აპარატების ძალისმიერი და ძალადობრივი ნაბიჯების პასუხად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა რელიგიური ნაციონალიზმი, ქსენოფობია და ანტილიბერალური განწყობები – როგორც საზოგადოების წიაღში, ისე პოლიტიკური ისტებლიშმენტის შიგნით.

მაგრამ რაოდენ რთულიც უნდა იყოს, დღევანდელ ვითარებას ერთი დიდი უპირატესობაც აქვს – სადისკუსიო სივრცის გახსნა და ღირებულებებზე დისკუსიისთვის მეტი შესაძლებლობების გაჩენა. სალაპარაკო თემა უამრავია – იქნება ეს სამოქალაქო უფლებები, საზოგადოებრივი სოლიდარობა, მრავალფეროვნება, როგორც კოლექტიური სიკეთე, თუ რელიგიისგან თავისუფალი საჯარო სივრცის, ანუ სეკულარული პრინციპების დაცვის აუცილებლობა. ამჟამინდელი რთული სოციო-კულტურული ვითარება და კულტურული ცვლილების იდეის მიმართ ერთგვარი დაღლილობა ამგვარ დისკუსიას დიდად ოპტიმისტურ პერსპექტივას არ უქადის. მაგრამ ეს მაინც უნდა შევძლოთ – რადგან ამ თემებზე კამათის და ახლებური კონსენსუსის ფორმირების გარეშე, ჩვენი საზოგადოება ვერ შეძლებს შედგეს განსხვავებული, თავისუფალი, თანასწორი და პასუხისმგებელი მოქალაქეების ერთიან კოლექტივად.

# თვითგაერთიანება VS ქუჩის აქტივიზმი

## თეორიული კონფიგურაცია და საქართველოს მაგალითი

დავით ლოსაბერიძე

### ქუჩის აქტივიზმი - ახალი პოლიტიკური დისკურსი?

ნებისმიერ სემინარზე, ვორქშოპსა თუ სხვა ანალოგიურ შეკრებებზე, რომელიც საზოგადოებრივი პროცესების ანალიზს ეძღვნება, ყოველთვის ბევრს საუბრობენ საზოგადოების მზაობაზე, რეალურად იყოს ჩართული საკუთარი საარსებო გარემოს გასაუმჯობესებლად განხორციელებულ აქტივობებში.

აღიარებენ რა საზოგადოების როლს თავად საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც წესი, პროგნოზების გაკეთებისას ნათლად იკვეთება იდეალისტური ხედვების მთელი კასკადი. მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა თუ მსოფლმხედველობრივი განსხვავებებისა, იწყება რიგი პოლიტიკური პროცესების აპოლოგია: კაიროს ტაჰრირი, კიევის მაიდანი, სტამბოლის ტაქსიმი, „დაიკავე უოლ სტრიტი“ – ფეისბუქისა და ტვიტერის როლი ამ მოვლენებში...

ისინი, ვინც საკუთარ ქვეყანაში არსებული მდგომარეობით უკმაყოფილონი არიან, ოცნებობენ, რომ ანალოგიური პროცესები მათ სამშობლოშიც დაიწყოს. ისინი კი, ვინც სტატუსკვოს შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვიან, აცხადებენ, რომ მსგავსი მათთან უკვე მოხდა და არსებული სისტემა ასეთი ცვლილებების შედეგია. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რას გულისხმობენ ამაში: 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“ თუ 2012 წლის ოქტომბრის, სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით განხორციელებულ რევოლუციურ არჩევნებს.

ინტელექტუალთა მენისტრიმი უარყოფითად აფასებს ამ ხედვების ოპონენტთა ნებისმიერ მცდელობას – სახელმწიფოს თუ ერის საჭიროებიდან გამომდინარე, გაამართლონ ამა თუ იმ ქვეყნის რომელიმე ხელისუფლების ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავს სახალხო მოძრაობის ამ თანამედროვე გამოვლინებების შეზღუდვას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: ის ხალხი, ვინც აცხადებს, რომ ანალოგიური რამ მათ ქვეყანაში უკვე მოხდა, ნაწილობრივ მართალია. საპროტესტო გამოსვლები დედაქალაქის ცენტრში სრულიად არ არის ინტერნეტტექნოლოგიების განვითარების შედეგი. ასეთი რამ ხშირი იყო უახლოეს წარსულშიც და უფრო ადრეულ პერიოდებშიც. XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში თბილისის, ბაქოსა და ერევნის მთავარი ქუჩები და მოედნები წარმოადგენდა სწორედ რამ ქუჩის აქტივობის სცენებს. დედაქალაქის ცენტრში სახალხო დემოკრატიის მეთოდებით წარმოებული პოლიტიკა XIX საუკუნის პარიზშიც ჩანს (დრეიფუსართა და ანტიდრეიფუსართა დაპირისპირება), ძველ რომშიც გვხვდება (ფორუმზე პოლიტიკურ დაჯგუფებათა ხშირად სისხლიანი დაპირისპირებანი), ათენურ პოლისშიც (აგორაზე გამართული პოლემიკები, რასაც ხშირად ოსტრაკიზმი მოსდევდა) და შუმერშიც (ურში ურუქაგინას მმართველობა, რაც ამ უკანასკნელისათვის ტრაგიკულად დასრულდა).

თავად იდეა, რომ ხალხმა, „კარგმა ადამიანებმა“, სამართლიანობა საჯაროდ, ყველას თვალწინ აღასრულონ, ერთი შეხედვით, მისასაღმებელია და კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის ამსახველ რობინ ჰუდის, ზოროსა თუ მრგვალი მაგიდის რაინდების მითებში გადავყავართ, სადაც კეთილი ყოველთვის სძლევს ბოროტს.

სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ასეთი რამ არცთუ ისე ხშირად გვხვდება. ჯერ ერთი, სიკეთეს და ბოროტებას შორის ანგარიში, სამუალოდ, ფრეა. გამარჯვებული სამართლიანობის გვერდით უოტ ტაილერის ლონდონური ფიასკოც არის, პარიზის კომუნაც, პეტერბურგის სისხლიანი კვირაც და, თუ გნებავთ, 1989 წლის თბილისური 9 აპრილიც.

ამასთან, კეთილის გამარჯვება ყოველთვის სიკეთის გამარჯვებას არ ნიშნავს. ხშირად იჩენს თავს „დრაკონის სინდრომი“, როცა დრაკონის დამმარცხებელი რაინდი მოგვიანებით თავად იქვეა დრაკონად. ისრაელის მეფე საული, ცინ ში ხუანდი ჩინეთში, ზულფიკარ ბჰუტო პაკისტანში, სამხრეთ ამერიკის კაუდილიოთა მთელი წყება, აიათოლა ხომეინის დემოკრატიული რევოლუცია და მისი შედეგები, ავღანელი მოჯაჰედების ტრანსფორმაცია თალიბანად და მრავალი სხვა მაგალითი ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად იძლევა.

დღესაც არ არის ნათელი, რა შედეგებით დასრულდება ის ექსპერიმენტი, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ სახელითაა ცნობილი და ვინ შერჩება ხელისუფლებას. სამაგიეროდ, უკვე ფაქტია, რომ „ფერადი რევოლუციების“ დასავლურმა დოქტრინამ „დემოკრატიის შექმნების“ აღმოცენებას ხელი ვერ შეუწყო.

## ბოლქანბოგის ლუიციზმი: „ჩვენ“, „ისინი“ ღა მისიის პოლოინი

დღეისათვის ყველა (ან თითქმის ყველა) თანხმდება, რომ ტოტალიტარული აზროვნების წესისთვის დამახასიათებელია ხედვების მაქსიმალისტური პოლარიზაცია: თეთრი და შავი, ჩვენ და ისინი, ხალხის მეგობრები და ხალხის მტრები, სწორი და არასწორი იდეოლოგიები და ა.შ.

ასეთი ოპოზიციების სისტემა ისევე ძველია, როგორც თავად საზოგადოება და მაშინ გაჩნდა, როცა ადამიანი დანაწევრებული მეტყველება დაიწყო. „ჩვენ“ (ბაბილონელები, ელინები) კარგები ვართ, „ისინი“ (ლულუბელები, ბარბაროსები) – ცუდები, რომელთაც მეტყველებაც არ შეუძლიათ და მხოლოდ „ლუ-ლუ“ და „ბარ-ბარ“ ძახილით გამოხატავენ გრძნობებს. ჩვენ კარგი მთიელები (მთაგორიან არეალში მცხოვრებნი) ვართ, ხოლო ისინი, ვინც სტეპებში (ველებზე) ცხოვრობენ – ველურები (ე.ი. ცუდები) არიან. სლავები მეტყველებად (სლავიანე), ხოლო გერმანული ტომები მუნჯებად (ნემცი) იყვნენ მიჩნეულნი.

ასეთი ეტიმოლოგიური შტუდირების უკან მკაცრი რეალობა დგას. თეთრად და შავად დაყოფა არამარტო საზოგადოების განვითარების სანყისი ეტაპისათვის იყო დამახასიათებელი. ქრისტიანები (ჯვაროსნები) რომ კარგები ვართ, ხოლო მუსლიმები (თათრები) – ცუდები, ეს საქართველოში ყველამ ვიცით. არისტოკრატისათვის მესამე ნოდება მდაბიოთა კონგლომერატი იყო, რომელსაც მხოლოდ მსახურების ფუნქცია ეკისრებოდა. ბოლშევიკები საზოგადოებას კლასობრივი და პოლიტიკური ნიშნით ყოფდნენ (ბნელი მღვდლები, თავად-აზნაურები და ვაჭარ-ბურჟუები VS მუშურ-გლეხური წარმომავლობის მშრომელი ხალხი), ხოლო ნაცისტები – რასობრივი და ბიოლოგიური ნიშნით (არიელები VS მეორეხარისხოვანი ებრაელები, ბოშები და ჰომოსექსუალები).

დასკვნა ნათელია: თუ გვინდა, „კარგმა“ ხალხმა „ამოისუნთქოს და გაიხაროს“, „ცუდები“ (ინკვიზიციისათვის კუდიანები და ერეტიკოსები, ჩეკისტებისათვის – ტროცკისტები, უკლონისტები და მათი ოჯახის წევრები) უნდა გავანადგუროთ.

და რაც მთავარია: ასეთი დაყოფა საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის იყო მისაღები და ლიდერთა პოლიტიკის ლეგიტიმაციას სწორედ „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ ახდენდა.

პრიმიტივისტული, ორპოლუსიანი შეფასების მოდელი, როცა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არსებულ მთელ სპექტრს ვერ ხედავ, ცალკეულ ინდივიდს ასაკობრივი განვითარების სანყის სტადიაზე ახასიათებს, ხოლო სოციუმში მისი არსებობა ინფანტილიზმის მაღალ დოზაზე მიუთითებს.



ასეთი, გარკვეულწილად, ინფანტილური საზოგადოების არსებობა ინვევს კარგი ლიდერის (მესიის) პერმანენტულ მოლოდინს. ნოსტალგია მკაცრ, მაგრამ სამართლიან და ბრძენ ლიდერზე ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. ამასთან, რაც უფრო განუვითარებელია (ინტელექტუალურად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად) ადამიანთა ესა თუ ის ჯგუფი, მით უფრო ძლიერადაა მასში წარმოდგენილი „მხსნელის“ გამოჩენის სურვილი.

განვითარებული ინდივიდისათვის, რომელიც საკუთარი ფიზიკური თუ გონებრივი რესურსების გამოყენებით მეტ-ნაკლებად სრულად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს, აბსოლუტურად მიუღებელი, ან ნაკლებად მისაღებია, ნებისმიერი ფორმის დიქტატი სხვა ადამიანის მხრიდან.

## ელიგანის უმთავრესი კოლა - იოლი ზვა ზაგონიისაკენ

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალამ, რომელსაც ხელისუფლებაში სურს მოსვლა ან დარჩენა, ანგარიში უნდა გაუწიოს არსებულ განწყობებს. ისტორიული განვითარების პროცესი გვიჩვენებს, რომ ინფანტილური საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება და შენარჩუნება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე იმ საზოგადოებისა, რომელიც დამოუკიდებელი ინდივიდებისაგან შედგება.

ამიტომ, ხელისუფლებას ყოველთვის აქვს ცდუნება, ხელი შეუწყოს სწორედ პირველი ტიპის სოციუმის გაძლიერებას და შეძლებისდაგვარად დაასუსტოს მეორე. კაცობრიობას მასობრივი ზომბირების მრავალი აპრობირებული მეთოდი უნახავს და ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამა თუ იმ პოლიტიკური ელიტის მსოფლმხედველობრივ კუთვნილებას. მოქმედი ხელისუფლების ან ხელისუფლებაზე პრეტენზიის მქონე ძალების ლოზუნგებს (სტაბილურობა, მოდერნიზაცია, სამართლიანობა) ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

მაგალითისათვის, XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ხელისუფლება (ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი) მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად სტაბილურობის შენარჩუნებას ისახავდა და მიმართავდა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების დაბალანსების პოლიტიკას – რაც ხელს უწყობდა ადგილობრივი არაფორმალური ელიტების ხელში ძალაუფლების მაქსიმალური კონცენტრაციის პროცესს.

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა 90-იანი წლების პირველი ნახევრის ქაოსი, ბევრ რამეზე ხუჭავდა თვალს და მოქმედებდა ლოზუნგით „მთავარია, მშვიდობა იყოს“.

რეჟიმის სიმყარეს განაპირობებდა უმაღლესი ხელისუფლის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის დიპლომატიისა და დამბალანსებლის იმიჯიც.

შემთხვევითი არ არის, რომ შევარდნაძის ხელისუფლების კრიზისის პირველი ნიშნები მის დესაკრალიზაციასთან ერთად დაიწყო. ძველი მმართველი ელიტის წიაღში გაჩენილმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ სწორედ შევარდნაძის ყოვლისმჭვრეტელობის დოგმა აქცია სადავოდ და ამით ძველ ნომენკლატურულ ისტებლიშმენტს საკუთარი შვილისაგან დამარცხებული კრონოსის ბედი გაუმზადა.

XXI საუკუნის პირველი ათწლეულის დასაწყისში ქვეყნის სათავეში მოსული მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მთავარ ლოზუნგად ქვეყნის დაჩქარებული მოდერნიზაცია იქცა. საქართველოში, ისევე როგორც მთელ რიგ ტოტალიტარულ, ავტორიტარულ თუ ნახევრად ავტორიტარულ რეჟიმებში, „დაჩქარებული დანევის“ დოქტრინამ იწყო პრევალირება. ლოზუნგები „ჩვენ გვაქვს საუკეთესო რეიტინგი საერთაშორისო ორგანიზაციებში“, „ნულოვანი ტოლერანტობა დანაშაულს“, „დასავლეთი ჩვენგან სწავლობს ბევრ რამეს“ და ა.შ., საკმაო მსგავსებას პოულობს გასული საუკუნის მთელი რიგი რეჟიმების ლოზუნგებთან: „კარაქის ნაცვლად ზარბაზნები“ (ნაციისტური გერმანია), „დავენიოთ და გავუსწროთ აშშ-სა და ევროპას“ (საბჭოთა კავშირი).

შევარდნაძის უძრაობის პოლიტიკისაგან დაღლილმა მოსახლეობამ დაძლია პოტენციური ანარქიის წინაშე შიში და ახალი მეინსტრიმის უპირობო მხარდამჭერად იქცა. ახალი ხელისუფლების პოზიციას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ სტატუსკვოს შენარჩუნების მიზნით, ფორმალური და არაფორმალური ელიტები აპელირებას საზოგადოების არამზაობაზე ახდენდნენ (თეზისი „ხალხი ელიტამ უნდა წაიყვანოს ნათელი მომავლისაკენ“). თუმცა, რეალურად, (უმრავლეს შემთხვევაში მაინც), ამ იდეალისტური ხედვის უკან საკმაოდ მატერიალური ინტერესი – ფინანსურ, პოლიტიკურ თუ სხვა სახის რესურსებზე განუყოფელი ბატონობის სურვილი იდგა.

## მსენა „საყოველთაო ღვიძლავი“ თუ კეაღუკი ინსტიტუციები?

ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც საზოგადოებრივ ინფანტილიზმზე აგებს თავის სტრატეგიას, ყოველთვის ახერხებს მეტ-ნაკლებად მყარი სტრუქტურების შექმნას და განამტკიცებს თავის ბატონობას. თუმცა, ამავე დროს, არსებობს ერთი პრობლემა, რომელიც, საბოლოოდ, ასეთი რეჟიმების გარდაუვალ მარცხს იწვევს: ცნობილი გამოთქმა – „შეიძლება მთელი საზოგადოება მოატყუო ცოტა ხნის განმავლობაში,

ან საზოგადოების ნაწილი ატყუო მუდმივად, მაგრამ შეუძლებელია მთელი საზოგადოების მუდმივად მოტყუება“ – საყოველთაო უნივერსალის რანგში შეიძლება განვიხილოთ.

წარსულის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მართვის ასეთი სტილი, გარკვეული პერიოდულობით, განაპირობებს საზოგადოებაში უკმაყოფილების კრიტიკული ინტენსივობით აკუმულაციას, რაც ხელისუფლების რადიკალურ, ხშირად არცთუ ისე მშვიდობიან ცვლილებებს იწვევს. რევოლუციური ცვლილების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერი პრესის ქვეშ იმყოფებოდა სოციალური მორიგ მღელვარებამდე. არქიმედეს ცნობილი კანონი პოლიტიკაშიც ისევე მოქმედებს, როგორც ფიზიკაში – რაც უფრო მეტია ზეწოლა, მით უფრო ძლიერია იმ ზამბარის ენერჯია, რომელიც მაქსიმალური შეკუმშვის შემდეგ იშლება. ყირგიზელ ანდაზას თუ დავესესხებით – „აქლემზე ჯდომა სჯობს ვირზე ჯდომას, მაგრამ აქლემიდან გადმოვარდნა უფრო მტკივნეულია“.

საკაცობრიო გამოცდილება გვკარნახობს, რომ უმჯობესია შეიქმნას სისტემა, სადაც დროულად მოხდება საზოგადოებაში დაგროვილი ნეგატიური ენერჯიის დახარჯვა („ორთქლის გამოშვება“) და ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი პრობლემების გადაჭრა. ამ ხედვას იზიარებდნენ არა მარტო იდეალისტი მეოცნებენი ან რელიგიური მოღვაწენი (იესო ქრისტედან და წინასწარმეტყველ მუჰამედიდან მოყოლებული), არამედ სავსებით პრაგმატული (ზოგჯერ ცინიზმამდე მისული) პირებიც (მაკიაველი).

სისტემის შექმნა გულისხმობს გარკვეული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და ამ ინსტიტუტთა თამაშის წესების შემუშავებას. დემოკრატიული ტრანზიციის გზაზე დამდგარი ქვეყნების წინაშე დგას გამოწვევა – შექმნას ხელისუფლების კურსზე თანმიმდევრული ზემოქმედების ინსტიტუციური მექანიზმები, რომლის აპრობირებული ფორმაა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება და ამ პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაზრდა.

ჩვენში ადგილობრივ თვითმმართველობას ხშირად განიხილავენ მხოლოდ ერთი კუთხით – საზოგადოებრივი მომსახურებების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, როგორც წესი, უგულებელყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე, უმთავრეს ფუნქციას – მოსახლეობასთან სიახლოვეს.

გარდა აღნიშნულისა, ადგილობრივ თვითმმართველობას ახალი დემოკრატიის ქვეყნებში კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქ-

ცია ენიჭება – ხელი შეუწყოს ადგილებზე (რეგიონებში, მცირე დასახლებებში) პოლიტიკურად აქტიური და ამბიციური (ამ სიტყვის ყველაზე პოზიტიური გაგებით) მოქალაქეების წარმოჩენას და ახალი ადამიანური რესურსებით ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას.

აღნიშნული სისტემის განვითარების ალტერნატივას კვლავ დედაქალაქებში მასობრივი, მშვიდობიანი ან სისხლიანი საპროტესტო აქციების შედეგად ხელისუფლების ზედა დონეზე ელიტების პერმანენტული ცვლა წარმოადგენს – რომელშიც თავიდანვე ჩადებულია პერსპექტივაში ახალი ხელისუფლების სხვა პრეტენდენტის მიერ ჩანაცვლების აუცილებლობაც.

### **„სამოქალაქო საზოგადოება“ თუ „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები“?**

ზოგადად, ძნელია, სამოქალაქო საზოგადოების როლი ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიული რეფორმირებისა და, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების – დეცენტრალიზაციის პროცესში გადაჭარბებით იქნეს შეფასებული. თუმცა საიმისოდ, რომ სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავად ამ სამოქალაქო საზოგადოების არსებობაა საჭირო.

საბჭოური სისტემის დემონტაჟის შემდეგ დღის წასრიგში დგება ტოტალიტარიზმის პერიოდში მოქმედი კვაზისამოქალაქო საზოგადოების (პროფესიული კავშირები, სპორტული კლუბები, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი და სხვ.) თანამედროვე, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სამოქალაქო საზოგადოებად ტრანსფორმირების საკითხი.

საერთაშორისო და დასავლური ორგანიზაციები აქცენტს თავიდანვე სამოქალაქო საზოგადოების სემენტების (პოლიტიკური პარტიები, მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები და ა.შ.) გაძლიერებაზე აკეთებდნენ. განსაკუთრებით კარგი, შეიძლება ითქვას, „სასათბურე“, პირობები შეექმნათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (სსო-ები – ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები).

ვინაიდან ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ადგილობრივი წყაროებიდან სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსება ფაქტობრივად არ ხდებოდა და არ ხდება, ტრანსფორმაციის პროცესში, მთელი რიგი წარმატებების

მიუხედავად, გამოვლინდა დასავლური პოლიტიკის ორი ნაკლი. ჯერ ერთი, დონორი ორგანიზაციების პროგრამები ერთიან თარგზე არის მოჭრილი და ნაკლებად ითვალისწინებს ცალკეულ ქვეყნებში არსებულ ლოკალურ ნიუანსებს; მეორე – რაც უფრო დიდია დონორი ორგანიზაცია, მით უფრო ძნელად ახდენს ის ადაპტირებას ადგილობრივ, სწრაფად ცვალებად გარემოში. ყოფილა შემთხვევები, როცა ამა თუ იმ პროგრამის განხილვა რამდენიმე წელი მიმდინარეობდა ყველა ბიუროკრატიული ფორმალობის დაცვით და როცა მისი იმპლემენტაცია დაიწყო, გაირკვა, რომ ქვეყანაში უკვე სრულიად სხვა რეალობა არსებობდა. არანაკლებ პრობლემატურია განსხვავებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დღის წესრიგსა და ქვეყანაში არსებულ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის.

ასეთ პირობებში, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც საქართველოში, ისევე როგორც გარდამავალი დემოკრატიის ბევრ ქვეყანაში, წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებით, გარკვეულწილად, მოქცეულია ორ ციკხლს შუა – დონორთა მიერ შემუშავებულ დღის წესრიგს, „დაგეგმილ სტაბილურობასა“ (ერთი მხრივ) და მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს (მეორე მხრივ) შორის. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, დემოკრატიის მხარდაჭერმა დასავლურმა პროგრამებმა, განვითარებად ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოების ნაცვლად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შექმნა.

შედეგად, სსო-თა როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე სუსტია და მთლიანად დონორთა შეფასებებზეა დამოკიდებული. ასეთი ტიპის სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული ანტიურაჟის, „პოტიომკინის სოფლების“ როლს ასრულებს და კრიზისულ პერიოდებში მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

აღნიშნული სახით არსებული სამოქალაქო საზოგადოების არაეფექტურობის მაგალითად შეიძლება XX საუკუნის 70-იანი წლების ირანის მოვლენები მოვიტანოთ. ირანში არსებობდა ელიტარული სსო-ები, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებოდა, მათი წარმომადგენლები დადიოდნენ დიპლომატიური კორპუსის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე და დასავლეთისათვის გასაგები ტერმინოლოგიით მეტყველებდნენ. ირანის ისლამური რევოლუციის დაწყებისას კი გაირკვა, რომ ამ სსო-თა და ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესები ძირეულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

## დასკვნა

საზოგადოების საჭიროებების განმახორციელებელი ინსტიტუციური მექანიზმის, რეალურად მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება განვითარებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. პერმანენტული კრიზისების წარმოშობისას, ადგილობრივი თვითმმართველობა ანარქიისა და ქაოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპირწონეა. სწორედ ამ გზით, თანდათანობით დაკმაყოფილდება საზოგადოების ინტერესებიც და ასევე გაძლიერდებიან ლოკალური სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, რომლებიც დღეს მოქმედ ნომენკლატურულ-კლანურ სისტემას ჩაანაცვლებენ.

# თბილისის საზოგადოებრივი სივრცეების პერიპეტეზი

ლადო ვარდოსანიძე

გედმეტია იმის მტკიცება, რომ ქალაქი, როგორც ასეთი, უწინარესად, სოციალურ-კულტურული ფენომენია. მე-20 საუკუნის უდიდესი ამერიკელი ურბანისტი, ავტორი წიგნისა „ქალაქების კულტურა“<sup>1</sup>, ლუის მამფორდი მიიჩნევდა, რომ: „საკუთრივ ენასთან ერთად, ადამიანის ხელოვნების უდიდეს ნიმუშად ქალაქი რჩება“<sup>2</sup>.

ქალაქის, ურბანული სივრცის სოციალური, საზოგადოებრივი ბუნების წარმოჩენა წითელ ძაფად გასდევს დიდ განმანათლებელთა ინტელექტუალურ ნააზრევს. აქ მხოლოდ ორს გავიხსენებთ, რომლებსაც ათასზე მეტი წელი აშორებს ერთმანეთისგან. ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე, ქალაქ სევილიის გამოჩენილ ეპისკოპოსს – ისიდორეს ესმოდა, რომ „ქალაქად იწოდება არა ქვები, არამედ მოსახლენი“; არა „განაშენიანების ტიპი (URBS), არამედ ადამიანთა ერთობის ხასიათი (CIVITAS)“<sup>3</sup>. სამასი წლის წინ გაისმა ქალაქის იმანენტური ბუნების განმსაზღვრელი სიტყვები, რომელთა ტოლფასი თანამედროვე ურბანისტიკაშიც არ მეგულება. ეს სიტყვები ჩვენს თანამემამულეს, ჯერაც სათანადოდ დაუფასებელ სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის: „თანამრავლობასა და თანასახლობასა ქ ა ლ ა ქ სახელედების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა ეყოფის თავსა თვისსა, არამედ რათა შევეწეოდეთ ერთი მეორესა და სარგებელსა მივანაყოფებდეთ“<sup>4</sup>.

ძნელი დასანახი არ არის, რომ ორივე სენტენცია ქალაქის ბინარულ, ორგანომილებიან, მაგრამ ერთმანეთისგან განუყოფელ, სოციალურ-კულტურულ და მატერიალურ-სივრცით სისტემაში, პრიორიტეტს სწორედ პირველს ანიჭებს. ურბანული გარემოს ამ ორი მხარის თანაფარდობა, საზოგადოებრივ და სხვა დანიშნულების სივრცეებს შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევა, საბოლოოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ ქალაქის ფუ-

1 Mumford, L., The Culture of Cities, A Harvest Book, Harcourt Brace & Company, San Diego, New York, London 1996.

2 „With language itself, it [city] remains man’s greatest work of art“.

ქმედებელ თვისებას, რომელიც თანამედროვე ურბანისტიკაში ცნობილია „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქის“ (liveable city) სხარტი განსაზღვრებით.

ამ მხრივ, რასთან გვაქვს საქმე თბილისში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ურბანისტული პოზიციებიდან, თბილისის არქიტექტურულ-გეგმარებითი განვითარების რეტროსპექტივისა და დღევანდელი მდგომარეობის შეფასებით. მაგრამ თავიდან საჭიროა „საზოგადოებრივი სივრცის“ რაობის განსაზღვრა.

## ქალაქი და საზოგადოებრივი სივრცე

ზოგადი გაგებით, საზოგადოებრივი, საჯარო სივრცე არის ის სივრცე და/ან შენობა-ნაგებობები, რომლითაც ყველა ადამიანს დაუბრკოლებლად შეუძლია სარგებლობა. საზოგადოებრივი სივრცის მაგალითებად გამოდგება მოედნები, ქუჩები, ტროტუარების ჩათვლით; ბალ-პარკები, პლაჟები თუ სხვა სარეკრეაციო ზონები და ობიექტები; აგრეთვე, მუზეუმები, საჯარო ბიბლიოთეკები, სპორტული ნაგებობები, სანახაობითი ობიექტები, ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და სხვა ამგვარი ინსტიტუციების შენობები და ა.შ.

ამ უნივერსალურ მიდგომასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი სივრცის შინაარსობრივი დატვირთვა და მისი გამოყენების შესაძლებლობათა დიაპაზონი დამოკიდებულია ამა თუ იმ კულტურის მოთხოვნებზე და ადგილობრივ რეგლამენტაციაზე – ფორმალიზებულსა თუ არაფორმალურზე, სრულიად თავისუფალზე ან ნაწილობრივ შემზღუდავზე. მაგალითად, აშშ-ის პრაქტიკაში გვხვდება პარკებითა და სკვერებით სარგებლობის აკრძალვა არაადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ყველა ქვეყანაში მოქმედებს საზოგადოებრივ სივრცეებში ადამიანთა ქცევის მეტ-ნაკლებად ხისტი შეზღუდვები. ე.წ. ანტისაზოგადოებრივი ქცევის აკრძალვა ეფუძნება როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე ადგილობრივ ეთნოკულტურულ თუ რელიგიურ ნორმებსა და ტრადიციებს, აგრეთვე სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. საზოგადოებრივ სივრცეში შეურაცხმყოფელ და უხამს ქმედებებს, როგორც წესი, მიეკუთვნება მოშარდვა და დეფეკაცია (გაიხსენეთ ჩვენი ქალაქის მინისქვეშა გადასასვლელები ან, სულაც, სადარბაზოები), გაშიშვლება და სქესობრივი აქტები, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება. ეს აკრძალვები ხანდახან, ჩვენი თვალსაზრისით, კურიოზულ ფორმებსაც იძენს – მაგალითად, ნიუ-იორკში მოქმედი აკრძალვა – „no public drinking“ („ალკოჰოლის საჯაროდ მიღება აკრძალულია“) – ვრცელდება საკუთარი სახლის გარე კიბეებზეც, ჯარიმა 25 დოლარია.



ბოლო ხანს, საზოგადოებრივი სივრცის ცნება, აკადემიური თვალსაზრისით, დრამატულად გაფართოვდა – მის ორგანულ ნაწილად ხშირად იგულისხმება ვირტუალური სივრცეც; ორივე შემთხვევაში მთავარია ის უნივერსალური, გამაერთიანებელი პლატფორმა, სადაც შესაძლებელია თავისუფალი შეხვედრები, უცნობ ადამიანებთან კომუნიკაცია, საჯარო გზავნილების გაკეთება და, საბოლოოდ – საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ყოველივე ეს კი, სწორედ ურბანული გარემოს იმანენტური თვისებაა. აქ გასახსენებელია კიდევ ერთი სენტენცია: „ქალაქმა, შეიძლება, არც შვას გენიოსები, მაგრამ ის ერთმანეთს ახვედრებს მოაზროვნეებს“. სხვათა შორის, ეს კარგად ესმოდათ საბჭოთა იდეოლოგებს – გავიხსენოთ, თუნდაც, იმდროინდელი მილიციის მბრძანებლური მიმართვა ქუჩაში მოსიერნე ადამიანებისადმი: „დაიშალეთ!, დაიშალეთ!“ (რუსულად უფრო მკაცრად უღერდა: „По трое не собираться!“).

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, სადაც მიმდინარეობს ფიზიკური სივრცის მნიშვნელობის ახლებურად გააზრება და ვირტუალური სივრცისა და სოციალური ქსელების პოზიციების გაძლიერება, თავისთავად დგება სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებში საკუთრივ ურბანული სივრცის ტრანსფორმირებული როლის საკითხი. ითვლება, რომ მთელი რიგი ბოლოდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები სოციალურ ქსელებში ისე ჩაისახა, რომ ყოველთვის როდი ხერხდება ამ მოვლენების კონკრეტული ინიციატორის დადგენა. ამ კონტექსტში განიხილავენ ეგვიპტის რევოლუციას, მოსკოვში პოლიტიკურ გამოსვლებს. შედარებით ახალ მოვლენებს შორის დავასახელებ სტამბოლში, ტაქსიმის უბანში პარკის გადასარჩენ აქციებს; ფრანკფურტში „Blockupy“ მოძრაობის ქუჩაში გამოსვლას; ევროპის დედაქალაქების პერიფერიულ საძინებელ უბნებში, სოციალურ საცხოვრისში დაგროვილი აგრესიის გადმოფრქვევას ცენტრალურ ქუჩა-მოედნებში – პარიზისა და სტოკჰოლმის მაგალითებიც საკმარისია. არც ჩვენი ბოლოდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაა მოკლებული საჯარო სივრცეში ასახვის ფორმებს.

ხანდახან, აკადემიურ წრეებში გაისმის აზრი, რომ ქალაქის სივრცე, „ადგილი“, როგორც ასეთი, კარგავს თავის ტრადიციულ მნიშვნელობას. ფილოსოფოსებს და კულტუროლოგებს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვთ ურბანული გარემოს ისეთი კატეგორიები, როგორიცაა, მაგალითად, „უადგილობა“ (placelessness), რაც თითქოს გულისხმობს „ადგილის“ ავთენტურობის დაკარგვას. ან, „არ-ადგილი“ (non-place) – ისეთი კატეგორია, რომელიც, მათი აზრით, ასახავს თანამედროვე გლობალურ ტენდენციებს –

ადამიანთა მობილობას, შიდასაქალაქო მობილობის ჩათვლით; არ გააჩნია ავთენტურობა, საკუთარი ისტორია, ფუნქციური არსი და არ მონაწილეობს პიროვნების იდენტობის ჩამოყალიბებაში.

ამასთან ერთად, სულ უფრო დამაჯერებელი ხდება ის თეზისი, რომ რეალურ დემოკრატიულ პოლიტიკას ესაჭიროება ე.წ. open-minded spaces (ამ ნეოლოგიზმს მოვიაზრებთ როგორც „გახსნილობისადმი, კომუნიკაციისადმი მიდრეკილი სივრცე“). ეს ის სივრცეა, სადაც ადამიანთა არა მარტო დიდ რაოდენობას, არამედ მრავალფეროვნებასაც აქვს თავისუფალი თანაარსებობის ყველა პირობა; სუფევს დაუგეგმავი, მოულოდნელი, სპონტანური ქმედებების ატმოსფერო; არის უსაფრთხო და კეთილგანწყობილი თავისუფალი, კრეატიული ინიციატივების მიმართ. ამის საწინააღმდეგოდ, „single-minded spaces“ წარმოადგენს ცალსახა, ხისტად დეტერმინირებულ, მონოფუნქციურ, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით „ზონირებულ“ ტერიტორიას, სადაც შეუძლებელია სოციალური სივრცის შინაგანი ბუნების თავისუფალი გამოვლენა.

## საზოგადოებრივი სივრცე თბილისში: პოლიტიკა და ისტორია

სოციალური სივრცის თაობაზე აკადემიური, განყენებული მსჯელობის გაგრძელება შესაძლებელია; მაგრამ, ურბანისტიკის ამოცანა დღეს სხვა რამეში მდგომარეობს. ეს ამოცანა ჩვენს ქალაქებში, უწინარესად თბილისში, საზოგადოებრივი სივრცეების ემანსიპაცია და განვითარებაა. მართლაც, ზემოხსენებული პოლიტიკური მოვლენების კრისტალიზაციაში დიდი იყო ვირტუალური სოციალური ქსელების როლი, მაგრამ, იმ შემთხვევებშიც, კონკრეტული, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგი სწორედ რომ სოციალურ სივრცეში, კონკრეტულ „ადგილზე“ შედგა ან ჩაისახა. ზოგადად, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი სივრცეები ქალაქში არ კარგავს თავის დანიშნულებას, ისინი გარკვეულ ევოლუციას განიცდის და საზოგადოების მხრიდან გაცნობიერებას, გათავისებას და დაცვას საჭიროებს.

ითვლება, რომ საზოგადოებრივი სივრცე, თანამედროვე დემოკრატიული გაგებით, ათენში ჩამოყალიბდა აგორას სახით, რომელიც რამდენიმე ფუნქციას ითავსებდა – რელიგიურს, ინფორმაციულს, სავაჭროს და, რაც უწინარესად მნიშვნელოვანია – წარმოადგენდა დემოსის თავშეყრის ადგილს. ანტიკურ რომში ფორუმები ასრულებდა ამ დანიშნულებას. შუა საუკუნეებში, პარიზელები „ახალ ხიდზე“ იკრიბებოდნენ – ახალი ამბების გასაგებად და ერთმანეთთან გასაზიარებლად. ტფილისსაც ჰქონდა ანალოგიური ადგილი – „სალაყბო“, რომელმაც მე-19 საუკუნის

დასაწყისისთვის დღევანდელი თავისუფლების მოედნის ადგილზე ამონაცვლა; მთავარ საჯარო სივრცედ კი „თათრის მოედანი“ და „სომხის ბაზარი“, იგივე „შუა ბაზარი“ (დღეს – კოტე აფხაზის ქუჩა) რჩებოდა.

რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდმა მოიტანა საზოგადოებრივი სივრცეების ნომენკლატურის გაფართოება – მათ შორის იყო საჯარო ბაღ-პარკები, სპორტული მოედნების პირველი მაგალითები და სხვა. ტფილისის საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იმ დროს გაბატონებული „ტფილისური (სუბ)კულტურის“ ცალსახად მასკულიზური ორიენტაციის გამო, „აზიელი“ ტფილისელების დროსტარების შეუცვლელ ადგილებად რჩებოდა ქალაქის იმდროინდელი შემოგარენის – ორთაჭალის, კრწანისის, ვერეს ბაღები. ამასთან, გავიხსენოთ მდინარე მტკვარზე, ტივებზე დარდიმანდული ქეიფის მეტად თავისებური ტფილისური ტრადიცია.

ქალაქის სივრცით-ფუნქციური წყობის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ, თუ შუა საუკუნეების ტფილისმა შექმნა ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცის თავისებური ფენომენი ტერასული საცხოვრებელი განაშენიანების ბანიანი (ბრტყელი) სახურავების ფორმით, მას შემდეგ, რაც 1828 წელს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებულებით, აიკრძალა ქუჩებზე გამავალი სახლებისათვის ბრტყელი სახურავის მოწყობა, ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცის ფუნქცია ახლადამოცინებულმა „ტფილისურმა ეზომ“ იტვირთა.

სხვათა შორის, ასეთი ეზოების ფორმირებას ახალი უბნების განაშენიანებაში იმპერატიულად ითხოვდნენ საერთოიმპერიული „საქალაქო დებულების“<sup>3</sup> საფუძველზე. 1886 წელს, ტფილისის საქალაქო სათათბიროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი – „ქალაქის მცხოვრებთათვის განკუთვნილი სავალდებულო პირობები მშენებლობის ნაწილში“<sup>4</sup>, მისი მუხლი 19: „მშენებლობისას ნებისმიერ თავისუფალ ნაკვეთზე, რომლის ფართობი 48-დან (ძველ უბნებში 24 კვ.საჟ) 80 კვ.საჟ-მდეა, აუცილებლად უნდა დარჩეს თავისუფალი, გადაუხურავი ეზო, რომლის ზომა ნაკვეთის მეოთხედზე ნაკლები არ იქნება, შეძლებისდაგვარად კვადრატული ფორმით. 80 კვ.საჟ-ზე მეტი ფართობის მქონე ნაკვეთისათვის ეზოს ზომა განისაზღვრება სულ მცირე 20 კვ.საჟ-ით. ეს დებულება გამოიყენება უკვე განაშენიანებული ნაკვეთების მიმართაც, შენობის კაპიტალუ-

3 „Городовое Положение“ и Жалованная грамота дворянству с принадлежащими к оным узаконениями. СПб., 1817.

4 „Обязательные для городских жителей постановления по строительной части“. Тифлис 1886.

რი რეკონსტრუქციის შემთხვევაში<sup>5</sup>. თანამედროვე ურბანისტიკის ენაზე ეს იმას ნიშნავდა, რომ იმდროინდელმა კანონმდებელმა დაადგინა „განაშენიანების კოეფიციენტი K-1“ – 0.75.

## საზოგადოებრივად - იდეოლოგიზირებულ სივრცეზე

აქ არ შევედგებით „ტფილისური ეზოს“, როგორც ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცის, სოციალური მნიშვნელობის აღწერას; ეს ცალკე თემაა – საინტერესო და საკმარისად ცნობილი. მაგრამ, თხრობის ქრონოლოგიური წყობის დარღვევით ვიტყვი, რომ ურბანული სივრცის სწორედ ამ კატეგორიის იგნორირებამ საბჭოთა ქალაქთმშენებლობის დოქტრინის მიერ, ხრუშჩოვის დროინდელი „ლელმის“ („ХРУЩЁВСКАЯ ОТТЕПЕЛ“) კორბიუზესეულ მასობრივ პერიფერიულ ბინათმშენებლობაში, ახალ მოსახლეებს დაუკარგა „ადგილთან“ ემოციური თუ სოციალური კავშირის განცდა. საცხოვრისის „ადგილი“ აღარ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბებაში. საცხოვრებელ მასივებში სოციალური სივრცე, უბრალოდ, გაქრა.

უნდა ითქვას, რომ საბჭოურმა სოციალურმა ინჟინერიამ იმთავითვე დაიწყო ზრუნვა „ახალი ადამიანის“ კონსტრუირებაზე და ამაში ქალაქის სოციალური სივრცეების იდეოლოგიზირებაც გამოიყენა. ამ მხრივ, მთელი ქვეყნისთვის ეტალონი, რა თქმა უნდა, მოსკოვის „წითელი მოედანი“ იყო, კერპის მავზოლეუმივით. ყველა ქალაქი – დიდი თუ პატარა – ცდილობდა მის მიბაძვას, წელიწადში ორჯერ საზეიმო ალლუმები ამ სივრცეებში იმართებოდა. იყო დრო, როდესაც საამისოდ თბილისში ცენტრალური მოედანი გამოიყენებოდა, რომლის სახელწოდების მრავალჯერადი ცვლილებები პოლიტიკურ ფლიუგერს მოგაგონებთ. შემდგომ, სამხედრო პარადებმა და „მშრომელთა დემონსტრაციებმა“ შოთა რუსთაველის პროსპექტზე გადაინაცვლა. ედუარდ შევარდნაძის კომუნისტური მმართველობის პერიოდში აშენდა „რესპუბლიკის მოედანი“ („ვარდების რევოლუციის მოედანი“), რომელიც დამშვენებული იყო ე.წ. ანდროპოვის ყურებით<sup>6</sup>. უღმობელმა ქალა-

5 „При застройке всякого свободного участка, площадь коего от 48 (в старой части 24 кв. саж.) до 80 кв. саж. должен оставаться свободный непокрытый двор в размере не менее четверти участка, по возможности квадратной формы. Для участков более 80 кв. с. размер двора определяется не менее как 20 кв. с. Параграф этот применяется к уже застроенным участкам при капитальной перестройке зданий.“

6 იური ანდროპოვი – 1982-1984 წლებში სსრკ კომპარტიის გენერალური მდივანი. ამ პოსტზე მოვიდა КГБ-დან; ეს რეპრესიული ორგანიზაცია მიმართავდა ტოტალურ მიყურადებას. იმის გამო, რომ სააღლუმო ტრიბუნის უკანა არქიტექტურული დეკორაცია შორეულად ემსგავსებოდა ადამიანის გიგანტურ ყურებს, გაჩნდა „ანდროპოვის ყურების“ მეტაფორა.

ქურმა ფოლკლორმა მას „ვარდისფერი მოედანი“ შეარქვა – არა ვარდების სიმრავლის, არამედ „წითელი მოედნისადმი“ მიმსგავსების წარუმატებელი მცდელობის გამო...

1970-იანმა წლებმა მოგვიტანა კულტურული მემკვიდრეობისადმი მობრუნება და „თბილისობის“ დღესასწაულის დამკვიდრება. ამ დღეებში მთელი ქალაქი ერთიან სოციალურ სივრცედ იქცეოდა; კლასიკურმა ფორმულამ სახე იცვალა და „მწვადი და სანახაობის“ ფორმა მიიღო. ამასთან ერთად, თბილისის 1970 წლის გენერალური გეგმის შესაბამისად, დედაქალაქში მიმდინარეობდა ახალი სარეკრეაციო და სპორტული ობიექტების მშენებლობა. რაც მთავარია, მოქმედებდა ე.წ. საბალანსო ერთეულის ქალაქგეგმარებითი პრინციპი; ანუ, საზოგადოებრივი მომსახურების საფეხურებრივი კონცეფციის ფარგლებში, ქალაქის განაშენიანების თითოეულ ერთეულში (უბანში, მიკრორაიონში, საცხოვრებელ რაიონში) მოქმედებდა საზოგადოებრივი სივრცის – ძირითადად, სკვერებისა თუ ბაღების ნორმატიული უზრუნველყოფის ვალდებულება.

## პოსტსაქართველო: თბილისი და გარე სოციალური სივრცისთვის

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავის ძირითად ასპარეზად შოთა რუსთაველის პროსპექტი აირჩია; აქ იწერებოდა ქვეყნის უახლესი ისტორია. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ვერ გაემიჯნა ამ ფიზიკურ სოციალურ სივრცეს და მასმედიის ეპოქაში „საინფორმაციო მიტინგებს“ რუსთაველზე მართავდა. „თბილისის ომიც“, ფაქტობრივად, დედაქალაქის ცენტრალური პროსპექტის ომი იყო.

შემდგომ, ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, დაიწყო გადატანითი მნიშვნელობით ომი სოციალური სივრცეებისათვის თუ მათ წინააღმდეგ. ეს იყო უთანაბრო ბრძოლა გაუმაძღარ ხელისუფლებასა და დაუცველ სოციალურ სივრცეებს შორის; ამ ბრძოლის გარედან წამხალი-სებლები და შიგნით წარმმართველები ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პერსპექტივას „ყველაფრის“ პრივატიზებაში ხედავდნენ.

მოვიყვანთ ორიოდ ნაკლებად ცნობილ მაგალითს. ედუარდ შევარდნაძის დროს დაიწყო მტკვრის სანაპიროების ნაკვეთებად დაჭრა და პრივატიზება. მუნიციპალური აზროვნების კიდევ ერთი „შედეგრი“, რომლის ფრაგმენტი ციტირებას იმსახურებს, არის თბილისის მუნიციპალიტეტის 1995 წლის ერთ-ერთი დადგენილება, რომელიც დედაქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტს „უმადგურებს“ თბილისის ცენტრის სოციალური სივრცის საუკეთესო ნაწილებს და დასძენს, რომ

ამ დეპარტამენტს „მიეცეს უფლება, უმეტესი ხელშემწყობი პირობის გათვალისწინებით, აწარმოოს მოლაპარაკება და გააფორმოს ხელშეკრულებები აღნიშნულ ტერიტორიაზე, დეპარტამენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი შეხედულებისამებრ“. ცხადი იყო, რომ საქმე გვექონდა, მსოფლიო ბანკის ტერმინოლოგიით თუ ვიტყვი, „სახელმწიფოს დაპატრონებასთან“ (capture of state).

„ვარდების რევოლუციის“ სცენარში ლამის გადამწყვეტი როლი დაეთმო გამწვანებული საზოგადოებრივი სივრცეების – ბალების, პარკების, ტყეპარკების – განადგურებისაგან გადარჩენის თემას. ნაციონალური მოძრაობის ენერგიულმა ახალგაზრდა გუნდმა საზოგადოებას მიმართა ე.წ. იანვრის დეკლარაციით, რომელიც გაჯერებული იყო ქალაქგანვითარების მონესრიგების კეთილი განზრახვებით. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „დეკლარაციის“ ფურცლებით, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჯოჯოხეთის გზა მოიფინა, მისმა ავტორებმა კი ურბანული განვითარების სფეროში გადანყვეტილების მიმღებთა მაღალი სავარძლები დაიკავეს...

ამას მალაპარაკებს საზოგადოებრივ სივრცეებზე შეტევის მრავალრიცხოვანი და გახმაურებული მაგალითები; რამდენიმეს მაინც შეგახსენებთ, ალექსანდრეს ბაღს ტერიტორია ჯერ საცხოვრებელმა სახლმა ჩამოაჭრა, შემდეგ კი – ეროვნულმა გალერეამ, ავტოსადგომის მოსაწყობად. ვაკის პარკს საელჩოები, სასწავლო დაწესებულებები, კერძო მენამენეები უტყვევენ. ვერეს ხეობა საბოლოოდ გამოემშვიდობა „მზიური ქალაქის“ იდეას. მწვანეში ჩაფლული „დინამოს“ კორტები წაიშალა ქალაქის რუკიდან. პუშკინის ქუჩის კურიოზული რეკონსტრუქციის შედეგად, საერთოდ მოისპო ტროტუარი ხელოვნების მუზეუმის კედლის გაყოლებით. განსაკუთრებით მიუღებელია გმირთა მოედნის წმინდა ტექნოკრატიული, ისიც უნიგნური, გაუთვლელი რეკონსტრუქცია; ქალაქის ცენტრში შეიქმნა დეჰუმანიზებული „მკვდარი ზონა“, სადაც ადამიანს, ქვეითს აღარაფერი ესაქმება.

ყოველივე ეს ეწინააღმდეგება არა მარტო ურბანული გარემოს ორიენტაციას ადამიანზე, არამედ ნორმატიულ მოთხოვნებსაც. დღეს მოქმედი, სამშენებლო პირობების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტი – საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, განსაზღვრავს: „საზოგადოებრივი ტერიტორია/სივრცე – განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასას-

ვლელი ან სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები, რომელიც ხელმისაწვდომია ადამიანისთვის“.

საზოგადოებრივი სივრცის ამ ფორმულირებას სიტყვასიტყვით იმეორებს თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ოპერატიული დოკუმენტი – „თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“. ის, დამატებით, ადგენს, რომ დედაქალაქის ტერიტორიაზე გამოსაყოფ 24 კონკრეტულ ფუნქციურ ზონას შორის არის სამი ე.წ. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა და განმარტავს ამ ზონებში დასაშვებ სამშენებლო ობიექტების სახეობებს და პარამეტრებს. ზონირების ავტორებმა ერთ ზონაში მოათავსეს დიამეტრულად სანინაალმდეგო ბუნების სივრცეები – საზოგადოებრივი, ანუ სოციალური და საქმიანი, ანუ ბიზნეს-სივრცეები. „წესები“ არ მოიაზრებს დედაქალაქის ერთიან საზოგადოებრივ სივრცეს; სივრცის ეს კატეგორია გაბნეულია სხვადასხვა ფუნქციური პროფილის ზონებში – საზოგადოებრივ-საქმიანში, სატრანსპორტოში, რეკრეაციულში. ეს ხარვეზი გამოსასწორებელია.

ბოლოსთვის შემოვინახე მთავარი მოსაზრება, რომელიც რიტორიკული კითხვის ფორმით ჩამოვყალიბე – არსებობს კი სოციალური, საზოგადოებრივი სივრცე სოციუმის, საზოგადოების გარეშე? ვფიქრობ, პრობლემა სწორედ აქ გვაქვს. ამას გვეუბნებოდა მერაბ მამარდაშვილი ქართული საზოგადოების შესახებ ჯერ კიდევ 1990 წელს, ინტერვიუში, რომელიც მრავლისმთქმელი სათაურით გამოქვეყნდა – „ჯაშუშის ცხოვრება“<sup>7</sup>. „ყველა დამოუკიდებლად გადარჩენას ცდილობს, თავის ნაცნობებთან და ნათესავებთან ერთად განცალკევებულ ნავში აღმოჩენის შემდეგ. რისგან განცალკევებულ? რესპუბლიკისგან, republica, ანუ საზოგადოებრივი საქმის, საზოგადოებრივი სივრცისგან... <...> პოლიტიკური დემოკრატია შეუძლებელია იქ, სადაც არ არსებობს მიმართება საზოგადოებრივ სივრცესთან, რომელსაც ეწოდება republica <...>“<sup>8</sup>.

ძველი ლათინების სენტენცია გვახსენებს: „Lokus regit actum“, ანუ „ადგილი განსაზღვრავს ქმედებას“. იმედს ვიტოვებთ, რომ თბილისის საზოგადოებრივი სივრცეები შეინარჩუნებს ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ავანსცენის შეუცვლელ როლს.

7 Мамардашвили, М., Жизнь шпиона. В Сб.: „Как я понимаю философию.“ М., Прогресс, 1992, с. 350.

8 „Каждый пытается выжить самостоятельно, оказавшись в отдельной лодке со своими знакомыми и родственниками. Отдельной от чего? От республики, от republica, то есть общественного дела, общественного пространства... <...> Политическая демократия невозможна при отсутствии отношений с общественным пространством называемым republica <...>.“





# III

**სომხეთი: გაერთილებული  
გარდამავალი ეზანი**



# გეოპოლიტიკისა და დემოკრატიის გამოწვევა

თათულ აკოფიანი

**2**013 წლის მაისის ბოლოს ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის არა-ფორმალური სამიტი გაიმართა. სომხეთის პრეზიდენტს სამიტიში მონაწილეობა არ მიუღია. სომხეთის პოლიტიკურ წრეებში ეს ნაბიჯი განიხილეს, როგორც ოფიციალური დემარში, რომლის მეშვეობითაც სომხეთს მოსკოვის პოლიტიკით უკმაყოფილების გამოხატვა უნდოდა.

პოსტსაბჭოთა და დასავლეთის ქვეყნებში ხშირად ამბობენ, რომ სომხეთი და რუსეთი ახლო სტრატეგიული პარტნიორები არიან. ამგვარი მსჯელობა, რა თქმა უნდა, დიდწილად სამართლიანია, რასაც 2013 წლის სექტემბერში სომხეთის მოულოდნელი გადაწყვეტილებაც ადასტურებს. მაშინ სომხეთმა განაცხადა, რომ რუსეთის მეთაურობით შექმნილ საბაჟო კავშირს უერთდებოდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ათობით მაგალითის მოყვანა იმის საჩვენებლად, რომ დროდადრო სომხეთს მოსკოვის სამხრეთკავკასიური პოლიტიკა არ მოსწონს.

აშკარაა, რომ სამხრეთ კავკასიის საერთაშორისოდ აღიარებულ რესპუბლიკებს შორის სომხეთი რუსეთზე ყველაზე უფრო დამოკიდებული ქვეყანაა და ეს დამოკიდებულება სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებშიც კი ვლინდება. მიუხედავად კრემლის საწინააღმდეგო განწყობებისა, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნებსა და ექსპერტებს შორის ხშირად შეხვედებით, ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთი უმთავრეს მოთამაშედ რჩება.

## პროგნოზი უსაფრთხოებას

სომხეთის საგარეოპოლიტიკურ დამოკიდებულებას რუსეთზე რამდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს. პირველი და უმთავრესი მიზეზი, რომელიც, მიუხედავად ამისა, სათანადოდ გაშუქებული არ არის, სომხეთის პრობლემური ურთიერთობებია მის უშუალო მეზობლებთან, თურქეთ-

თან<sup>1</sup> და აზერბაიჯანთან<sup>2</sup>. სომხეთის საზღვრების 80 პროცენტზე მეტი ჩაკეტილია. რა თქმა უნდა, არის ხალხი, ვინც ამბობს, რომ ამაში ნაწილობრივ მაინც თვითონ სომხეთია დამნაშავე, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ სიტუაციის აღწერაა. ვინაიდან თურქეთს სომხეთი ბლოკადაში ჰყავს მოქცეული და მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს არ ამყარებს, აზერბაიჯანი კი ომით იმუქრება, სომხეთისთვის რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრეს საშუალებად რჩება.

რუსეთი მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო სომხეთის სამივე პრეზიდენტისა და მათი მთავრობებისათვის. თავის პიკს სომხურ-რუსულმა ურთიერთობებმა პირველი პრეზიდენტის დროს მიაღწია (1991-1998 წწ.), როცა ლევონ ტერ-პეტროსიანსა და ბორის ელცინს შორის თბილი პირადი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ტერ-პეტროსიანის დროს შეიქმნა რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზა გიუმრიში და სომხეთ-თურქეთის საზღვრის დაცვაც რუს მესაზღვრეებს დაევალათ. რობერტ ქოჩარიანის პრეზიდენტობის დროს (1998-2008 წწ.) პარტნიორობა ნელა და თანდათან დამოკიდებულებად იქცა. სომხეთმა თავისი ენერგოსისტემის რუსეთისა და რუსული კომპანიებისათვის ვალის სანაცვლოდ გადაცემა დაიწყო. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ როცა რუსეთს სომხეთისგან რაღაც სჭირდება, რუსეთი ეკონომიკურ ინსტრუმენტებს იყენებს ხოლმე. მიუხედავად ამისა, ქოჩარიანს ვლადიმერ პუტინთან კარგი პიროვნული ურთიერთობები ჰქონდა.

კავშირები რუსეთთან საგრძნობლად განმტკიცდა 2013 წლის სექტემბერში, როცა პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ყველა გააკვირვა და განაცხადა, რომ სომხეთი რუსეთის ხელმძღვანელობით შექმნილ საბაჟო კავშირში აპირებდა განევრიანებას. ამ კავშირში ბელარუსი და ყაზახეთიც

1 სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში დაძაბულობას რამდენიმე მიზეზი აქვს. მათ შორისაა 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გარშემო შექმნილი კონფლიქტი. სომხეთი მოითხოვს, რომ თურქეთმა 1.5 მილიონამდე სომხის მკვლელობა აღიაროს როგორც გენოციდი, რასაც თურქეთი არ თანხმდება (თუმცა აღიარებს, რომ ომისა და ოსმალეთის იმპერიის დაშლის დროს ბევრი სომეხი მართლაც დაიღუპა).

2 სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობები მთიანი ყარაბაღის გარშემო კონფლიქტის გამო ჩიხშია შესული. საბჭოთა კავშირში, სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბაღი საბჭოთა აზერბაიჯანის ნაწილი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იან წლებში იყო ომი, რომელსაც როგორც მინიმუმ 20 ათასი ადამიანი შეენირა. ამ ომის შედეგად, მთიანი ყარაბაღის შეიარაღებულმა ძალებმა ერევნის მხარდაჭერით თავად მთიან ყარაბაღზე და მის გარშემო მდებარე რამდენიმე აზერბაიჯანულ რაიონზე დაამყარა კონტროლი. მას შემდეგ კონფლიქტის მოსაგვარებლად დიპლომატების მიერ განეულ ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია.

შედიან. ეს ფაქტობრივად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმას ნიშნავდა. სარქისიანმა ასევე განაცხადა, რომ სომხეთი მონაწილეობას მიიღებდა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შექმნაშიც, რომელიც საბაჟო კავშირს უნდა დაეფუძნოს.

სომხეთის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი საქართველოა. ამ ქვეყანაში ხელისუფლებაში ვინც არ უნდა მოვიდეს, სომხეთში ყველას ესმის, რომ საქართველოს მნიშვნელობა ფასდაუდებელია. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ სომხეთიდან რუსეთში მიმავალი სახმელეთო გზა საქართველოზე გადის. სომხეთის საგარეო ვაჭრობის 70 პროცენტი საქართველოს გავლით, ფოთისა და ბათუმის პორტებისა და საქართველოს რკინიგზის მეშვეობით ხორციელდება. თურქეთი და აზერბაიჯანი ცდილობენ, სომხეთი რეგიონულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროექტებში არ ჩართონ, არის ძალები, რომლებიც ცდილობენ საქართველო სომხეთის წინააღმდეგ განაწყონ, მაგრამ იმედია, ისინი მიზანს ვერ მიაღწევენ. სომხეთისათვის სომხეთ-საქართველოს ურთიერთობების განმტკიცებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე გამყოფი ხაზია: თურქეთი-სომხეთი, ნახიჩევანი-სომხეთი, სომხეთი-აზერბაიჯანი, მთიანი ყარაბაღი-აზერბაიჯანი, რუსეთი-საქართველო, აფხაზეთი-საქართველო, სამხრეთი ოსეთი-საქართველო. სომხეთმა და საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვარიც გამყოფ ხაზად არ იქცეს.

თურქეთსა და აზერბაიჯანზე სათქმელი ბევრი არაფერია, რადგან ყარაბაღის საკითხში წინსვლა არ ჩანს. თურქეთი 20 წელია აცხადებს, რომ ყარაბაღის კონფლიქტში წინსვლა, რომელიც აზერბაიჯანის მინიმალურ მოლოდინებს მაინც დააკმაყოფილებდა, სომხეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების წინაპირობაა. ურთიერთობები სომხეთსა და ირანს შორის შეიძლება დახასიათდეს, როგორც თბილი და კეთილმეზობლური.

## გეოპოლიტიკური ანალიზის გარეშე

სომხეთის სამივე პრეზიდენტს კარგად ესმოდა ერთი მარტივი ჭეშმარიტება და ამ მხრივ ქვეყანას ავანტიურებს არიდებდა: სომხეთის მსგავს პატარა ქვეყნებს არ შეუძლიათ სხვებს თავიანთი ინტერესები თავს მოახვიონ. პატარა ქვეყნები, ჩვეულებრივ, თავიანთ ინტერესებს დიდი ქვეყნებისას უთანხმებენ. ერევანს არასოდეს უცდია რუსეთ-აშშ-სა და რუსეთ-ევროპას შორის დაპირისპირებიდან სარგებელი ენახა. სომხეთმა თავისი ზომა და შესაძლებლობები კარგად იცის და ცდილობს ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან და დიდ ევროპულ ქვეყნებთან ნაბიჯ-ნაბიჯ გააღ-

რმაოს. სომხეთი ურთიერთობებს ნატო-სთან და ევროკავშირთანაც აღრმავებს, მაგრამ არ აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციებში განევრიანება სურს.

ამ პოზიციის დასაბუთება მარტივია: ვინაიდან სომხეთის წევრობა ევროკავშირსა და ნატო-ში რეალისტური არ არის, რუსეთის გალიზიანებას აზრი არა აქვს.

## დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის

სომხეთი ჰიბრიდული სახელმწიფოა, ანუ ის სადღაც დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორისაა მოქცეული. უეჭველია, რომ სომხეთი ავტორიტარული სახელმწიფო არაა, მაგრამ სწორედ ასევე უეჭველია, რომ ის არც დემოკრატიული ქვეყანაა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სომხეთი სამხრეთი კავკასიის „დემოკრატიის ოაზისად“ იყო მიჩნეული, მაგრამ ლევონ ტერ-პეტროსიანის პრეზიდენტობის ბოლო წლებისა და რობერტ ქოჩარიანის პრეზიდენტობის პირველი წლების განმავლობაში სომხეთმა ეს საპატიო წოდება დაკარგა.

სისტემის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი არჩევნებია. პოსტსაბჭოთა სომხეთში ყველა არჩევნები გარეგნულად მაინც კონკურენტული იყო. ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ოპოზიციის მთავარი კანდიდატი მეორე პლანზე ჰყოლოდა, მაგრამ მათს ამ მცდელობებს შედეგი არ მოჰყვებოდა.

2013 წლის თებერვალში სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ოპოზიციის ლიდერმა რაფი ჰოვანისიანმა ხმების 37 პროცენტი მიიღო. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მეთვალყურეებმა განაცხადეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები წინა არჩევნებთან შედარებით წინადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა ჭეშმარიტად კონკურენტული არ ყოფილა. სომხეთის ბევრ მოქალაქეს მიაჩნია, რომ ეს არჩევნები არც თავისუფალი იყო და არც სამართლიანი. სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები ზედაპირზე ცოტად თუ ბევრად კონკურენტული ჩანს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ოპოზიციას არ შეუძლია დე ფაქტო გამარჯვება დე იურე გამარჯვებად აქციოს.

სომხეთის მთავარი გამოწვევები დღეს პოლიტიკური და ეკონომიკური მონოპოლიებია. მთავრობა და მმართველი რესპუბლიკური პარტია მთელ ეკონომიკასა და მომგებიან ბიზნესს აკონტროლებს. სომხეთის ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი დღეს ოლიგარქიაა. საშინაო ეკონომიკური ბაზარი დიდი ბიზნესმენების ხელშია, ისინი კი ხელისუფლების ფავორიტებს შორის არიან.

## ეკონომიკა, ფული და გეოპოლიტიკა

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, ქვეყნებს შორის სომხეთის ძირითადი პარტნიორი რუსეთია, მაგრამ როგორც ერთეული, ყველაზე დიდი პარტნიორი ევროკავშირია. მეზობლებზე თუ ვილაპარაკებთ, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არავითარი ვაჭრობა არ არის. დროდადრო ზოგიერთი ნაწარმი სომხეთიდან საქართველოს გავლით აზერბაიჯანში ხვდება და პირიქით, რაც ნაციონალისტურად განწყობილ პოპულისტებს ხმაურისა და ისტერიის მოწყობის ნოყიერ ნიადაგს უქმნის.

სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთანაც არის, ოღონდ საქართველოს გავლით, და ეს ურთიერთობები ვითარდება. ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს სომხეთ-თურქეთის სავაჭრო ბრუნვამ 200 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. სომხეთ-საქართველოს ვაჭრობის მოცულობა დიდი არ არის, თუმცა სომხეთის 10 ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორს შორის საქართველო ყოველთვის იყო. იგივე შეეხება ირანსაც. ირანზე დაწესებული საერთაშორისო სანქციების გამო, სომხეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობებიც ზარალდება.

სომხეთის ინფრასტრუქტურის დიდ ნაწილს რუსეთი ფლობს ან მართავს. რუსეთზე დამოკიდებულება განსაკუთრებით აშკარა ენერგეტიკის სექტორშია.

ევროკავშირიდან ხშირად ისმის კრიტიკა იმის გამო, რომ სომხეთის ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მისი ენერგეტიკის სექტორი, რუსეთის კონტროლქვეშაა, მაგრამ როცა სომხეთის ხელისუფლებამ ახალი ატომური ელექტროსადგურის აშენება გადაწყვიტა, ინვესტიციების ჩადების სურვილი არცერთ ევროპულ ქვეყანას არ გამოუთქვამს. იგივე შეეხება აშშ-საც. ვაშინგტონი ხშირად აკრიტიკებს სომხეთს ირანთან თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების გამო, თუმცა, ბევრს არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თურქეთმა სომხეთის ბლოკადა შეწყვიტოს.

სომხეთის ექსპორტის დაახლოებით 60 პროცენტი მინერალურ რესურსებზე მოდის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სპილენძი, მოლიბდენი და ოქრო. ეს სექტორიც თანდათანობით რუსული კომპანიების კონტროლქვეშ ექცევა. მნიშვნელოვანია რუსული კაპიტალის წილი საბანკო სისტემაშიც.

საერთაშორისო ფულადი გადარიცხვების უმეტესობა სომხეთში (80 პროცენტი) რუსეთიდანაა. შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში ასობით ათასი სომეხი ცხოვრობს, მაგრამ ფულის ძირითადი მასა, რომელიც საშუალო და დაბალი ფენების მოსახლეობას ეგზავნება, რუსეთიდან მოდის. სეზონურ სამუშაოებზეც სომხეთის მოსახლეობას ძველებურად რუსეთში ურჩევნია წასვლა.

# იდეოლოგიებიდან გეგმოლოგიებამდე<sup>1</sup> პრევენციის, როგორც სომხეთის საზოგადოების მოდერნიზაციისა და კონსერვატივიზაციის ანთროპოლოგიური მიმოსილვა

გაიანე შაგოიანი

სოსტაბჭოთა საზოგადოებებში ბოლო 10 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გააზრების ნებისმიერი მცდელობისას, აუცილებელი ხდება დროში უფრო დაშორებული პერიოდის განხილვა და ეს პერიოდი სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების წელი კი არ არის (1991), არამედ კიდევ უფრო ადრეული, 1988 წელი, რომელიც სომხეთისათვის გარდამტეხი გახდა. სწორედ მაშინ დაიწყო ჩამოყალიბება არჩევნებმა, როგორც რეალურმა ინსტიტუტმა იმ გაგებით, რომ მოხდა საბჭოთა არჩევნების ფორმალიზებული იმიტაციის ახლებური გააზრება. სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკაში 1980-იანი წლების ბოლოს მასობრივი გამოსვლების მცირერიცხოვან მიღწევათა შორის ერთ-ერთი სწორედ არჩევნებია. ასოციაციები, რომლებსაც დღეს ყარაბაღის მოძრაობა იწვევს, ძირითადად ომთან და მოუგვარებელ პოლიტიკურ კონფლიქტთანაა დაკავშირებული და იშვიათად თუ ვინმეს ახსენდება, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი დემოკრატიული არჩევნები ფაქტობრივად სწორედ იმ გამოსვლების დროს ჩატარდა.

ამ გამოსვლებში ანთროპოლოგი ლევონ აბრაჰამიანი დღესასწაულის ბევრ ტიპოლოგიურ მახასიათებელს ხედავს<sup>2</sup>, ხოლო იმ დროს

1 მოსაზრება სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში იდეოლოგიებიდან ტექნოლოგიებზე გადასვლის შესახებ, ერევანში ერთ-ერთ კონფერენციაზე პოლიტოლოგმა ალექსანდრ ისკანდარიანმა გამოთქვა [Мартыросян, А, 2012. Ярлыкапов: руководство РФ допустила на северном Кавказе ряд стратегических ошибок // Кавказский узел <<http://www.kavkaz-uzel.ru/articles/225409/>> (20.06.2013)].

2 Abrahamian, L., Chaos and Cosmos in the Structure of Mass Popular Demonstrations. (The Karabakh Movement in the Eyes of an Ethnographer) // Soviet Anthropology & Archeology. Vol. 29, No. 2, 1990a. p. 70-86; Abrahamian, L., The Karabagh Movement as Viewed by an Anthropologist // Armenian Review, Vol. 43, No. 2-3/170-171, 1990b, p. 67-80.



ერევნის თეატრალურ მოედანზე (რომელსაც მოგვიანებით თავისუფლების მოედანი ეწოდა) შეკრებილ ხალხს „კარნავალურ“ სამოქალაქო საზოგადოებად მოიხსენიებს<sup>3</sup>. არჩევნების ინსტიტუტი, რომელიც ამ „კარნავალური“ სამოქალაქო საზოგადოების პროდუქტი იყო, სწრაფად გადაიქცა ძალაუფლების მოპოვებისა და გაძლიერების ინსტრუმენტად. იგივე მოხდა ყველგან ყოფილ საბჭოთა სივრცეში, სადაც არჩევნები ძირითადად დასავლეთიდან შემოსულ სიახლედ<sup>4</sup> და მოდერნიზაციის განუყოფელ ელემენტად აღიქმებოდა.

ზოგიერთი მკვლევარი მესამე მსოფლიოს ქვეყნებისთვის, ევროპის ყოფილი კოლონიებისა და ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის დამახასიათებელ მოდერნიზაციის განსაკუთრებულ ტიპზე ლაპარაკობს. პირობითად ამ ტიპს არაორგანულ (მეორად, დამწვევ, დაყოვნებულ) მოდერნიზაციას უწოდებენ. ევროპის ქვეყნების ბუნებრივი მოდერნიზაციული პროცესისაგან განსხვავებით, ის „უფრო განვითარებული ქვეყნების მიერ შემოთავაზებული საგარეო გამოწვევაა და გადმოღების გზით ხორციელდება“<sup>5</sup>. არაორგანული მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ „ქვემოდან“ მიმდინარე ორგანული მოდერნიზაციისაგან განსხვავებით, „ზემოდან“ ხორციელდება<sup>6</sup> და, ჩვეულებრივ, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტის გავლენისა და ზენოლის შედეგად პოლიტიკურ ვესტერნიზაციად გარდაიქმნება ხოლმე. მაგრამ ყოველ

3 ერევანში 1998 წელს გამართული მასობრივი მიტინგების დროს დროებით გაქრა ან თავდაყირა დადგა შეპირისპირება სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფს, ქალაქსა და სოფელს, კაცსა და ქალს და ა. შ. შორის, გაჩნდა საყოველთაო სოლიდარობის გრძნობა, გამოითქმოდა მოსაზრებები ისტორიული და სოციალური სამართლიანობის შესახებ. ყველაფერი ეს ტიპურია მასობრივი საკარნავალო ქმედებისათვის [Abrahamian, L., *Civil Society Born in the Square: The Karabagh Movement in Perspective // The Making of Nagorno-Karabagh: From Secession to Republic*. Ed. by Levon Chorbajian. Basingstoke, U.K.: Palgrave, 2001, p. 116-134; Abrahamian, L., Shagoyan, G., *From Carnival Civil Society toward a Real Civil Society: Democracy Trends in Post-Soviet Armenia // Anthropology & Archeology of Eurasia*. Vol. 50, No. 3, 2011-12, p. 11-50].

4 Abrahamian, L., Shagoyan, G., *From Carnival Civil Society toward a Real Civil Society: Democracy Trends in Post-Soviet Armenia // Anthropology & Archeology of Eurasia*. Vol. 50, No. 3, 2011-12, p. 11-50.

5 Ермаханова, С. А., *Теория модернизации: история и современность // Актуальные проблемы социально-экономического развития: взгляд молодых ученых* (разд. 2). Новосибирск 2005, с. 233-247.

6 იქვე.

ცალკე აღებულ შემთხვევაში ამ პროცესს შეიძლება გარკვეული თავისებურებები ჰქონდეს, ხოლო დასავლური ინსტიტუციური მოდელების ახალ ადგილზე გადმოტანას შეიძლება სრულიად სხვა, ხანდახან სანინალმდეგო შედეგიც კი მოჰყვეს. ამ სტატიაში „ენდემური“ ინსტიტუტის განვითარებას განვიხილავთ და არჩევნების დასავლური და ადგილობრივი მოდელების, საარჩევნო პროცესში ჩართული სხვადასხვა სისტემისა და ინსტიტუტის არაორგანული და ორგანული მოდერნიზაციის შერწყმას მივადევნებთ თვალს. ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ადგილებზე პოლიტიკური მოდერნიზაცია ერთდროულად როგორც „ქვემოდან“, ისე „ზემოდან“ ვითარდება მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი განვითარების ლოგიკა ხშირად სანინალმდეგო მიმართულებებით მიდის.

## 1988 წელი: პეგაილა და ნასიონალიზმი

XX საუკუნის 80-იანი წლების მღელვარე გამოსვლები სომხეთში დღეს განიხილება როგორც რევოლუცია და/ან საპროტესტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. პოლიტიკური განვითარებისა და შედეგების საფუძველზე ამ მოძრაობის დახასიათებას პოლიტოლოგებს მივანდობ და მასობრივი გამოსვლების ანთროპოლოგიურ შეფასებაზე შეეჩერდები. როგორც უკვე ითქვა, გამოსვლები ტიპოლოგიურად დღესასწაულს მოგვაგონებს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ისინი ყველა მომდევნო გამოსვლის იდეალურ და დიდნილად მითოლოგიზებულ მოდელად იქცა. ამდენად, სრულიადაც არ არის შემთხვევითი ნოსტალგია, რომლითაც 1988 წელს იხსენებენ. „დღესასწაულის“ დამთავრება იმას ნიშნავდა, რომ რეალური და არა კარნავალური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა იყო საჭირო, მაგრამ პროცესი 1988 წელთან ნებისმიერი საპროტესტო გამოსვლისათვის წამგებიანმა შედარებამ გაართულა, რადგან „წმინდა ისტორიის“ მსგავსად, 1988 წელი ყოველგვარ განხილვაზე და კრიტიკაზე მაღლა იდგა და, ზოგადად, დღემდე ასეთად რჩება.

1988 წლის მოძრაობა უკიდურესად იდეოლოგიური იყო. მას ერთი მეტაიდეა (ყარაბაღთან „გაერთიანება“) და ერთი იდეოლოგია ჰქონდა – ნაციონალიზმი, რომელიც სომეხი ერის მიმართ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის დომინანტურ საჯარო დისკურსად გარდაიქმნა (მაგალითად, აზერბაიჯანში სომეხების დარბევა გენოციდის გაგრძელებად აღიქმებოდა<sup>7</sup>) და თანდათან ეროვნული (სახელმწიფოებრივი) დამოუკიდებლობის მოძრაობაში გადაიზარდა. მოძრაობას სათავეში ინტე-

7 Marutyan, H., Iconography of Armenian Identity, vol. 1, The Memory of Genocide and the Karabagh Movement, Yerevan: Gitutyun, 2009.

ლექტურები ედგნენ და მოვლენათა განვითარებასთან ერთად, მათში თანდათანობით ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა მნიშვნელოვანად თავდაპირველად მიზანი ეს არ ყოფილა, მაგრამ მისი აუცილებლობა იმის გაცნობიერების შედეგად გახდა ცხადი, რომ არსებული პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში ყარაბაღთან გაერთიანების პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. ამ მხრივ, ყარაბაღის მოძრაობა ერევანში და თვით ყარაბაღში ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებოდა. მოძრაობის ახალი სოციალურ-პოლიტიკური ტენდენცია მხოლოდ სომხეთისთვის იყო დამახასიათებელი<sup>8</sup>. შესაბამისად, პირველი არჩევნები, რომელშიც სომხეთის „კარნავალური“ სამოქალაქო საზოგადოება მონაწილეობდა, შეიძლება დახასიათდეს როგორც იდეოლოგიური, რადგან იმ დროს იდეურად გაკოტრებული საბჭოთა ნომენკლატურა მოედნებზე დაწყებული მოძრაობის ლიდერებს ეპაექრებოდა.

მიჩნეულია, რომ პირველი დემოკრატიული არჩევნები 1991 წელს ჩატარდა<sup>9</sup>, მაგრამ ყველაზე საოცარი არჩევნები შედგა ჯერ კიდევ 1988 წელს, როცა იმპერიის ნგრევის ნიშნებს ვერავინ ხედავდა და როცა სომხეთის სსრ-ის უმაღლეს საბჭოში ორი სადეპუტატო ადგილი გათავისუფლდა. პრაქტიკულად, თვით არასრულყოფილი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიული მხოლოდ ფორმალურად იყო, საზოგადოების ზენოლის შედეგად არჩევნების ინსტიტუტის ასამუშავებლად ქმედითი ინსტრუმენტი გამოდგა. ეს არჩევნები უნიკალური კიდევ იმით იყო, რომ სამოქალაქო უფლებებისა და შესაძლებლობების თაობაზე პოტენციური ამომრჩევლების ინფორმირების საშუალებად იქცა, რაც პირდაპირ ერევნის თეატრალურ მოედანზე ხდებოდა. მოედანზე მრავალათასიანი დემონსტრაციები და მიტინგები რეგულარულად ტარდებოდა. აქვე იდგმებოდა „საკონსტიტუციო მაგიდები“, სადაც კონსტიტუციას არიგებდნენ, ხოლო სამოქალაქო „ექსპერტები“ ამომრჩევლებს საკონსტიტუციო უფლებებისა და არჩევნების პროცედურების შესახებ ახსნა-განმარტებებს აძლევდნენ. ძნელი სათქმელია, ამ აქციამ არჩევნების დემოკრატიული პროცედურების შესაბამისად ჩატარებას რამდენად შეუწყო ხელი, მაგრამ ფაქტია, რომ არჩევნების ატროფირებული საბჭოთა ინსტიტუტი მოულოდნელად ამუშავდა და „მოედნის“ ორი კანდიდატი უმაღლესი

8 Abrahamian, L., Chaos and Cosmos in the Structure of Mass Popular Demonstrations. (The Karabakh Movement in the Eyes of an Ethnographer) // Soviet Anthropology & Archeology. Vol. 29, No. 2, 1990a, p. 68-69.

9 Ishkanian, A., Democracy Building and Civil Society in Post-Soviet Armenia, London/New York: Routledge, 2008.

საბჭოს წევრი გახდა. მეორე მხრივ, წარმომადგენლობითი პრინციპის საფუძველზე ნომინალურად არჩეული საბჭოთა დეპუტატები, რომლებიც საბჭოთა სომხეთის საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ, პარლამენტის ასამუშავებლად საკმარისი ძალა აღმოჩნდა. პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგობის მიუხედავად, დეპუტატებმა სესია მოიწვიეს და 24 ნოემბრის სხდომაზე მთელი რიგი გაბედული გადაწყვეტილებებიც მიიღეს<sup>10</sup>.

სოციალისტურ სივრცეში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ხალხმა სისტემა თავის ნებას დაუმორჩილა და ნომინალური ინსტიტუტიდან რეალურად მოქმედ ინსტიტუტად გადააქცია. საბჭოთა რეჟიმისა და მთლიანად საბჭოთა სისტემის ტრანსფორმაციის ეს გზა იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ პოლონეთის „სოლიდარობის“ ზოგიერთი ლიდერის აღიარებით<sup>11</sup>, ისინი სწორედ ამ გამოცდილების გათვალისწინებით ცდილობდნენ საბჭოთა არჩევნების გამოყენებას და პოლონეთის პარლამენტში შესვლას, რითაც ნომინალური ინსტიტუტიდან არჩევნები რეალურად მოქმედ ინსტიტუტად გადააქციეს.

მომდევნო არჩევნების „იდეოლოგია“ ეფუძნებოდა „წინააღმდეგ წასვლის“ პრინციპს. ეს იყო მოძრაობა „კომუნისტების წინააღმდეგ“, მაგალითად, 1990 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე და 1996 წლიდან ყველა დანარჩენი არჩევნების დროს, როცა პროტესტი უკვე პოსტსაბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. მათ წინადადებებსა და ოპოზიციის პროგრამებს შორის განსხვავებებს ხალხი დიდად არ უღრმავებოდა. და მაინც, ეს „იდეოლოგიური“ არჩევნები იყო იმ გაგებით, რომ ხელისუფლების „ცუდ“ წარმომადგენლებს „კარგებს“ უპირისპირებდნენ. როცა ხალხი მათთვის ხმის მისაცემად მიდიოდა, იმ არგუმენტების გავლენის ქვეშ იყო, რომლებიც განმარტავდა „რა არის კარგი და რა არის ცუდი“ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, „რა არის ცუდი“.

10 Abrahamian, L., Shagoyan, G., From Carnival Civil Society toward a Real Civil Society: Democracy Trends in Post-Soviet Armenia // Anthropology & Archeology of Eurasia. Vol. 50, No. 3, 2011-12, p. 11-50.

11 Abrahamian, L., Civil Society Born in the Square: The Karabagh Movement in Perspective // The Making of Nagorno-Karabagh: From Secession to Republic. Ed. by Levon Chorbajian. Basingstoke, U.K.: Palgrave, 2001, p. 116-134; Марутян, А., Основные характеристики Карабахского движения, или Армянской революции (1988-1990), 2013 // Галстян, А., Неотправленные письма, Ереван: Гаспринт, с. 9-17 (на арм. яз.).

## სოფელი: გეგასანი, როგორც პოლიტიკოლოგიური მხანი

სოფლად და ქალაქად საარჩევნო პროცესებს შორის მკვეთრმა განსხვავებამ უკვე 1990 წლის არჩევნებზე იჩინა თავი. იდეოლოგიზებული ქალაქი, რომელიც „კომუნისტების წინააღმდეგ“ აძლევდა ხმას, შეეჯახა სოფელს, რომელიც დე ფაქტო მხარს კომუნისტებს უჭერდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ კომუნისტური იდეა მისთვის უფრო ახლო იყო, არამედ იმიტომ, რომ პარტიულ ლიდერებს, როგორც წესი, თავიანთ საოჯახო კლანებში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ საბჭოთა მმართველები პარტიის ნევრობის გარეშე თანამდებობებზე ვერ მოხვდებოდნენ. შესაბამისად, სოფლის მცხოვრებლები კომუნისტებს კი არ აძლევდნენ ხმას, არამედ თავიანთ წარმატებულ ნათესავებს, რომლებიც კომუნისტები იყვნენ. ტრადიციული „დიდი ოჯახი“, გერდასტანი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს სხვადასხვა საბჭოთა ინსტიტუტს შეერწყა (მაგალითად, კოლმეურნეობის ბრიგადას, რომელიც ხშირად ბრიგადირის ნათესავებისაგან შედგებოდა) და თავს ფრამენტულად იჩენდა, როგორც ეკონომიკური და რიტუალური ურთიერთდახმარების სისტემა, არჩევნების დროს ქმედითი პოლიტიკოლოგიური მექანიზმი აღმოჩნდა. ამგვარად, სომხური თემის ტრადიციულმა სოციალურმა სტრუქტურამ, რომელიც საბჭოთა პერიოდში მოდერნიზაციას განიცდიდა, რეალური და არა ფორმალური არჩევნების ინსტიტუტის შემოღების შედეგად, „დიდი ოჯახი“, როგორც სოციალურად ქმედითი ინსტიტუტი, პოლიტიკური გადანყვეტილებების მისაღებად ააღორძინა და რეალურად სოფლის მოდერნიზაციის პროცესის არქაიზაცია მოახდინა. პოსტსაბჭოთა საარჩევნო სისტემამ საოჯახო კლანები არა მხოლოდ გააცოცხლა, არამედ მათ უამრავი დამატებითი ფუნქცია შესძინა, რის გამოც ნებისმიერი იდეოლოგიური არჩევნები შეუძლებელი გახდა, რადგან ისინი „ნათესაობის საფუძველზე“ ჩატარებულ არჩევნებს კონკურენციას ვერ უწევდა. იმარჯვებდა არა იდეა (მათ შორის, იდეა „კარგის სასარგებლოდ“ ან, უფრო სწორად, „ცუდის წინააღმდეგ“), არამედ ადამიანი, რომელიც უფრო დიდი კლანის წარმომადგენელი იყო<sup>12</sup>. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს. სოფლის მოსახლეობისათვის ეს ყველაზე მძიმე არჩევნები იყო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა კონკურენტი კანდიდატები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ, რაც სოფლებში

12 Саакян, В., Проявления и тенденции развития общины и общинных отношений в Армении (социологический анализ) // Кандидатская диссертация (Ереванский гос. университет), Ер., 2002 (на арм. яз.), с. 130-133.

აზრთა დიდ სხვადასხვაობას, წყენას და შეხლა-შემოხლას იწვევდა ან კანდიდატებს შორის ოჯახის წევრების ხმების თანაბარი განაწილებით მთავრდებოდა<sup>13</sup>. „კლანის“ ლიდერის არჩევნები სოფლის კონტროლის იმდენად მოსახერხებელი მექანიზმი აღმოჩნდა, რომ ერთი პირის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მხოლოდ ორი ვადით არჩევის შეზღუდვა მალე გაუქმდა და ადგილობრივი ლიდერების ცვლა საგრძნობლად უფრო იშვიათი გახდა. ისინი ადგილობრივ „თავადებად“ გადაიქცნენ. ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის განწევის იშვიათი შემთხვევებიც კი, სოფლად სოციალური ურთიერთობების ხელახალ არქაიზაციაზე მიუთითებს. მაგალითად, შირაკის მაზრის სოფელ ძორაკაპის მოსახლეობამ 700 ხმით საარჩევნო კომისიასთან ერთად 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს 100-პროცენტისანი ბოიკოტი გამოუცხადა და ამით მაღალ თანამდებობაზე მყოფი თანასოფლელის დაპატიმრება გააპროტესტა. ეს ეპიზოდიც სოფლად „სისხლით“ სოლიდარობაზე მიუთითებს, ოღონდ ამ შემთხვევაში ოპოზიციური ძალების სასარგებლოდ<sup>14</sup>.

ამგვარად, მოდერნიზაციის მონაპოვარი, არჩევნების ინსტიტუტი არადემოკრატიული არჩევნების ახალი ინსტიტუტის გამყარების მოსახერხებელ ინსტრუმენტად სწრაფად გარდაიქმნა და 80-იან წლებში ჩასახული ქალაქისა და სოფლის მოდერნიზაციული დაახლოება გაურკვეველი დროით გადაავადა.

სოციალური კავშირების არქაიზაციის (სისხლით ნათესაობაზე დამყარებული კლანების აღორძინებისა და სიმბოლური ფუნქციონირებიდან „არჩევითობაზე“ მათი გადასვლის) პარალელურად, მიმდინარეობდა სოფლის თვითმმართველობის ორგანოების ეკონომიკურ ანგარიშებში საბჭოთა „მინერების“ პროცესის ფორმალიზაცია და აღორძინება. გეგმიური სისტემა აღარ არსებობს, მაგრამ ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის „წარმატებული მართვის“ შესახებ საჯარო საუბრებმა წარმოშვა ყოვლად დაუსაბუთებელი ფორმალური ანგარიშვალდებულება, რომელსაც რეალურ ვითარებასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს. ზოგადი სტატისტიკის წარმოების ფორმალური ანგარიში საბჭოთა გეგმიური ანგარიშის ანალოგიურია და მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს რიტორიკულად იქნას გამოყენებული, როგორც მოქმედი ხელისუფლების წარმატებული მუშაობის დამადასტურ-

13 Абрамян, Л., Глобализация по-деревенски: Армянский вариант // Сельские метаморфозы, ред. А. А. Касьянова, Краснодар: Дедков, 2008, с. 71.

14 იქვე, გვ. 70-73.

რებელი საბუთი. ერთ-ერთი სასოფლო მუნიციპალიტეტის მოხელემ, რომელიც სოფლის საბჭოში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მუშაობდა, ერთხელ ჩემთან გულახდილი საუბრის დროს აღიარა, რომ ამჟამად მიწერებს ბევრად უფრო ხშირად აკეთებენ, ვიდრე საბჭოთა პერიოდში. გაბერილი ანგარიშების შესახებ ლაპარაკობდა ეკონომისტი და დამოუკიდებელი სომხეთის პირველი პრეზიდენტის მთავრობის პრემიერმინისტრი, ამჟამად კი პარლამენტის წევრი ოპოზიციიდან ჰრანტ ბაგრატიანიც, რომელიც პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე გამოსვლის დროს ამტკიცებდა, რომ თუ სომხეთის მინის რესურსების მთელ პოტენციალს გავითვალისწინებთ, სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები თეორიულადაც კი შეუძლებელია სინამდვილეს შეესაბამებოდეს. გამოდის, რომ არჩევნების ინსტიტუტის დონეზე, ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება სოფლის თემების ტრადიციული სტრუქტურის რეანიმაციას ახდენს და მათ დემოდერნიზაციას უწყობს ხელს. თავის მხრივ, ოფიციალური საჯარო დისკურსი სოფლის შესახებ საბჭოთა დისკურსის მოდელის საფუძველზე იგება და განვითარების იმიტაციის ნაცნობ მოდელს იმეორებს, საგრძნობლად შორდება არსებულ ვითარებას და კეთილდღეობის ილუზიას ქმნის.

### **ქალაქის სოხიალური ინსტიტუტების დემოდერნიზაცია: ოჯახი და „ეზოს ავტორიტეტები“**

არჩევნების გავლენით სოციალური ინსტიტუტების დემოდერნიზაციის პროცესი ქალაქშიც მიმდინარეობს. სოფლისგან განსხვავებით, აქ „საპაკეტო“ ხმების ნუკლეარული ერთეული არა ნათესაური კლანები, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, ოჯახებია. თუ ოჯახის ერთი წევრი რომელიმე ისეთი პირის საწარმოში მუშაობს, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთანაა დაკავშირებული, როგორც წესი, ხელქვეითი იღებს ვალდებულებას, რომ მისი ოჯახის დანარჩენი წევრები ხმას იმ კანდიდატს მისცემენ, რომელსაც საწარმოს ხელმძღვანელობა უჭერს მხარს. დამსაქმებელს ხელქვეითების სრული კონტროლის მექანიზმი არა აქვს, თუმცა პროცესზე ზეგავლენის გარკვეული შესაძლებლობა თვალნათლივ ჩანს. ამას ადასტურებს ისიც, რომ ტელესტუდია „გალას“ ჟურნალისტებმა გადაიღეს შაქრის ქარხნის მუშების ჯგუფი, რომლებიც ხმის მისაცემად გიუმრიდან ერევანში ჩაიყვანეს. ეს რეპორტაჟი ფეისბუქზე ყველას შეეძლო ენახა, მაგრამ არავითარი იურიდიული სანქციები ან გამოძიება მას არ მოჰყოლია.

საარჩევნო პროცესში „ეზოს ავტორიტეტების“ ანუ კრიმინალთან ასე თუ ისე დაკავშირებული ახალგაზრდების ჩართვა სოციალური ინსტი-

ტუტების კიდევ უფრო დიდ დეგრადაციად იქცა<sup>15</sup>. ამ ახალგაზრდების „მოვალეობა“ საარჩევნო ქრთამების დარიგება და საარჩევნო უბნების კონტროლი იყო. რაც იმას ნიშნავს, რომ ქუჩის არაფორმალური სტრუქტურები, რომლებიც, როგორც წესი, ურბანულ სოციალურ ურთიერთობებში ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოებთან დაპირისპირებული მარგინალური რგოლია, ახალ ფუნქციას იძენს, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, ხდება მათი ფორმალიზაცია (ჩვეულებრივ, მათი წევრები პარტიული საარჩევნო შტაბების მუშაკები ხდებიან ან ამ შტაბებთან ჯგუფებად იკრიბებიან) და თანდათანობით უფრო სტაბილურ სისტემურ ორგანოებად ქცევა, ხოლო მათი როლი არჩევნებიდან არჩევნებამდე სულ უფრო ძლიერდება. არჩევნებს შორის შუალედში ისინი გარკვეულ „იმუნიტეტს“ იძენენ. „სამსახურის“ სანაცვლოდ, ხელისუფლება მზად არის, მათ მიერ ჩადენილ „წვრილმან“ დანაშაულზე თვალი დახუჭოს. ასევე საინტერესოა, რომ „კვარტლის ავტორიტეტებს“ ხელისუფლება მაშინაც მიმართავს, როცა საპროტესტო გამოსვლების დროს პროვოკაციების მოწყობა სურს, რომ ამით მანიფესტაციების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება გაამართლოს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შეხედულება ფართოდაა გავრცელებული და ინტერნეტში განხილვების დროს და სოციალურ საინფორმაციო ქსელებში „პროვოკატორების“ ჩანერგვის შესახებ ცოტად თუ ბევრად დასაბუთებული მტკიცებულებებიც ჩნდება, „პროვოკატორებად“ კი ხშირად დეკლარირებული „ქუჩის ბიჭები“ გამოდიან ხოლმე. ასეთი ქმედებით ხელისუფლება ზოგიერთ თავის ფუნქციას არაფორმალურ ქალაქურ ჯგუფებს გადასცემს და ამით სამოქალაქო ურთიერთობების ფორმალიზაციისა და ოფიციალური ინსტიტუტების განვითარების ნაცვლად, არაფორმალური სოციალური კავშირების ფორმალიზაციას ახდენს.

საარჩევნო უბნებზე არაფორმალურ „მეთვალყურეებად“ ძირითადად მმართველი პარტიის დეპუტატების პირადი დაცვის წევრებიც იქცევიან ხოლმე (დეპუტატებს საზოგადოება ცალკე ოლიგარქიულ კლასად აღიქვამს<sup>16</sup>). ეს „ბრგე ბიჭები“ ხშირად ეზოს ავტორიტეტებთან მოლაპარაკებების დროს შუამავლების როლს ასრულებენ. ფეოდალის „ოპრიჩნიკების“ მსგავსად, „კერძო“ ძალოვანები არა მხოლოდ და არა იმდენად დამქირავებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაქირა-

15 Sargsyan, I., Armenian Elections. No Room for Optimism? // Caucasus Analytical Digest, No. 53-54, 17 July 2013, p. 2-7.

16 Petrosyan, D., Oligarchy in Armenia // Caucasus Analytical Digest, No. 53-54, 17 July 2013, p. 11-18.



ევბული პირები არიან, რამდენადაც პატრონის „ოჯახისა“ და „კლანის“ წევრები და მისი ოჯახის წევრების მსგავსი პრივილეგიებით სარგებლობენ (უჩინდებთ საკუთარი ბიზნესი, იძენენ გარკვეულ კრიმინალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და, გარკვეულწილად, იურიდიულ ხელშეუხებლობას და ა.შ.). ასე ხდება საარჩევნო პროცესის კრიმინალიზაცია, მაგრამ ამ პროცესის მონაწილეები ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებს გარეთ მოქმედებენ, რაც პროცესზე მათ ზეგავლენას მეთვალყურეებისთვის უხილავს ხდის, რის გამოც კომისიის წევრები და ოპოზიციური პარტიების სრულუფლებიანი წარმომადგენლები მათ ვერ აფიქსირებენ. ამის ნაცვლად, მათ „მონაწილეობას“ ფართოდ აშუქებს სოციალური მედია, თუმცა იურიდიული შედეგი ამას, როგორც წესი, არ მოჰყვება ხოლმე.

ამას გარდა, ხდება პოსტსაბჭოთა პერიოდში წარმოქმნილი თვითმმართველობის ახალი ურბანული ინსტიტუტების, კონდომინიუმების ფუნქციის ატროფირება. კონკრეტული თემის ფულადი გადასახადების ხარჯზე მომუშავე სამოქალაქო ინსტიტუტიდან ისინი მოქმედი ხელისუფლების ინტერესებში საარჩევნო კამპანიაზე ზემოქმედების სისტემურ რგოლად იქცევა, ანუ საბჭოთა საყოფაცხოვრებო-საექსპლუატაციო კანტორის მოდერნიზაციის ნაცვლად, კონდომინიუმები საარჩევნო პროცესზე ზემოქმედების ხელისუფლებისათვის კიდევ ერთ მოსახერხებელ ბერკეტად ყალიბდება<sup>17</sup>.

## ინსტიტუტების დეგრადაცია: განათლების პოლიტიკური სისხვევა

ინსტიტუციურ დეგრადაციად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე განათლების მთელი სისტემის „პოლიტიზაცია“, რადგან ეს სისტემა საარჩევნო პროცესის ყველა სტადიაში, განსაკუთრებით კი, საარჩევნო კამპანიაში, ფართოდაა ჩართული. მასწავლებლები ხელისუფლების ძირითადი რუპორი ხდებიან და მშობლებსა და მოსწავლეებს მმართველი პარტიის კანდიდატებთან შეხვედრებზე მიერეკებიან. ისინი ასევე მუშაობენ საარჩევნო კომისიებში, ხოლო საარჩევნო უბნები, როგორც წესი, სკოლებშია გახსნილი. შედეგად, სკოლის დირექტორებისა და, ხშირად, მასწავლებლების, უნივერსიტეტების რექტორებისა და სტუდენტური საბჭოების აბსოლუტური უმრავლესობა მმართველი პარტიის წევრი ხდება. მნიშვნელობა არა აქვს, იცნობენ თუ არა ისინი მის იდეოლოგიას, რადგან ეს განიხილება მხოლოდ როგორც კარიერული წინსვლის ან თუნდაც პროფესიული ხელშეუხებლობის დამატებითი რესურსი. ამგვარ-

17 Sargsyan, I., Armenian Elections. No Room for Optimism? // Caucasus Analytical Digest, No. 53-54, 17 July 2013, p. 2-7.

რად, მმართველი პარტიის ნებიდან გამომდინარე, იოლად ხდება პარტიის, როგორც იდეოლოგიური კონსტრუქციის დეგრადაცია სოციალური მობილურობის ერთგვარი პოტენციალის მქონე ტექნოლოგიურ ინსტრუმენტად.

### **პოლიტიკის იმიჯსია: საჯარო პოლიტიკური კულტურის „კონსოლიდაცია“**

პრაქტიკაში, მმართველი პარტია კომუნიკაციისა და რიტორიკის სტილით ძალიან ნააგავს გვიანი საბჭოთა პერიოდის კომპარტიას, რომელიც იმ დროს უკვე საბოლოოდ დეგრადირებული იყო, როგორც იდეოლოგიური ორგანიზაცია. მთავარი ბრალდება, რომელსაც მონინალმდეგეები რესპუბლიკურ პარტიას უყენებენ, ისაა, რომ ის რეალური პოლიტიკის განხორციელების ნაცვლად პოლიტიკური პროცესების სრულ იმიტაციას ახდენს. თვით პოპულიზმიც კი, რომელზეც ბევრი წინასაარჩევნო კამპანია იგება, ამ პარტიის შემთხვევაში იმიტაციურია. პარტია პენსიებისა და ხელფასების ზრდის დაპირებას კი არ იძლევა, არამედ გაურკვეველი მიზნის მქონე დაუსაბუთებელი გრანდიოზული პროექტების შესახებ საუბრობს (მაგალითად, გუმბირში ტექნოპარკის მშენებლობაზე, რომელზეც 2008 წლიდან ლაპარაკობენ, მაგრამ წინსვლის მაჩვენებელი არცერთი ნაბიჯი ჯერ არ ჩანს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს თემა არჩევნებიდან არჩევნებამდე აქტუალური რჩება). მთავრობა არავითარ მოდერნიზაციულ რეფორმებს არ ატარებს და ამას წარუმატებლად ნიღბავს ისეთი გამოთქმებით, როგორცაა „ამბიციური პროექტები და პროგრამები“, სინამდვილეში კი, პრემიერმინისტრ ტიგრან სარქისიანის რეალური ამბიციები მსოფლიოში ყველაზე გრძელი საბაგირო გზის მშენებლობას არ სცდება, ანუ საბჭოთა პროპაგანდისტული პროექტების მსგავსად, მთავრობა „გიგანტომანიითა“ დაავადებული და ეკონომიკის რეალური გაჯანსაღება აქ არაფერ შუაშია.

ამგვარად, ხელისუფლების საარჩევნო რიტორიკაზე თუ ვილაპარაკებთ, მას უფრო საჯარო პოლიტიკური კულტურის „რესოვეტიზაციის“ პროცესი უნდა ვუწოდოთ. ამ გაგებით, ეს პროცესიც დემოდერნიზაცია უფროა, ვიდრე დასავლური საარჩევნო ტექნოლოგიებისაკენ სვლა იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოპულიზმს ორგანულად მოდერნიზებული ქვეყნების პარაზიტულ ტექნოლოგიად მივიჩნევთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „კულტურული“ ენის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეალურად, უფრო სერიოზულ კულტურულ ჩავარდნებთან და არჩევითი ინსტიტუტების გარკვეულ დევალვაციასთან გვაქვს საქმე.

არჩევნების დეველვაციამ, ცხადია, მათი კორუმპირებულობა და ხმების ყიდვა გამოიწვია. ამასთან, ფალსიფიკაციის ტექნოლოგიები ისე დაიხვეწა, რომ ნებისმიერი მოქმედი ხელისუფლება „არჩევნებში“ გამარჯვებისათვის ახლა უბრალოდ „განწირულია“. ამ პროცესში ყველაზე საინტერესო და უნიკალური ის არის, რომ ფალსიფიკაციის ტექნოლოგიების განვითარება არჩევნების ინსტიტუტის მოდერნიზაციის დროშის ქვეშ ხდება და მთავრობა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს იშველიებს<sup>18</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება დემოდერნიზაციის არაორგანულ მოდერნიზაციად შენიღბვა. მხედველობაში მაქვს 2003 წელს მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იმ ამომრჩევლების სიის გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. ამ გადაწყვეტილების გავლენა არჩევნების შედეგებზე მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია ემიგრაციის მაჩვენებელი, რომელიც ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კანონი, რომელიც სომხეთის მოქალაქეებს ქვეყნის გარეთ ხმის მიცემას უკრძალავს, კანონი საარჩევნო სიების გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ, ფაქტობრივად, ნებისმიერი არჩევნების გაყალბების პრაქტიკულად ნაუგებელ მექანიზმს ქმნის, რადგან ამ შემთხვევაში მოქალაქეების ნაცვლად ხმას ხელისუფლება აძლევს.

ამ პროცესის დაკანონებაში უმნიშვნელოვანესი როლი 2003 წლის არჩევნებმა ითამაშა. იმ დროს ცხადი იყო, რომ სინამდვილეში ოპოზიციამ გაიმარჯვა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოში ოპოზიციის მიმართვის შემდეგ, ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ მსხვილმასშტაბიანი ფალსიფიკაციის შემთხვევაში მას იურიდიული ხელშეუხებლობის სერიოზული დეფიციტი ექნებოდა. სწორედ იმ დროს ოპოზიციამ მონაცემები გადაამოწმა და გამოაცხადა, რომ არჩევნებში „მონაწილეობა“ ქვეყნიდან გასულმა 300 ათასიდან 500 ათასამდე ამომრჩეველმა მიიღო. ამის შემდეგ მიღებულ იქნა კანონი, რომელიც კრძალავს იმ ამომრჩევლების სიის გამოქვეყნებას, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. ითქვა, რომ ამ კანონს თითქოს ვენეციის კომისიამ გაუწია რეკომენდაცია იმ მოტივით, რომ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ხმის მიცემის საიდუმლოებას არღვევს. იურისტების შეფასებით, ეს ღონისძიება ჩვენი ქვეყნისათვის არაფ-

18 Abrahamian, L., Shagoyan, G., n.d. Institution of Elections in Armenia: Western Models and Local "Traditions" // State and Legal Practice in the Caucasus: Anthropological Perspectives on Law and Politics. Ed. by Stéphane Voell and Iwona Kaliszewska. Berghahn Books (in press).

რით არის გამართლებული, განსაკუთრებით, როცა სომხეთში მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებაზეა საუბარი, რასაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. ამ მომენტიდან შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ არჩევნების ინსტიტუტის მოდერნიზაციამ აზრი დაკარგა, რადგან ფალსიფიკაციის სისტემა იმგვარად იქნა მოდერნიზებული, რომ ის საარჩევნო კანონის ლეგალურ განხორციელებას იმ შემთხვევაშიც კი გამორიცხავს, თუ არჩევნებში ჩართული ყველა დანარჩენი ინსტიტუტი მოდერნიზებული იქნება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო მეთვალყურეები ამაში პრობლემას საერთოდ ვერ ხედავენ, თუმცა როგორც სტატისტიკური ანალიზი, ისე საინფორმაციო საშუალებები სწორედ ამ მანკიერ კანონზე მიუთითებენ. ოპოზიციური პარტიების მცდელობა, ეს კანონი პარლამენტის გადანყვეტილებით შეეცვალათ, წარუმატებლად დამთავრდა. ასეთი მცდელობები, პრინციპში, მარცხისთვისაა განწირული, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მმართველ პარტიას პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა აქვს და გადანყვეტილებების მიღებაზე ძალების ვერავითარი კოალიცია გავლენას ვერ ახდენს. აქ მანკიერი წრე იკვრება: რეალური არჩევნების უზრუნველსაყოფად არსებობს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა – უნდა გაუქმდეს კანონი, რომელიც იმ პირთა სიის გამოქვეყნებას კრძალავს, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს, მაგრამ ეს კანონი იმ ადამიანებმა უნდა გააუქმონ, რომლებიც ამაში დაინტერესებული არ არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უბრალოდ არ გააუქმებენ. შესაბამისად, მოსალოდნელი არც იმ ხმების შეფარდების შეცვლაა, რომელთა მეშვეობითაც არჩევნების ჩატარების წესის შესახებ გადანყვეტილება უნდა მიიღონ. ამგვარად, თუმცა სომხეთის ეროვნულ პარლამენტში ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიაა წარმოდგენილი, მიღებულ გადანყვეტილებებზე ზეგავლენის თვალსაზრისით მათ იქ ყოფნას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს. ქვეყნის პოლიტიკური მართვის ახალი წესები ძალიან ჰგავს ერთპარტიულ ხელისუფლებაში არსებულ ძველ საბჭოთა წესებს. ის ხელისუფლება თავის რიგებში უიდეო პარტიულ ნომენკლატურას აერთიანებდა, დღეს კი ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი ორგანიზაციის იდეოლოგიური დებულებები კიდევ უფრო სუსტად ესმით. გვიანი პერიოდის კომუნისტური პარტიის მსგავსად, ეს პარტიაც იდეოლოგიისა და შეხედულებების საფუძველზე შექმნილი ერთობა კი არ არის, არამედ კორპორაცია, რომელიც ადმინისტრაციული რესურსების ექსპლუატაციითაა დაკავებული და ამ რესურსების კომერციულ რესურსებად კონვერტაციას ადვილად ახდენს.

**„პარკაპაპის ღისკარსი“**

მმართველობის ერთადერთ ნაცნობ, საბჭოთა სისტემასთან შესაბამისობა აისახება ხელისუფლების საჯარო პოლიტიკური დისკურსზე, ხოლო ბრეჟნევის ხანასთან ეს მსგავსება ხშირად განიხილება სოციალურ ქსელებში. ძნელია, სათანადოდ არ შეაფასო გასაოცარი ეფექტი, რომელიც ბოლო საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს ამგვარი დისკურსის გამოყენებას მოჰყვა. ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ძალებმა და ფიგურებმა ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და, ამ პირობებში, სერჟ სარგსიანს წინასაარჩევნო კამპანიის კარგად დაგეგმვა პრაქტიკულად არც კი სჭირდებოდა. ამომრჩევლებთან შეხვედრები სკოლის მასწავლებლების პათეტიკური გამოსვლების არენად იქცა, დამსწრე მასების როლში მოსწავლეებიც კი იყვნენ ჩართული, ხოლო იშვიათ შემთხვევებში, როცა თვითონ კანდიდატი წინასწარ მომზადებულ ტექსტს გადაუხვევდა, მის სიტყვაში ჩნდებოდა უამრავი, რბილად რომ ვთქვათ, უხეირო გამონათქვამი, რომლებიც შემდეგ სოციალურ ქსელებში „ჰიტებად“ იქცეოდა ხოლმე. იქმნებოდა ჯგუფები, რომლებსაც სახელად მმართველო პარტიის კანდიდატის ესა თუ ის „გამონათქვამი“ ერქმეოდა და ხშირად, საარჩევნო ბიულეტენებში მოსალოდნელი შემოხაზული ნომრის ნაცვლად, სწორედ ეს სახელწოდებები ჩნდებოდა. სოციალური ქსელების დემოტივატორები სწორედ კანდიდატის „საბჭოურობაზე“ ამახვილებდნენ ყურადღებას და მას ხან სტალინის, ხან კი ბრეჟნევის სახით წარმოადგენდნენ. მმართველობისა და პოლიტიკის საბჭოური წესები, რომლებიც სომხეთში პოსტსაბჭოთა წლებში აქტიური საჯარო დისკუსიების საგანი არ გამხდარა, ალბათ სსრკ-ის სამართალმემკვიდრედ აღქმულ „სტრატეგიულ პარტნიორზე“ (რუსეთზე) დამოკიდებულების გამო, უცებ საყოველთაო დაცინვის, ხანდახან კი შედარებით უფრო სერიოზული მსჯელობის საგანიც გახდა. ტოტალიტარული რეჟიმი უკვე არ აღიქმებოდა როგორც წარსულში ჩარჩენილი, თანამედროვე პოლიტიკური პროცესების განხილვისას გაჩნდა საბჭოთა ისტორიის ლანდი, ხოლო პოლიტიკურ რეჟიმებზე დისკუსიისას საბჭოთა წარსული თანამედროვეობის ფონად მოიაზრებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო რეალური მოდერნიზაციული პროცესი „ქვემოდან“, რომელმაც, „ზემოდან“ თავს მოხვეული საბჭოური სტილის იმიტაციებისაგან განსხვავებით (და დიდწილად, მათი წყალობითაც), ინსტიტუციური მოდერნიზაციის მოთხოვნა წამოაყენა. ასეთი დისკურსის მოთავეები არა იმდენად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები არიან, რამდენადაც სამოქალაქო საზოგადოება. პროფესიონალი იურისტების

მცირე ჯგუფი სომხეთის ერთ-ერთ შედარებით პატარა ქალაქში თანმიმდევრულ მონიტორინგს საკუთარი ინიციატივით ახორციელებს და არა მხოლოდ არჩევნების დროს დაშვებულ დარღვევებს აღნუსხავს, არამედ ინსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით პროცესის მოდერნიზაციისაკენ მიმართულ წინადადებებსაც აყენებს და პროფესიულ მომსახურებას სთავაზობს ყველა ოპოზიციურ ძალას, რომელიც გაყალბებული შედეგების აღიარების წინააღმდეგია. გიუმრიში ჟურნალისტურმა კლუბმა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და უბრალოდ აქტიური მოქალაქეების ძალების მობილიზაცია მოახდინა და მთელ საარჩევნო პროცესზე და, რაც მთავარია, ხმის დათვლის დროს, სამოქალაქო მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზება შეძლო. ეს ჯგუფი იმდენად ეფექტურად მუშაობდა, რომ ხმის დათვლის შედეგები ორგანიზაციის საიტზე უფრო ადრე ჩნდებოდა, ვიდრე ცენტრალური საარჩევნო კომისია ტელევიზიით გამოაქვეყნებდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ოპოზიციის კანდიდატმა აქ ხმების დაახლოებით 70 პროცენტი მიიღო.

### **არჩევნები 2013: იმიჯსიური მოღვაწისა და რეალური წინააღმდეგ**

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს შექმნილი უცნაური სურათი იმაში მდგომარეობს, რომ დედაქალაქის გარდა, ხელისუფლება სომხეთის თითქმის ყველა ქალაქში დამარცხდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იქ, სადაც ხელისუფლება ადმინისტრაციულ კონტროლს ასუსტებს, არჩევნები უფრო ადეკვატურია. დედაქალაქში დიდი „კრიმინალურ-კლანური“ რესურსია კონცენტრირებული, ხოლო სოფლად აღორძინებული საოჯახო კლანები ჯერ კიდევ ეფექტურად მუშაობს. და ეს იმ დროს ხდება, როცა ბოლო არჩევნებზე ოპოზიციურ კანდიდატს არც ძლიერი პარტიული სტრუქტურები ჰქონდა და არც ფინანსური, ადმინისტრაციული და თვით ადამიანური რესურსები. შედეგი ძირითადად დამოუკიდებლობის გასული 20 წლის განმავლობაში არჩევნებზე სპეციალიზებული და თითქმის პროფესიულ ჯგუფად ჩამოყალიბებული კომისიების წევრებისა და რწმუნებულების პროფესიულმა მუშაობამ უზრუნველყო. ეს იმას ნიშნავს, რომ თვალნათელია არჩევნების ინსტიტუტის მოდერნიზაცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ არჩევნების ორგანიზებაში ჩართული ადამიანები მუშაობას სწავლობენ. შედეგად ვიღებთ სურათს, სადაც არჩევნების გაყალბებაში დაინტერესებული ხელისუფლება არჩევნების სუპერმოდერნიზაციის იმიტაციას ახდენს (ვენეციის კომისიის რეკომენდაცია საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებითაა გამყარებული), ხოლო არჩევნების რეალური მოდერნიზაცია განათლე-

ბის დონის ამაღლებისა და არჩევნებში ჩართული მოქალაქეების ხმების „დაცვის“ უნარ-ჩვევების შექმნის გზით ხდება და ამას, როგორც წესი, ოპოზიციური პარტიების მომხრეები და სამოქალაქო აქტივისტები აკეთებენ.

ამ პროცესში, ცხადია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით კი სოციალური მედია, რომელსაც ამჟამად სომხეთში ადვილად შეუძლია ტრადიციულ საშუალებებს გაუწიოს კონკურენცია, რადგან ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის 52 პროცენტს ინტერნეტში მუშაობის გამოცდილება აქვს, 33 პროცენტი კი ინტერნეტში ყოველდღე შედის. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია<sup>19</sup>. რა თქმა უნდა, მათი უმრავლესობა ქალაქების მოსახლეობაა, მაგრამ მმართველი პარტიის ჩავარდნა სომხეთის პატარა ქალაქებში ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ ახალი მოდერნიზაციული ინსტრუმენტი ინტერნეტისა და სოციალური ქსელების სახით ნამდვილად საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. თუ სომხეთის მცირე მასშტაბებსა და ზეპირი კომუნიკაციის მაღალი დონის მქონე ნახევრადტრადიციულ სოციალურ სტრუქტურას გავითვალისწინებთ, ინტერნეტის მომხმარებელთა ასეთი რიცხვი რეალურად ინტერნეტსივრცეში მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების უფრო ფართო ველს გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექნოლოგიური მოდერნიზაცია პოლიტიკურ მოდერნიზაციასაც უწყობს ხელს. ის არა მხოლოდ „ქვემოდან“ მოდერნიზაციას მოიცავს, არამედ გარკვეული ზომით მთავრობის კონტროლქვეშ მყოფ ინსტიტუტებზეც შეუძლია იქონიოს გავლენა. მაგალითად, არჩევნების პროცესში დაშვებული დარღვევის შესახებ ფეისბუქზე გამოქვეყნებული სტატუსის შემდეგ უფრო მეტი შანსი იყო, რომ პოლიცია დამრღვევების მიმართ ზომების მიღებას ეცდებოდა, ვიდრე პოლიციელებისადმი უშუალოდ მიმართვის შემდეგ. ვირტუალური რეალობა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ამსახველ ციფრებზე უფრო კონკრეტული ლაპარაკის საშუალებას იძლეოდა. მაგალითად, ოპოზიციის მიტინგების ტრანსლაციის შედეგად, ზუსტად იმის განსაზღვრა მაინც შეუძლებოდა, თუ რამდენი ადამიანი ადევნებდა თვალს ამ მიტინგს მონიტორებთან. ცხადია, ეს საპროტესტო აქციებში მონაწილეთა რიცხვს ამცირებდა, მაგრამ იმავდროულად მოსახლეობის ჩართულობის უფრო ზუსტად დადგენის შესაძლებლობას იძლეოდა.

19 Pearce, K., New Caucasus Internet Stats! // CRRIC Caucasus Barometer 2013 <<http://www.katypearce.net/new-caucasus-internet-stats/>> [20.05.2013].

სახელმწიფოს სამსახურში ინტერნეტი გარკვეული საარჩევნო პროცესების დახვეწის თვალსაზრისით არანაკლებ ქმედითი იარაღი აღმოჩნდა, მაგალითად, დაზუსტდა ამომრჩეველთა სია, რომელიც საპასპორტო მაგიდებმა და პოლიციამ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახადა. ამის წყალობით შესაძლებელი გახდა ბევრ მისამართზე ჩანერილი ისეთი პირების დადგენა, ვინც ამ ბინებში არ ცხოვრობდა და მათთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. დიდი ხმაური მოჰყვა შემთხვევას, როცა ერთთახიან ბინაში 50 ადამიანზე მეტი იყო ჩანერილი. იყო შემთხვევები, როცა საცხოვრებელ ფართზე ჩანერის უფლება „იყიდებოდა“ (ფალსიფიკაციის ეს ფორმა ერევნის თვითმმართველობის არჩევნების დროს გამოვლინდა). ყველაფრის მიუხედავად, ამ სიების დაზუსტება დიდ ეფექტს ვერ მოიტანს, თუ არ გამოქვეყნდა მათი სია, ვინც ხმა უკვე მისცა.

ამგვარად, სომხეთში ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემა (პროცესი „ზემოდან ქვევით“) უნდა აღინეროს, როგორც არაორგანული მოდერნიზაციის ფორმა, როცა ხელისუფლება უფრო საარჩევნო პროცესის იმიტაციას ახდენს, არჩევნების განვითარების პროცესს იდეოლოგიების ჭიდილიდან ადმინისტრაციული რესურსის უფრო დახვეწილი და ეშმაკური გამოყენებით ცვლის და ფალსიფიკაციის ტექნიკურად უნაკლო სისტემას ქმნის. ამასთან, ამ „ტექნოლოგიის“ ლეგიტიმაციის მიზნით, ხელისუფლება საერთაშორისო („დასავლური“) ორგანიზაციების მხარდაჭერასაც იშველიებს, სინამდვილეში კი, იმ სოციალური სტრუქტურების განვითარება, რომლებიც არჩევნების პროცესში ხელისუფლების გავლენის ქვეშ ხვდება ან რომლებსაც ხელისუფლება ამ პროცესში რთავს, კონტრმოდერნიზაციის ანუ რეარქაიზაციის გზით მიდის. ამ დროს კი „ქვემოდან“ ვითარდება უფრო ბუნებრივი (ორგანული) მოდერნიზაციული პროცესი, რომელიც უახლეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ეყრდნობა, მაგალითად, ინტერნეტმაუწყებლობას, ფეისბუქსა და არჩევნებში ჩართული სხვადასხვა სამოქალაქო ინსტიტუტის განვითარებას – რომელთა ძალები და რესურსები შეუდარებლად უფრო მცირეა, ისინი არ სარგებლობენ გარეშე ინსტიტუტების მხარდაჭერით, თუმცა სახელისუფლებო დისკურსი მათ ყველაზე ხშირად სწორედ „უცხოურ“ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში სდებს ბრალს.

ამგვარად, სომხეთში არჩევნების, როგორც ინსტიტუტის, დინამიკის ძირითადი მიმართულება დამწვევი მოდერნიზაციის ტიპს მოგვაგონებს. როგორც შ. ეიზენშტადტმა უჩვენა, ამ ტიპის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა კონსტიტუციურმა რეჟიმებმა რყევა დაიწყეს და თანდათან ადგილს უთმობს მმართველობის სხვადასხვაგვარ ავტორიტარულ ან



ნახევრადავტორიტარულ ფორმებს, რომლებიც პოლიტიკურ მოდერნიზაციას ხელს უშლის<sup>20</sup>. რაც შეეხება ბუნებრივი პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესს, ის უფრო მოძრაობების თვალსაზრისით ვითარდება, ვიდრე პარტიების მოდერნიზაციის, რაც ამ მოძრაობებს არსებულ რეჟიმთან დაპირისპირებაში არაკონკურენტუნარიანს ხდის და იმას ნიშნავს, რომ არაორგანული მოდერნიზაციის<sup>21</sup> პროცესი, რომელიც, როგორც ვნახეთ, სინამდვილეში დემოდერნიზაციას უწყობს ხელს, ჯერ კიდევ ბუნებრივ/ორგანულ მოდერნიზაციაზე უფრო ძლიერია.

---

20 Эйзенштадт Ш. 2010. Срывы модернизации // Неприкосновенный запас. No. 6 (74) <<http://magazines.russ.ru/nz/2010/6/e4.html>> (20.05.2013).

21 Nedolyan A. 2013. Political Parties before, during and after the Elections of 2012-2013 // Caucasus Analytical Digest, No. 53-54, 17 July, pp. 7-11.

# საქმიური მოქალაქეობა და საჯარო სივრცე სომხეთში ერევანში და მის გარეთ

არპინე გალფაიანი

თანამედროვე სომხეთის ურბანული საჯარო სივრცეები უმეტესწილად საბჭოთა პერიოდში დაპროექტდა. 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, ქვეყნის სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სტრუქტურებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. სახელმწიფოს ჩარევა შემცირდა, მაგრამ სომხეთის საზოგადოებამ დემოკრატიული კულტურისა და სამოქალაქო შეგნების დაბალი დონე გამოამჟღავნა. ეს საჯარო სივრცის მიმართ როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების დამოკიდებულებაში გამოჩნდა. საზოგადოების ცხოვრების ყველა დონეზე და ყველა ასპექტში უთანასწორობა და დისკრიმინაცია იყო გამეფებული, რესურსებისა და ძალაუფლების უსამართლო განაწილებამ სიღარიბე გააძლიერა და ეკონომიკური გადარჩენა მოსახლეობის უმრავლესობისათვის „უპირველეს პრობლემად“ აქცია. ველური პრივატიზაცია, სუსტი სახელმწიფო, მოქალაქეების სიღარიბე და საზოგადოებრივი კონტროლის უმნიშვნელო შესაძლებლობები პრივატიზაციის უკონტროლობისა და საჯარო სივრცის ბოროტად გამოყენების მიზეზი გახდა. თავისუფალი სივრცე, როგორც ასეთი, ღირებულებად არ აღიქმებოდა. მას ისე უყურებდნენ, როგორც ცარიელ სივრცეს, რომელიც „არავის ეკუთვნის“. იურიდიული თვალსაზრისით, ეს სივრცეები ადგილობრივ მოსახლეობას ან სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ უკონტროლო პრივატიზაციის ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელსაც საერთაშორისო დახმარების გამცემი ორგანიზაციებიც უჭერდნენ მხარს, მწვანე შუქი აუნთო მათ, ვისაც ძალაუფლებაც ჰქონდა და რესურსებიც იმისათვის, რომ ნებისმიერი უკანონობა ჩაედინა.

სახელმწიფოს საჯარო სივრცეებზე პასუხისმგებლობა არ უკისრია და ისინი უპატრონოდ მიატოვა. ქვეყანაში არც ისეთი ორგანიზებულ სამოქალაქო ჯგუფი აღმოჩნდა, რომელიც საჯარო სივრცეების

ღირებულებას სათანადოდ შეაფასებდა, მათ მდგომარეობას გააკონტროლებდა, საზოგადოების სახელით უპატრონებდა და ამ სივრცეებს კულტურული, სამოქალაქო თუ პოლიტიკური აქტიურობისათვის გამოიყენებდა. ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისები საყოველთაო არჩევნების შემდგომი პერიოდები იყო (ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ), როცა პოლიტიკური პარტიები არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე ხალხის მობილიზაციას ქუჩებში ახდენდნენ. კერძო ბიზნესმა ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და საჯარო სივრცის თავისი საჭიროებებისა და სურვილების მიხედვით გადაკეთება დაიწყო. ველური პრივატიზაციის პოლიტიკის გატარება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, ათწლეულის პირველ წლებში კი ამ სფეროში რეგულაციები უმნიშვნელო იყო: ბაზრები და პატარა მაღაზიები, რომლებიც ქალაქის ყოველ მოსახვევში სოკოებივით ჩნდებოდა, არაფორმალური სავაჭრო სივრცეები იყო და დასაწყისში არც მათი საკუთრების საკითხი ყოფილა გარკვეული და არც რაიმე დიზაინი შემუშავებული. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საჯარო სივრცის კომერციალიზაცია უფრო ინტენსიური გახდა. მუნიციპალიტეტებმა სახელმწიფო მიწის კერძო პირებზე გაყიდვა და იჯარით გაცემა სხვადასხვა მიზნით დაიწყეს. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგალითად, მაღაზიების, კაფეების, რესტორნებისა და ა.შ. აშენება. ფართო ტროტუარებზე პატარა მაღაზიები გაჩნდა, პარკებში – უამრავი კაფე, ეზოებში კერძო გარაჟები აშენდა, კინოთეატრები ბაზრებად გადაიქცა და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ეს ყველაფერი კორუფციული გარიგებების საფუძველზე ხდებოდა. სახელმწიფო მოხელეები ან მათი ოჯახის წევრები თავიანთი მდგომარეობით სარგებლობდნენ და სახელმწიფო ქონებას განკარგავდნენ. Transparency International-ის ანტიკორუფციულმა ცენტრმა სომხეთში ზუსტად აღწერა, თუ რა გავლენა იქონია პრივატიზაციამ ერევნის გამწვანებულ უბნებზე. კვლევის შედეგების თანახმად, 1990 წელს მწვანე ზონებს ერევანში ტერიტორიის 74% ეკავა, 2003 წელს მათი წილი 43%-მდე შემცირდა, ხოლო 2007 წელს მხოლოდ 29% დარჩა. ქალაქის 55 პარკიდან შედარებით ნორმალური მდგომარეობა ხუთშიც კი არ არის შენარჩუნებული. პარკების უმეტესობა მოუვლელია<sup>1</sup>.

1 <<http://transparency.am/assets/green-areas>>. მონაცემები მოყვანილია 1993-2007 წლებისათვის მხოლოდ სომხურ ენაზე. მონაცემთა ბაზაში შეტანილია ერევნის გამწვანებული საჯარო ზონები, ამ ზონების ფართობი და მშენებლობისა და იჯარით გაცემის დროს დაშვებული კანონდარღვევები. მთელი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწოდებულ მონაცემებს ეფუძნება.

სომხეთში და საჯარო სივრცის დაბრუნების დისკურსის გაჩენა მჭიდროდაა დაკავშირებული სამოქალაქო აქტიურობის ზრდასთან<sup>2</sup>. როცა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად ორგანიზებას შეუდგნენ, მათ იმავდროულად საზოგადოებრივი სივრცის მნიშვნელობის ხელახალი გააზრება და საზოგადოებისათვის მათი დაბრუნების მოთხოვნა დაიწყო. საჯარო სივრცისთვის აქტიური მოძრაობა 2004-2005 წლებში ჩაისახა, თუმცა ჩვენ აქ 2007 წლიდან განვითარებულ პროცესებს განვიხილავთ, რადგან ამ დროიდან აქტივისტთა წრე გაფართოვდა და უფრო კარგად ორგანიზებული გახდა. 2007 წლის შემდეგ საჯარო სივრცესთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად სამ დონეზე ისმებოდა: ა) კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება; ბ) ეზოების – საცხოვრებელ კორპუსებს შორის მდებარე (როგორც წესი, მწვანე) საჯარო სივრცეების – დაცვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება; გ) საჯარო პარკებისა და მოედნების დაცვა და დეკომერციალიზაცია. აქტივისტების მიზანი იყო: (1) კონკრეტული საჯარო სივრცის, მაგალითად, ერევანში დრაკონის პარკის (2011) და მაშტოცის პარკის (2012), კომერციული გამოყენებისაგან/პრივატიზაციისაგან დაცვა და შენარჩუნება და/ან (2) რომელიმე საჯარო სივრცის სამოქალაქო და პოლიტიკური აქტიურობისათვის, მაგალითად, თავისუფლების მოედნის პოლიტიკური პროტესტებისათვის გამოყენება.

### **დისკურსის ადგილი უნდა: ისმოქალაქო და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება**

ერევნის საჯარო სივრცის შესახებ დისკურსის გაჩენა (2006-2007) ქალაქის გულში ჩრდილოეთის პროსპექტის გრანდიოზული პროექტის განხორციელების დაწყებას უკავშირდება. პროექტის მიხედვით, აქ უნდა გაჭრილიყო ბულვარი, რომელიც ქალაქის ცენტრში ორ მნიშვნელოვან პუნქტს, რესპუბლიკის მოედანსა და თავისუფლების მოედანს (ოპერის მოედანს) ერთმანეთთან დააკავშირებდა. ამ გეგმის განსახორციელებლად უნდა დანერგულიყო რამდენიმე ქუჩა, სადაც

---

2 31-წუთიანი დოკუმენტური ფილმი *Լինել քաղաքացի* („გახდი მოქალაქე“) 2008-2010 წლებში სომხეთში სამოქალაქო პირების თვითორგანიზაციის ხუთი წარმატებული შემთხვევის შესახებ მოგვითხრობს <[http://www.youtube.com/watch?v=Cfn\\_Rnu5\\_KU](http://www.youtube.com/watch?v=Cfn_Rnu5_KU)>. დამატებითი ინფორმაცია სამოქალაქო ინიციატივებისა და მათი მიზნების შესახებ სომხეთში იხ. [www.organize-now.am](http://www.organize-now.am).

ქალაქის ავთენტური არქიტექტურის ძველი სახლების უმეტესობა მდებარეობდა. რა თქმა უნდა, ჩრდილოეთის პროსპექტის პროექტს უკან დიდი ფინანსური ინტერესები იმალებოდა. ის უნდა გამხდარიყო (და უკვე გახდა კიდეც) კომერციული უბანი ბიზნესცენტრებით, ძვირი მაღაზიებითა და „ელიტარული“ ბინებით. ბინებიდან ასობით ოჯახი გამოასახლეს და სასაცილო კომპენსაციები გადაუხადეს<sup>3</sup>. ძველი შენობები, რომელთაგან ბევრი სომხეთის კულტურის სამინისტროს ისტორიისა და კულტურის ძეგლების ოფიციალურ სიაში იყო შეტანილი, ან უნდა დანგრეულიყო (უმეტესობა უკვე დაინგრა კიდეც) ან სხვა ადგილას უნდა გადაეტანათ<sup>4</sup>. ამ პერიოდში გამოსახლებული მოქალაქეების უფლებებისთვის ბრძოლასთან ერთად, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, ადვოკატებმა, არქიტექტორებმა და სხვა პროფესიის ადამიანებმა არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხიც წამოაყენეს, რამაც ისეთ საკითხებზე დისკუსიის დაწყებას შეუწყო ხელი, როგორცაა ქალაქგეგმარება. მეტიც, გამოსახლებულმა ადამიანებმა და მათმა მხარდამჭერმა უფლებადამცველებმა ქუჩის აქციებიც კი მოაწყვეს.

ამრიგად, საწყის ეტაპზე, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, დისკურსი საჯარო სივრცის შესახებ ძირითადად ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხებზე იყო კონცენტრირებული. ეს დისკურსი საჯარო სივრცეში დღესაც შენარჩუნებულია და მომდევნო წლებში გაძლიერდა კიდეც. 2010 წელს მოქალაქეების ჯგუფმა (რომელთა შორის ბევრი არქიტექტორი იყო) ჩაატარა წარმატებული კამპანია, რომლის მიზანიც დანგრევისაგან ერევნის ღია საზღვხულო

3 ზოგიერთმა გამოსახლებულმა მოქალაქემ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა და სომხეთის რესპუბლიკას საქმე მოუგო <<http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-113756>>; <<http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-113754>>; <<http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-100024>>; <<http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-93184>>.

4 ეს შენობები, სავარაუდოდ, ქალაქის ცენტრში მდებარე პატარა უბანში უნდა გადაეტანათ, ხოლო უბნისთვის „ძველი ერევანი“ დაერქმიათ. ეს კიდეც ერთი ბიზნესპროექტია, რომლის განხორციელებაც ჯერ არ დაწყებულა, თუმცა მუნიციპალიტეტიც და მთავრობაც მასზე გამუდმებით ლაპარაკობენ.

კინოთეატრ „მოსკოვის“ გადარჩენა იყო<sup>5</sup>. სხვა მნიშვნელოვან მაგალითებს შორის უნდა ვახსენოთ არამის ქუჩის №30-ში<sup>6</sup> მდებარე ნაგებობის შენარჩუნებისათვის ჩატარებული კამპანია, აფრიკიანის კლუბის<sup>7</sup> დამცველთა კამპანია და ა.შ. კულტურული და არქიტექტურული მემკვიდრეობის დასაცავად სხვადასხვა კამპანია ში ჩართულმა რამდენიმე სამოქალაქო საინიციატივო ჯგუფმა 2012 წელს, ძალების გაერთიანება გადაწყვიტა და კოალიცია გადავარჩინოთ ერევანი შექმნა.

5 2010 წელს მთავრობამ გადაწყვიტა ერევნის ცენტრში მდებარე ღია საზაფხულო კინოთეატრი „მოსკოვი“ დაენგრია. ეს შენობა 60-იანი და 70-იანი წლების არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული და სომხეთის კულტურის სამინისტროს ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიაში იყო შეტანილი. კინოთეატრის ადგილას ეკლესიის აშენება იყო განზრახული. შენობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიიდან აუცილებელი პროცედურებისა და ნორმატიული აქტების დარღვევით ამოიღეს. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ჯგუფი სახელწოდებით გადავარჩინოთ ღია საზაფხულო კინოთეატრი „მოსკოვი“ ეკლესიას უნდა დაპირისპირებოდა, რადგან არსებობდა ცნობები, რომ პროექტი ერთობლივად პრემიერმინისტრმა ტ. სარქისიანმა და კათოლიკოსმა გარეგინ II-მ წამოიწყეს. მიუხედავად ამისა, ჯგუფს დიდი დახმარება გაუწიეს მოქალაქეებმა (დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში 25 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი პეტიციას, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო), პროფესიონალთა კავშირმა და საზოგადოებისათვის პატივსაცემმა არქიტექტორებმა. პროექტის განხორციელება შეჩერდა და მთავრობამ განაცხადა, რომ კინოთეატრი აღარ დაინგრეოდა. მიუხედავად ამისა, შენობა დაცული ძეგლების სიაში არ აღუდგენიათ.

6 პატარა სახლი არამის ქუჩის №30-ში ერევნის ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა. რამდენიმე წლის განმავლობაში იქ ლამაზი პატარა რესტორანი იყო გახსნილი. 2011 წელს მუნიციპალიტეტი მის დანგრევასა და იმ ადგილზე მრავალსართულიანი სახლის აშენებას გეგმავდა. მოქალაქეების პროტესტი სპონტანური იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხი შენობას არ შორდებოდა, ერთხელ ღამით ჯაჭვებითაც კი მიიბეს თავი მთელი შენობის ირგვლივ, რომ სახლი არ დაენგრიათ. ამჟამად შენობა ჯერ კიდევ დგას, თუმცა, უკვე მიტოვებულია. არის საფრთხე, რომ მუნიციპალიტეტს ძველი პროექტი ნებისმიერ დროს გაახსენდება და შენობას დაანგრევს.

7 ერევნის ცენტრში მდებარე აფრიკიანის კლუბი მართლაც არქიტექტურის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ნიმუშაა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული. აფრიკიანების ოჯახი ერთ-ერთი უმდიდრესი იყო ერევანში. ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისში სწორედ მათ უზრუნველყვეს ერევნის სასმელი წყლით მომარაგება. ამ კონკრეტულ სახლში უნინ საჯარო კლუბი იყო. სანამ ბოლო ხანებში ხალხს გამოასახლებდნენ, იქ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მუნიციპალიტეტის გეგმის მიხედვით, ეს სახლი იქვე ახლოს სხვა ადგილას უნდა გადაეტანათ, სადაც ის ძველი ერევნის პროექტის ნაწილი გახდებოდა (იხ. სქოლიო №5). შენობის შესანარჩუნებლად კამპანია უკვე ორ წელზე მეტია გრძელდება, თუმცა იქ მცხოვრები ყველა ოჯახი უკვე გამოსახლებულია, ხოლო 2013 წელს სახურავი და აივნები სრულიად განადგურებული იყო.

## უზოგოს ღაცვა

ჯერ კიდევ 2007-2008 წლებში, ერევნის ცენტრში (კასკადის უბანში) მდებარე რამდენიმე შენობის მცხოვრებლებმა გადანყვიტეს, მუნიციპალიტეტისა და კერძო რუსული კომპანიის, სომხეთის ელექტროქსელე-ბისათვის თავიანთი ეზოს შუაგულში ქვესადგურის აშენების საშუალება არ მიეცათ. მოსახლეობას მხარი არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აქტივისტებმა და ზოგიერთმა მედიასაშუალებამ დაუჭირა. დაახლოებით ერთწლიანი კამპანიისა და აქტიური მოქმედების შედეგად, მათ მუნიციპალიტეტს გადანყვიტელება შეაცვლევინეს. ეზო გადარჩა და ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესოა ერევანში.

მომდევნო წლებში მათ სხვა უბნებმაც მიბაძეს და საპროტესტო კამპანიები წამოიწყეს. მათგან ზოგი წარმატებული აღმოჩნდა, ზოგი კი – წარუმატებელი. მთავარი ისაა, რომ ერთი ჯგუფის წარმატება სხვებისთვის შთაგონების წყარო ხდებოდა, რომ წინააღმდეგობა გაენიათ, აპათია დაეძლიათ და გადანყვიტელების მიღებაში მონაწილეობა მიეღოთ.

## მწვანე საჯარო სივრცეების ღაცვა

მეორე ეტაპზე, 2008-2011 წლებში, არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან ერთად, საზოგადოების დღის წესრიგში მწვანე ზონების დაცვის საკითხიც გაჩნდა (ეკოლოგიური ასპექტი). ყველაფერი სამთო-მომპოვებელი პროექტისაგან სომხეთის ჩრდილოეთში მდებარე თელუტის ტყის<sup>8</sup> გადარჩენისათვის ბრძოლით დაიწყო. ამ ბრძოლის შედეგად საზოგადოება უკეთ გაეცნო ეკოლოგიურ პრობლემებს და მათ კავშირს სოციალურ სამართლიანობასთან და, ზოგადად, სამართლიანობასთან.

2010 წელს ჩამოყალიბდა სამოქალაქო ინიციატივა სახელწოდებით „ეს ქალაქი ჩვენ გვეკუთვნის“, რომლის მიზანიც ერევანში მწვანე ზონების შენარჩუნება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივის პირველი კამპანია, რომელიც *სტუდენტური პარკის* დაცვას ისახავდა მიზნად, წარუმატებლად დამთავრდა<sup>9</sup>, ჯგუფმა ხალხის მობილიზაცია და მთავრობაზე

8 დამატებითი ინფორმაცია ამ საქმეზე და სამოქალაქო ინიციატივაზე „გადავარჩინოთ თელუტი“ იხ. [www.teghut.am](http://www.teghut.am).

9 სტუდენტური პარკი ერევნის ცენტრში, ეროვნული ბიბლიოთეკის პირდაპირ და სოფლის მეურნეობისა და არქიტექტურის უნივერსიტეტების მეზობლად მდებარეობს. პარკის ორი დიდი ნაწილი რესტორნის ასაშენებლად იჯარით გადაეცა კერძო პირებს (რომლებსაც, როგორც ამბობენ, ხელისუფლების წარმომადგენლებთან რალაც კავშირები აქვთ). ჯგუფმა რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყო, სასამართლოში საქმე აღძრა და პრობლემა საჯარო განხილვისათვის გამოიტანა, მაგრამ პარკის შენარჩუნება ვერ შეძლო.

ზენოლის განხორციელება განაგრძო. მოგვიანებით, მათ ქალაქის სხვა უბნებში პარკებისა (მაგალითად, დრაკონის პარკის) და უფრო მცირე გამწვანებული ზონების (მაგალითად, ეზო სურენიანცის ქუჩაზე) დაცვის საქმეში მიაღწიეს წარმატებებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრეცედენტებიც შექმნეს. 2010 წლის შემდგომ, სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი მცხოვრებლები ორგანიზებულად იცავენ საერთო საკუთრებას ან საჯარო სივრცეს, რომელსაც იყენებენ. როგორც წესი, ისინი თანამშრომლობენ აქტივისტთა ჯგუფებთან, რომლებიც, თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ექსპერტებსა და საინფორმაციო საშუალებებს უკავშირდებიან.

### პაპაპანული საჯარო სივრცე და სხელმწიფო საქმიანობის პოპულაცია

სამოქალაქო ინიციატივამ გადავარჩინოთ თელუტი (იხ. სქოლიო №8) სომხეთის სამოქალაქო აქტივისტების ამჟამინდელი თაობის საქმიანობაში უზარმაზარი როლი ითამაშა. მათი წყალობით ხალხმა ეკოლოგიურ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება, დისკუსიები მოეწყო სახალხო საკუთრების, მდგრადი განვითარებისა და გლობალური სამართლიანობის საკითხებზე, აღდგა სამოქალაქო აქტიურობისადმი ნდობა და ახალგაზრდობას სამოქალაქო აქტიურობის სტიმული მიეცა. სომხეთის სამოქალაქო სექტორისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინიციატივა დაიცავი თრჩკანის ჩანჩქერი<sup>10</sup>. ეს უპირველეს ყოვლისა ეკოლოგიური ინიციატივა იყო, მაგრამ მან მნიშვნელოვან მოვლენებს დაუდო სათავე და საჯარო სივრცისათვის მომავალ ბრძოლაზეც იქონია გავლენა. ორი თვის განმავლობაში, აქტივისტები, ეკოლოგიური ჯგუფები და ორგანიზაციები სხვადასხვა ტიპის კამპანიებსა და საპროტესტო აქციებს მართავდნენ, პეტიციებს წერდნენ, ეკოლოგიურ პრობლემებში მოსახლეობის გასათვითცნობიერებლად აქციებს ატარებდნენ, უშუალოდ ჩანჩქერთან მართავდნენ მიტინგებს მშენებლობის შესაჩერებლად და ბოლოს, 2011 წლის ნოემბერში, მთავრობის გადაწყვეტილების შეცვლას მიაღწიეს. თრჩკანი ბუნების ძეგლად გამოცხადდა და მის სიახლოვეს ყველა ის ეკონომიკური საქმიანობა აიკრძალა, რომელსაც მასზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო. თრჩკანის გარშემო მიმ-

10 ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე თრჩკანი სომხეთის ყველაზე მაღალი და ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ჩანჩქერია. 2011 წლის შემოდგომაზე ბუნების დაცვის სამინისტრომ დაამტკიცა პროექტი, რომლის მიხედვითაც, მდინარეზე, რომელიც ჩანჩქერს ქმნიდა, პატარა ჰიდროელექტროსადგური უნდა აშენებულიყო, რაც თრჩკანზე გავლენას მოახდენდა და ჩანჩქერზე გადმომდინარე წყლის მასას მკვეთრად შეამცირებდა. ამას გარდა, თრჩკანი ბუნების ძეგლების სახელმწიფო სიაში იყო შეტანილი.



დინარე მნიშვნელოვანი სამოქალაქო პროცესების ნაწილი იყო ხანგრძლივი პირდაპირი მოქმედება – ადგილზე შექმნილი ბანაკი, სხვადასხვა ეკოლოგიური ჯგუფის, ჰაიკერებისა და უფლებადამცველთა ჯგუფების კოალიციის შექმნა, სომხეთის სხვადასხვა წრისა და ქალაქის ჯგუფებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობა და უშუალო მონაწილეობა აქციებში, საკითხის ფართო გაშუქება საინფორმაციო საშუალებებში, პოზიტიური ურთიერთობა და თანამშრომლობა ადგილობრივ სოფლის მოსახლეობასთან, საკანონმდებლო ინიციატივები და ერევანში მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა კოორდინირებული მოქმედება თვით ჩანჩქერის სახელოვან გახსნილ ბანაკთან. თრჩკანის კამპანიამ და მისმა წარმატებამ აქტივისტების ავტორიტეტი აამაღლა და სხვა ეკოლოგიურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში მათ ერთობლივი მუშაობის გაგრძელების მოტივაცია გაუძლიერა.

### **სამოქალაქო საზოგადოების გარეშე მუშაობის პარკისთვის: კონსტიტუციური პრინციპები, კონსტიტუციური დისკუსია**

თუმცა, კერძო და სახელმწიფო საკუთრების, საჯარო სივრცის, დემოკრატიისა და მრავალფეროვნებისათვის ამ უკანასკნელის მნიშვნელობისა და ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციურ წყობასთან მისი კავშირის პრობლემის პირდაპირი და ნათელი ფორმულირება მხოლოდ 2012 წელს *მაშტოცის პარკისათვის* სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლის დროს მოხდა. მაშტოცის პარკის გარშემო საპროტესტო მოძრაობა 2012 წლის იანვრის ბოლოს დაიწყო, როცა ერევნის მუნიციპალიტეტმა ქალაქის ცენტრში მდებარე მოუვლელი პარკის ნაწილში კომერციული კოსკების დადგმის ლიცენზია კანონმდებლობის უამრავი დარღვევით გასცა. აქციები ქალაქში მწვანე ზონების შენარჩუნებისათვის ბრძოლით დაიწყო, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლა მაშტოცის პარკისათვის ბევრად უფრო ფართო პროცესში გადაიზარდა და საზოგადოებრივი განსჯის დღის წესრიგში სახელმწიფო და კერძო საკუთრების, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და მრავალფეროვნების, გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეების მონაწილეობისა და სხვა საკითხები შევიდა. აქტივისტებს პარკის ტერიტორია სამი თვის განმავლობაში ჰქონდათ დაკავებული და მას საპროტესტო მიტინგების, რადიკალური აქციების, კულტურული ღონისძიებების, შეხვედრებისა და დისკუსიებისათვის იყენებდნენ.

ეს ასევე პირველი შემთხვევა იყო, როცა მოქალაქეებმა არა მხოლოდ არსებული საჯარო სივრცის შენარჩუნება მოითხოვეს, არამედ ამ სივრ-

ცის ჩამოყალიბებისა და მისთვის გარკვეული ფორმის მიცემაში მონაწილეობის მიღების სურვილიც გამოხატეს. მეტიც, ეს იყო პირველი ფართომასშტაბიანი გამოსვლა, რომლის დროსაც ისინი, ვინც ამ საქმისთვის იბრძოდნენ, უშუალოდ იმ უბანში არ ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის მაისში არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, მთელი ბრძოლის განმავლობაში საჯარო სივრცის საკითხი 2012 წლის თებერვალ-მარტში საზოგადოებისა და საინფორმაციო საშუალებების დღის წესრიგის სათავეში მოექცა. 2 მაისს ერევნის მერმა შეცვალა გადაწყვეტილება პარკში კომერციული კიოსკების დადგმისათვის ლიცენზიების გაცემის თაობაზე, დაშალა ყველა ნაგებობა პარკში და მისი სრული განახლება ჩაატარა. ეს საპარლამენტო არჩევნებამდე ოთხი დღით ადრე მოხდა. წინააღმდეგობა პრეზიდენტი დემონსტრაციულად ეწვია პარკს და მერს „რეკომენდაცია მისცა“, აელო კიოსკები, რომლებსაც „ულამაზო“ უწოდა (მას არ უხსენებია უფლებების დარღვევა, ანგარიშგება და სასჯელი უკანონო გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულებისათვის, რაც აქტივისტების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო)<sup>11</sup>. ზოგადად, ბრძოლა მაინც დაუმთავრებელი დარჩა. ზოგმა ნაწილობრივ დადებითმა შედეგმა კი მეტროდოლ აქტივისტებს ძალა გამოაცალა, რის გამოც მათ პარკი ვერ გამოიყენეს, როგორც ნაყოფიერი და დინამიკური არენა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი სივრცის ჩამოყალიბება და მისი გამოყენება.

## მენდენციები და კომუნიკაციის განვითარების გზები

### ტენდენციები

– 2012 წლის მეორე ნახევრის შემდეგ, სამოქალაქო სექტორის თვითორგანიზაციის თვალსაზრისით (საჯარო სივრცესთან და სხვა უფრო ფართო საკითხებთან დაკავშირებით), სტაგნაციისა და რეორგანიზაციის პერიოდი დადგა. ერთი მხრივ, ადგილობრივ დონეზე თვითორგანიზაციის მასშტაბები იზრდება, მაგრამ, მეორე მხრივ, დიდად არ უმჯობესდება სტრატეგიის შემუშავების, მობილიზაციის, შემოქმედებითი მიდგომისა და პოლიტიკური გათვითცნობიერებულობის დონე. მაგალითად, 2012-2013 წლებში სოფლებში სპონტანური საპროტესტო აქციების უამრავი შემთხვევა იყო, ადგილობრივი მოსახლეობა გზებს

11 ზოგი აქტივისტი 29 აპრილის საპროტესტო აქციაზე დააპატიმრეს და პოლიციის წინააღმდეგ ძალადობაში დაადანაშაულეს. ამის საპასუხოდ, აქტივისტებმა პოლიციელებს მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალადობის გამო უჩივლეს. გამოძიება და დაკითხვები რამდენიმე თვე გაგრძელდა, ბოლოს კი ორივე საქმე დაიხურა.

კეტავდა, რომ საკუთარი მოთხოვნები ხმამაღლა გაეუღერებინა, მაგრამ მათ არ იცოდნენ, როგორ უნდა გაეგრძელებინათ ბრძოლა, არ ჰქონდათ სტრატეგია და გეგმები და ვერ ახერხებდნენ ორგანიზებას მაშინაც კი, როცა საპროტესტო აქციებში სამოქალაქო სექტორის აქტივისტები ერთვებოდნენ.

– საჯარო სივრცეების გამოყენების თვალსაზრისით შემდეგი ტენდენცია შეინიშნება: მოქალაქეები ისევ იმ სივრცეების გამოყენებისაკენ ისწრაფვიან, რომლებიც უკვე მუნიციპალიტეტის ან კერძო მოიჯარის მიერ მოვლილია/რეკონსტრუირებულია და არ ცდილობენ სხვა სივრცეებზე კონტროლის დამყარებას, მათთვის რაღაც ფორმის მიცემას და მათ გაუმჯობესებას. ეს მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ არსებობს *მფლობელობისა და მოქალაქეობის* პრობლემა (ხალხს სრულად არა აქვს გათვითცნობიერებული, რომ მათ საკუთრება აქვთ, რომ მასთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტაში უნდა მონაწილეობდნენ და თავიანთ ქალაქზე, ქვეყანასა და სივრცეზე პასუხს თვითონვე უნდა აგებდნენ).

### **მდგომარეობის გაუმჯობესების გზები**

– *სწავლა, სწავლა და სწავლა*: აქტივისტებმა თავიანთ განათლებაზე თვითონვე უნდა იზრუნონ, განსაკუთრებით, პოლიტიკურ ეკონომიკაში, დემოკრატიაში, გლობალურ პროგრესულ მოძრაობებში და, ასევე, სტრატეგიისა და მობილიზაციის საკითხებში.

– *განათლება და მობილიზაცია*: სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, განსაკუთრებით, ქალების, სტუდენტებისა და ფერმერების ჯგუფების ჩამოყალიბებისა და ორგანიზების გაადვილებას შეიძლება სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდეს. ხალხის დიდი მასების გათვითცნობიერებულობის ამაღლება და მათი ორგანიზება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად (გამონაკლისი მხოლოდ არჩევნებია) სწორედ იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ასეთი ჯგუფები არ არსებობს. აუცილებელია მოქალაქეების ცოდნის, თვითშეფასებისა და გათვითცნობიერებულობის ამაღლება, რათა მათ გააცნობიერონ, რომ უფლებები კანონით აქვთ მინიჭებული. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მათთვის უფლებამოსილებების ახსნა, უფლებების განმარტება და მათი უნარების გაუმჯობესება ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ და საზოგადოებრივ დონეზე.

– *პრაქტიკა და ფიქრი, შემდეგ კი ისევ პრაქტიკა და ფიქრი*: უნდა შეიქმნას უფრო მეტი პრეცედენტი, როცა ხალხი იცავს საჯარო სივრცე-

ებს ან იბრუნებს მათზე კონტროლს, ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხელოვანებთან, აქტივისტებთან, მეცნიერებთან და, შესაძლოა, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით უნდა შეიქმნას საჯარო სივრცეები, რომლებიც რეგულარულად უნდა იყოს გამოყენებული მშვიდობიანი აქციებისა და ღონისძიებების გასამართად და თვითორგანიზაციისა და განათლების მიზნით. ჩამოთვლილი საქმეების კეთების დროს მუდმივად უნდა უმჯობესდებოდეს შინაგანი დემოკრატია და ჯგუფების ინკლუზიურობა.

- ახალ დონეზე გადასვლა: უნდა შეიქმნას სამოქალაქო სექტორის ბრძოლის მაგალითები, რაც მოიტანს იმ სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების ამალგებას, რომლებიც უკანონო გადაწყვეტილებებს იღებენ და ახორციელებენ.

### აოსსკრიაზუი

ეს სტატია 2013 წლის ივლისის შუა რიცხვებში დაინერა. მას შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებამ ერევანში კიდევ რამდენიმე ბრძოლა გადართანა, რამაც სომხეთში სამოქალაქო აქტივობის ახალ ტენდენციებს დაუდო სათავე. მათ შორის იყო კამპანია და მოქალაქეების ფართომასშტაბიანი მობილიზაცია საქალაქო ტრანსპორტის საფასურის გაზრდის წინააღმდეგ, კამპანია ერევნის მაშტოცის პროსპექტზე მდებარე სუპერმარკეტად გადაკეთებული გადახურული ბაზრის ფუნქციისა და არქიტექტურული იერსახის შესანარჩუნებლად, საპროტესტო აქციები რუსეთთან გაფორმებული „გაზის გარიგებისა“ და ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებზე უარის თქმისა და რუსეთის ეგიდის ქვეშ მყოფ საბაჟო კავშირში შესვლის წინააღმდეგ. ჩატარდა კიდევ სხვა რამდენიმე აქცია.

# IV

**აზერბაიჯანი:**

**ბარდამეველი ეზაპის რისი**



# დემოკრატია აზერბაიჯანში: მოქუფრული სურათი

ქენან ალიევი

ეს სტატია აზერბაიჯანის საშინაო პოლიტიკური დინამიკის – პოლიტიკის, ინსტიტუციების, ელიტებისა და ეკონომიკური კონფიგურაციების მიმოხილვაა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველა ამ ფაქტორმა თავისი როლი ითამაშა იმაში, რომ ქვეყნის დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა ვერ მოხერხდა, ამას გარდა, დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის ჩაშლა დანახულია, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მარეგულირებელი მექანიზმების დიდი წარუმატებლობა. როგორც ცნობილია, სახელმწიფოები მარცხს ვაკუუმში არ განიცდიან.

## შესაძლებელია თუ არა გარდაქმნა?

ზუსტად 10 წლის წინ ჰეიდარ ალიევი საავადმყოფოში მოხვდა. ის გარდაიცვალა და ძალაუფლება შვილს გადააბარა. საამისოდ არავითარი საკანონმდებლო ან იურიდიული პროცედურები არ შესრულებულა. საკმარისი აღმოჩნდა საგანგებოდ ამ სიტუაციისთვის შექმნილი რამდენიმე დოკუმენტი.

აზერბაიჯანს ერთი ოჯახი მართავს. ქვეყანა ნავთობდოლარების წყალობით არსებობს, მოქალაქეებს კი სიტყვის თავისუფლებისა და განსხვავებული აზრის ქონის ელემენტარული უფლება წართმეული აქვთ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანში არ ჩატარებულა არცერთი არჩევნები, რომლებსაც საერთაშორისო მეთვალყურეები თავისუფლად ან სამართლიანად ჩათვლიდნენ. ეს ის ძირითადი ჩარჩოა, რომლის ფარგლებშიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის განვითარება უნდა განვიხილოთ.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოდან დემოკრატიულ საზოგადოებად რაიმე სახით გარდაქმნაზე საუბარი შეუძლებელია. ზოგი მიმომხილველი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ძალაუფლება აზერბაიჯანში იმდენად პერსონალიზებული გახდა, რომ მმართველი ორგანოები კიდევ უფრო სუსტი და უშინაარსოა, ვიდრე საკუთრივ საბჭოთა კავშირში იყო. კორუფცია, ნეპოტიზმი და

კრონიზმი ამდენად ძლიერი აზერბაიჯანის თანამედროვე ისტორიაში არასოდეს ყოფილა.

მთავრობა აზერბაიჯანში არ არის მთავრობა ამ სიტყვის დასავლური გაგებით. ინსტიტუციებს, მათ შორის ხელისუფლების საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს, არც დამოუკიდებლობა აქვთ და არც ძალა და, ცხადია, ვერც აღმასრულებელი ხელისუფლების დაბალანსების ფუნქციას ასრულებენ. მდგომარეობა სრულიად საპირისპიროა: ის პირები, რომლებიც საჯარო თანამდებობებს იკავებენ, ან საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი მოხელეები არიან, ან პრეზიდენტისა და მისი ცოლის ახალი მეგობრები და ნათესავები. თანამდებობებზე ისინი მმართველ ოჯახს ემსახურებიან და არა სახელმწიფოს.

რუსეთისგან განსხვავებით, აზერბაიჯანში სიმდიდრისა და ძალაუფლების კონცენტრაციამ მძლავრი ოლიგარქებისა და ელიტების ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა. არ შექმნილა ძალაუფლების დამოუკიდებელი ცენტრები, რომლებიც პრეზიდენტს კონკურენციას გაუწევდნენ. სიმდიდრეს რეჟიმი ელიტების, მათ შორის, ოპოზიციის ზოგიერთი წევრის, ერთგულების საყიდლად იყენებს. ქვეყანაში თითქმის არავის აქვს იმდენი ფული, რომ მმართველ ოჯახს კონკურენცია გაუწიოს. უმეტესობა, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ მათთვის მაინც არსებული მდგომარეობა ხელსაყრელია. რაც შეეხება მომავალ თაობას, ელიტების უმრავლესობა ძალაუფლებასა და სიმდიდრეს შვილებს გადასცემს, რაც არსებულ მდგომარეობას სიმყარეს ხილვადი მომავლისთვისაც სძენს. ცხადია, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უკრაინაში, მდგომარეობა საქართველოში, „არაბული გაზაფხული“ და მოვლენები თურქეთში ამტკიცებს, რომ ცვლილებების წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „შიგნიდან ცვლილების“, რეჟიმის „გახლეჩის“ პერსპექტივას ან თაობების ცვლის შესაძლებლობას აზერბაიჯანში ჩვენ ვერ ვხედავთ.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა რეჟიმს აძლიერებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, აზერბაიჯანი კარგად ვითარდება. ამ დროისათვის ქვეყნის სავალუტო რეზერვები დაახლოებით 48 მილიარდი აშშ დოლარია. მთავრობის საბანკო ანგარიშის სიდიდე იმაზე მიუთითებს, რომ მას დიდძალი ნაღდი ფული აქვს და ელიტებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში ძალაუფლების განმტკიცებისათვის მისი გამოყენება შეუძლია. მთავრობას აქვს აგრეთვე უზარმაზარი რესურსები იმისათვის, რომ დასავლელი კონსულტანტები და საინფორმაციო საშუალებები დაიქირაოს და საერ-



თაშორისო საზოგადოებრივი აზრი თავის სასარგებლოდ განაწყობს, თავისი რეპუტაციისა და პრესტიჟის ასამაღლებლად საერთაშორისო ლონისძიებებს, მაგალითად, ევროვიზიას უმასპინძლოს და საერთაშორისო ფორუმებზე საკუთარი ინტერესების დასაცავად უცხოელი დიპლომატები ლობისტებად წარმატებით გამოიყენოს, როგორც ეს ევროსაბჭოში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე მისაღები რეზოლუციის განხილვის დროს მოხდა (2013 წ. იანვარი).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა საინფორმაციო საშუალებებსაც აკონტროლებს. ალტერნატიული პოლიტიკური ძალები ვერ განვითარდება იქ, სადაც ინფორმაციის თავისუფალი საშუალებები არ არსებობს, ინფორმაციის, პოლიტიკური პლატფორმებისა და იდეების თავისუფლად გაცვლა არ ხდება და ალტერნატიული პოლიტიკური ლიდერების განვითარების, მათი სტრატეგიების გამოცდისა და მომხრეების მოზიდვის შესაძლებლობები მოსპობილია. სისტემა, მათ შორის, საინფორმაციო საშუალებებიც, ალტერნატივებს უბრალოდ არ ცნობს. ბევრი აზერბაიჯანელისათვის ალიევი იგივეა, რაც სტაბილურობა. მათ იმედი აქვთ, რომ ოდესმე ნავთობისგან მიღებული შემოსავლებით თვითონაც ისარგებლებენ.

## ოპოზიციის საუკუნე

როგორც ეს უკონკურენტო რეჟიმებს ახასიათებს, აზერბაიჯანის მთავრობის ბოლოდროინდელი მოქმედება უჩვენებს, რომ ის ნებისმიერ ცვლილებებს წინააღმდეგობას გაუწევს. რეჟიმი დარწმუნებულია, რომ ლიბერალიზაციას მისი დაცემა მოჰყვება, რადგან რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა უჩვენა, რომ რაც მეტს დათმობს, ხალხი მით მეტს მოითხოვს.

მაგრამ არიან ძალები, რომლებიც ცვლილებების მოწოდებით გამოდიან და ამ ცვლილებებს ითხოვენ, და მათი რიცხვი იზრდება. ამას გარდა, ზოგადი სიძლიერის მიუხედავად, მთავრობას სუსტი მხარეებიც აქვს. აქ ორ ფაქტორს გამოვყოფდი:

პირველი – მთავრობამ ფასებზე კონტროლი დაკარგა. აზერბაიჯანში ცხოვრება ძალიან ძვირია. წლის დასაწყისიდან ამ ტენდენციის რამდენიმე შედეგი ქუჩებში გამოსული ხალხის სახით უკვე ვნახეთ, როცა, მაგალითად, მაღაზიების მფლობელებმა იჯარის საფასურის ზრდა გააპროტესტეს. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. მთავრობამ მათ პრეტენზიებს რეფორმების ნაცვლად ძალით უპასუხა.

მეორე – მთავრობა ინფორმაციაზე მონოპოლიას კარგავს. „ტრადიციულ“ საინფორმაციო საშუალებებზე სახელმწიფოს კონტრო-

ლის მიუხედავად, სოციალური მედია სულ უფრო იმკვიდრებს თავს, როგორც ინფორმაციის ალტერნატიული წყარო და მასობრივი მობილიზაციის საშუალება. მთავრობა ამ მდგომარეობას საფრთხედ აღიქვამს, რადგან „არაბული გაზაფხულის“ მაგალითი თვალწინ აქვს. ბოლო წელს მიღებული ახალი კანონები, რომლებიც ცილისნამების კრიმინალიზაციას ახდენს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვები და ბლოგერებისა და ჟურნალისტების აგრესიული დაპატიმრება იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობას სოციალური ქსელების ძალა კარგად ესმის და ამ ძალის დასუსტებას ცდილობს. მთავრობის მიერ მიღებული ზომებიდან ბევრი ეფექტურია, თუმცა ბოლომდე წარმატებული მაინც არ არის.

აქ უნდა დავამატო, რომ მთიანი ყარაბაღის სეპარატისტული რეგიონი მთავრობისათვის ზიანის მომტანად არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, სომხეთი, აზერბაიჯანი, რეგიონის ქვეყნები და საერთაშორისო თანამეგობრობა შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ეს გაყინული კონფლიქტია და ხილვად მომავალში მისი გადაწყვეტის არავითარი ნიშანი არ ჩანს.

## ქალა უფლუგის წინააღმდეგ

აზერბაიჯანი დღეს არსებულ მდგომარეობამდე ბევრი და კომპლექსური შიდა მიზეზის გამო მივიდა. თუმცა, ვიტყვოდი, რომ მის წინაშე მდგარი სირთულეები ამავე დროს იმ გლობალური წყობის შეზღუდულობასაც გვაჩვენებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა დემოკრატიის და კანონის უზენაესობის გავრცელების მიზნით. აზერბაიჯანის ხელისუფლება მუდმივად არ ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს და არღვევს საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს და ამას წარმატებით და თავისთვის მომგებიანად აკეთებს. როგორც ერთმა დიპლომატმა მითხრა, აზერბაიჯანის მთავრობას სჯერა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას „ბაქო უფრო სჭირდება, ვიდრე ბაქოს – საერთაშორისო თანამეგობრობა“. პრობლემა აქ ისაა, რომ ამ წარმოდგენის წარმატებით დამკვიდრებას თვითონ საერთაშორისო თანამეგობრობამაც შეუწყო ხელი.

აზერბაიჯანი რეგულარულად არღვევს ეუთო-ს წინაშე ნებაყოფლობით აღებულ ვალდებულებებს, არაფრად აგდებს ევროპის საბჭოს და ნატო-ში შესვლის მცდელობებზეც უარს ამბობს. ევროკავშირმა რეგიონული ინტეგრაციისათვის კარგი ჩარჩოები შექმნა, თუმცა დიდი შედეგი ამას არ მოჰყოლია, რადგან აზერბაიჯანი ევროკავშირთან დაახლოების არავითარ სურვილს არ ავლენს. ერთადერთი, რაც მას უნდა, სავიზო

რეჟიმის გამარტივება და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა, ევროკავშირი კი ბევრ ასპექტში თამაშის ამ წესებს იღებს.

სამოქალაქო საზოგადოება წარმოუდგენლად მძიმე დღეშია, დასავლეთი ცდილობს, ეს არ შეიმჩნოს, 2014 წლის მაისში კი ბაქო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ხდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ევროპის საბჭოში დემოკრატიის აზერბაიჯანული „სტანდარტების“ დამკვიდრებით არ დამთავრდება.

*შენიშვნა: ეს სტატია მხოლოდ ავტორის აზრს გამოხატავს და არა იმ ორგანიზაციისა, რომელსაც ის წარმოადგენს.*

# დემოკრატიის გაორწიება აზერბაიჯანში

## 2003-2013 წლები

### რაჰმან ბადალოვი

ზერბაიჯანისთვის 1993, 2003 და 2013 წლები თითქმის სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია. შევეცდები, ამ სიმბოლიზმის შინაარსი განვმარტო, თუმცა, ამგვარ მოკლე სიტყვაში ძნელია „განსხვავებების შთანთქმელ განზოგადებას“ თავი აარიდო.

2003-დან 2013-მდე ათწლეულის გაგება წინა ათწლეულის, კერძოდ კი, 1993 წლის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. მთელი ეს წლები ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ 1993 წელს „ყველა დროის საერთო ნაციონალური ლიდერის“ სახით აზერბაიჯანის სახელმწიფოს მსხნელი მოველინა, რომ იმ წლებში სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრინციპებს გვაზიარეს, რომ აზერბაიჯანმა მაშინ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ა.შ. და ა.შ. თავისი არსით, ეს მითოლოგიური აზროვნებაა, რომელმაც 1993 წელს საკრალური მნიშვნელობა მიანიჭა.

დღეს ბაქოში ნახავთ უზარმაზარ ბილბორდებს, რომლებზეც 1993 წელს ხელისუფლებაში მოსული ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის ახალი სახელმწიფოს შემქმნელადაა მოხსენიებული. მაგრამ რა სახელმწიფო იყო, რა პრინციპებს ეფუძნებოდა და რით უპირისპირდებოდა განვლილ პერიოდს?

ამ საკითხს რომ აღარ დავუბრუნდეთ, აღვნიშნავ, რომ 1993-მა წელმა სახალხო ფრონტის (აზერბაიჯანის ნაციონალ-დემოკრატიული პოლიტიკური პარტიის) ხანმოკლე მმართველობა მართლაც წარსულში დატოვა. მართებული იქნებოდა, ამ დროისათვის „მასების ამბოხი“ (ორტეგა ი გასეტის ტერმინია) გვეწოდებინა, თუმცა მოძრაობამ ვერ შეძლო იმპერიის სანინააღმდეგო პროტესტისა და სტიქიური დემოკრატიის საზღვრებს გასცდენოდა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შ. ალიევს საგარეო და საშინაო გამოწვევებთან დაკავშირებული ორი სტრატეგიული ამოცანა უნდა გადაეწყვიტა.

## საგარეო გაორწვევაი

ევროპის საბჭოში მიღებამდე და ამ ორგანიზაციაში განწვერიანებიდან პირველი წლების განმავლობაში ევროპის საბჭოს რეკომენდაციით შეიქმნა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს დიდწილად შეესაბამებოდა. ეს ეხება ქვეყნის კონსტიტუციას, რომელმაც მოქალაქეთა უფლებები კანონით გაამყარა, კანონმდებლობას საინფორმაციო საშუალებების, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, საარჩევნო კოდექსს და ა.შ. ამ კანონებმა და საერთაშორისო კონვენციების უმრავლესობის ხელმონერამ აზერბაიჯანის დემოკრატიული იმიჯი განამტკიცა და ნავთობის მოპოვების დარგში ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კონტრაქტების ხელმონერას შეუნყო ხელი.

## საუინაო გაორწვევაი

ნავთობის მოპოვების დარგში დადებული კონტრაქტებისა და იმ წლებში შექმნილი ქვეყნის დადებითი იმიჯის გამოყენებით, ხელისუფლებამ შექმნა პოლიტიკური სისტემა, რომელსაც „მართვადი დემოკრატია“ ეწოდა. თუკი ტოტალიტარული საბჭოთა მთავრობა ადამიანის გონების სრულ კონტროლს ახორციელებდა, იმ წლებში თავისუფლად ფიქრი, ლაპარაკი და წერაც კი შესაძლებელი გახდა. თუმცა, ამავე დროს, ხელისუფლებამ სრული კონტროლი შეინარჩუნა პოლიტიკურ პროცესებზე.

რას ნიშნავს „სრული კონტროლი“? უპირველესად ყოვლისა იმას, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში როტაცია ფაქტობრივად გამოირიცხა, რაც ერთი ადამიანის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციას უწყობდა ხელს. კონსტიტუციური უფლება, რომლის თანახმადაც ყველას შეეძლო აერჩია და ყოფილიყო არჩეული, წმინდა წყლის დეკორაციად გადაიქცა.

აქ პირდაპირ და ღიად უნდა ითქვას ერთი რამ. საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებისათვის, საარჩევნო კომისიებში ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობისათვის, საარჩევნო კამპანიის დროს საინფორმაციო საშუალებების თანახსნორი ხელმისაწვდომობისათვის და ა.შ. ბრძოლის უგულებელყოფა არ შეიძლება, თუმცა ყველა ამ ცვლილებას დღეს პრინციპულად არაფრის შეცვლა არ შეუძლია. გამოყენებული იქნება ნებისმიერი საშუალება – ერთი მხრივ, კანონმდებლობის ხარვეზები, ბინძური საარჩევნო ტექნოლოგიები, ამომრჩევლების მოსყიდვა ან მათზე პირდაპირი ზეწოლა, ხოლო მეორე მხრივ, ზეწოლა მეთვალყურეებზე იმ მიზნით, რომ ხელისუფლება ერთი ადამიანის ხელში დარჩეს.

## „ეკონომიკური რეორგანიზაცია“ თუ „ინფორმაციური რევოლუცია“?

გვაქვს თუ არა უფლება, დღეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რასაც 2003-2013 წლებში შევეჯახეთ, კვლავ ჯიუტად გამოვიყენოთ „მართვადი დემოკრატიის“ ცნება? ეს შეკითხვა მარტივი არ არის.

შევთანხმდეთ იმაზე, რომ დემოკრატია მრავალსახოვანია და უნივერსალური მოდელები არა აქვს. მას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ამა თუ იმ ხალხის კულტურული და მენტალური თავისებურებები.

იმაზეც შევთანხმდეთ, რომ 1993-2003 წლების აზერბაიჯანულ საზოგადოებას რაც არ უნდა ვუნოდოთ, ამ წლებში მას თავისუფლად ფიქრისა და ლაპარაკის და, ნაწილობრივ, ამა თუ იმ ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობა რეალურად ჰქონდა. იმართებოდა კონფერენციები და სემინარები (უფრო ხშირად, უცხოური ფონდების დაფინანსებული), სადაც ყველაზე მწვავე საკითხები განიხილებოდა, ტარდებოდა სხვადასხვა ტრენინგი დემოკრატიის სხვადასხვა ასპექტზე. საზოგადოებამ თანდათან გარდაქმნა დაიწყო, ნელა და არა იმდენად პოლიტიკური ინსტიტუტების, რამდენადაც ალტერნატიულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წყალობით, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ჩანასახებიც გაჩნდა.

მაგრამ სერიოზული კონტრარგუმენტების გაუთვალისწინებლობაც შეუძლებელია.

აზერბაიჯანის ხელისუფლება (და ეს ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას ეხება) სამოქალაქო საზოგადოებაში სოციალურ პარტნიორებს პრინციპულად არ ეძებდა. ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემაში, ხელისუფლება ისეთ ურთიერთობებს ირჩევდა, როგორცაა რეაქტიული (რეაქცია მომხდარ მოვლენაზე), პალიატიურობა (სანახევრო გადანყვეტილებების მიღება) და რეპრესიულობა (იმ შემთხვევებში, როცა საზოგადოებრივი ძალები მორჩილებაზე უარს ამბობენ). ამასთან, წლების გასვლასთან ერთად, აქცენტი სულ უფრო მეტად რეპრესიულობაზე გადადის.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლებაში როტაცია არ ხდება, ფაქტობრივად, საუბარი ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის მკვეთრ დემარკაციაზეა. ასეთია ჩვენი ხელისუფლების ფილოსოფია, რომელიც საზოგადოებასთან სისტემურ ურთიერთობას სისტემურ არაგულწრფელობასა და სიტუაციურ ლავირებას ამჯობინებს. ფაქტობრივად, საუბარია არა აღმასრულებელ, არამედ მმართველ ხელისუფლებაზე (რომელიც მმართველ დინასტიებს წააგავს).

დემოკრატია ნამდვილად მრავალსახოვანია და ისიც აშკარაა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გარდამავალ პერიოდში ტრანსფორმაციის

სრულიად მოულოდნელი მოდელები გაჩნდა, მაგრამ ტრანზიცია ტრანზიციად უნდა დარჩეს და გარდამავალი პერიოდის იმიტაციად არ უნდა იქცეს, არც ადგილზე ტკეპნად და, მით უმეტეს, არც მოძრაობად უკან, ფეოდალური წარსულისაკენ.

საზოგადოების გარდაქმნა ნამდვილად ხდება და მასში დემოკრატიული განვითარების ახალი აქტორები სულ უფრო ხშირად ჩნდებიან, მაგრამ ეს ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ ხდება და არ არის ძნელი იმის თქმა, რომ დემოკრატიის გადაზრდა კონფრონტაციაში, რომელსაც რეპრესიების გაძლიერება მოჰყვება, გარდაუვალია (ეს მოხდა კიდეც 2013 წლის დასაწყისში, მაგრამ ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

ამდენად, დღეს უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ტერმინზე „მართვადი დემოკრატია“ და გამოვიყენოთ ტერმინი „შინაგანი კოლონიზაცია“, რომელსაც რუსი მეცნიერი ა. ეტკინდი ხმარობს. ამ ტერმინს უამრავი დაზუსტება სჭირდება და თვით ა. ეტკინდიც ხაზს უსვამს, რომ ეს მოვლენა ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ ქვეყნებში განსაკუთრებით ხშირია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, „მართვადი დემოკრატიის“ ცნებაზე უარის თქმა და მის მაგივრად „შინაგანი კოლონიზაციის“ გამოყენება საშუალებას გვაძლევს, ამგვარი სისტემების პოლიტიკური რეფორმირების შესაძლებლობის შესახებ ილუზიები თავიდან მოვიშოროთ და გავიგოთ, თუ რატომ იქცევა ამგვარი პოლიტიკური სისტემები ერთგვარ შენელებული მოქმედების ნაღმებად, რომლებიც საზოგადოებას ადრე თუ გვიან ააფეთქებს.

## „გვილაკაბუს“

ახლა კი 2003 წლის სიმბოლიზმს დავუბრუნდეთ.

2003 წელზე, როგორც ჩვენს ტრაგიკულ შესვლაზე ახალ, XXI საუკუნეში, არაერთხელ დამიწერია.

ეს იყო მძლავრი სტიქიური პროტესტის წელი, „მასების აჯანყების“ ერთგვარი პიკი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, ამ პიკის შემდეგ საპროტესტო ელექტორატის ენერჯიამ კლება დაიწყო, თუმცა მასების ჩვეული „აჯანყების“ რეციდივების გამწვავებას დღესაც ვაწყდებით.

ეს წელი, ფაქტობრივად, მამიდან შვილზე ხელისუფლების ფაქტობრივად მონარქიული გადაცემის წელი იყო, რაც საპრეზიდენტო არჩევნების მასობრივი გაყალბების შედეგად გახდა შესაძლებელი და რაზეც საერთაშორისო ორგანიზაციებმა რეალურად თვალი დახუჭეს. საზოგადოებამ ღრმა იმედგაცრუება და შოკი განიცადა და ეს მდგო-

მარეობა, ჩემი აზრით, გადალახული ჯერაც არ არის. აზერბაიჯანის ევროპულ ინტეგრაციაზე საუბრისას, ეს მოვლენა ყოველთვის იგულისხმება ხოლმე. სიტყვა „გვილატეს“ პირველად სწორედ 2003 წლის შემდეგ გაისმა და რეფრენის სახით მთელი ამ წლების განმავლობაში ისმის. საქმე ის კი არ არის, სამართლიანია ეს ბრალდება თუ არა. მთავარია საზოგადოების განცდები, რომლებიც მან 2003 წელს გადაიტანა. გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი განცდების რეციდივები 2013 წლის შემდეგ გაძლიერდეს.

2013 წლის ივნისის შუა რიცხვებში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომისიის თანამომხსენებლის, ესპანელი პედრო აგრამუნტის უცნაური განცხადება მოვისმინეთ იმის თაობაზე, რომ მას ილჰამ ალიევის კანდიდატურის წარდგენა მესამე ვადით თვით ვენეციის კომისიის უარყოფითი აზრის გათვალისწინებითაც კი არ აწუხებს. აქ მან მაგალითად თავისი ქვეყანა მოიყვანა, სადაც პრეზიდენტის ფუნქციას ასრულებს მეფე, რომელიც ხელისუფლებაში განუსაზღვრელი ვადით მოდის. გაოცების გამოხატვის გარდა სხვა რა დაგვრჩენია. თანამომხსენებელი სამართლიან არჩევნებზე ლაპარაკობს და იქვე მაგალითად მოჰყავს მონარქი, რომელსაც არავინ ირჩევს. როგორ უნდა გაიგოს ასეთი განცხადება აზერბაიჯანელმა ამომრჩეველმა? როგორც წამოცდენა (როგორც ასეთ შემთხვევებში ამბობენ, წამოცდენა ფროიდის მიხედვით) თუ საჯარო განცხადებებს მიღმა დარჩენილი რაღაც სხვა მიზეზი ეძიოს? ვინ აგებს პასუხს ამ ამომრჩევლის გრძნობებზე? ის ხომ ცინიკურად ასკვნის, რომ ყველაფერი, რასაც საჯაროდ ეუბნებიან, ტოტალურად გაყალბებულია. რატომ ვიმეორებთ მუდმივად ერთსა და იმავე შეცდომას და ამით რატომ ვახდენთ სხვადასხვა რადიკალური ძალის პროვოცირებას?

## ახალი შუა საუკუნეები

დაბოლოს, ყველაზე მთავარი, რის გამოც ამ წელს ტრაგიკულს ვუწოდებ.

შესაძლოა, ჩემი ინტერპრეტაცია პოლიტოლოგიის ფარგლებს სცდებოდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, კულტურის დეფორმაციის საკითხები, რომლებიც ხალხის „კოლექტიურ არაცნობიერზე“ ახდენს გავლენას, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, ტექნიკური და სხვა საკითხები.

რას ვგულისხმობ?

იმ წელს ქვეყნის პრეზიდენტი კომაში იყო და ამ მდგომარეობიდან აღარც გამოსულა, რასაც ხელისუფლებისათვის ხელი არ შეუშლია



პრეზიდენტის სახელით განცხადებების კეთებაში, ახალ საპრეზიდენტო ვადაზე ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატად მის წარდგენაში, შემდეგ კი მისივე სახელით სხვა კანდიდატის სასარგებლოდ ამ კანდიდატურის მოხსნაში ხელი არ შეუშლია. ვინმეს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ პოლიტიკა არ შეიძლება აბსტრაქტული ჰუმანისტური მიდგომების პრიზმაში განიხილებოდეს, რომ ის ყოველთვის კონკრეტულია და განყენებულ და ტრანსცენდენტულ მიდგომებს ვერ გაითვალისწინებს. ამაზე არ ვიდავებ და უბრალოდ შეგახსენებთ ანტიგონეს და იმ მძიმე და სიკვდილის მომასწავებელ სიტუაციას, რომელიც თებუმი შეიქმნა. ეს ყველა საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს, როცა ის ადამიანის ყოფის ფუნდამენტურ საფუძვლებს არღვევს. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს, როგორც საზოგადოებრივმა შეთანხმებამ, თუ საზოგადოება აღმოჩნდება „ყველა ყველას წინააღმდეგ“ ომის მდგომარეობაში, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მას არ ჰყოფნის ტრენინგები დემოკრატიის საფუძვლებში და რომ საკმარისია, ხელისუფლება საარჩევნო პროცესების დროს დაშვებული ცალკეული შეცდომებისთვის უბრალოდ მსუბუქად დაიტუქსოს. ხომ არ არის გეოპოლიტიკის მოთხოვნა ის „განსხვავებების შთანთქმელი განზოგადება“, რისი საფასურის გადახდაც ჩვენ ყველას დიდი ხნის განმავლობაში გვინევს?

ასე გადმოვედით ამ ათასწლეულში.

ამ ათწლეულის პირველი წლების განმავლობაში ხელისუფლებამ მოკრძალებული ნაბიჯები გადადგა და „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ დაეყრდნო. ეს ახალგაზრდები არა იმდენად ნამდვილი რეფორმების გატარების წინადადებით გამოდიოდნენ, რამდენადაც ცდილობდნენ „ხელისუფლების სახე“, საგარეო იმიჯი შეეცვალათ, თუმცა ძალიან მალე ხელისუფლებამ ამ იმიტაციურ ნაბიჯებზეც კი უარი თქვა. მართალია, პრეზიდენტმა თავისი ვადის თითქმის დასაწყისშივე განაცხადა, რომ „შავი ოქრო“ აზერბაიჯანში „ადამიანურ ოქროდ“ გადაიქცეოდა, მაგრამ მისი სიტყვები დაპირებადვე დარჩა.

კვალიფიციური ეკონომისტი იმ წლების საბიუჯეტო პოლიტიკის პერიპეტივებზეც მოგვიყვებოდა, სხვადასხვა მანევრებზეც, რომელთა მიზანი გამჭვირვალობის თავიდან აცილება და საბიუჯეტო შემოსავლების გადანაწილებაში კორუფციული მიდგომის შენარჩუნება იყო, მაგრამ ეს საკითხი ეკონომისტებს მივანდოთ. ან, შესაძლოა, მომავალ მწერლებს, რომლებიც შესძლებენ ამ უზომო ამბიციების აღწერას – როცა ადამიანს საკუთარი შესაძლებლობები უსასრულოდ ეჩვენება, მსოფლიო კი

ალიქმება უზარმაზარ საჭადრაკო დაფად, რომელზეც, ყველაფერთან ერთად, წესები მუდმივად ირღვევა. ან კი, როგორც ერთ-ერთმა ჩვენმა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა თქვა, ნავთობიდან მიღებული შემოსავალს ცეცხლმაქრის ფუნქცია ენიჭება.

ამ წლებს ჩვენს „ახალ შუა საუკუნეებს“ ვუნოდებდი, რადგან ხელისუფლებას შეეძლო უკონტროლოდ განეკარგა უზარმაზარი ფინანსური შემოსავლები, საზოგადოება პარალიზებული იყო და აპათიაში ჩავარდნილი ჩანდა, ქვეყნის გარეთ კი გეოპოლიტიკამ და ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებმა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხები მეორე პლანზე გადასწია.

თუ კონკრეტულ საკითხებს დავუბრუნდებით, უპირატესობა იმ წლებში დიდ საინვესტიციო პროექტებს, მაგალითად, ქალაქ ბაქოს რეკონსტრუქციას ენიჭებოდა. ერთ-ერთ ჩემს სტატიაში ასეთ რეკონსტრუქციას „ბარბაროსების შემოსევა“ ვუნოდე, რადგან ისტორიული განაშენიანება სწორედ რომ ბარბაროსულად ნადგურდებოდა (და ახლაც ნადგურდება). შედეგად მივიღეთ გამოფენის მაგვარი ქალაქი, რომელიც ტურისტებს ალაფრთოვანებს, ხოლო „საგამოფენო პროექტებისაგან“ 100 მეტრის მოშორებით განადგურებამდე მისულ უბნებს ნახავთ. ანუ მივიღეთ ბზინვარებისა და ნანგრევების ნახავი, რომელსაც სხვა პრობლემასთან დაკავშირებით რუსი მწერლები „ჩირქოვან ბზინვარებას“ უწოდებდნენ.

მაგრამ თავი გავანებოთ არქიტექტურულ და ქალაქმშენებლობით პრობლემებს. რა სოციალური დანიშნულება აქვს ამ ძვირადღირებულ საინვესტიციო პროექტებს?

ამ პროექტებმა დასაქმების პრობლემა რაღაც დოზით გადაჭრა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას შეუწყო ხელი. ქვეყანაში საშუალო ხელფასი თვეში 360 მანათამდე (დაახლოებით 455 აშშ დოლარამდე) გაიზარდა. ამ ყველაფერმა რაღაც ზომით შეამცირა სოციალური დაძაბულობა. მაგრამ მოდით, ამ პროექტებს სხვა კუთხით შევხედოთ. სამუშაო ადგილებს ჭეშმარიტი სოციალური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მნიშვნელობა მაშინ აქვს, როცა ისინი ბიზნესს უხსნის გზას, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს უშლის კორუფციას და, საბოლოოდ, სამოქალაქო თვითშეგნების ზრდას უწყობს ხელს. ბაქოში ნახავთ უამრავ ბილბორდს მონოდებით, რომ შრომით კონტრაქტებს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. მე თვითონაც შრომითი კონტრაქტის საფუძველზე ვმუშაობ და ვიცი, რას ნიშნავს ეს. მაგრამ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შრომით კონტრაქტს, თუ ადამიანებს არ ესმით კანონი და თუ არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო. შეიძლება კორუფციას ბრძოლა გამო-

უცხადო, აიძულო დამსაქმებელი დაქირავებულ მუშაკთან შრომითი ხელშეკრულება დადოს, პროფკავშირების შექმნაც კი შეიძლება, ისევე როგორც სხვა იმიტაციური ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ „მართვადი დემოკრატია“, თუ ის „მართვადობაზე“ უარს არ ამბობს, აუცილებლად გარდაიქმნება „შინაგან კოლონიზაციად“.

## 2013 წელი: ჩეჩენული ცვლილება კანონმდებლობაში

ახლა დროა 2013 წელზეც ვილაპარაკოთ. ჩემი აზრით, ის თავისებურად სიმბოლურია და ამას მრავალი მიზეზი აქვს.

პირველი: 1993 წლიდან ოცი წელი გავიდა. ცნობილი მწერლის ერთ-ერთი მოთხრობის სათაურით რომ ვთქვათ, „რალაც დამთავრდა“. თუკი უფრო რაციონალური ენით ვიტყვით, „შინაგანმა კოლონიზაციამ“ ხელისუფლება და ხალხი ერთმანეთს უკიდურესად დააშორა ისე, რომ ისინი ლამის პარალელურ სამყაროებში აღმოჩნდნენ. ძნელია იწინასწარმეტყველო, სანამ შეიძლება საზოგადოება ასე ჰაერში გამოკიდებული დარჩეს (ცხადია, ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, რესურსებზე და მათგან მიღებული შემოსავლების ხარჯვაზეა დამოკიდებული).

მეორე: 2013 წელი საპრეზიდენტო არჩევნების წელია და ძნელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ის ახლანდელი პრეზიდენტისათვის მესამე საპრეზიდენტო ვადის დაწყების წელი გახდება<sup>1</sup>.

თუ ქრონოლოგიას არ გავყვებით და შინაარსობრივ მხარეს მივხედავთ, 2013 წელი წინა წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით დაიწყო. გადამწყვეტი სწორედ ეს საკითხი გახდა და, ეჭვგარეშეა, ის მომავალი ათწლეულის (2013-2023 წწ.) განმასხვავებელი ნიშანი იქნება. დემოკრატიის იმიტაციის ტაქტიკიდან ხელისუფლება თანდათანობით უნინ მიღებული დემოკრატიული კანონების შეცვლაზე გადავიდა. ყველაფერი ნაჩქარევად ჩატარებული რეფერენდუმით და მასზე „მთელი სიცოცხლით პრეზიდენტად არჩევის“ საკანონმდებლო ნორმის მიღებით დაიწყო. ერთმა ჩვენმა ღრმად განსწავლულმა ახალგაზრდა იურისტმა ფეისბუქზე თავისი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი დადო, რომელშიც არა მხოლოდ თვით ამ ცვლილებების არამართლზომიერება და მათი მემკვიდრით ჩვენი ფუნდამენტური უფლებების დარღვევა ამხილა, არამედ ამ ცვლილებების მიღების დროს დაშვებული მრავალრიცხოვანი სამართალდარღვევაც. ახალგაზრდა იურისტმა ღია დებატები მოითხოვა,

<sup>1</sup> 2013 წლის ოქტომბერში, როგორც მოსალოდნელი იყო, ალიევი კონკურენტებთან შედარებით დიდი უპირატესობით აირჩიეს, თუმცა დამოუკიდებელი მეთვალყურეები არჩევნების გაყალბებასა და ამომრჩევლების დაბალ აქტიურობას აღნიშნავენ.

თუმცა ხელისუფლებამ, ცხადია, მის მოთხოვნას ყურადღება არ მიაქცია. ეს ბუნებრივი საქციელი იყო, რადგან სიტუაციის პოლიტიკური კონტროლი მას იურისპრუდენციის დეტალების იგნორირების საშუალებას აძლევს.

მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების, საპრეზიდენტო არჩევნების თანმხლები რიტორიკული ტალღის, დემოკრატიული საზოგადოებისაგან მოსალოდნელი უხალისო კრიტიკისა და ა.შ. მიუხედავად, საზოგადოების ცნობიერებაში დარჩება წარმოდგენა, რომ პრეზიდენტი არალეგიტიმურია და ეს შიშველი მეფის შესახებ ანდერსენის ზღაპრის სპეციფიკური ვარიანტი იქნება, როცა თავს არავინ იტყუებს, მაგრამ ზრდილობის წესებს ყველა იცავს. რითი მთავრდება ასეთი ამბები, არაბული გაზაფხულისა და თურქეთში დღეს მიმდინარე მოვლენების მაგალითზე უკვე ვნახეთ<sup>2</sup>.

კონსტიტუციურ ცვლილებებს მოჰყვა მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ანტიდემოკრატიული ცვლილებების მთელი სერია, რომელიც წელსაც გრძელდება. აქ უნდა ვახსენოთ გასული წლის ბოლოს პარლამენტის მიერ უსაქციო მიტინგებში მონაწილეობისათვის დაწესებული უზარმაზარი ჯარიმები, უკვე წელს მიღებული სანქციები, რომლებიც წინასწარი დაკავების ვადას ასამშავებს, და სულ ახლახან ჩვენი პარლამენტის (მილი მეჯლისის) მიერ მიღებული სრულიად გაუგონარი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ინტერნეტში გამოთქმული შეურაცხყოფელი მოსაზრებებისათვის საჯარიმო სანქციებსა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო ცილისწამების საკითხის განხილვა. გასულ თვეში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „რეფორმები ადამიანის უფლებების სფეროში: პერსპექტივები კანონისათვის „ცილისწამების შესახებ“ USAID-ისა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის მონაწილეობით. უფრო ადრე, ცილისწამების დეკრიმინალიზაციის შესახებ პრეზიდენტმაც ილაპარაკა. და რით დამთავრდა ყველაფერი? იმ ცვლილებებით, რომლების შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე. მედიასაშუალებების ინსტიტუტის დირექტორის რაშიდ გაჯილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმის ნაცვლად, რომ ცილისწამების გამო სისხლის სამართლის სასჯელი გაეუქმებინა, აზერბაიჯანის ხელისუფლე-

2 2013 წლის ზაფხულში თურქეთში პოლიციის მიერ მშვიდობიანი მჯდომარე გაფიცვის მონაწილეების დაშლის გამო მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა. აქცია სტამბოლში გეზის პარკის განადგურებისა და მის ადგილას სავაჭრო ცენტრის აშენების წინააღმდეგ იმართებოდა.

ბამ „მტრების ჯიბრზე“ ინტერნეტში მსგავსი გამონათქვამებისათვის სასჯელი შემოიღო. ამასთან, როგორც მთავრობის მხარდამჭერ ერთ-ერთ საიტზე ეწერა, „როგორც ევროპული ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, ცილისწამება აქამდე დასჯადია თვით მთელი რიგი ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით“. იურისტი არა ვარ და ამ საკითხის იურიდიული თვალსაზრისით განხილვა არ შემოიძლია, მაგრამ ძალიან სიმპტომატურია, რომ ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად გვესმის განცხადებები, რომ ადამიანის უფლებები თვით დასავლეთის ქვეყნებში უფრო ირღვევა. ამაზეა სწორედ ნათქვამი, გაღმა შეედავეო.

რა არის მთელი რიგი მსგავსი ანტიდემოკრატიული ცვლილებების მიღების მიზეზი? ხელისუფლება თითქოს გაძლიერდა და „მაგნიტსკის სიის“ მსგავსი სერიოზული სანქციები ახლო მომავალში არ ემუქრება. ხელისუფლებასთან დაპირისპირების შემძლე რეალური ძალები არც თვით საზოგადოებაშია. არაორაზროვანი პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე რთულია. შეიძლება ხელისუფლება თავს იცავს იმიტომ, რომ ესმის, რამდენად არალეგიტიმურია მესამე ვადა.

## 2013: სხვა პნიშვნელოვანი უაქმობები

მოქმედ კანონმდებლობაში ანტიდემოკრატიული ცვლილებების მიღება 2013 წლის იმ ფაქტორებს შორისაა, რომლებიც მინდოდა აღმენიშნა.

მეორე ფაქტორი (წინასწარ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში ძნელია იმის გარკვევა, სად არის მიზეზი და სად შედეგი) საპროტესტო ტალღის ზრდაა, თანაც არა მხოლოდ ბაქოში, არამედ რეგიონებშიც. ეს ტალღები სპორადულად წარმოიქმნება ხან ერთ რეგიონში, ხან კი მეორეში. ძნელია იმის თქმა, გაიზრდება ეს ტალღა საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად თუ არა და გაჩნდება თუ არა ჩვენთან ტაჰირის ან ტაქსიმის მოედანი.

ამ მოძრაობას ხელისუფლებამ რეპრესიული ნაბიჯებით უპასუხა და ისინი არა მხოლოდ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერებისაკენ, არამედ სამოქალაქო აქტივისტებისაკენ, პირველ რიგში კი, ახალგაზრდობისაკენ მიმართა. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ამ დაპატიმრებებში საჯარო არაფერი ყოფილა, რადგან პოლიტიკურ ბრალდებებს, როგორც წესი, საჯაროდ არ აყენებენ. ხელისუფლების სოციალური პოლიტიკა ლოგიკურად დასრულდა: მან ჯერ სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობაზე განაცხადა უარი, ახლა კი ამ სექტორში უკვე მტერს ხედავს.

დაბოლოს, მესამე ფაქტორი, რომელზეც მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო.

იმისათვის, რომ დასავლეთის საზოგადოებრიობის თვალში ღირსება არ დაკარგოს, ხელისუფლება მასშტაბურ აქციებს ატარებს (მათ შორის ბოლოდღეობა შეიძლება „ჰუმანიტარული“ ვუნდოთ), რომ ამით ლეგიტიმურობა გაიმყაროს, ხოლო დასავლეთის საზოგადოებრიობამ რაც შეიძლება დიდხანს ვერ შეამჩნიოს, რომ „მეფე შიშველია“.

ამავე რიგშია ფორუმი „მომავლის ხედვა: აშშ და აზერბაიჯანი“, რომელშიც 300 (!?) ამერიკელი კონგრესმენი და პოლიტიკური მოღვაწე მონაწილეობდა. ეს იყო კულტურათა შორის დიალოგი, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიოში ცნობილმა პირებმა მიიღეს. შთამბეჭდავი იყო თანამედროვე ბალეტი ნარმოდგენა გობუსტანის კლდის ნახატების ფონზე, რომელზეც ევროპული ქვეყნების კულტურის მინისტრები იყვნენ მიწვეული. ჩატარდა ფორუმი Future studies, რომელსაც უნდა ეჩვენებინა, რომ აზერბაიჯანი ის ქვეყანა არაა, რომელიც „წიაღისეული რესურსების წყველას“ შეენირა. იმავე რიგში უნდა იყოს ნახსენები 2015 წლისათვის დაგეგმილი პირველი ევროპული ოლიმპიური თამაშები, რომლებიც ბაქოში უნდა ჩატარდეს.

ამასთან, საინტერესოა, რომ უკვე მრავალი წელია (დაიწყო 2004-ში, შემდეგ კი 2007-ში გაგრძელდა), ჩვენს პარლამენტში, მილი მეჯლისში, „კონკურენციის კოდექსის“ პროექტი მუშავდება. ეჭვი არ არის, რომ ამ დოკუმენტის ძირითადი მიზანი ეკონომიკის იმ დარგებში, რომლებიც ნავთობის სექტორთან არაა დაკავშირებული, კონკურენციის უზრუნველყოფა და იმ საწარმოებთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლებია, რომლებსაც ბაზარზე მონოპოლისტური პოზიციები უჭირავთ (ახლანდელი ვიკითხავთ, ვინ და როგორ უზრუნველყო ეს მონოპოლია). ამ კანონპროექტის მიხედვით, მეურნეობის იმ სუბიექტებს, რომლებიც მონოპოლისტებისა და არაეფექტური ანტიმონოპოლიური ორგანოების ქმედებებს არ ეთანხმებიან, შეუძლიათ სასამართლო ორგანოებში იჩივლონ. მაგრამ სწორედ აქ წარმოიქმნება ჩიხი, რადგან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ნორმალური კონკურენტული გარემო ვერ ჩამოყალიბდება, თუ არ არსებობს მართლმსაჯულების დამოუკიდებელი სისტემა (როგორც, მაგალითად, სინგაპურში). „კონკურენციის კოდექსიც“ ქალაქზე დარჩა.

აი, ეს არის ის სამი ფაქტორი, რომელიც 2013 წლის ჭრელ და წინააღმდეგობრივ რეალობას ქმნის. ახლა ისლა დამრჩენია, მომავლის რაღაც პროგნოზი მაინც გავაკეთო Future studies-ის სტილში, თუმცა კარგად

მესმის, რომ ამგვარ კვლევებს თავისი მეთოდოლოგია აქვს და აუცილებელია სერიოზული ემპირიული მონაცემები, მე კი მხოლოდ ჩემს შთაბეჭდილებებსა და პატარა და სისტემურობაზე პრეტენზიების არმქონე ექსპრესგამოკითხვას ვემყარები.

## საზოგადოება: გზაკლი აქტიურობა

თვითონ ხელისუფლებისა და მისი აპარატის გარდა, რა რეალური ძალები მოქმედებს საზოგადოებაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ?

დავინწყებ პოლიტიკური მოძრაობით „ელი“ (რომელიც რუსულ „ოტჩინასთანაა“ ახლოს). ამ მოძრაობამ ასე თუ ისე ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანება შეძლო და გარდამავალი პერიოდისათვის ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატის წამოყენებას აპირებს. არ მინდა ამ მოძრაობის შესაძლებლობებზე ვილაპარაკო, მაგრამ უეჭველია, რომ ხელისუფლებას მისთვის ანგარიშის განევა მოუწევს.

აღვნიშნავდი ახალგაზრდობის მზარდ აქტიურობასაც, რომელიც მთავალ წლებში აუცილებლად გაიზრდება. ჯერ კიდევ 5 წლის წინ, გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ინერტული, პასიური და სულიერებას მოკლებულია, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ის ნამდვილად გარდაიქმნა. ეს, უპირველესად, დასავლეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდობას ეხება. ამასთან, როგორც ყველა განვითარებად ქვეყანაში, მათი ამოძრავება სოციალური ქსელების დამსახურებაცაა. არის ასევე თავისუფალი აზრის უნივერსიტეტის ფენომენი. ის მოკლე დროში ახალგაზრდებს შორის უაღრესად პოპულარული გახდა. სამწუხაროდ, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ხელისუფლებამ იმოქმედა პრინციპით „გილიოტინა ქერტლის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა“ და უნივერსიტეტი უბრალოდ დახურა, ალბათ იმიტომ, რომ მასში თავისუფალი აზროვნების ბუდე ან განათლების არსებული სისტემის ალტერნატივა დაინახა.

საინტერესოა, რომ ბევრი მათგანი, ვისაც საზოგადოებრივი აქტიურობის რეალური ძალების შესახებ შეკითხვები დავუსვი, ახალგაზრდა ქალებს ასახელებდა. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა სჭირდება და აქ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში ვინინასწარმეტყველე აზერბაიჯანში ფემინისტური რევოლუცია, რომელიც არ მომხდარა, თუმცა განათლებული და სოციალურად აქტიური ქალები რეალურ საზოგადოებრივ ძალად ნამდვილად გადაიქცვიან.

დაბოლოს, მინდა განსაკუთრებით გამოვყო პოლიტიკის სფეროში მოქმედი პრინციპულად ახალი აქტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „რეალი“ („რეალური ალტერნატივა“, რომლის დასახელების აბრევიატურაში ასო „ა“ იმავდროულად აზერბაიჯანსაც უკავშირდება). ამ მოძრაობაში უკვე ათასამდე წევრია. ისინი უმთავრესად განათლებული ხალხია, ვინც ქვეყნის მომავალს შეგნებულად უკავშირებს 1918-1920 წლების საპარლამენტო რესპუბლიკას. „რეალმა“ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენა (ილგარ მამედოვი), თუმცა ხელმძღვანელობამ მოახერხა და ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოწოდების გამოგონილი ბრალდებით ის დააპატიმრა.

„რეალის“ და მთლიანობაში ახალგაზრდული მოძრაობის არსებობა საშუალებას იძლევა, ვინინასწარმეტყველოთ, რომ როგორც უნდა იყოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, შევძლებთ დავძლიოთ აპათიისა და უიმედობის გრძნობა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას 2003 წლის არჩევნების შემდეგ დაეუფლა.

P.S. ეს მოკლე პოსტსკრიპტუმი რამდენიმე თვის დაგვიანებით, სტატიის გამოსაცემად მომზადების დროს დაინერა.

იმ დროს მეჩვენებოდა, რომ საპროტესტო ენერჯია გაიზრდებოდა და საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენას მოახდენდა. მოლოდინი არ გამართლდა. საპროტესტო ენერჯიამ იკლო და ხელისუფლება ოდნავ შეაშინა. არჩევნებს საზოგადოება არ აუღელვებია. როგორც უნინ, ის ისევ აპათიისა და უიმედობის მორევეში ჩაიძირა.

თუმცა ვინ იცის? ეს შეიძლება ასე მხოლოდ ზედაპირზე ჩანდეს. ყველამ ვიცით, რა შეიძლება მოხდეს, როცა ავადმყოფს მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელს აძლევენ და სენს სერიოზულად არ მკურნალობენ.



# თანაპელროვეობა, როველის ხელიდან გისხლგება აზერბაიჯანის პოსტსაგჭოთა მოღვერნიფასია

სერგეი რუმინცვეი

## მოღვერნიფასიისა და გრანსუოკრეპიის 150 წელი

ქვეყნისა და ხალხის მოღვერნიფაციის აუცილებლობის შესახებ<sup>1</sup> აზერბაიჯანელი ინტელექტუალების უკვე არაერთი თაობა ფიქრობს. მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა „გათანამღვეროვდეს“ ეკონომიკური ურთიერთობები ან უბრალოდ ყოველღღიური ცხოვრების წესი, ხალხური წეს-ჩვეულებები თუ ტრადიციები, ვრცელღღება XIX საუკუნის მეორე ნახვერიდან, როცა ჩამოყალიბღღა თურქულენოვანი მუსლიმანების არცთუ მრავალრიცხოვანი ელიტა, რომელმაც ვეროპული განათლება მიიღო<sup>2</sup>. ერთ-ერთი პირველი ასეთ ინტელექტუალებს შორის მირზა ფათალი ასუნ-

---

1 ტექსტში გამოყოფილი სიტყვები და ფრაზები გულისხმობს ჩემს სკეპტიკურ დამოკიდებულებას ისეთი უკიდურესად აბსტრაქტული კატეგორიისადმი, როგორიცაა „ხალხი“. როცა ამ ცნებას ვიყენებ, მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახვერის განმანათლებელი ინტელექტუალებისა და XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი თაობის აზერბაიჯანელი ნაციონალისტების იღვეები და იმღღები ავსახო და ვიყენებ ენას, რომელზეც ისინი ლაპარაკობღღენ. თვითონ მე ვამჯობინებ, ხალხებზე და ერებზე ვილაპარაკო, როგორც წარმოსახვით ერთიანობაზე (Anderson, B., *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism*, London & New York: Verso, 1998, p. 5-7).

2 ტადღღუმ სვეტოხოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „XIX საუკუნის 40-იან წლებში ტრადიციულ (თურქულ-მუსლიმანურ – ავტ.) საზოგადოებაში ახალი ელემენტი გაჩნღღა: შეიქმნა პროფესიონალი ბიუროკრატების აზერბაიჯანული კლასი, რომელსაც უმნიშვნელო ვეროპული განათლება ჰქონღღა“ (Swietochowski, T., *Russian Azerbaijan, 1905-1920. The Shaping of National Identity in a Muslim Community*, Cambridge: Cambridge University Press, 1985, p. 14). იმავე საუკუნის 70-იან წლებში მუსლიმანი ინტელიგენტების მეორე თაობა, რომელმაც ვეროპული განათლება მიიღო, მტკიცედ შეკრული ჯგუფი იყო (იქვე, გვ. 27). ბრენღღა შეფერი აღნიშნავს, რომ „ეს ჯგუფი თანზიმათის (1856-1876 წლების საკონსტიტუციო რეფორმები ოსმალეთის იმპერიაში) ძღღიერი გაღვენის ქვეშ იყო. თანზიმათის მიმზიდველობა თურქული (Turkic) ფესვებისადმი ინტერესის ზრღღისა და თურქული იღენტობის გაძღღიერებასთან იყო დაკავშირებული“ (Shaffer, B., *Borders and Brethren: Iran and the Challenge of Azerbaijani Identity*, Harvard: The MIT Press, 2002, p. 28). იხ., აგრეთვე, Baberowski, J., *Der Feind ist Überal: Stalinismus im Kaukasus*, München: Deutsche Verlags-Anstalt, 2003, p. 44-57.

დოვი (1812-1878) იყო. როგორც მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი, ჩინგიზ ჰუსეინოვი წერდა<sup>3</sup>, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში ახუნდოვმა „ხალხის მასწავლებლის“ სტატუსი მიიღო<sup>4</sup>. საბჭოთა ეპოქის დასასრულს ამ აზერბაიჯანელი განმანათლებლის შესახებ დაწერილ თავის დოკუმენტურ რომანში იგივე ჩინგიზ ჰუსეინოვი „ხალხის გაღვიძების“ ახუნდოვისეულ მცდელობებზე მსჯელობდა და მის ძალისხმევას „განმანათლებლის ილუზიებს“ უწოდებდა<sup>5</sup>. ახუნდოვის გარდაცვალების შემდეგ იყო ხალხისთვის თანამედროვე წესებისა და ცხოვრების სტილის „სწავლების“ კიდევ მრავალი მცდელობა. ბოლო ასეთ მცდელობას ხშირად პოსტსაბჭოთას უწოდებენ. შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ურთიერთობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სისტემებისა და ინსტიტუციების მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის მცდელობები პოსტსაბჭოთა ეპოქაშიც სხვა არაფერი იყო, თუ არა მორიგი „ილუზიები“, რომლებსაც განხორციელება არ ეწერა?

ისევე, როგორც ყველგან ყოფილ საბჭოთა კავშირში, 1990-1991 წლებში უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვან ინტელექტუალურ ელიტებში და, სხვათა შორის, უბრალო მოქალაქეების დონეზეც, გარდაქმნების აუცილებლობის განცდა კვლავ გაჩნდა. საჭირო გახდა ქვეყნისა და საზოგადოების მორიგი მოდერნიზაცია. მოდერნიზაციის მიზნით უწინ (საბჭოთა ეპოქამდე და მის შემდეგ) განუვლი ძალისხმევა, რამდენად რადიკალურადაც უნდა ჩათვლილიყო ის, საბჭოთა კავშირის ბოლო წლების განმავლობაში აღიქმებოდა ან როგორც არასაკმარისი, ან მცდარი და დანაშაულებრივიც კი. ეკონომიკის რეკონსტრუქციის იდეებს თან პოლიტიკური ურთიერთობებისა და ინსტიტუციების და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მათი კონტროლის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების იმედები ერთვოდა. მაგრამ ამჯერად მისწრაფებას, კიდევ ერთხელ დასწეოდნენ თანამედროვეობას, რომელიც მუდმივად ხელიდან უსხლტებოდათ, ხალხური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების (განსაკუთრებით, ისლამთან დაკავშირებულის) აღორძინების მიზანი<sup>6</sup> დაემატა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარადოქსია, მაგრამ თანა-

3 Гусейнов, Ч., Фатальный Фатали, Москва: Книга, 1987. с. 10.

4 თუმცა, თვითონ ჰუსეინოვს მიაჩნია, რომ ეს ტიტული „მადლიერმა შთამომავლებმა“ მოიგონეს.

5 იქვე.

6 სინამდვილეში კი საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ მათი (ხალხური ტრადიციების) რეკონსტრუქციაზე ან, რაც უფრო სწორი იქნებოდა, გამოგონებაზე პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმისა და სხვადასხვა ჯურის მანამდე არარსებული რელიგიური იდეებისა და ინსტიტუციების მზარდი გავლენით გაჯერებულ ახალ სიტუაციაში. აქ ის წარმოსახვითი იდილიური და რომანტიკული დროება იგულისხმება, როცა ხალხი მოდერნიზაციით „გაფუჭებული“ ჯერ კიდევ არ იყო.

მედროვე საბაზრო ურთიერთობებისა და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა და განვითარების დეკლარირებულ მიზანს „სიბნელისა და განუვითარებლობისათვის“ დამახასიათებელი მრავალი ტრადიციის აღორძინების სწორედ ის პოპულისტური იდეები ახლდა თან, რომელთა წინააღმდეგაც XIX საუკუნის განმანათლებლები გამოდიოდნენ.

თანამედროვეობისაკენ სწრაფვის 150-წლიან კონტექსტში წამოჭრილი შეკითხვების ფორმულირება სრულიად სხვადასხვა თვალთახედვითაა შესაძლებელი. მაგალითად, მოხერხდა თუ არა რაიმე რადიკალური ცვლილებების მიღწევა აზერბაიჯანის მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის ამ მორიგ, ამჯერად პოსტსაბჭოთა ეტაპზე? რას ელოდნენ ამ ცვლილებებისგან და რა სპეციფიკური თვისებები ახასიათებს ამჟამინდელ სიტუაციას?

### **აზერბაიჯანული საზოგადოების ლიბერალურ საზოგადოებად მოღვაწიებისა და ბანსფორმაციის შესახებ**

ცვლილებები უდავოდ ხდებოდა და არ შეიძლება ისინი სათანადოდ არ შევაფასოთ, თუმცა ამ ცვლილებებს შედეგად არ მოუტანია სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში, ეკონომიკურად (ასე თუ ისე) სტაბილური, ურბანიზებული და ინდუსტრიალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება (მოდერნიზაციის კლასიკური თეორია). არ შეიმჩნევა სოციალური ცხოვრების მზარდი ინდივიდუალიზაციის, ფრაგმენტაციისა და ამოძრავების ასე თუ ისე ხელშეშახები გამოვლინებები (postmodernity)<sup>7</sup> და არც თავისუფალი და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებულა.

აზერბაიჯანის ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკად მაინც ვერ გარდაიქმნა და ძირითადად ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვებასა და გაყიდვაზეა ორიენტირებული, ურბანიზაციის ნაცვლად ქალაქების რურალიზაცია ხდება, ხოლო ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა კავშირთან ერთად დამთავრდა. პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის ისტორიაში ვერც ინდივიდუალიზაციისა და ფრაგმენტაციის ასე თუ ისე შესამჩნევ კვალს იპოვით. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანებისაგან სულ უფრო ხშირად გაიგონებთ მოსაზრებას, რომ ამჟამინდელი პოლიტიკური რეჟიმი საბჭოთა რეჟიმზე „უარესი“ და უფრო ავტორიტარულია.

აქ კი უპრიანი იქნებოდა დაგვესვა შეკითხვა, იყო თუ არა იმის შანსი, რომ მსგავსი ტრანსფორმაცია აზერბაიჯანში წარმატებით განხორციე-

7 Ben-Rafael E. & Sternberg Y., Analyzing Our Time: A Sociological Problématique. In: Ben-Rafael E. & Sternberg Y., (Eds.), Identity, Culture and Globalization, Leiden: Brill, 2001. p. 17.

ლებულიყო? თუ თავისუფლების პირობების შესაქმნელად აუცილებელი ძალიან სპეციფიკური სიტუაციის არსებობას დავეყრდნობით, რაზეც ერნესტ გელნერი მიუთითებს (ანუ სიტუაციას, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გარკვეულ ეტაპზე შექმნილ პირობებს წააგავს), გაირკვევა, რომ აზერბაიჯანში ამჟამად არსებული წარმოსახვითი საზოგადოება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტრადიციის პროდუქტია და ეს ტრადიციები თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული მეტოქეების როლს თამაშობს.

**პირველი ტრადიცია** ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიას, ისლამს უკავშირდება. მისი გავლენა (საბჭოთა წლებში საგრძნობლად შერყეული) ახლა სწრაფად იზრდება. გელნერის თქმით, „მუსლიმანები [...] პოლიტიკური ხელისუფლების შინაგანი ორგანიზაციისადმი არცთუ მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ და საკუთარი მთავრობების დაუფარავ მიკერძოებულობას და სრულიად მოურიდებელ ქცევას საოცარი გულგრილობით ეკიდებიან. პოლიტიკოსებისაგან აქ თითქოს სხვას არც არაფერს ელიან“<sup>8</sup>.

აზერბაიჯანი ოფიციალურად საერო სახელმწიფოა, მაგრამ ბოლო ორი პრეზიდენტი, სხვადასხვა რანგის ოფიციალური პირები და კულტურის მოღვაწეები ხელიდან არ უშვებენ შანსს ხაზი გაუსვან, რომ აზერბაიჯანი უპირატესად მუსლიმანური ტრადიციების მიმდევარი ხალხითაა დასახლებული. ალიევის ოჯახის ოფიციალური ბიოგრაფები თავიანთ წიგნებში მოგვითხრობენ, თუ რამდენად ღრმად მორწმუნენი იყვნენ რთულ საბჭოთა წლებში ყოფილი პრეზიდენტი (სუკ-ის გენერალი და აზერბაიჯანის კომპარტიის ხელმძღვანელი) ჰეიდარ ალიევი და მისი შვილი, ახლანდელი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი<sup>9</sup>. 1994 წლის ზაფხულში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჰეიდარ ალიევმა და მისმა შვილმა და მემკვიდრემ მექაში ჰაჯზე სიარული მალევე დაიწყეს. ინაუგურაციის დროს ილჰამ ალიევი არა მხოლოდ კონსტიტუციის ტექსტზე დებს ფიცს, არამედ ამ დროს ხელი ყურანზეც უდევს.

ხელისუფლება ცდილობს რელიგიურ ინსტიტუციებსა და იდეოლოგიაზე კონტროლი შეინარჩუნოს და, ამ მიზნით, ისლამური ღირებულებების მიმართ თავის ერთგულებას საჯაროდ უსვამს ხაზს. მათი ეს ძალისხმევა გასაგებია, რადგან 2013 წელს ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური

8 Геллнер, Э., Условия Свободы: Гражданское Общество и его Исторические Соперники, Москва: Московская Школа Политических Исследований, 2004, с. 33.

9 Андриянов, В. и Мираламов, Г., Ильхам Алиев, Москва: Молодая Гвардия, 2007, с. 76-77, 190-191, 249-250.

უმრავლესობისათვის აზერბაიჯანელობა მუსლიმანობასაც ნიშნავდა. ამასთან, ის ფაქტი, რომ უმრავლესობა თავისი თავის ისლამთან იდენტიფიცირებას ახდენს, ისლამის მიერ დანესებული ქვეყნის ნორმებისა და წესების თუნდაც მინიმუმის დაცვას არ გულისხმობს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისლამისტების მზარდი გავლენისადმი სერიოზული წინააღმდეგობა არ არსებობს. მთავარი გამოწვევა ის კი არ არის, რომ ქვეყანაში აქტიური შიიტი მუსლიმანების რიცხვი იზრდება, ან ის, რომ მუდმივად იზრდება სუნიტი სალაფიტების დაჯგუფებებისა და ქსელების რიცხვიც და ფართოვდება მათი გავლენა<sup>10</sup>. მთავარი გამოწვევა ისაა, რომ ისლამისტების მზარდ გავლენას რეალური ალტერნატივა არა აქვს.

ამ კონკურენტულ ბრძოლაში სახელმწიფოს რეპრესიული აპარატი ადრე თუ გვიან დამარცხდება, თუ აზერბაიჯანულ საზოგადოებაში როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ფართო და საჯარო სეკულარული მოძრაობა არ წარმოიქმნა. მაგრამ შეიძლება თუ არა ამგვარი მოძრაობა წარმოიშვას ქვეყანაში, სადაც მხოლოდ რამდენიმე ინტელექტუალი თუ ბედავს განაცხადოს, რომ საკუთარი თავი არარელიგიურ ადამიანად ან ათეისტად მიაჩნია? აქტიურ ისლამისტებს აქ საკუთარ თავში დარწმუნებული და არანაკლებ აქტიური ანტიკლერიკალები ან ათეისტები კი არ უპირისპირდებიან, არამედ სხვადასხვა კორუმპირებული და არცთუ ეფექტური სპეცსამსახურები, რომელთა თანამშრომლები მხოლოდ ბრძანებებს ასრულებენ. თუ ერთ მშვენიერ დღეს ამგვარი ბრძანებები რაღაც მიზეზით აღარ შესრულდა, ნათელი გახდება, რომ აზერბაიჯანული საზოგადოება ისლამისტების მოთხოვნებთან დასაპირისპირებლად მზად არ არის.

ტრადიციებისა და ისლამის ერთგულება (აქტიური იქნება ის თუ სიმბოლური) ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის საკუთარი თავი-

10 აუცილებელია აღინიშნოს, რომ როცა აზერბაიჯანში ისლამზე ვლაპარაკობთ, უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანა და საზოგადოება, რომლებსაც უნინ ასეთი პრობლემები არასოდეს ჰქონიათ, ხარისხობრივად ახალი გამოწვევის წინაშე დგანან. სალაფიზმი აზერბაიჯანში მხოლოდ სსრკ-ის დაშლის შემდეგ გაჩნდა, ხოლო შიიზმს კვებავს ირანის თეოკრატიული რეჟიმი, რომელიც სამ ათეულ წელიწადზე ოდნავ მეტს ითვლის. როგორც ყოველთვის, ბევრ მორწმუნეს სჯერა, რომ მრავალწლიანი საბჭოთა რეპრესიების შემდეგ მხოლოდ თავის ფესვებს უბრუნდება, მაგრამ ამის მიუხედავად, ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში ერთმანეთთან მოქიშპე ისლამისტების ახალი ინსტიტუციები, ურთიერთობები, ჯგუფები და ქსელები ყალიბდება. სამწუხაროდ, ეს პროცესები ჯერაც შეუსწავლელია, თუმცა პოსტსაბჭოთა პერიოდში რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მაინც გამოქვეყნდა. იხ., მაგალითად, Cornell, E. S., *The Politization of Islam in Azerbaijan*, Washington: Silk Road Way Paper, 2006; Bedford, S., *Islamic Activism in Azerbaijan: Repression and Mobilization in a Post-Soviet Context*, Stockholm: Department of Political Science, Stockholm University, 2009.

სუფლებებისა და უფლებებისათვის ბრძოლაზე მაღლა დგას. თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები აზერბაიჯანის მოქალაქეების უმრავლესობისათვის ცარიელი და გაუგებარი სიტყვებია, ისლამისადმი საკუთარი თავის მიკუთვნების ტრადიცია კი – ცოცხალი და მიმზიდველი. 2011 წლის ნოემბერში ბაქოში პუბლიცისტი და ჟურნალისტი რაფიგ თალი იმის გამო მოკლეს, რომ რელიგიური ინსტიტუციებისა და ირანის თეოკრატიული რეჟიმის გაკრიტიკება გახდა, ამ შემთხვევამ ეს პრობლემა სრულიად გააშიშვლა. მკვლელობა საჯაროდ და ღიად არავის დაუგმია. აღშფოთების გამოხატვა მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ლიტერატურათმცოდნემ, მეცნიერმა და ჟურნალისტმა გახდა. საჯაროდ პროტესტი არც ხელისუფლებას გამოუხატავს და არც ნამყვან ოპოზიციურ პარტიებს (მათ შორის მათ, ვინც საერო და თავისუფალი საზოგადოების იდეალებისადმი განუხრელ ერთგულებაზე დებს თავს). ამასთან, ბევრი მორწმუნე აქტივისტი სადავო საკითხების ამ მეთოდით გადაწყვეტას მიესალმა.

**მეორე ტრადიცია**, რომელზეც სამოქალაქო საზოგადოების მეტოქეებზე მსჯელობისას გელნერი მიუთითებს, იმ ტიპის მარქსისტული იდეოლოგიაა, რომელიც საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში დამკვიდრდა. გელნერის თქმით, ხალხმა მარქსიზმზე უარი ისე თქვა, რომ „არავითარი მკაფიო ალტერნატივა არ ჰქონია. ძველ შეხედულებებს მათ ვაკუუმი და შეხედულებების არქონა არჩიეს“<sup>11</sup>. ეს გამონათქვამი სადავოა. ბევრმა ალტერნატივად ტრადიციებისკენ ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოპულისტური ნაციონალიზმისა და რელიგიისაკენ შემობრუნება დაიწახა. ამ უკანასკნელზე უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ. რაც შეეხება ნაციონალიზმს, თანამედროვე აზერბაიჯანის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის შეხედულებები ეთნიკურ და ეროვნულ იდენტობაზე მთლიანად შეესაბამება იოსებ სტალინის მიერ დამტკიცებულ განსაზღვრებებს: ერი, ეთნიკურობა და ეთნოსი (უმრავლესობისათვის ეს ცნებები შინაარსით არ განსხვავდება) მინა, გენები და სისხლია.

ამგვარი შეხედულებების მიუხედავად, პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმის – „აზერბაიჯანელობისა“ და „აზერბაიჯანიზმის“ – წინააღმდეგობრივ ოფიციალურ ვერსიაში (როგორც საბჭოთა ნაციონალიზმების სხვადასხვა ვერსიაში) ეთნონაციონალიზმისა და სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეები საოცრად არის გადახლართული. გაიგონებთ, მაგალითად, მონოდებებს, რომ აზერბაიჯანელად ქვეყნის ყველა მოქალაქე

11 Геллнер, Э., Условия Свободы: Гражданское Общество и его Исторические Соперники, Москва: Московская Школа Политических Исследований, 2004, с. 50–51.

უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც არა იმდენად კონსტიტუციასთან შესაბამისობაში თანაბარი უფლებებისა და მოვალეობების დამკვიდრებაზეა საუბარი, არამედ იმაზე, რომ დომინანტი ჯგუფის, „სატიტულო ერისათვის“ ბოლოს და ბოლოს სწორი დასახელება იქნას ნაპოვნი. ამ ვერსიის თანახმად, ამ ერის წარმომადგენლები გამოყოფილ უნდა იქნან აზერბაიჯანის სხვა მოქალაქეებისაგან და აზერ-თურქებად ან უბრალოდ თურქებად უნდა იწოდებოდნენ. ქვეყნის ფლობის ექსკლუზიური უფლება სწორედ ამ „სატიტულო“ ჯგუფს აქვს, ყველა დანარჩენი კი ქვეყანაში ცხოვრების უფლებას ამ დომინანტური ჯგუფისაგან საჩუქრად იღებს.

ეთნიკური ჯგუფების სტატუსების რანჟინების ამ კონტექსტში, „ხალხთა მეგობრობის“ საბჭოურ კონსტრუქტს ენაცვლება ესენციალისტური მითი აზერბაიჯანელების (ე.ი. მუსლიმანი თურქების) „გენეტიკური ტოლერანტობის“ შესახებ, რაც სამოქალაქო უფლებების დაცვის პრინციპების შემცველი ხდება და იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ეთნოსებსა და კონფესიებს შორის ჰარმონიული ურთიერთობები იმიტომ კი არ დამყარდა, რომ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, არამედ იმიტომ, რომ აზერბაიჯანელი თურქების ეთნოსი უნიკალური ტოლერანტობის მატარებელია. ამდენად, მეორე ტრადიციის ფარგლებში შექმნილი მემკვიდრეობა ოფიციალურ პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმშიც აისახა და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში სერიოზულ დაბრკოლებად იქცა.

## **უკან ნახულისკენ: პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის სეკულარი გასაგებება**

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ მეორე ტრადიციის მემკვიდრეობა თანამედროვე აზერბაიჯანის პოლიტიკური რეჟიმის სპეციფიკაში აშკარად შეიმჩნევა. შემთხვევითი არაა, რომ ბოლო დროს აზერბაიჯანის პოლიტიკური რეჟიმის აღწერის მცდელობებისას, ავტორიტარულობასთან ერთად, მის მზარდ საბჭოურობაზეც მიუთითებენ. წარსულში დაბრუნების აშკარა ნიშნები აზერბაიჯანში მართლაც ყველგან შეიმჩნევა. ყველაზე მკაფიოდ ამ მხრივ ალბათ უნდა ჩაითვალოს ყოფილი პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის „პიროვნების კულტი“, რომელიც ჯერ კიდევ მისი პრეზიდენტობის დროს ჩამოყალიბდა, ხოლო მისი შვილისა და ახლანდელი პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის მმართველობის პერიოდში სრულად გაიფურჩქნა.

საბჭოთა ინსტიტუციური მემკვიდრეობის არაერთ ნიშანს იპოვით თანამედროვე აზერბაიჯანის პოლიტიკურ მონყობაშიც. ბოლო 10 წლის

განმავლობაში, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, რეჟიმის ეს თვისებები მხოლოდ ძლიერდება. ხელისუფლების ე.წ. კლანური აგებულება (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ურთიერთობის პატრონაჟული სისტემა<sup>12</sup>) საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად არ გამქრალა და ილჰამ ალიევის დროშიც შენარჩუნებულია. ბოლო 10 წლის განმავლობაში მომხდარი ერთადერთი პირობითი სიახლე მხოლოდ ის არის, რომ გაძლიერდა აზერბაიჯანის პირველი ლედის ოჯახის, ფაშაევების როლი. რესპუბლიკის პარლამენტს ისეთივე უმნიშვნელო გავლენა აქვს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებსა და მინისტრების საქმიანობაზე, როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლებიდან პოსტსაბჭოთაზე გადასვლისას მემკვიდრეობითობა უმაღლესი ბიუროკრატის შემდგენლობაშიც აშკარად ჩანს. ხელისუფლებამ შექმნა პარტია „იანი აზერბაიჯანი“, რომელიც ძალიან ჰგავს კომპარტიას. ეკონომიკის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში რეჟიმის მიღწევების წარმოჩენა, წარმატებული და მოწინავე სახელმწიფო მშენებლობის შესახებ საბჭოთა დისკურსის შესაბამისად ხდება. ბევრი საბჭოთა სტილის პრაქტიკული ელემენტის დანახვა შეიძლება ხსოვნის პოლიტიკაში, დისკურსში ხელისუფლების მემკვიდრეობითობის შესახებ და ბევრ სხვა ასპექტში.

მაგრამ მემკვიდრეობითობის ყველა ამ პირდაპირი და აშკარა ნიშნის მიუხედავად, ახლანდელი რეჟიმის სპეციფიკის საბჭოთა სისტემის პოსტსაბჭოთა პერიოდში მარტივად გამოტანამდე დაყვანა არასწორი იქნებოდა. სანამ დროის მანქანა არ შექმნილა, წარსულში დაბრუნება შეუძლებელია. პოლიტიკური რეჟიმების, ბიუროკრატული და კულტურული ელიტების, ხელისუფლების ინსტიტუტებისა და დისკურსების მემკვიდრეობითობა პრინციპში ლოგიკურია და დიდწილად გარდაუვალიც, მაგრამ ნებისმიერი მცდელობა, რომ თანამედროვე აზერბაიჯანის რეჟიმი აღიწეროს, როგორც საბჭოურის გაგრძელება პოსტსაბჭოთა პერიოდში, მისი სპეციფიკური თვისებების გაგებაში ხელს შეგვიშლის. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ასეთი მიდგომით სერიოზულ ანალიზს მიღმა რჩება ის, თუ რატომ ვერ განხორციელდა აზერბაიჯანის პოლიტიკური სისტემის ლიბერალური ტრანსფორმაცია.

12 Willerton, J. P., Patronage and Politics in the USSR, Cambridge: Cambridge University Press, 1992.



## პოლიტიკური სისტემის იმიჯსია

თანამედროვე აზერბაიჯანის ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემაში ბევრი რამ პოსტსაბჭოთაც არის. მაგალითად, მთელი თავისი რეპრესიული აპარატის მიუხედავად, პოლიტიკურ რეჟიმს არა აქვს საკმარისი რესურსები, რომ ოპონენტები მთლიანად გაანადგუროს. მრავალი სირთულისა და გავლენის ყოველწლიურად შესუსტების მიუხედავად, ოპოზიციური პარტიები და მოძრაობები მაინც არსებობს. ზენოლისა და პირდაპირი რეპრესიების მცდელობების მიუხედავად, ხელისუფლების ოპონენტებს ზოგიერთ საინფორმაციო საშუალებაზე (გაზეთები, ინტერნეტი) ხელი მაინც მიუწვდებათ. რეჟიმის საჯარო კრიტიკა მაინც შესაძლებელია ისე, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან ციხეში არ აღმოჩნდეს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ხელისუფლებას არ სურს ყველა სხვაგვარად მოაზროვნე ციხეში ან საავადმყოფოში გაგზავნოს, არამედ იმიტომ, რომ ამას ვერ აკეთებს.

გავრისკავ და ვიტყვი, რომ ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ისაა, რომ თანამედროვე აზერბაიჯანის ავტორიტარული რეჟიმი სუსტია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ სისტემამ, საბჭოთა კავშირის მსგავსად, 70 წელს გაძლოს. ამჟამინდელ რეჟიმს არსებობა მხოლოდ ნავთობისა და გაზისაგან მიღებული მაღალი შემოსავლებისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის სასათბურე პირობებში შეუძლია. თანამედროვე აზერბაიჯანის პოლიტიკური სისტემა დინამიკური არ არის, მუდმივად ცვალებად სიტუაციებზე რეაგირებას და მათთან შეგუებას ვერ ახერხებს. ნებისმიერ ასე თუ ისე სერიოზულ გამოწვევას (არა აქვს მნიშვნელობა, ეკონომიკური იქნება ის თუ პოლიტიკური), რომელიც დროთა განმავლობაში უბრალოდ გარდაუვალია, შეუძლია ეს სისტემა საფუძვლიანად შეარყიოს და ბოლოს დაანგრეოს კიდეც.

ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად გაიგებთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ბევრი პროცესი ან პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუცია იმიტირებულია. მაგალითად, იმიტირებულია მოლაპარაკებათა პროცესი ყარაბაღის კონფლიქტის თაობაზე. იმიტირებულია დემოკრატიული რეფორმები და კორუფციასთან ბრძოლა. „იმიტაცია“ ამ შემთხვევაში მოსახერხებელი ცნებაა, მაგრამ მისი გამოყენება მაინც შეზღუდულია. ჩემი წარმოდგენით, აზერბაიჯანის პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობა მოდერნული სახელმწიფოს იმიტაციაა. ის სახელმწიფო-სიმულაკრის მაგალითია, თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუციებისა და ურთიერთობების ტოტალური იმიტაციის მაგალითი, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზერბაიჯანის პოლიტიკური რეჟიმი იმიტაციური პრაქტიკის,

ურთიერთობებისა და „ინსტიტუციური კამუფლაჟის“<sup>13</sup> კომპლექსია, რომელიც ადამიანების მცირე ჯგუფის მიერ პრივატიზებული აზერბაიჯანის, როგორც რეალურად არსებული თანამედროვე სახელმწიფოს, ფართო საერთაშორისო რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა“. მთავარი შეკითხვები, რომლებიც ამგვარი იმიტაციური სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფენომენის შესახებ უნდა დაისვას, შეიძლება ასე იქნას ფორმულირებული: თუ თანამედროვე ინსტიტუციები, თუნდაც იმიტაციური, ასე თუ ისე მაინც იქმნება, შეიძლება გვექნდეს იმედი, რომ ისინი ადრე თუ გვიან მუშაობას დაიწყებენ? არის მეორე შეკითხვა: შეიძლება თუ არა გვექნდეს ამგვარი პოლიტიკური სისტემის წარმატებული და, რაც მთავარია, მშვიდობიანი ტრანსფორმაციის იმედი?

### პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციის რეკონსტრუქცია

აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში აშკარად კონსერვატიზმისა და ავტორიტარიზმის ნიშან-თვისებების მატარებელი ხდება<sup>14</sup>. ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებამ დაკარგა ქარიზმატული ლიდერი, რომელსაც შეეძლო ოპონენტებისთვის რაღაც დაეთმო და, ამასთან, ავტორიტეტის მთლიანად დაკარგვის რისკის წინაშე არ აღმოჩენილიყო. მართალია, ილჰამ ალიევი ხელისუფლებას ბოლო 10 წლის განმავლობაში წარმატებით ინარჩუნებს, მაგრამ სულ უფრო ცხადი ხდება, რომ მოქნილი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება აღარ შეუძლია. ამჟამინდელი ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ საკუთარი ძლიერების, ურყეობისა და დაუსჯელობის თვითონვე სჯერა. მაგრამ ხელისუფლებაში ახლანდელი რეჟიმის ყოფნის ყოველი მომდევნო წელი მხოლოდ ამწვავებს წინააღმდეგობებს, რომლებიც ქვეყანაში გროვდება. რევოლუცია და არა მშვიდობიანი ტრანსფორმაცია ყოველ წელს სულ უფრო რეალური ხდება.

მშვიდობიანი ტრანსფორმაციის რესურსები სულ უფრო მცირდება. ყველაზე ცნობილი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ

13 ბრჭყალებში ნახმარი გამოთქმა გელნერისგან მაქვს აღებული (Геллнер, Э., Условия Существования Гражданского Общества и его Исторические Соперники, Москва: Московская Школа Политических Исследований, 2004, с. 47).

14 ამ რეჟიმის აღწერის მრავალ მცდელობათაგან შეიძლება გავიხსენოთ, მაგალითად, მარტინა ოტაუის ნაშრომი, რომელშიც ავტორი ცდილობს აზერბაიჯანის პოლიტიკური სისტემის სპეციფიკა მოიაზროს, როგორც ნახევრადავტორიტარული (Ottaway 2003, გვ. 51-70). ჩემი აზრით, ეს ცნება თავიდანვე არასწორად იყო ნახმარი და ამ დროისათვის მას ალბათ თვითონ ავტორიც ვეღარ გამოიყენებდა. ახლანდელი რეჟიმი „ნახევრადავტორიტარულად“ უკვე ვეღარ ჩაითვლება. ის სრულიად ავტორიტარულია.

შემორჩენილი ავტორიტეტის სრულად დაკარგვის ზღვარზე დგანან. გარკვეული მიზეზების გამო, თვით ოპოზიციური მოღვაწეობაც ისეთივე შთამომავლობითი და კლანური ხდება, როგორც სახელისუფლებო რეჟიმი. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ რამდენიმე ფაქტორის იმედზე შეიძლება ყოფნა, თუმცა ხელისუფლების შესაძლო შეცვლის მომენტში ისინი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს.

უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირთან და აშშ-თან სიახლოვე აიძულებს ხელისუფლებას გარკვეულ დათმობებზე წავიდეს. აზერბაიჯანის რეჟიმს ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდან აღიარება ესაჭიროება, რომ რუსეთისა და ირანის ზენოლა როგორღაც დააბალანსოს. პოლიტიკურ ელიტასაც უფრო „დასავლეთში“ ურჩევნია ცხოვრება, ვიდრე „აღმოსავლეთში“. სასწავლებლად და დასასვენებლად ქვეყნის მეპატრონეების შვილები ევროპასა და აშშ-ში მიდიან, ქონებას იქ ყიდულობენ და ფულსაც იქვე ინახავენ. ამის შედეგად, რაღაც ლიბერალური პროექტები ძალიან ნელა და წინააღმდეგობრივად, მაგრამ მაინც ხორციელდება.

ჯერ კიდევ არ დაკარგულა იმედი, რომ ლიბერალური ფასეულობები გადმოტანილი იქნება ქვეყანაში იმ ახალგაზრდების მიერ, რომლებმაც განათლება და გამოცდილება განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების მექონე ქვეყნებში მიიღეს. ჯერ კიდევ არის შანსი, რომ მათ ქვეყანაში მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვონ და ლიბერალური რეფორმების გატარების მიზნით, „დასავლური“ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ტიპის ჯგუფები და ქსელები შექმნან.

პრეზიდენტი და მისი უახლოესი გარემოცვა სულ უფრო ხშირად უშვებენ შეცდომებს და სერიოზულ გადაცდომებს და გავლენიან და ცნობილ ინტელექტუალებს, რომლებსაც შეუძლიათ ოპოზიციურ მოძრაობას ახალი ენერჯია შესძინონ, თავიანთ მოწინააღმდეგეებად აქცევენ.

დაბოლოს, სხვადასხვა სახის სოციალური ქსელების განვითარება და ინტერნეტით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განუხრელი ზრდა სულ უფრო შესამჩნევად ზღუდავს ხელისუფლების უნარს, აკონტროლოს ინფორმაციის გაცვლა და კრიტიკა მისი მისამართით.

ჯერ კიდევ არის იმედი, რომ ამ ფაქტორების ერთიანობა მშვიდობიან ტრანსფორმაციას შესაძლებელს გახდის, თუმცა ეს იმედი მით უფრო ბუნდოვანი ხდება, რაც უფრო დიდხანს ინარჩუნებს ეს რეჟიმი ხელისუფლებას.

## ბუნდოვანი მომავალი

ნებისმიერი რევოლუცია, რომლის მიზანიც რეჟიმის შეცვლა იქნება, შეიძლება რაღაც უარესში ადვილად გადაიზარდოს, რადგან აზერბაიჯან-

ნი ამჟამად დაქუცმაცებული და სემინტირებული საზოგადოება ხდება. ეს შეიძლება, მაგალითად, ისეთი სამოქალაქო დაპირისპირება იყოს, როგორც ახლა სირიაშია. სანამ რეჟიმი ქვეყანაზე კონტროლს ინარჩუნებს, ის დემოკრატიის ნორმების ჩარჩოებში მოქმედი სხვადასხვა ქსელის თუ გაერთიანების მხრივ ლიბერალიზაციის ნებისმიერ მცდელობას მარჯვედ უმკლავდება, მაგრამ ბევრად უფრო რთულია იმ ჯგუფებთან და ქსელებთან გამკლავება, რომელთა წევრებიც ასევე ავტორიტარულ ტრადიციებს ემყარებიან.

ადრე თუ გვიან, აზერბაიჯანის მემკვიდრეობაზე დაფუძნებული რეჟიმი ნგრევას დაიწყებს. რა დარჩება მისი დანგრევის შედეგად? როგორც სირიაში, აქაც ლიბერალურ-სეკულარული მოძრაობა უაღრესად დაქუცმაცებული და დასუსტებული იქნება. მას დაუპირისპირდება რიცხობრივად გაზრდილი, ხელისუფლების ზენოლის შედეგად გამობრძმედილი და რადიკალურობის სხვადასხვა ხარისხის მქონე შიიტებისა და სუნიტების ქსელური ჯგუფები. ჩრდილოეთ კავკასიასთან და ირანთან მეზობლობის წყალობით, მათ აუცილებელი დახმარების მიღების შესაძლებლობა ექნებათ. შიიტებსა და სალაფიტ სუნიტებს შორის შესაძლო პოლიტიკურ კონფლიქტს შეიძლება ეთნიკური ფაქტორიც დაემატოს. ლეზგები და ხუნძები ძირითადად სუნიტები არიან და სალაფიტური იდეოლოგია მათ შორის სწრაფად ვრცელდება. ნგრევის შედეგად, რეჟიმისაგან დარჩება შედარებით სუსტი, მაგრამ მრავალრიცხოვანი და კორუმპირებული არმია, ძალოვანი სტრუქტურები და ასევე დაგროვილი შეიარაღების დიდი მასა. შინაგან კონფლიქტებს შეიძლება სომხეთთან უსასრულო კონფრონტაციის ახალი გამწვავებაც დაემატოს.

ბევრი სხვა ანალოგიის მოხმობა სირიასთან, სადაც ხელისუფლებაში მემკვიდრეობით მოსულმა პრეზიდენტმა და რეჟიმმა ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანეს, ადვილად შეიძლება, თუმცა ცხადია, რომ აქ მოვლენების განვითარების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტიდან ყველაზე დრამატულზეა საუბარი. დანამდვილებით მხოლოდ იმის მტკიცება შეიძლება, რომ თუ ხელისუფლებამ ქვეყანა რევოლუციამდე მიიყვანა, პოსტრევოლუციური რეჟიმი ისეთივე ან უფრო ავტორიტარული იქნება, ვიდრე ახლანდელი.

ახლო მომავალში აზერბაიჯანის საზოგადოება შეიძლება ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგეს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმაზე ოცნება თუ შეიძლება, რომ მორიგი გარდაუვალი ტრანსფორმაციის პროცესში სამოქალაქო დაპირისპირების უკიდურესი გამოვლინებები თავიდან იქნება აცილებული.

# რთული ურთიერთიპარტია

## ქალაქგანვითარებისა და საკონომიკის უფლება გაქოვი

ზოჰრებ ისმეილი

ღერბეიჯანი წარსულში საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო და აქ ცენტრალური გეგმიური ეკონომიკა და მკაცრად კონტროლირებადი ქალაქგანვითარების გეგმები მოქმედებდა. ახალი სამრეწველო ქალაქების აშენება და იქ სათანადო სოციალური და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ეკონომიკური საჭიროებით იყო გამოწვეული, საბჭოთა კავშირში მისი არსებობის ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პრიორიტეტებად იქცა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ინჟინრებისათვის ქალაქთმშენებლობა ქალაქის შექმნის პროცესს გულისხმობდა და ტრადიციული ქალაქთმშენებლობისა და ქალაქგეგმარების მსგავსი იყო. ვინაიდან საცხოვრებელი ფონდის გაფართოება ქალაქგანვითარების პროცესის უმთავრესი კომპონენტი იყო, საბჭოთა მთავრობა ქალაქების რეკონსტრუქციაზე ანუ განახლება და/ან აღდგენაზე დიდად არ ზრუნავდა. თვით რეკონსტრუქციის ცნება, როგორც წესი, საცხოვრებელი ფართის გაფართოებასა და ხალხის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას გულისხმობდა.

მაგრამ პოსტსაბჭოთა ეპოქაში შექმნილიმა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ ქალაქგანვითარების პროცესებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა, ქალაქები, როგორც გლობალური ეკონომიკის „ლოკომოტივები“, პოლიტიკოსებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და უძრავი ქონების ინვესტორებს შორის „ბრძოლის ველად“ იქცა. უფრო თავისუფალმა ბიზნესგარემომ და მოქალაქეობის უფრო ფართო წარმომადგენლობითმა მონაწილეობამ ახალი მიდგომების, მაგალითად, ქალაქგეგმარებისა და რეკონსტრუქციის საკითხებში მოლაპარაკებებისა და საზოგადოების უფრო მაღალი გათვითცნობიერებულობის დამკვიდრება დააჩქარა.

იმ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკას და დემოკრატიულ მმართველობას მყარი საფუძველი აქვს, რეკონსტრუქციის ცნება და პრო-

ცესი რთული მნიშვნელობებითაა დატვირთული. რეკონსტრუქცია არა მხოლოდ ერთ რომელიმე რაიონში „ქალაქის განახლებას“ ნიშნავს, არამედ ქალაქის ახალი სოციალური სტრუქტურის შექმნასაც, მაგრამ საბჭოთა ქალაქგეგმარება, რომელიც „მკაცრი დაგეგმვის“ სისტემის ჩარჩოებში არსებობდა, ცენტრალური მთავრობის პირდაპირი დიქტატის ქვეშ ხორციელდებოდა. მოთხოვნისა და მიწოდების ცნება არ არსებობდა და რეკონსტრუქციის მთელ სექტორს სახელმწიფო აკონტროლებდა.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირველი დღეებიდანვე დიდი ქალაქების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ კეთდებოდა. ფართომასშტაბიანი რეფორმები, რომლებიც 1954 წლიდან ნიკიტა ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით ტარდებოდა, ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი სოციალური პროექტი, რომლის წყალობითაც 10 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბინები 75 მილიონმა ადამიანმა მიიღო. მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფა მომდევნო საბჭოთა მთავრობებისთვისაც პრიორიტეტი იყო. სოფლის მეურნეობისთვის გამოყენებულ და იმ დროისათვის ამ მიზნით გამოუსადეგარ ტერიტორიებზე 90-იანი წლებისათვის ასობით ურბანული დასახლება აშენდა. ეს საბინაო-სამშენებლო პროექტები იმავდროულად ქალაქგანვითარების დიდი პროექტებიც გახლდათ. ერთადერთი სხვაობა ის იყო, რომ ხელისუფლების მთავარი მიზანი ახალი ტერიტორიების ათვისების გზით ბინების მომლოდინე მილიონობით ადამიანის მრავალბინიან კორპუსებში ბინებით უზრუნველყოფა გახდა და არა მონოცენტრისტული მშენებლობის საფუძველზე ისტორიული ქალაქების რეკონსტრუქცია. ამგვარი პოლიტიკის შედეგად, ქალაქის ცენტრში მდებარე ნაგებობებმა და ისტორიული ფასეულობის მქონე რაიონების განვითარებამ მნიშვნელობა დაკარგა.

### **ქვემო გენერალური გეგმა: განვითარება რეკონსტრუქციის გარეშე**

1859 წელს ბაქოში 22 ათასი ადამიანი ცხოვრობდა (დამოუკიდებელი ალტერნატიული გათვლებით). მას შემდეგ მოსახლეობა 3.290 მილიონამდე გაიზარდა, რისი მთავარი მიზეზიც მრეწველობა, უფრო ზუსტად კი, ნავთობი იყო. ნავთობის აღმოჩენის შემდეგ და XX საუკუნის დასაწყისში ნავთობის ინდუსტრიის განვითარების პირველი ტალღის დროს, ბაქო ძირითადად იჩარიშაჰარის (ძველი, შიდა ქალაქის) გარშემო იზრდებოდა, XXI საუკუნის დასაწყისში დაწყებული მეორე ტალღის დროს კი, აფშერონის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი მოიცვა. ამჟამად

ბაქო ევროპული ქალაქია ურბანიზაციის სწრაფი ტემპით. 2008 წელს მისი ზრდის ტემპი 3.6% იყო<sup>1</sup>.

ბაქოს ზრდა-განვითარება ქალაქის ცენტრიდან დაიწყო. მისი გეოგრაფია რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც პროვინციის ცენტრი 1859 წლის შემახის მინისტრის შემდეგ ბაქოში გადავიდა, რასაც მოგვიანებით ნავთობის მოპოვების დაწყებაც მოჰყვა. ბაქოს განვითარების პირველი გეგმა 1878 წელს ნიკოლაუს ფონ დერ ნონემ შეიმუშავა. გეგმის თანახმად, ამჟამინდელი დედაქალაქის მომავალი გაფართოებისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ქუჩები ქალაქის ციხის კედლების პარალელური უნდა ყოფილიყო. ამ გენერალური გეგმით დაიწყო ქალაქის არსებობა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში, ნავთობის ფულით მილიონერებმა იჩარიშაჰარის კედლების გარშემო ფეშენებელური ვილების, ოფისებისა და სასტუმროების მშენებლობა დაიწყეს. ამავე უბანში შენდებოდა ადმინისტრაციული შენობებიც. იმავდროულად, ნავთობის მრეწველობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში დასაქმებული მუშები სამუშაო ადგილების მახლობლად დროებით საცხოვრებელ რაიონებში სახლდებოდნენ, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა ჯერაც განუვითარებელი იყო. ამ საცხოვრებელი დასახლებების უმეტესობა XX საუკუნის მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ხელმეორედ განაშენიანდა, მაგრამ ერთ და ორსართულიანი სახლებით განაშენიანებული ზოგიერთი ღარიბი უბნის რეკონსტრუქცია პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა.

მომდევნო ათწლეულების განმავლობაში შემუშავებული ბაქოს განვითარების გენერალური გეგმები მიზნად ქალაქის ცენტრის განტვირთვას ისახავდა. აქამდე ბაქოს სულ 6 გენერალური გეგმა ჰქონდა:

1. 1878 წელს შემუშავებული გენერალური გეგმა;
2. 1915-1918 წლებში შემუშავებული გენერალური გეგმა;
3. 1924-1927 წლებში შემუშავებული გენერალური გეგმა;
4. 1934 წელს შემუშავებული გენერალური გეგმა (შემსრულებელი: ყოფილი ლენინგრადის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი);
5. საბჭოთა კავშირის მინისტრთა [საბჭოს] მიერ 1964 წელს დამტკიცებული მესამე გენერალური გეგმა;
6. ბაქოს განვითარების გენერალური გეგმა 1987-2005 წლებისათვის დამტკიცებული აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა [საბჭოს] მიერ.

1 UN-HABITAT: Harmonious Cities. The State of the World's Cities 2008/2009, 2008.

1960-იანი წლების გენერალურ გეგმაში ბაქოს დიდი გაფართოება არ იყო გათვალისწინებული (იხ. დანართი 1), თუმცა, 1980 წელს გადაღებულ სურათზე ჩანს, რომ ქალაქი აფშერონის ნახევარკუნძულის შიდა ნაწილის მხარეს ფართოვდებოდა. საბჭოთა პერიოდში ნავთობის მრეწველობასთან ერთად მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებისა და 60-იანი წლებიდან მრეწველობისა და მარშრუტის „სახლი-სამსახური-სახლი“ ეფექტურობის მისაღწევად, საცხოვრებელი უბნების მშენებლობა ბაქოში ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ფართოვდებოდა. უკვე 90-იანი წლების დასაწყისში ბაქოს მოსახლეობის უმრავლესობა ცენტრიდან 5-15 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა.

ახალი ეკონომიკური გეოგრაფიისა და ხალხის განსახლების გამო, ბაქოს ცენტრის რეკონსტრუქციის მნიშვნელობა შემცირდა. ცენტრალური და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ქალაქის ცენტრში ისტორიული ღირებულების მქონე თუ არამქონე შენობების რეკონსტრუქციისა და განახლებისათვის ბევრს არაფერს აკეთებდა.

ბაქოს განვითარების ბოლო გეგმამდე, რომელიც 1987 წელს დამტკიცდა, ქალაქგეგმარებით დოკუმენტებში რეკონსტრუქციის ცნება ნახსენები არც კი ყოფილა, თუმცა ამ გეგმაში უკვე ნამდვილად იყო გათვალისწინებული ბაქოს ცენტრში „ნავთობის მრეწველობის განვითარების პირველი ტალღის შედეგად წარმოქმნილი მუშათა დასახლების“ რეკონსტრუქცია და მინის გამოყენების პერსპექტიული გეგმაც იყო დასახული. მაგრამ 90-იან წლებში მომხდარი დიდი პოლიტიკური ძვრებისა და აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისა და ეკონომიკური ვარდნის ფონზე, გეგმის განხორციელებაში სერიოზული დაბრკოლებები გაჩნდა. ამ გეგმის დებულებების უმეტესობამ თავიანთი მნიშვნელობა შეინარჩუნა, თუმცა, ბაქოს რეკონსტრუქციის გეგმა, როგორც ცალკე დოკუმენტი, არ დამტკიცებულა და არც რაიმე დეტალური გეგმა შემუშავებულა.

90-იან წლებსა და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მომხდარმა ბაქოს ჰიპერურბანიზაციამ და მიწასთან და საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანმა ტრანსფორმაციამ ქალაქის პერსპექტივები შეცვალა. წარმოიშვა კერძო სამშენებლო სექტორი, ხოლო მოთხოვნის ზრდამ მშენებლობის ტემპი და მასშტაბები გაზარდა.

ამჟამად მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარებითი და სტრატეგიული დოკუმენტი მუშავდება, კერძოდ, ბაქოს რეგიონული განვითარების გეგმა. ამ პროექტში 2030 წლისათვის ბაქოსა და აფშერონის ნახევარკუნძულზე 330 ათასი ჰექტარის სამომავლო განვითარების გეგმა და, უწინდელი



ვერსიებისგან განსხვავებით, უბნების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის გენერალური გეგმებია ასახული.

### **ღაგვიანეული რეკონსტრუქცია, გასახლება და საკუთრების უფლება**

აზერბაიჯანში ურბანული რეკონსტრუქციის პროცესები XXI საუკუნის პირველ ათწლეულში დაიწყო. თავდაპირველი იმპულსი მოდიოდა კერძო ინვესტორებისა და სამშენებლო კომპანიებისაგან, რომლებმაც ქალაქის ცენტრსა და იმ უბნებში წამოიწყეს სამშენებლო სამუშაოები, სადაც მინა უფრო ძვირი იყო. მთავრობამ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოგვიანებით, 2009 წელს დაიწყო. იმავდროულად, გაჩნდა რეკონსტრუქციის დაუგეგმავი პროექტები, რომლებშიც არავითარი გეგმარებითი დოკუმენტები არ იყო გათვალისწინებული.

ბოლო წლების სარეკონსტრუქციო სამუშაოები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ხორციელდებოდა. მათი კლასიფიკაცია შემდეგი სახითაა შესაძლებელი:

- 1) ხუტორის ტერიტორია (რეზიდენციების მშენებლობა სახელმწიფოს დაკვეთით);
- 2) ფაჰლას პროსპექტი (პროსპექტის გაფართოება);
- 3) ჰ. ალიევის პროსპექტი და ჰასანოღლუს ქუჩა (ჰ. ალიევის ცენტრის მშენებლობა);
- 4) ტერიტორია ბეშმარტაბადან ჰ. ალიევის სასახლემდე (ზამთრის ბულვარი);
- 5) ბაილის დასახლებიდან ზღვის სანაპირომდე (ბროლის დარბაზის მშენებლობა, დროშის მოედნის მიდამოს განახლება);
- 6) ტერიტორია თავისუფლებისა და ზია ბუნიადოვის პროსპექტების გადაკვეთაზე (ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა);
- 7) ტერიტორია მენავთობების პროსპექტზე ბაქოს საზღვაო პორტის პირდაპირ (ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა);
- 8) ტერიტორია მენავთობების პროსპექტზე სტადიონის პირდაპირ (ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა);
- 9) ბაქოს პოლიციის მთავარი სამმართველოს უკანა მხარე (პარკის მშენებლობა);
- 10) Ramstore-ის წრე (ქუჩების გაფართოება);
- 11) ზალულბას დასახლება და სხვა უბნები (ბუზონა-ბილგას გზის მიმდებარე ტერიტორიების განახლებასთან ერთად);
- 12) ამჟამად დღის წესრიგშია ნგრევა და მცხოვრებლების გადასახლება ძველი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი უბნებიდან, რომლებ-

საც სოვეტსკი და კუბინკა ენოდება (ამ უკანასკნელში გზის გაფართოებასთან დაკავშირებით).

აქ ალბათ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვინაიდან რეკონსტრუქციის პროცესი გრძელდება, ხოლო მისი გეოგრაფია და ხასიათი იცვლება, ბაქოს სჭირდება რეკონსტრუქციის კარგად მოფიქრებული, მკაფიო და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც განახლების, კონსერვაციისა და აღდგენის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

ამგვარი თანმიმდევრული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში, რეკონსტრუქციის პროცესებმა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოშვა. თავისუფალი ეკონომიკის მხარდაჭერის საზოგადოებრივი ასოციაციის 2012 წლის ინფორმაციის თანახმად, რეკონსტრუქციის პროცესის შედეგად, მითითებულ პერიოდამდე 3930 ბინა და სახლი დაინგრა და საცხოვრებლიდან 16 ათას ადამიანზე მეტი გამოასახლეს<sup>2</sup>. ეკონომიკურ შეფასებასა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ თითქმის არცერთ შემთხვევაში ობიექტების სტატუსი და გეგმები გათვალისწინებული არ ყოფილა. ჯერაც ჩამოუყალიბებელია განსახლების პოლიტიკა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის სისტემა, რომლებიც სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან უშუალოდაა დაკავშირებული.

ქალაქის სარეკონსტრუქციო სამუშაოები საკუთრების უფლებისგან განუყოფელია და მასთან ორმხრივ ურთიერთკავშირშია. ეს სამუშაოები კერძო პირების, მუნიციპალიტეტების ან სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების რეკონსტრუქციას, ნგრევას და შეცვლას და ამ მიზნით მიწისა და სხვა საკუთრების შესყიდვას გულისხმობს. რეკონსტრუქცია საკუთრების უფლების ისეთ კომპონენტებს ეხება, როგორცაა გამოყენება, სარგებლობა და გადანყვეტილების მიღება. მიწის შესყიდვა და ნაგებობების ნგრევა გადანყვეტილების მიღების უფლებასთან უშუალოდაა დაკავშირებული. კონკრეტული ნაგებობის მფლობელის სარგებლობისა და მფლობელობის უფლების დარღვევაა, მაგალითად, როცა შენდება ახალი ნაგებობა, რომელიც ფანჯრიდან ხედს ზღუდავს; როცა იზღუდება ან შეუძლებელი ხდება აუცილებელი სამსახურების, მაგალითად, სახანძრო სამსახურის ან სასწრაფო დახმარების მუშაობა; როცა იზღოკება მთავარ გზამდე მისასვლელი; იყიდება ნახევარი ბინა და ა.შ.

ამგვარ გარემოებებში, ურბანულ რეკონსტრუქციასა და საკუთრების უფლებას შორის თანაფარდობის დაცვის პრობლემა ჩნდება. რეკონსტ-

2 PAAFE: Map and Statistics of Violation of Property Rights in Baku, Qanun, 2012.

რუქციისა და საკუთრების უფლების ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენას სასიცოცხლო მნიშვნელობა სწორედ ამიტომ აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ურბანულ რეკონსტრუქციასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს უამრავი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს, ბევრი გაუგებრობა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ამ საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები ამჟამად შემდეგია:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიწის კოდექსი;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევის შესახებ;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქთმშენებლობისა და სამშენებლო კოდექსი;
- მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება განსახლების გეგმისა და განსახლების ინსტრუქციების წესის დამტკიცების შესახებ;
- მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება ქალაქთმშენებლობის პროგრამების სიის შედგენის, გადახედვისა და დამტკიცების წესის შესახებ და ა.შ.

რეკონსტრუქციის დროს მიწის, უძრავი ქონების ანუ მიწისქვეშა თუ მიწისზედა ნაგებობების, სახლების, დასრულებული ან დაუსრულებელი ნაგებობებისა და მიწის ჩამორთმევა და ამ მიწებზე მცხოვრები ადამიანების გასახლება გარდაუვალია. საკანონმდებლო რეგულირების მიხედვით, რეკონსტრუქციის საჭიროებები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

- ა) სახელმწიფო საჭიროებად მიჩნეული რეკონსტრუქციის საჭიროებები: გზებისა და (სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე) სხვა საკომუნიკაციო მაგისტრალების (მაგისტრალური ნავთობსადენებისა და გაზსადენების, საკანალიზაციო მილების, მაღალი ძაბვის ელექტროხაზებისა და ჰიდროტექნიკური ობიექტების) მშენებლობა;
- ბ) ურბანული რეკონსტრუქცია და განახლება, რომელიც სახელმწიფო საჭიროებად არ მიიჩნევა (მეგაპროექტების განხორციელების, საცხოვრებლად გამოუყენებელი ტერიტორიების, ისტორიული ძეგლების აღდგენისა და ქალაქის სამშენებლო საჭიროებების განხორციელების დროსა და საკუთრების ფორმების ტრანსფორმაცია).

2010 წლის 20 აპრილს მიღებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევის შესახებ და 2012 წლის 5 ივნისს მიღებული შესწორებები სამოქალაქო კოდექსში ის საკა-

ნონმდებლო აქტებია, რომლებიც სახელმწიფო საჭიროებების ყველაზე დანვრილებით განმარტებას იძლევა. ეს საკანონმდებლო აქტები მიწის ჩამორთმევის შემთხვევაში ითვალისწინებს მოსახლეობის ინფორმირებას, კომპენსაციების გადახდას, საკუთრების ღირებულების შეფასებას და ა.შ. ამ ნორმების შესაბამისად, შესაძლებელი ხდება კომპენსაციის სქემებისა და პროცედურების დაცვით მიწების ყიდვა და ადგილობრივი მცხოვრებლების გადასახლება.

იმ მიწებისა და სხვა ტიპის უძრავი ქონების მდგომარეობა, რომლებსაც რეკონსტრუქცია ეხება, სხვაგვარად რეგულირდება და მათ სტატუსზე დამოკიდებული ანუ იმაზე, კანონიერ მფლობელობაშია ისინი თუ არა. პირველ შემთხვევაში, როცა საკუთრება კანონიერია, სახელმწიფო საკუთრებისა და სარგებლობის უფლებას აღიარებს და იცავს. ამგვარი საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს საჭიროებებისთვის ხდება ეს, საზოგადოების თუ კერძო პირების, კანონმდებლობა სამართლიან კომპენსაციას და მესაკუთრის უფლებების სრულ დაცვას ითვალისწინებს. ამდენად, მესაკუთრების მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ხელსაყრელი.

მეორე შემთხვევაში, როცა ნაგებობა უკანონოა, სიტუაცია უფრო რთულია. უკანონო ან თვითნებურ მშენებლობაზე კანონმდებლობა ჯერ არ არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკანონო ნაგებობების სტატუსი მომავალი რეკონსტრუქციის პირობებში განხილვის საგნად ჯერ არ ქცეულა. ამგვარი ნაგებობების ან ბინების მფლობელების დამცველი თანმიმდევრული მექანიზმებიც არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში, როცა საკუთრებას ანგრევენ, თვით ნგრევის ხარჯების ანაზღაურებაც კი მფლობელებს ეკისრებათ. როცა ასეთი საკუთრების ჩამორთმევა სახელმწიფო საჭიროებებისათვის ხდება, სახელმწიფო მხოლოდ ტრანსპორტირების და არა ბინის ან ნაგებობის ხარჯებს ფარავს, რაც იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებს ეწინააღმდეგება, რომლებსაც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს, ისევე როგორც ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას, ვინაიდან არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა „უკანონო ნაგებობა“. შემთხვევების უმეტესობაში სასამართლო ამგვარი საკუთრების უფლებას ცნობს.

## საერთაშორისო ნორმები და ჩაქოვა აზერბაიჯანში: პროგნოზი საკითხში

ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ურბანული რეკონსტრუქციის პირობებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს ეხება. ამ დარგში არსებული საკანონმდებლო ბაზა შემდეგია:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;

- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- ბავშვთა უფლებების კონვენცია;
- კონვენცია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

საერთაშორისო კანონმდებლობით ქალაქგანვითარებისა და რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ჩამორთმევა და ხალხის გადასახლება დასაშვებია, ოღონდ იმ პირობით, რომ საერთაშორისო სტანდარტები დაცული იყოს. საერთაშორისო კანონმდებლობა ძალის გამოყენებით გასახლებას სასტიკად კრძალავს. საერთაშორისო საკანონმდებლო დაცვის სტანდარტებით, ძალის გამოყენებით გასახლების ცნება გულისხმობს შემთხვევებს, როცა ხდება ცალკეული პირების, ადამიანთა ჯგუფების ან მთელი თემების საკუთარი სახლებიდან და/ან მიწიდან ძალით ან არანებაყოფლობით გასახლება; იმ საერთო ქონების – რესურსების ჩამორთმევა, რომლებსაც ისინი იყენებენ ან რომლებზეც ისინი დამოკიდებული არიან, და მოქმედებას და/ან უმოქმედობას, რომლის გამოც ეფექტური საკანონმდებლო და სხვა ტიპის დაცვის საშუალებები სრულად ან ნაწილობრივ იკარგება და ხელმიუწვდომელი ხდება და ადამიანები კარგავენ კონკრეტულ უბნებში, შენობებსა და ადგილებში ცხოვრების ან მუშაობის საშუალებას.

საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოს ურჩევს, სახელმწიფო პოლიტიკის გატარების დროს:

- გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა შესაბამისი სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგრამის მოსამზადებლად, რათა ძალადობრივი გასახლებისა და მისი შედეგებისაგან ცალკეული პირების, ადამიანების ჯგუფებისა და მთელი თემების ეფექტური დაცვა უზრუნველყოფილი იყოს;
- გააუქმოს დებულებები, რომლებიც მარგინალური და ცუდად დაცული ჯგუფების წარმოქმნასა და ზრდას უწყობს ხელს და შეწყვიტოს დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება;

– გაატაროს ზომები ძალდატანებით გასახლების გამომწვევი ისეთი მიზეზების აღმოსაფხვრელად, როგორცაა მინასთან და სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სპეკულაციური ოპერაციები;

– უზრუნველყოს მოქალაქეების დაცვა იმგვარად, რომ ისინი იძულებული არ გახდნენ, მათთვის საკმარისი საცხოვრებელი და მიწები მიატოვონ მინასა და საცხოვრებელზე ფასების ზრდის პირობებში მათზე განხორციელებული ფიზიკური ან ეკონომიკური ზეწოლის შედეგად;

– მიწითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის დროს პრიორიტეტი მიანიჭოს დაუცველ ჯგუფებს, მაგალითად, მოხუცებს, ბავშვებსა და შშმ პირებს;

– მინიმუმამდე დაიყვანოს ადამიანების გასახლების შემთხვევები და ამით გამონეული ზიანი, გამონახოს ალტერნატიული გზები და გასახლების შედეგების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს იმას, თუ რა ზეგავლენას მოახდენს გასახლება ქალებზე, ბავშვებსა და მარგინალურ ჯგუფებზე;

– უზრუნველყოს საერთაშორისო საკანონმდებლო დაცვის ნორმების გამოყენება და მოითხოვოს ამ მხრივ საკმარისი მზადყოფნა რეკონსტრუქციის პროექტებზე მომუშავე სააგენტოებისა და დანესებულებების იურისტებისა და სპეციალისტებისაგან;

– უზრუნველყოს სრული ინფორმაციის გავრცელება ძალის გამოყენებით გასახლების დროს პოლიტიკური და კანონით გათვალისწინებული დამცავი ღონისძიებების გამოყენებისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ;

– არ დაუშვას ცალკეული პირების, ადამიანების ჯგუფებისა და თემების გასახლება იმ დროს, როცა შესაბამისი საქმეები ჯერ კიდევ იხილება ეროვნულ, რეგიონულ თუ საერთაშორისო სასამართლოებში<sup>3</sup>.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია ქალაქის რეკონსტრუქცია თავისი შეხედულების მიხედვით მოახდინოს და სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, საკუთრების უფლება შეზღუდოს. იმავდროულად, დადგენილია, რომ საკუთრების უფლებებში სახელმწიფოს ჩარევის ჩარჩოები ფართოა, მაგრამ ჩარევის მოტივები იურიდიულად დასაბუთებული რომ იყოს, სახელმწიფო პოლიტიკის გატარების დროს შემდეგი პირობები უნდა იყოს დაცული:

– ურბანული რეკონსტრუქციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა რეალურ საჭიროებებს უნდა ეფუძნებოდეს და საზოგადოების ინტერესე-

3 Kothari, M., Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, 05/02/2007, A/HRC/4/18.

ბის დასაკმაყოფილებლად და საერთო სიკეთის შესაქმნელად კანონიერ მიზნებს ისახავდეს. უნდა დადგინდეს, რომ საკუთრების უფლებების შეზღუდვას ან უფრო მცირე ზომით ამ უფლებებში ჩარევას ალტერნატივა არა აქვს;

– საზოგადოების ინტერესებსა და საკუთრების უფლებას შორის ბალანსი უნდა იქნას მიღწეული (სამართლიანი ბალანსი). მიღებული ზომების შედეგად, საზოგადოებრივი ინტერესის სასარგებლოდ ცალკეულ პირებს მეტისმეტად მძიმე ტვირთი არ უნდა დაეკისროთ. ამგვარი ბალანსის დასაცავად, ეს ტვირთი სათანადოდ და სამართლიანად უნდა გადანაწილდეს;

– დებულებები ურბანული რეკონსტრუქციის შემთხვევაში საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა იყოს ასახული (ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში), ეს ასახვა სრულიად ცხადი უნდა იყოს, კანონი პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ უნდა ხორციელდებოდეს და თვითნებურად არ უნდა იყოს გამოყენებული (კანონმდებლობის სიცხადე)<sup>4</sup>.

ამგვარად, საერთაშორისო კანონმდებლობა რეკონსტრუქციის მიზნით მიწისა და სხვა უძრავი ქონების ჩამორთმევასა და ადამიანების გასახლებას დასაშვებად მიიჩნევს, თუ არის საზოგადოებრივი ინტერესი და ის სათანადოა და დასაბუთებული. ასეთ შემთხვევებში დაუშვებელია განსხვავებული მიდგომა იმ პირებისადმი, ვისაც მიწის კონკრეტული ნაკვეთი ნაყიდი აქვს და მათდამი, ვისაც კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე აქვს ან არა აქვს უფლებები.

ბაქოს შემთხვევაში, რეალური მდგომარეობა საკუთრებით ურთიერთობებში ნათლად გვიჩვენებს, რომ საკანონმდებლო ნორმების დარღვევა სისტემატურად ხდება, რაც უპირველეს ყოვლისა მმართველობის სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისა და სახელმწიფო და სასამართლო სტრუქტურების არაეფექტური მუშაობის შედეგია.

სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევა და მოსახლეობის გასახლება ყველა საფეხურზე პრობლემებს ქმნის. ეს საფეხურები, თავის მხრივ, შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: ა) პერიოდი მიწის ჩამორთმევამდე და მოსახლეობის გასახლებამდე; ბ) პერიოდი მიწის ჩამორთმევისა და მოსახლეობის გასახლების დროს და გ) პერიოდი მიწის ჩამორთმევისა და მოსახლეობის გასახლების შემდეგ.

4 Карс-Фриск М., А. Н. Жеребцов, В. В. Меркулов, А. Г. Эртель, Европейская конвенция о защите прав человека и основных свобод. Статья 1 Протокола №1. Право на собственность. Москва 2002.

## პროგნოზები მინის ჩამორთმევისა და გასახლეობის

ა) არ არსებობს წინასწარ მომზადებული დეტალური გეგმები და პროექტები, ზოგ შემთხვევაში კი დაგეგმვა საერთოდ არ ხდება;

ბ) მოსახლეობას დროულად არ ატყობინებენ, რომ შეიძლება გაასახლონ. როგორც წესი, ეს ზემოთ ნახსენები მიზეზით, კერძოდ, წინასწარ შემუშავებული გეგმის არარსებობის გამო ხდება. შეტყობინებას გასახლების შესახებ მოსახლეობას, როგორც წესი, რაღაც გაუგებარი კომისია ყოველგვარი ოფიციალური ფორმის დაცვის გარეშე უგზავნის. ხალხი, რომელიც უნდა გაასახლონ, შეტყობინებას გასახლებამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე იღებს;

გ) გადანაცვლებებს მინის ჩამორთმევის შესახებ იღებენ სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებსაც ამის უფლებამოსილება არა აქვთ. ნათქვამის კარგი ილუსტრაციაა ქალაქ ბაქოს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის 2008 წლის 24 სექტემბრის გადანაცვლება #511 და 2011 წლის 16 თებერვლის გადანაცვლება #76;

დ) რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით არ ხდება ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა, პრიორიტეტების გამოვლენისა და მოსახლეობის სურვილების გაცნობის მიზნით არ ტარდება საზოგადოებრივი განხილვა;

ე) გასახლებულ პირებს არა აქვთ იურიდიული, ტექნიკური და სხვა სახის დახმარების მიღების საშუალება თავიანთი უფლებების დასაცავად;

ვ) უზრუნველყოფილი არ არის გამჭვირვალობა, ინფორმაცია საიდუმლოდ ინახება და მისი მოპოვება ძნელი და შეუძლებელიც კი არის;

ზ) გასახლებასა და მინის ჩამორთმევისასთან დაკავშირებული ქმედებები ძალიან გასაიდუმლოებულ ვითარებაში, მოსახლეობისათვის შეტყობინების გარეშე ხორციელდება. შესაბამისი კომისიის წევრებს ხალხი არ იცნობს. უკეთეს შემთხვევაში, მათ მხოლოდ კომისიის ერთი რომელიმე წევრის ვინაობა იციან;

თ) გასახლება საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით, შემთხვევების უმრავლესობაში ძალის გამოყენებით ხდება;

ი) გასახლება ხდება ღამით, წლის ცივ სეზონში, მათ შორის, სკოლებში მიმდინარე გამოცდების დროს ან გამოცდების წინ, რაც საერთაშორისო სტანდარტების დარღვევაა;

კ) გარეშე დამკვირვებლებს გასახლების პროცესზე დასწრების საშუალება არ ეძლევათ;

ლ) გასახლების დროს საფრთხე ექმნება ადამიანების უსაფრთხოებას, ილახება მათი ღირსება და იზღუდება თავისუფლება (მაგალითად, ხდე-



ბა შენობის ნგრევა მიუხედავად იმისა, რომ იქიდან ადამიანები არ გამოდიან);

მ) ძალის გამოყენების დროს არ არის დაცული პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპი;

ნ) გასახლებულ პირებს არ ეძლევათ ახალი საცხოვრებელი ფართის მოძიებისა და იქ საცხოვრებლად გადასვლის საშუალება;

ო) უძრავ ქონებასთან ერთად ზიანდება, ნადგურდება და იკარგება მოძრავი ქონება (საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ტანსაცმელი, ავეჯი და ა.შ.), ოფიციალური და პირადი საბუთები. მოქალაქეების ქონება ნგრევაში მოყოლილი უბნიდან არ გააქვთ, ხოლო გატანის დროს დაცული არ არის; მათი მოძიებისა და დაბრუნების მიზნით არ ხდება შესაბამისი ფორმალობების დაცვა;

პ) იყიდება სახლის მხოლოდ ნაწილი (მაგალითად, ბინაში ყიდულობენ და ანგრევენ მხოლოდ სამზარეულოს, ბინის დარჩენილ ნაწილს კი არ ყიდულობენ, ან ანგრევენ სახლის ღობეს და სააბაზანოს, როცა თვით სახლს არ ყიდულობენ და ა.შ.).

**პრობლემატიკა მიწის ჩამოკთმევისა და მოსახლეობის გასახლების შედეგად**

ა) დანგრეული ნაგებობებისთვის და უძრავი ქონებისთვის შეთავაზებული კომპენსაცია არ არის სამართლიანი და არ შეესაბამება საბაზრო ფასებს, რაც კომპენსაციის თანხით მსგავსი და შესაბამისი ხარისხის ახალი საცხოვრებლის ყიდვას იმავე უბანში შეუძლებელს ხდის. ნი კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის მფლობელები ფულად კომპენსაციას საერთოდ არ იღებენ. მათ მხოლოდ სხვა უბანში გადასახლებას სთავაზობენ. ჩამორთმეული უძრავი ქონების სანაცვლოდ შეთავაზებული ადგილები ხარისხით, პირობებითა და მდებარეობით ძველ ადგილებზე უარესია და უფრო ცუდ მდგომარეობაშია. ბავშვებმა უნდა გამოიცვალონ სკოლები, რადგან ახალი ბინა შორსაა, არ არის გათვალისწინებული სამსახურში და სამსახურიდან მგზავრობის ხარჯები. კომპენსაციის სახით გადაცემული ახალი საცხოვრებელი გაურემონტებელია და ცენტრიდან დაშორებულ უბნებში მდებარეობს. სახელმწიფო მათ არ არეგისტრირებს, შესაბამისად, იურიდიულად დარეგისტრირებული არც მცხოვრებლების უფლებებია, რამაც მომავალში შეიძლება პრობლემები წარმოშვას;

ბ) სამართლიანი კომპენსაციის არარსებობა გასახლებულ პირებს უარეს პირობებში აყენებს. ისინი უფრო ღარიბდებიან, ქალაქის ცენტრიდან საცხოვრებლად გარეუბნებში გადადიან და ხანდახან უსახლკაროდაც რჩებიან;

გ) არავითარი ღონისძიებები არ ტარდება შშმ პირთა და ავადმყოფებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

ამას გარდა, მოქალაქეებს არა აქვთ კანონიერი საშუალებების გამოყენებისა და სამართლიანობისა და დარღვეული უფლებებისათვის ბრძოლის საშუალება. ძალის გამოყენებით გასახლებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული არ არის, რეკონსტრუქციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და ორგანოები გამართულად არ მუშაობს და, რაც ყველაზე მთავარია, ხალხს არ შეუძლია სასამართლოს იმედზე იყოს. სასამართლოები აზერბაიჯანში რეგულარულად იღებენ უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს ეწინააღმდეგება. სასამართლო განხილვები ძალიან დიდხანს გრძელდება: საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება ერთი ან ორი წელიწადიც კი დასჭირდეს, ნგრევისა და ძალის გამოყენებით გამოსახლების პროცესები კი არც სასამართლო განხილვების პერიოდში წყდება.



# აპოკრიფის შესახებ

**თათულ აკოფიანი** შეისწავლის სომხურ-თურქულ ურთიერთობებს და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს. მისი სტატიები რეგულარულად იბეჭდება სომხეთის მედიაში. 2009 წლიდან აკოფიანი Civiltas Foundation-ის ანალიტიკოსად მუშაობს. აკოფიანი ორი წიგნის ავტორია. პირველი მონოგრაფია, სახელწოდებით „ყარაბაღის დღიური: მწვანე და შავი“ პირველად 2008 წელს გამოვიდა და დღეს უკვე მისი მესამე გამოცემა იბეჭდება სომხეთში. წიგნი ითარგმნა ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, თურქულ და არაბულ ენებზე. მეორე წიგნი, „სომხები და თურქები“ 2012 წელს გამოვიდა და მისი ინგლისური ვერსიაც არსებობს. ავტორი ამჟამად ახალ წიგნზე მუშაობს, რომელიც ეხება სომხეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს, 1988 წლიდან დღევანდემდე. აკოფიანმა დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი თბილისში.

**ქენან ალიევი** რადიო თავისუფლების აზერბაიჯანული სამსახურის დირექტორია. ეს რადიო აზერბაიჯანში წარმოადგენს დამოუკიდებელი ინფორმაციის და ახალი ამბების წამყვან წყაროს, რომელსაც გამოარჩევს მისი პორტალი აზერბაიჯანული ლიტერატურის შესახებ, სატირული შოუ და ანტიკორუფციული, საგამოძიებო ჟურნალისტური პროექტი. ალიევი რადიო თავისუფლებას 2004 წელს შეუერთდა. მანამდე ის ვაშინგტონში მუშაობდა, ამერიკის ხმისთვის, როგორც ტელე და რადიო ჟურნალისტი და აშუქებდა აშშ-ის, რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკას და ენერგეტიკის საკითხებს. 2003 წელს ალიევი ამერიკის ხმის ოქროს მედლით დაჯილდოვდა პროფესიული მიღწევებისთვის. ქენან ალიევი დაიბადა ნახიჩევანში და სწავლობდა ჟურნალისტიკას ბაქოსა და ვაშინგტონში. ფლობს აზერბაიჯანულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებს.

**სალომე ასათიანი** რადიო თავისუფლების ქართული სამსახურის კორესპონდენტია. ის აშუქებს პოლიტიკის, ადამიანის უფლებების და კულტურის მიმდინარე საკითხებს. მანამდე, ასათიანი მუშაობდა რადიო თავისუფლების დამოუკიდებელ კორესპონდენტად და ამზადებდა ყოველკვირეულ პროგრამას საქართველოში მრავალფეროვნების,

ტოლერანტობის და უმცირესობების საკითხებზე. მოპოვებული აქვს გენდერის კვლევებში ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, მედიის კვლევებში მაგისტრის ხარისხი ბრიტანეთის სასაქონის უნივერსიტეტში და ბაკალავრის ხარისხი კინომცოდნეობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჟურნალისტად მუშაობის დაწყებამდე, ასათიანი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და როკ მუსიკის დიჯეად მუშაობდა ერთ-ერთ ადგილობრივ რადიოსადგურზე.

**რაჰმან ბადალოვი** ფლობს დოქტორის ხარისხს ფილოსოფიაში. პროფესორი ბადალოვი რამდენიმე წიგნისა და 400-ზე მეტი აკადემიური და ჟურნალისტური სტატიის ავტორია კულტურისა და სოციოლოგიის სფეროებში. როგორც წამყვანი მკვლევარი, ამჟამად მუშაობს აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და სამართლის ინსტიტუტში.

**ადრიან ბრისკუ** ისტორიისა და ცივილიზაციის კვლევებში ფლობს დოქტორის ხარისხს, რომელიც მან ფლორენციაში მდებარე ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტში მოიპოვა. ამჟამად კითხულობს კურსებს „თანამედროვე ევროპა“ და „ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები“ პრალაში განთავსებულ ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. მისი წიგნი „ტკბილ-მწარე ევროპა: ალბანური და ქართული დისკურსები ევროპის შესახებ, 1878-2008“ გამომცემლობამ Berghahn Books 2013 წელს დაბეჭდა. ბრისკუ ამჟამად მუშაობს მონოგრაფიაზე „ცვლილების და სტაბილურობის პოლიტიკა ოსმალეთის და რუსეთის იმპერიებში“.

**არპინე გალფაიანი** არის აქტივისტი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზატორი დემოკრატიის, გარემოსდაცვით და სოციალური სამართლიანობის სფეროებში. გალფაიანი მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციაში „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუტი“. მას მდიდარი პროფესიული გამოცდილება აქვს განვითარების და საარჩევნო პროცესების საკითხებში.

**ვლადიმერ (ლადო) ვარდოსანიძე**, არქიტექტორი-ურბანისტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1969 წელს დაასრულა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით და სწავლა გააგრძელა მოსკოვში, ქალაქმშენებლობის

ცენტრალური ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში, იყო „ჰაბიტატ-ჯორჯიას“ დირექტორი, გაეროს პროგრამა „ჰაბიტატის“ ბიუროს წევრი, ურბანისტთა საერთაშორისო საზოგადოების ბიუროს წევრი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე. მისი პროფესიული ინტერესების სფეროებია: ურბანიზაცია, ქალაქური კულტურა, ურბანული მემკვიდრეობის დაცვა, ქალაქმშენებლობის თეორია, ქალაქგანვითარების სოციოკულტურული საფუძვლები.

**ზოჰრბ ისმაილი** მუშაობს „თავისუფალი ეკონომიკის მხარდაჭერის“ საზოგადოებრივ ასოციაციაში, გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბაქოში. გარდა ამისა, არის წევრი ბანკების მონიტორინგის არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის გამგეობისა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მაკონტროლებელ ქსელს. არის რამდენიმე კვლევისა და ნაშრომის ავტორი.

**იანა კობზოვა** პოლიტიკის ასოცირებული მკვლევარია საერთაშორისო ურთიერთობების ევროპულ საბჭოში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთის მიმართ, ცენტრალური აზიის ქვეყნებს, დემოკრატიზაციის პროცესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში. კობზოვა თანაავტორია რამდენიმე წიგნში შესული თავებისა აღმოსავლეთ ევროპის შესახებ (ბოლო პუბლიკაციები მოიცავს სტატიებს 'The Great Power (mis)Management', 2011, და 'Bruselenie valasiek' [Slovakia's new foreign policy], 2010), ისევე, როგორც არის რამდენიმე აკადემიურ თუ ჟურნალისტურ გამოცემაში დაბეჭდილი სტატიების ავტორი.

**დავით ლოსაბერიძე** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამჟამად, მას დაკავებული აქვს რამდენიმე თანამდებობა: მუშაობს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში, სამოქალაქო განათლების ჯგუფის ხელმძღვანელად, ასევე გახლავთ განათლების პროგრამის კოორდინატორი 1997 წლიდან. ამასთან, ლოსაბერიძე მკვლევარია ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის. დავითი 25-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი და 10 მონოგრაფიის რედაქტორია.

**ლინკოლნ მიჩელი** ნიუ-იორკში მცხოვრები მკვლევარი და კონსულტანტია. ის ასწავლიდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, ბრაუნის უნივერსიტეტში და სხვა არაერთ კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში, როგორც აშშ-ში, ისე მის საზღვრებს გარეთ. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია საქართველოს და ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიზაციის საკითხების შესახებ. მიჩელი ავტორია წიგნებისა „მერყევი დემოკრატია: ამერიკის საგარეო პოლიტიკა და საქართველოს ვარდების რევოლუცია“ (Penn Press, 2008) და „ფერადი რევოლუციები“ (Penn Press, 2012).

**სერგეი რუმინცევი** ფლობს სოციოლოგიის დოქტორის ხარისხს, მუშაობს მკვლევრად აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და სამართლის ინსტიტუტში და არის დოქტორის ხარისხის კანდიდატი ბერლინში განთავსებული ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტში. რუმინცევი 40-ზე მეტი აკადემიური სტატიის ავტორია. მისი კვლევითი ინტერესების სფეროებია: მიგრაცია და დიასპორები; ნაციონალიზმი და კონფლიქტები; მესსიერების პოლიტიკა/კომემორაცია; საბჭოთა ნაციონალური და კულტურული პოლიტიკა; ქალაქის სოციოლოგია და ანთროპოლოგია.

**ჩარლზ ფერბენქსი** ვაშინგტონში განთავსებული ჰუდსონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარია. იყო ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი და ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი. მუშაობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილის თანაშემწედ და დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმარების გუნდის წევრად. 1980 წელს იყო რონალდ რეიგანის, ხოლო 1988 წელს ჯორჯ ბუშის (უფროსი) კამპანიის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ფერბენქსი მოღვაწეობდა პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტზე იელისა და ტორონტოს უნივერსიტეტებში.

**მანანა ქოჩლაძე** არის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების მონიტორინგის ქსელის კამპანიის წევრი. როგორც თბილისში განთავსებული გარემოსდაცვითი ჯგუფის „მწვანე ალტერნატივის“ დამფუძნებელი, ის ამ ჯგუფის თავმჯდომარე და აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგრამის კოორდინატორია. 2004 წელს ქოჩლაძემ მიიღო პრესტიჟული პრიზი – გოლდმანის პრემია გარემოსდაცვით საქმიანობაში, იმ კამპანიისთვის, რომელიც მან აწარმოა კამა-

თის საგნად ქცეული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარშემო. 2011 წელს აირჩიეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის წევრად. მანამდე 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მოიპოვა ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი. არის რამდენიმე ანგარიშის და გარემოს დაცვის საკითხებზე პუბლიკაციების ავტორი.

**გაიანე შაგოიანი** სწავლობდა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც მან 1995 წელს დაამთავრა, ეთნოგრაფიის განხრით. არის სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამედროვე ანთროპოლოგიური კვლევების განყოფილების მკვლევარი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროებია: სომხური ტრადიციული და თანამედროვე რიტუალები, სემიოტიკა, სომხური კულტურა და საზოგადოება, ურბანული და ვიზუალური ანთროპოლოგია.

**ივლიანე ხაინდრავა** 1992 წლიდან არის რესპუბლიკური პარტიის წევრი, 1992-95 და 2004-08 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 2012 წლის დეკემბრიდან რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორია. ივლიანე ხაინდრავა რამდენიმე ასეული პუბლიკაციის ავტორია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში; ის მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სემინარის მონაწილე, მომხსენებელი და მოწვეული ექსპერტია. პროფესიულ ინტერესთა ძირითადი სფეროებია: ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოება; კონფლიქტები; დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება; არჩევნები.





ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი გერმანიის მწვანეთა პარტიასთან ასოცირებული, იურიდიულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ; აგრეთვე, დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ცდილობს, დაეხმაროს ხელოვნებასა და კულტურას, მეცნიერებასა და კვლევებს, აგრეთვე, განვითარების სფეროში თანამშრომლობას. მისი საქმიანობა განისაზღვრება ეკოლოგიის, დემოკრატიის, სოლიდარობისა და არაძალადობის ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებებით.

ფონდის საქმიანობა მიმართულია განსხვავებული წარმომავლობის, კულტურული თუ გენდერული იდენტობის, ან, პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებისაკენ.

თავის მრავალრიცხოვან პარტნიორებთან თანამშრომლობით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მისწრაფვის გააძლიეროს გლობალური ეკოლოგიური და სამოქალაქო აქტივობა, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა და ხელი შეუწყოს ადამიანების გახსნილობას ცვლილებებისადმი.

ფონდის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ჰაინრიჰ ბიოლის მაგალითი – მისი იდეები და პოლიტიკაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო 2003 წელს გაიხსნა თბილისში და ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ფონდი ხელს უწყობს ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას; ასევე, ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ცდილობს საზოგადოებისა და პოლიტიკის არადემოკრატიული და არატოლერანტული განწყობის შეცვლას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო ხელს უწყობს ეთნო-პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების ტრანსფორმაციას სამართლიანი და არაძალადობრივი გზით და მხარს უჭერს ადამიანებისა და საზოგადოების მდგრად განვითარებას. ფონდი ხელს უწყობს საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლებას, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე გახდეს.



სტილი: ნინო ბეჟიშვილი | კორექტორი: ნინო საითიძე

დაკაბადონება/დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე | გარეკანზე: თამარ მელიქიშვილის ნახატი

დაბეჭდილია: შპს „სეზანი“